ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

unite for children

unicef

ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

2011 წელი

სასწავლო კურსი მომზადდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) რეგიონული ოფისის დაკვეთით დუბლინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მედია სკოლის მიერ.

© „იუნისეფი“ - დუბლინის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, 2007 წ.
© ქართული თარგმანი და გამოცემა, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, 2011 წ.

სახელმძღვანელოს ქართული ვარიანტის შემუშავებასა და ადაპტაციაში მონაწილეობდნენ: დავით პაიჭაძე, ილიას სახელობის უნივერსიტეტი; მარინე ვაშაყმაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მაია მიქაშავიძე, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა; ნათია კალაძე, საქართველოს უნივერსიტეტი; მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდი.

მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ექსპერტებს: თამარ კორძაიას, მარინე კვაჭაძეს, თეონა კუჭავასა და ნატო ზაზაშვილს.

სარჩევი

ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა — უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა 6

წინასიტყვაობა 6

ნაწილი პირველი: „გაიცანით ბავშვის უფლებები“ 8

1. ადამიანის უფლებათა ცნების წარმოდგენა 8
ადამიანის უფლებები და ბუნებითი უფლებები 8
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 10
უფლებების დაცვა 11

2. ბავშვის უფლებები 14
ბავშვის უფლებათა კონვენცია 15
ბავშვის უფლებათა კომიტეტი 17
საქართველოს კანონმდებლობა და ბავშვთა უფლებები 18
გამოხატვის თავისუფლება და ბავშვის უფლებების დაცვა ქართულ კანონმდებლობაში 28

3. ბავშვის უფლებები და მედია 30
„ოსლოს გამოწვევა“ 30
მედიის გავლენა ახალგაზრდებზე 31
ბავშვების ასახვა მედიაში 32
მედიის მიერ ბავშვების ექსპლუატაცია 33
ბავშვების მონაწილეობა მედიაში 34
მედიის მხრიდან ბავშვზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები 35

4. წინაალმდეგობები ბავშვთა უფლებების განხორციელების გზაზე 39
ადამიანის უფლებათა დაცვა 39
ბავშვის უფლებათა დაცვა 40
პრობლემები ბავშვთა უფლებების რეალიზებაში 42
ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირება 43

5. მედიის მიერ ბავშვების ასახვა, ბავშვის უფლებები და პროფესიული პასუხისმგებლობა 46

ბავშვების წარმოდგენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში 46
სტერეოტიპები მედიაში 48
ბავშვთა უფლებების დარღვევა 49
ბავშვთა დაცვა 49
მედია ახალი თაობისთვის 51
პროფესიული პასუხისმგებლობა 51
შიდა რეგულირება 52
ბავშვთა საკითხების გაშუქებისას მედიის ეთიკისა და ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტების დაცვის შესახებ საქართველოში 55

6. ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო პრაქტიკა ბავშვების შეხედულებების გათვალისწინებით....57
„მსოფლიო ბავშვებისათვის“ 57
ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმები 58
ბავშვების მონაწილეობა....59
მონაწილეობით მიღებული სარგებლობა 60
პერსპექტივები ბავშვებისთვის: მაგალითები....61
ბავშვთა პარლამენტები....62
მონაწილეობისთვის არსებული ბარიერები....64

თავი 2: ბავშვის უფლებები და პროფესიული ჟურნალისტური პრაქტიკა 66

1. ქცევის კოდექსები და სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები....66
ჟურნალისტიკის კოდექსების განვითარება 66
პრესის თავისუფლება 68
რას უნდა მოიცავდეს კოდექსი? 70
მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები 71
საერთაშორისო კოდექსები 72
ბავშვებთან დაკავშირებული ქცევის კოდექსი....73
ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისთვის....74
ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისათვის 76
მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები საქართველოში....77

დანართები....81
„ბი-ბი-სი“-ს სარედაქციო პრინციპები ბავშვების გაშუქებასთან დაკავშირებით....81
ჟურნალისტების სტატუსი და ჟურნალისტური ეთიკა: ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრინციპები 84
ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაცია ჟურნალისტური ქცევის პრინციპების შესახებ....88
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 89

2. ბავშვთა დაცვის სტრატეგიები 91
ბავშვთა დაცვა 91
ბავშვთა დაცვა ორგანიზაციებში....94
მედიის ბავშვთა დაცვის სტრატეგიები....95

3. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები 97
კონკრეტული მაგალითის განხილვა: თვითნებური დაკავების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი....99
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 103
მედია და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები: ვინაობის დაცვა....105
კონკრეტული მაგალითი (1): დიდი ბრიტანეთი: მერი ბელი....105

კონკრეტული მაგალითი (2): დიდი ბრიტანეთი: ჯეიმს ბალგერის მკვლელები....106
ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულების სფეროში.....107
არასრუწლოვანთა მართლსამჯულების ძირითადი
საერთაშორისო პრინციპები 108
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში 112

4. სიუჟეტებისა და წყაროების მოძიება.....121
ჟურნალისტის როლი.....121
ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ მასალების
მომზადებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები 123
„იუნისეფის“ სახელმძღვანელო მითითებები ბავშვებთან დაკავშირებული
საკითხების გაშუქებისათვის.....124
გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით კითხვების დასმა 125
სტატიებისა და სიუჟეტების წყაროები.....126
ძირითადი ტერმინები წყაროებთან ურთიერთობისას 130

5. ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება.....131
ფოტოებში ბავშვების გამოყენება.....134
„იუნისეფის“ სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებისაგან
ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით.....135
ინტერვიუს შემდეგ... 136
‘‘გადავარჩინოთ ბავშვები’’-ს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებისგან
ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით.....136

6. ბავშვები შეიარაღებული კონფლიქტების დროს 138
მედია და ბავშვები შეიარაღებული კონფლიქტის დროს 142

7. სიტყვის თავისუფლება ბავშვებს და ბავშვებზე ორიენტირებული მედია.....146
ბავშვების მონაწილეობა მედიაში.....148
ბავშვებთან ერთად და ბავშვებისთვის მომზადებული მედიაპროგრამების
დადებითი მხარეები 149
გლობალური კონტექსტი.....151
მედიაში ბავშვების მიზანმიმართული მონაწილეობის წინაშე არსებული
სირთულეები და წინააღმდეგობები 152

8. საუკეთესო ჟურნალისტური პრაქტიკა ბავშვებთან დაკავშირებით.....155
საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები 156

ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა — უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

წინასიტყვაობა

მივესალმებით ჟურსნალისტებისთვის ბავშვის უფლებების შესახებ სახელმძღვანელოს მკითხველს.

სახელმძღვანელოს მიზანია მოგაწოდოთ ის ძირითადი იდეები და ინფორმაცია, რომლებიც დაგეხმარებათ ახალი ამბების პასუხისმგებლობით, ბავშვთა უფლებების დაცვითა და მათ მიმართ პატივისცემით გაშუქებაში.

სახელმძღვანელოში გამოყენებული მიდგომა

ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა განათლების ასოციაცია“ (HREA) გვთავაზობს სასწავლო პირამიდას, რომელიც შედგება ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების სამი ძირითადი მოდელისაგან. ქვედა არის „ფასეულობებისა და ინფორმირებულობის მოდელი“, შუა - „ანგარიშვალდებულების მოდელი“, ხოლო ზედა - „ტრანსფორმაციული მოდელი“.

მოდელი 1 - ფასეულობები და ინფორმირებულობა

ფასეულობებისა და ინფორმირებულობის მოდელში ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ძირითადი ამოცანაა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის გადაცემა. ამ მოდელის მიზანია, „ხელი შეეწყოს ისეთი მსოფლიოს მშენებლობას, სადაც პატივისცემით ეკიდებიან ადამიანის უფლებებს. ეს მიიღწევა იმ მიზნების გათვითცნობიერებითა და ერთგულებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა“ და სხვა ძირითად დოკუმენტებში“ („ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ახალი მოდელები“, ფელისა ტიბიტსი, „განათლების საერთაშორისო მიმოხილვა“ - ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა, 2002). ფასეულობებისა და ინფორმირებულობის მოდელის მაგალითებია საზოგადოებაში ცოდნის გავრცელების კამპანიები, ახალგაზრდული პროგრამები და სასკოლო და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები.

მოდელი 2 — ანგარიშვალდებულება

მოსალოდნელია, რომ ამ მოდელის დაწყებისას მონაწილეებს უკვე ჰქონდეთ წარმოდგენა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისიც მოსალოდნელია, რომ ისინი უშუალოდ თუ არაპირდაპირი გზით მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებების დაცვაში. ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებების დაცვისა და ლობირების უნარების განვითარებასა და ადამიანის უფლებათა სამართლის უფრო ღრმად გაგების ხელშეწყობაზე. ანგარიშვალდებულების მოდელის მაგალითებია ტრენინგები ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე აქტივისტების ან იმ ადამიანებისათვის, ვისაც ევალება ადამიანის უფლებათა შელახვის შემთხვევების დოკუმენტური სახით დაფიქსირება.

მოდელი 3 — ტრანსფორმაციული

ეს მოდელი მიზნად ისახავს, დაეხმაროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების

მოწმეებს და მსხვერპლებს. ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ეს ფორმა შეიძლება გამოდგეს, როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთლიანად თემებისთვის. ტრანსფორმაციული მოდელის მიზანია, მისცეს მონაწილეებს შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი თავი და საკუთარი თემები ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან. ამ მოდელის მაგალითებია ლტოლვილთა ბანაკში განხორციელებული პროგრამები და ჯგუფური დახმარების პროგრამები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის.

ვინაიდან მოდულის ამოცანაა ტრენინგში მონაწილე ჟურნალისტებისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მათ სჭირდებათ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული ახალი ამბების პასუხისმგებლობით გაშუქების უნარის განვითარებისთვის, გამოვიყენებთ ფასეულობებისა და ინფორმირებულობის მოდელს — კონკრეტული აქცენტით ბავშვის უფლებებზე. მოდულის მიზანია არა ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე აქტივისტების ჩამოყალიბება, არამედ ბავშვებთან და მათ უფლებებთან დაკავშირებული თემების პასუხისმგებლობით გაშუქების უნარის განვითარება.

ამ მოდულის გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ გაიგოთ, რას წარმოადგენს ბავშვთა უფლებები, განსაკუთრებით გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში. თქვენ ასევე შეძლებთ კრიტიკულად შეაფასოთ ბავშვებთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქება ადამიანის უფლებების, ანუ „უფლებებზე დამყარებული“, პერსპექტივიდან, გაეცნობით სახელმძღვანელო პრინციპებსა და კოდექსებს ბავშვებთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქების შესახებ და შეძლებთ გამოთქვათ პროფესიული მოსაზრება საკუთარი პრაქტიკის შესახებ უფლებებზე დამყარებული პერსპექტივიდან. რაც ყველაზე მთავარია, შეძლებთ გამოიყენოთ ის, რაც ისწავლეთ, თქვენს სამომავლო კარიერაში როგორც ჟურნალისტებმა და რეპორტიორებმა და სამართლიანად, ზუსტად და ბავშვების უფლებათა პრინციპების გათვალისწინებით მოამზადოთ სიუჟეტები, სტატიები და რეპორტაჟები.

მოდულის სტრუქტურა

მოდულში შედის ორი ძირითადი ნაწილი:
ნაწილი პირველი, *„გაიცანით ბავშვის უფლებები“,* იძლევა ზოგად ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი უფლებების გაგება და გათვითცნობიერება. გარდა ამისა, ამ ნაწილში განხილულია სათანადო პრაქტიკის მაგალითები და, აგრეთვე, ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც წამოიჭრება ბავშვებთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქებისას.

ნაწილი მეორე, „ბავშვის უფლებები და პროფესიული ჟურნალისტური პრაქტიკა“, პროფესიულ ჟურნალისტურ პრაქტიკას განიხილავს ბავშვის უფლებების პერსპექტივიდან და გვაცნობს იმ სტრატეგიებსა და კონტექსტებს, რომლებშიც უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ჟურნალისტური საქმიანობა.

ამ ნაშრომში წარმოდგენილ მასალასთან ერთად უნდა გაეცნოთ მრავალფეროვან დამხმარე ლიტერატურას და რეკომენდაციებს სამომავლო საკითხავებთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რომ მოდულში ნასწავლი დაგეხმარებათ ახალი ამბების ყველანაირი ფორმით გაშუქებაში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როცა სიუჟეტის ცენტრალური ფიგურა ბავშვია.

ნაწილი პირველი: „გაიცანით ბავშვის უფლებები“

1. ადამიანის უფლებათა ცნების წარმოდგენა

ძირითადი სასწავლო თემები

- რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
- რა განსხვავებაა ბუნებრივ უფლებებსა და ადამიანის უფლებებს შორის?
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებები და ბუნებითი უფლებები

ადამიანის უფლებები გულისხმობს ადამიანის განუყოფელ, საყოველთაო უფლებებს, მიუხედავად ადგილმდებარეობის თუ სხვა ისეთი ფაქტორებისა, როგორებიცაა ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, ეროვნება თუ სქესი.

ადამიანის უფლებები ის ძირითადი სტანდარტებია, რომელთა გარეშე ადამიანები ვერ იცხოვრებენ ღირსეულად.

ადამიანის უფლებები ყველა ადამიანს თანასწორად, საყოველთაოდ და სამუდამოდ ეკუთვნის.

ადამიანის უფლებები ***ხელშეუხებელია:*** ადამიანს ვერ ჩამოერთმევა ეს უფლებები ისევე, როგორც ის, რომ იგი ყოველთვის ადამიანად დარჩება.

ადამიანის უფლებები ***განუყოფელია:*** ადამიანს ვერ ჩამოერთმევა უფლება იმის გამო, რომ ის „ნაკლებად მნიშვნელოვანია“ ან „არ არის არსებითი“.

ადამიანის უფლებები ***ურთიერთდამოკიდებულია:*** ადამიანის ყველა უფლება ურთიერთშემავსებელი სისტემის ნაწილია. მაგალითად, თქვენს შესაძლებლობასთან, მონაწილეობა მიიღოთ თქვენი ხელისუფლების მუშაობაში, უშუალო კავშირშია თქვენი უფლება, გამოხატოთ საკუთარი თავი, მიიღოთ განათლება და უპირველესი აუცილებლობის საგნებიც კი.

ადამიანის უფლებების იდეა აღმოცენდა ბუნებითი უფლებების ფილოსოფიური კონცეფციიდან; ზოგი არ აღიარებს განსხვავებებს უფლებათა ამ ორ კატეგორიას შორის და ორივეს ერთ რამედ აღიქვამს, ხოლო სხვები ამ ორ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ და ის თვისებები, რაც ტრადიციულად ბუნებით უფლებებს უკავშირდება, არ ასოცირდება ადამიანის უფლებებთან.

რას წარმოადგენს ბუნებითი უფლებები?

ბუნებითი უფლებები საყოველთაო უფლებებია, რომლებიც ყველა ადამიანს ეკუთვნის და არ არის დამოკიდებული ადამიანის ქცევასა თუ შეხედულებებზე. ადამიანი საზოგადოების წევრი ხდება გარკვეული ძირითადი უფლებებით და არც ერთ მთავრობას არ შეუძლია ჩამოართვას მას ეს უფლებები.

ბუნებითი უფლებების ყველაზე ადრეული ასახვა მოიპოვება ინდურ ვედებში, აგამებსა და უპანიშადებში — ტექსტებში, რომლებიც სამი ათას წელზე მეტი ხნის წინ დაიწერა. მას შემდეგ ბუნებითი უფლებები მნიშვნელოვანი ცნებაა იმ წიგნებში, რომლებიც საფუძვლად უდევს მსოფლიოს ძირითად რელიგიებს. ბიბლიაც, თორაც და ყურანიც ქადაგებენ ყველა ადამიანის თანასწორობის, ღირსებისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობას.

ბუნებითი უფლებების ერთ-ერთი თეორია ჩამოყალიბდა განმანათლებლობის პერიოდის ბუნებითი კანონიდან მეფეთა წმინდა უფლებების საწინააღმდეგოდ და იძლეოდა ლიბერალიზმის მორალურ დასაბუთებას.

ინდივიდუალიზმის იდეის გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში, ბუნებრითი კანონებიდან გამომდინარე დოქტრინები შეიცვალა და ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ინდივიდებს, ვინაიდან ისინი ადამიანები არიან, აქვთ უფლებები, რომლებიც არ უნდა დაარღვიოს რომელიმე სხვა ადამიანმა ან საზოგადოებამ.

ამ დოქტრინის, ალბათ, საუკეთესო ფორმულირება ჯონ ლოკის (1632-1704) ნაშრომებშია მოცემული. მისი აზრით, ადამიანი თავისი ბუნებით არის რაციონალური და კარგი და რომ მას პოლიტიკურ საზოგადოებაში შემოაქვს იგივე უფლებები, რომლებიც ცნობილი იყო საზოგადოებისთვის უფრო ადრეულ საფეხურებზე. ამ უფლებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმსარებლობის თავისუფლება, საკუთარი ქვეყნის მთავრობაში ხმის უფლება და ქონების უფლება.

ბუნებითი უფლების შინაარსი შეიძლება დაუპირისპირდეს იურიდიულ უფლებას: ბუნებითია უფლება, როდესაც ის არსებობს მაშინაც კი, როცა არ არის მიღებული მთავრობის ან მთლიანად საზოგადოების მიერ, ხოლო იურიდიული უფლება წარმოადგენს ისეთ უფლებას, რომელიც დადგენილია მთავრობის ან საზოგადოების მიერ მათი წევრების სასარგებლოდ.

დამატებითი ლიტერატურა:

Peter Jones: *Rights,* Oxford: Palgrave Macmillan, 1994.

Jeremy Waldron, ed: *Theories of Rights,* (*Oxford Readings in Philosophy)*, Oxford: Oxford University Press, 1984.

ადამიანის უფლებების არსებობა, მოქმედება და შინაარსი დღესაც დებატების საგანია ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში. სამართლებრივი თვალსაზრისით ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალსა და შეთანხმებებში, ასევე ბევრი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაშია განსაზღვრული. მაგრამ ბევრისათვის უფლებების დოქტრინა სცდება კანონს და წარმოადგენს ფუნდამენტურ მორალურ ბაზისს თანამედროვე სოციალური წესრიგის რეგულირებისათვის. ასეთი ადამიანებისათვის ეს დემოკრატიული იდეალებია.

ჩვენ ყველას გვჭირდება უფლებები და გვაქვს კიდეც ისინი. ეს უფლებები უზრუნველყოფს ჩვენს არსებობას და განვითარებას და ხელს უწყობს ჩვენს დაცვას ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შეურაცხყოფისა და ძალადობისაგან. უფლებები გულისხმობს იმასაც, რომ გვქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მივიღოთ იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენ გვეხება. უფლებები უზრუნველყოფს, რომ ყველა ადამიანს თანასწორად და სამართლიანად მოექცნენ. ადამიანის უფლებების დამკვიდრების ხელშეწყობა და პროპაგანდირება ნიშნავს იმის მოთხოვნას, რომ ყველა პატივისცემით მოექცეს და დაიცვას *ყველა* ადამიანის ღირსება. მაგრამ უფლებებს თან პასუხისმგებლობაც ახლავს: ყოველმა ჩვენგანმა პატივი უნდა სცეს სხვა ადამიანების უფლებებს და მარტო სხვებისგან არ უნდა მოითხოვოს თავისი უფლებების პატივისცემა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1945 წელს მსოფლიომ ძლივს დააღწია თავი მეორე მსოფლიო ომს, რომელიც პირველს 30 წლითაც კი არ გვაშორებდა. ამ ომის დროს უმცირესობათა ჯგუფებისა და სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილმა საზარელმა სისასტიკეებმა უბიძგა მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებს, ჩამოეყალიბებინათ *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია* მშვიდობის, კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და გამოაქვეყნა *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.* დეკლარაციაში აღიარებული იქნა „თანდაყოლილი ღირსება“ და „თანასწორი და განუყოფელი უფლებები“ ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის. მასში ნათქვამია, რომ „ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები ... და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია ადამიანების მაღალ მისწრაფებად“.

დეკლარაცია შედგება 30 მუხლისაგან, რომლებშიც გამოხატულია გაეროს შეხედულება ყველა ადამიანისთვის გარანტირებულ უფლებებზე. ადამიანის უფლებათა კომისიის (რომელმაც მოამზადა დეკლარაციის ტექსტი) წევრმა, ელინორ რუზველტმა, განაცხადა: „ეს არ არის ხელშეკრულება ... [მომავალში] იგი შეიძლება გახდეს საერთაშორისო „დიდი ქარტია“ (*Magna Carta...)* 1995 წლის 5 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვაში პაპმა იოანე პავლე II-მ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას უწოდა „ადამიანის სინდისის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გამოხატულება თანამედროვეობაში.“

თუმცა გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, ჯინ კირკპატრიკმა, დეკლარაციას „სანტა-კლაუსისათვის მიწერილი წერილი“ უწოდა. მისი თქმით, „არც ბუნება, არც გამოცდილება და არც ალბათობა არ აცოცხლებს „უფლებების“ ამ ჩამონათვალს, იმ უფლებებისა, რომლებიც არ ცნობს შეზღუდვებს, გარდა მათი ავტორების გონებით და მადით დაწესებულისა“ (კონფერენციის დოკუმენტი: „ადამიანის უფლებათა სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება“, 1981).

ყველაზე მნიშვნელოვან მუხლებს შორისაა:

- **მუხლი 1:** „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“

- **მუხლი 3:** სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.
- **მუხლი 5:** წამების ან სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვა.
- **მუხლი 18:** აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.
- **მუხლი 19:** აზრისა და გამოხატვის თავისუფლება.
- **მუხლი 26:** განათლების უფლება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ყველა წევრ ქვეყანას მოუწოდა, გამოექვეყნებინათ დეკლარაციის ტექსტი და „განეპირობებინათ მისი გავრცელება, წაკითხვა და ახსნა სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, განურჩევლად ქვეყნებისა თუ ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსისა“.

გინესის „რეკორდების წიგნში“ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღწერილია როგორც „დოკუმენტი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მეტ ენაზე ითარგმნა“. მისი თარგმანი მოიპოვება 321 ენასა და დიალექტზე (2004 წლისათვის).

დეკლარაციის მიღებას მოჰყვა რიგი მნიშვნელოვანი შეთანხმებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების დამკვიდრებას და დაცვას. 1966 წელს გაერო-მ მიიღო *სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი* და *ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.* ამ პაქტებმა მათი ხელმომწერი ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ აქცია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებების განვითარებაში სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო ჟენევის კონვენციები ომის დროს დასაცავი წესების შესახებ და კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებები ჯერ კიდევ ვითარდება. მაგალითად, ამ ბოლო წლებში გარემოს დამცველები მოგვიწოდებდნენ ადამიანის უფლებების გაფართოებას და მათ რიცხვში სუფთა და უსაფრთხო წყლის მისაწვდომობაზე ადამიანის საყოველთაო უფლებისა და გარემოსთან დაკავშირებული სხვა უფლებების ჩართვას.

უფლებების დაცვა

მე-20 საუკუნის განმავლობაში მრავალმა ჯგუფმა და მოძრაობამ მოახერხა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების მიღწევა ადამიანის უფლებების განსამტკიცებლად. დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში პროფკავშირებმა შემოიღეს კანონები, რომლებიც მშრომელებს აძლევს გაფიცვის, მინიმალური სამუშაო პირობების დადგენის და ბავშვთა შრომის აკრძალვის ან რეგულირების უფლებებს. ქალთა უფლებების მოძრაობამ მრავალ ქალს მოუპოვა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა ბევრ ქვეყანაში დაამხო კოლონიალური ძალები. აქედან ყველაზე გავლენიან ძალას წარმოადგენდა მაჰათმა განდი, რომელმაც ინდოეთი გაათავისუფლა ბრიტანეთის ბატონობისაგან. რასობრივი ჩაგვრის ქვეშ მყოფ ადამიანთა და რელიგიურ უმცირესობათა მოძრაობებმა წარმატებას მიაღწიეს მსოფლიოს მრავალ

ქვეყანაში. მათ შორის იყო მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის და, შედარებით ახლახან, ე.წ. „იდენტურობისა და პოლიტიკის“ მოძრაობები, რომლებიც იბრძოდნენ ქალთა და უმცირესობათა უფლებებისთვის აშშ-ში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით ადამიანის ძირითადი უფლებები ირღვევა მაშინ, როდესაც:

- რასობრივი, სარწმუნოებრივი თუ სხვა ჯგუფის წევრებს ართმევენ უფლებას, აღიარებული იყოს „ინდივიდად“ (მე-2 და მე-6 მუხლები);
- მამაკაცებს და ქალებს არ ეპყრობიან თანასწორად (მე-2 მუხლი);
- განსხვავებული რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის წევრებს არ ეპყრობიან თანასწორად (მე-2 მუხლი);
- საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას (მე-3 მუხლი);
- ადამიანი გაყიდულია მონად ან იმყოფება ყმობაში (მე-4 მუხლი);
- უფლებების დარღვევის მსხვერპლთ უარს ეუბნებიან სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე (მე-8 მუხლი);
- ადამიანის მიმართ სასჯელის აღსრულება ხდება თვითნებურად, სათანადო და სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩაუტარებლად (მე-11 მუხლი);
- სახელმწიფოს წარმომადგენლები თვითნებურად ერევიან ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში (მე-12 მუხლი);
- მოქალაქეებს ეკრძალებათ საკუთარი ქვეყნის დატოვება ან თავის ქვეყანაში დაბრუნება (მე-13 მუხლი);
- ადამიანს უარს ეუბნებიან სიტყვის ან რელიგიის თავისუფლებაზე (მე-18 და მე-19 მუხლები);
- ადამიანს უარს ეუბნებიან პროფკავშირში გაერთიანების უფლებაზე (23-ე მუხლი);
- ადამიანს უარს ეუბნებიან განათლების მიღების უფლებაზე (26-ე მუხლი).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და მის მიერ აღწერილი მსოფლიოს ხედვა დაედო საფუძვლად ისეთი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა “ამნესტი ინტერნეიშენალ“ და „ჰიუმან რაითს უოჩ“, რომლებიც იღვწიან ადამიანის უფლებების დაცვისთვის და ატარებენ ფართო კამპანიებს მათი დარღვევის წინააღმდეგ. ისინი ამზადებენ ყოველწლიურ ანგარიშებს თითოეულ ქვეყანაში ადამიანის „უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.

„ამნესტი ინტერნეიშენალის“ მონაცემებით, ძალზე ცოტა ქვეყანაა ისეთი, სადაც არ ხდება ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა. ამ ორგანიზაციის 2007 წლის „ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშის“ მიხედვით, დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ 57 ქვეყანაში არსებობენ პოლიტიკური, ე.წ. „სინდისის პატიმრები,“ და 102 ქვეყანაში აღინიშნა პოლიციის, სამხედრო თუ უსაფრთხოების სამსახურების პერსონალის მხრიდან წამებისა თუ სასტიკად მოპყრობის შემთხვევები.

ზოგს სჯერა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა უფრო ხშირია დიქტატორულ სახელმწიფოებში, ვიდრე დემოკრატიულში, ვინაიდან სიტყვისა და პრესის თავისუფლების წყალობით შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დარღვევების გამოაშკარავება. მაგრამ ადამიანის უფლებები დემოკრატიულ ქვეყნებშიც ირღვევა. მაგალითად, მაკფერსონის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბრიტანეთის პოლიცია ინსტიტუციურად რასისტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა შავკანიანი ახალგაზრდის, სტივენ ლორენსის სიკვდილის შემთხვევაში, ხოლო „ამნესტი ინტერნეიშენალმა“ თავის ანგარიშებში აშშს მიერ მართულ გუანტანამოს ყურის ბანაკს უწოდა „სკანდალური, ადამიანის უფლებების მხრივ“.

დაახლოებით 90 ქვეყანაში დაარსდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის, ხელშეწყობისა თუ მონიტორინგის მიზნით.

შეფასება

იმსჯელეთ ადამიანის უფლებათა ცნებაზე შერჩეული, თანამედროვეობის ამსახველი თემის კონტექსტში.

დამატებითი ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა რესურს-ცენტრი:
http://www1.umn.edu/humanrts/edumat/background.shtm
ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ფორუმი: http://www.nhri.net/
„ამნესტი ინტერნეიშენალ“: http://www.amnesty.org/
„ამნესტი ინტერნეიშენალის“ 2006 წლის ქვეყნების ანგარიში:
http://web.amnesty.org/report2006/index-eng
„ჰიუმან რაითს უოჩ“: http://www.hrw.org/
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი: http://www.ohchr.org

---

2. ბავშვის უფლებები

ძირითადი სასწავლო თემები

- რატომ არის აუცილებელი ბავშვის უფლებების გამოყოფა?
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია
- ბავშვის უფლებათა კომიტეტი
- საქართველოს კანონმდებლობა და ბავშვთა უფლებები

„ბავშვთა უფლებები“ არის ადამიანის უფლებები ბავშვებისა და 18 წლამდე ადამიანებისათვის. იმ ფაქტის აღიარების საფუძველზე, რომ ბავშვობა ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული პერიოდია, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის უფლებების ცალკე წყება ჩამოყალიბდა. ბავშვობა არის ის დრო, როდესაც ჩვენ აქტიურად ვიზრდებით და ვსწავლობთ, როდესაც გვჭირდება სხვა ადამიანები, რომლებიც მოგვივლიან და უსაფრთხოებას მოგვცემენ, როდესაც ჩვენ უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, უდარდელად ვიცხოვროთ.

1989 წელს გაეროში მივიდნენ საერთო შეთანხმებამდე, რომ ბავშვებს სჭირდებათ საკუთარი კონვენცია. ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ჩამოყალიბებულ უფლებათა ამ ცალკე წყებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია ჰქვია. კონვენციაში ნათქვამია, რომ 18 წლამდე ადამიანებს აქვთ მასში გათვალისწინებული ყველა უფლება, მიუხედავად მათი რასის, რელიგიის თუ შესაძლებლობებისა, განურჩევლად იმისა, თუ რას ფიქრობენ ან ამბობენ ისინი და რა ტიპის ოჯახიდან არიან.

რა საჭიროა ბავშვთა უფლებების გამოყოფა ცალკე კონვენციის სახით?

ბავშვები ინდივიდები არიან: ისინი არც მშობლების საკუთრებას წარმოადგენენ, არც სახელმწიფოსი და არც რაიმე ჩამოუყალიბებელი არსებები არიან; მათ ადამიანთა ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრების სტატუსი აქვთ.

ბავშვები იწყებენ ცხოვრებას, როგორც აბსოლუტურად დამოკიდებელი არსებები: ისინი მთლიანად მშობლების იმედზე არიან კვებისა თუ აღზრდის თვალსაზრისით: ეს მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ გაიზარდონ და დამოუკიდებელნი გახდნენ. საუკეთესო შემთხვევაში ასეთ ზრუნვას ბავშვი უნდა იღებდეს მისი ოჯახის უფროსი წევრებისაგან, მაგრამ, როცა უშუალო მზრუნველებს არ შეუძლიათ ბავშვის საჭირობების დაკმაყოფილება, უკვე საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ამის გამოსწორებაზე.

ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციისგან: ბავშვები ფიზიკურად უფრო დაუცველები არიან, ვიდრე ზრდასრული ადამიანები. გარდა ამისა, ისინი ემოციურადაც გაცილებით მგრძნობიარენი არიან უარყოფითი შთაბეჭდილებების მიმართ. ფიზიკურმა და ფსიქიკურმა ზეწოლამ შეიძლება სამუდამო დაღი დაასვას ბავშვს. მსოფლიოს მრავალ კუთხეში ბავშვები განიცდიან მძიმე ექსპლუატაციას, როგორც მუშები ან როგორც ჯარისკაცები.

მთავრობის მოქმედება ან უმოქმედობა უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ბავშვებზე, ვიდრე საზოგადოების რომელიმე სხვა ჯგუფზე: სამთავრობო პოლიტიკის თითქმის ყველა სფერო (მაგალითად, განათლება თუ ჯანმრთელობის დაცვა) გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ბავშვებზე. წინდაუხედავი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ითვალისწინებს ბავშვების პრობლემებს, ძალზე ავნებს მთელი საზოგადოების მომავალს.

ბავშვების აზრს იშვიათად აქცევენ ყურადღებას და იშვიათად ითვალისწინებენ პოლიტიკურ პროცესებში: ბავშვები, ჩვეულებრივ, არ იღებენ მონაწილეობას არჩევნებსა თუ პოლიტიკურ პროცესებში. თუ არ მოვისმენთ მათ აზრებს — როგორც ისინი მათ სახლში, სკოლაში ან თავიანთ მეგობრებთან გამოხატავენ — ვერასოდეს გავიგებთ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მოქმედებს ბავშვების ცხოვრებაზე ახლა ან იმოქმედებს მომავალში.

მრავალ ცვლილებას საზოგადოებაში ბავშვებისთვის არაპროპორციული და ხშირად უარყოფითი შედეგები მოაქვს: ოჯახის შემადგენლობის შეცვლა, გლობალიზაცია, სამუშაო პირობების ცვლილება და სოციალური შეღავათების შემცირება ბევრ ქვეყანაში სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ბავშვების ცხოვრებაზე. ამგვარი ცვლილებების შედეგები შეიძლება განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდეს შეიარაღებული კონფლიქტების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში.

ბავშვის ჯანსაღ განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მომავლისთვის: ვინაიდან მათი ზრდის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან (გაცილებით მეტად, ვიდრე უფროსები) ცხოვრების ისეთი ცუდი პირობების მიმართ, როგორიცაა სიღარიბე, ჯანმრთელობის არაადეკვატური დაცვა, ცუდი კვება, სუფთა წყლის ხელმიუწვდომელობა, ცუდი საცხოვრებელი პირობები და გარემოს დაბინძურება. სხვადასხვა ავადმყოფობის, ცუდი კვებისა და სიღარიბის შედეგები საფრთხეს უქმნის ბავშვების და, აქედან გამომდინარე, იმ საზოგადოების მომავალს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

სახელმწიფოებს ძალიან ძვირად უჯდებათ უყურადღებობა ბავშვების მიმართ: სოციალური კვლევები გვიჩვენებს, რომ ბავშვობაში მიღებული გამოცდილება მოქმედებს ადამიანის შემდგომ განვითარებაზე, ბავშვების განვითარების მსვლელობა კი განსაზღვრავს იმ წვლილს, რომელსაც ისინი შეიტანენ ქვეყნის მომავალ ცხოვრებაში.

ბავშვის უფლებათა კონვენცია

1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაამტკიცა *ბავშვის უფლებათა კონვენცია.* დღეს ის საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელსაც ქვეყნები ხელს აწერენ და როდესაც მის რატიფიცირებას მოახდენენ, მათ იურიდიულად მოეთხოვებათ კონვენციის შესრულება. ეს პირველი სავალებულოდ შესასრულებელი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელშიც შედის ადამიანის უფლებების მთელი სპექტრი. მისი რატიფიცირება მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მოახდინა, გარდა სომალის და ამერიკის შეერთებული შტატებისა. სომალიმ რატიფიცირება იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მას არ ჰყავს აღიარებული მთავრობა, ხოლო აშშ-მ კონვენციის ხელმოწერით გვაჩვენა თავისი განზრახვა, მოეხდინა მისი რატიფიცრება, მაგრამ ჯერ ეს არ გაუკეთებია.

კონვენციის საფუძველზე ბავშვებს აქვთ უფლება, დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი საჭიროებები: არსებობა, დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, საკვებისა და წყლის მისაწვდომობა. მათ ასევე აქვთ უფლება, ჰქონდეთ საკუთარი პოტენციალის სრულად განვითარების შესაძლებლობა: ეს არის განათლება, თამაში, სპორტი, საკუთარი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება.

კონვენციაში საგანგებოდაა ნათქვამი, რომ ყველა ბავშვს ერთი და იგივე უფლებები აქვს და რომ ყველა უფლება ურთიერთდაკავშირებული და თანასწორი მნიშვნელობისაა. კონვენცია ეხება ასევე ბავშვების პასუხისმგებლობას – პატივი სცენ სხვა ადამიანების, განსაკუთრებით მათი მშობლების, უფლებებს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში 54 მუხლია, რომელთაგან თითოეულში განსაზღვრულია განსხვავებული უფლება. ეს უფლებები იყოფა ოთხ ჯგუფად: არსებობა, დაცვა, განვითარება და მონაწილეობა.

არსებობასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებს ბავშვის სიცოცხლის უფლებას და უფლებას, დაკმაყოფილებულ იქნეს არსებობისთვის აუცილებელი საჭიროებები. ეს არის კვება, საცხოვრებელი, ცხოვრების ადეკვატური დონე და ჯანმრთელობის დაცვის მისაწვდომობა.

განვითარებასთან დაკავშირებული უფლებები განსაზღვრავს იმას, რაც ბავშვს სჭირდება მისი პოტენციალის სრულად განვითარებისთვის. ეს არის განათლება, დასვენება და თავისუფალი დრო, კულტურული საქმიანობა, ინფორმაციის მისაწვდომობა და აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლება.

დაცვასთან დაკავშირებული უფლებები მოითხოვს, რომ ბავშვები დაცულ იქნენ ყოველგვარი ფორმის შეურაცხყოფის, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციისაგან. ეს უფლებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ლტოლვილი ბავშვების საგანგებო დაცვა, დაცვის საშუალებები მომუშავე ბავშვებისათვის და იმ ბავშვების დაცვა და რეაბილიტაცია, რომლებმაც განიცადეს რაიმე ფორმის ძალადობა ან ექსპლუატაცია.

მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებს, რომ ყველა ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აქტიური როლი შეასრულოს თავის თემსა და საზოგადოებაში. ეს უფლებები მოიცავს შეხედულების გამოხატვის თავისუფლებას და უფლებას, სათანადო ყურადღება დაეთმოს ბავშვის შეხედულებებს იმ საკითხებში, რომლებიც მის ცხოვრებაზე ახდენს ზემოქმედებას. ბავშვის უნარების განვითარებასთან ერთად უნდა გაიზარდოს ბავშვისთვის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში, რათა მოემზადოს პასუხისმგებლობით აღსავსე ზრდასრული ცხოვრებისათვის.

კონვენციის 41 ძირითადი მუხლიდან ოთხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ისინი არსებითია კონვენციაში გათვალისწინებული ყველა უფლების ხორცშესხმისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილია ეს მუხლები, რომლებიც კონვენციის „საერთო პრინციპებად“ არის ცნობილი:

- **მე-2 მუხლი:** უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კონვენციაში გათვალისწინებული ყველა უფლება თითოეული ბავშვისთვის, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე.

- **მე-3 მუხლი:** ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

- **მე-6 მუხლი:** ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება.

- **მე-12 მუხლი:** ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ყველა იმ საკითხში, რომლებიც მის ცხოვრებაზე ახდენს ზემოქმედებას.

ამ ბოლო წლებში შეიქმნა ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი ფაკულტატიური ოქმი:

- ფაკულტატიური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წლის 25 მაისს, და

- ფაკულტატიური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების მონაწილეობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 2000 წლის 25 მაისს.

კონვენციაში გამოხატულია ბავშვისა და ბავშვობის ცნების ახალი ხედვა. ბავშვები არც თავიანთი მშობლების საკუთრება არიან და არც ქველმოქმედების უსუსური ობიექტები. ისინი ადამიანები არიან, რომლებსაც საკუთარი უფლებები აქვთ. კონვენცია გვთავაზობს ხედვას ბავშვისა, როგორც ძლიერი, კომპეტენტური ადამიანის, ოჯახისა და საზოგადოების წევრისა, რომელსაც აქვს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისი უფლებები და პასუხისმგებლობები. ბავშვთა უფლებების ამ სახით აღიარებით კონვენცია მთლიანად ბავშვზე ახდენს კონცენტრირებას.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი

იმ სახელმწიფოთა მთავრობებმა, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, რეგულარულად უნდა წარუდგინონ ანგარიში *ბავშვის უფლებათა კომიტეტს* — ექსპერტებისგან შემდგარ ორგანოს, რომელიც აწარმოებს სახელმწიფოთა მიერ კონვენციის შესრულების მონიტორინგს. ამ ანგარიშებში ასახულია ქვეყანაში ბავშვთა უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობა და მითითებულია ის ზომები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს ამ უფლებების ხორცშესასხმელად. სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვისას ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნების ხელისუფლებათა ყველა დონეს, ისარგებლონ კონვენციით, როგორც სახელმძღვანელო პრინციპით პოლიტიკის შემუშავებასა და მის აღსრულებაში. ვინაიდან ადამიანის უფლებების დაცვა თავისი ხასიათით უსასრულო პროცესია, ყოველთვის არსებობს რაღაც ისეთი, რასაც გაუმჯობესება სჭირდება.

ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანოს შექმნა და კითხვა, თუ რას ნიშნავს რეალურად ბავშვთა უფლებები და როგორ შეიძლება მათი საუკეთესო გზით ხორცშესხმა, დღემდე დისკუსიების საგანია. ბავშვთა უფლებების განხორციელების ხელშეწყობა ნაწილობრივ ემყარება იმის აღიარებას, რომ ბავშვების დაუცველობისა და, შესაბამისად, მათი საგანგებო დაცვის საჭიროების გათვითცნობიერება არ უშლის ხელს იმას, რომ ბავშვები იჩაგრებოდნენ მათ გარშემო უფროსების სამყაროში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად. ბავშვების მძიმე მდგომარეობის მიმართ თანაგრძნობა ხშირად იწვევს იმას, რომ

ბავშვებს აღიქვამენ კოლექტიურად და ეპყრობიან როგორც ქველმოქმედების ობიექტებს და არა როგორც ინდივიდუუმებს, რომელთაც საკუთარი უნარები, შესაძლებლობები, საჭიროებები და უფლებები აქვთ.

ამის შედეგად ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები ხშირად არაპოლიტიკურად მიიჩნევა და ვერც გვარდება. ბავშვთა უფლებების ძირითადი პრინციპი ის არის, რომ საზოგადოება ვალდებულია, დააკმაყოფილოს ბავშვის ძირითადი საჭიროებები და უზრუნველყოს დახმარება მისი პიროვნების, ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის.

ბავშვის უფლებათა კონვენციის შექმნა ასახავს ზოგად წესს, რომ, რაც უფრო მაღალია უფლებების გათვითცნობიერების დონე, მით მეტია მათი გარანტირების შესაძლებლობა. ბავშვის უფლებათა კონვენციის წყალობით ბავშვების უფლებები მკაფიოდ, თანმიმდევრულად და ყოვლისმომცველი სახით არის ჩამოყალიბებული. ბავშვთა უფლებების ამ სახით განსაზღვრა მათი პატივისცემისა და შესრულების წინაპირობაა.

შეფასება

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის თქვენი ქვეყნის მიერ წარდგენილ ეროვნულ ანგარიშებზე და კომიტეტის მიერ ამ ანგარიშების განხილვაზე დაყრდნობით იმსჯელეთ იმაზე, თუ რა მექანიზმი არსებობს თქვენს ქვეყანაში ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულების მონიტორინგისათვის და რა გავლენას ახდენს ის.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„იუნისეფი“: ბავშვის უფლებათა კონვენცია:
http://www.unicef.org/crc/index_index.html

ბავშვის უფლებათა კომიტეტი:
http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/index.htm

„ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი“ (CRIN) - ბავშვის უფლებათა კონვენცია:
http://www.crin.com/resources/treaties/CRC.asp?catName=International+Treaties&flag=legal&ID=6

„ბავშვის უფლებათა ალიანსი“ – ბავშვის უფლებათა კონვენცია:
http://www.childrensrights.ie/convention.php

საქართველოს კანონმდებლობა და ბავშვთა უფლებები

ბავშვის უფლებები გარანტირებულია, როგორც საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით (ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებთან მოპყრობის წესები („პეკინის წესები“), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები); ჰააგის კონვენცია ბავშვის საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ და სხვა), ასევე ეროვნული კანონმდებლობით. საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები, დამატებითი ოქმები, პაქტები და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები), რომლებიც საქართველოს მიერ იქნა რატიფიცირებული, საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. კონვენციის მოთხოვნათა თანახმად საქართველო ახორციელებს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებს ეროვნულ კანონმდებლობაში. ბავშვის უფლებათა კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და საქართველოს საკანონმდებლო სისტემის შემადგენელ ნაწილად ითვლება. კონვენცია გამოიყენება საქართველოში, როგორც უშუალოდ მოქმედი კანონი და საქართველოს ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციას უპირატესი ძალა აქვს საქართველოს სხვა კანონების მიმართ და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს უშუალოდ.

ბავშვს (არასრულწლოვანს) ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვს, როგორც სრულწლოვან ადამიანს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგალითად. საარჩევნო უფლება). ადამიანის უფლებები, მათ შორის ბავშვის უფლებათა დაცვა, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის II თავით. ყველა უფლება, რომელთა დაცვაც გარანტირებულია კონსტიტუციის მეორე თავით, შეეხება ბავშვის უფლებათა დაცვას. კონსტიტუციით დაცულია ბავშვის სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სიტყვის თავისუფლება, შეკრებების უფლება, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, განვითარების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება უდანაშაულობის პრეზუმფცია, უკანონო დაკავებისაგან, წამებისაგან დაცვის უფლება და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანია პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. სამოქალაქო კოდექსის თანახმად (1997) არასრულწლოვანი პირი არის უფლებაუნარიანი და 7 წლის ასაკიდან ჩაითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად. საქართველოს კანონმდებლობით სრულ ქმედუნარიანად ადამიანი ითვლება 18 წლის ასაკიდან, ანუ პირი, რომელიც თავისი ნებითა და მოქმედებით სრულად ახორციელებს თავის საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს.

უფლებაუნარიანობა პირს ენიჭება დაბადების მომენტიდან გარდაცვალების მომენტამდე. გამონაკლისს წარმოადგენს მემკვიდრეობის უფლება, რომელიც პირს წარმოეშობა ჩასახვის მომენტიდან და ამ უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე. საქართველოს კანონმდებლობით სრულ ქმედუნარიანად ადამიანი ითვლება 18 წლის ასაკიდან.

უფლებაუნარიანობა *– ფიზიკური პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.*

ქმედუნარიანობა *– ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.*

7 წლიდან ბავშვი შეზღუდულ ქმედუნარიანად არის აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. მაგალითად, დადოს გარიგება. 7 წლამდე ასაკის ბავშვი მცირეწლოვანია და ქმედუუნარო. მის უფლებებს ახორციელებს მეურვე ან მზრუნველი.

მეურვეობა *– მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის ან პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო.* ***მზრუნველობა*** *– მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.*

საქართველოს კანონმდებლობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997) ითვალისწინებს ორ გარემოებას, რომლის დროსაც, განსაზღვრული პირობების არსებობისას, პირი ჩაითვლება ემანსიპირებულად და უტოლდება სრულწლოვან, სრულ ქმედუნარიან პირს: 1. 16 წლის ასაკს მიღწეული პირის ქორწინება; 2. კანონიერი წარმომადგენლის მიერ 16 წლის ასაკს მიღწეული პირისათვის საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლების მინიჭება. საქართველოს კანონმდებლობით საქორწინო ასაკად განსაზღვრულია თვრამეტი წელი. საქართველოს კანონმდებლობა ქორწინებისას უშვებს გამონაკლისს. გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ბავშვი დაბადებისთანავე იძენს გვარს, სახელს და მოქალაქეობას.

საქართველოს კანონი **„მოქალაქეობის შესახებ“ (1993)** განსაზღვრავს ბავშვის მოქალაქეობის საკითხს. ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. 14-დან 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში და არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს მოთხოვნა თავის ასახვას პოვებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის თანახმად „ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს

ოჯახში“. შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების და არასრულწლოვნის მონაწილეობით.

ბავშვის უფლებები დაცულია მშობლების განქორწინების შემთხვევაშიც. თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით ბავშვის მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი. მეუღლეთა შორის დავის შემთხვევაში ამ საკითხს წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლოში ბავშვის უფლებებს იცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული ბავშვის წარმომადგენელი, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. კანონმდებლობით დაცულია ბავშვის ქონებრივი უფლებებიც. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ქონებრივ უფლებების დაცვას ახორციელებს ქონების მეურვე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელს, რომელიც სისტემატურად არიდებს თავს მშობლის მოვალეობის შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს — ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს თავისი ამორალური საქციელით, ან ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, ისე 14 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის მოთხოვნით.

არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი — სასამართლოს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, სამოქალაქო საქმეებზე დავების განხილვისას დაცულია არასრულწლოვანთა უფლებები. 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა. შ., მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია, არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო

წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. სამოქალაქო დავების განხილვისას, 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები.

მოსარჩელე *- სამოქალაქო პროცესში ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს, არბიტრაჟს ან სამედიატორო სასამართლოს მოპასუხის მიერ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.* ***მოპასუხე*** *- სამოქალაქო პროცესის ან სამეურნეო დავის ერთ-ერთი მხარე. მოპასუხეს პასუხს სთხოვს სასამართლო ან არბიტრაჟი მოსარჩელის იმ განცხადების მიხედვით, რომ მოპასუხემ დაარღვია ან სადავო გახადა მოსარჩელის უფლება.*

ბავშვის კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ბავშვს არ ჰყავს მშობლები, ის სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება. ამავე დებულებას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობა. კერძოდ, თუ ნაპოვნია ბავშვი, რომლის ვინაობა, მშობლების ვინაობა და მათი ადგილსამყოფელი უცნობია, საქართველოს კანონმდებლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია განახორციელოს ყველა ქმედება ბავშვისა და მისი მშობლების ვინაობის დადგენისათვის. თუ ბავშვის და მისი მშობლების ვინაობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვერ დგინდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, მიიღოს ზომები ბავშვის მოსავლელად და მიმართოს სასამართლოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს ბავშვის ინტერესებს გაშვილებისას. 10 წელს მიღწეული ბავშვის გაშვილება მისი თანხმობი გარეშე არ დაიშვება. კანონი მკაცრად იცავს შვილად აყვანის კონფიდენციალობის დაცვის უფლებას. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დასჯადია შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება; პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა.

საქართველოს კანონი **„შვილად აყვანის** და **მინდობის შესახებ“ (2010)** ერთმანეთისაგან განასხვავებს მინდობასა და გაშვილებას.

მინდობით აღზრდა (შვილობილად აყვანა) *— შვილობილად მინდობა გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ბავშვის აღსაზრდელად განთავსებას წინასწარ შესწავლილ და შერჩეულ ოჯახში. ამ პერიოდის მანძილზე ბიოლოგიურ ოჯახს აქვს შესაძლებლობა, იქონიოს მუდმივი კონტაქტი ბავშვთან, მათი არარსებობისას კი ბავშვი 18 წლის ასაკიდან თავისუფალია და არ არის დამოკიდებული მიმღებ ოჯახზე*

შვილად აყვანა *— ტერმინი – ბავშვის შვილად აყვანა ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვის სამუდამოდ გადაცემას ოჯახისათვის. შვილად აყვანა სამუდამოდ ცვლის ბავშვის სტატუსს. იგი ხდება მშვილებელი მშობლების გვარის მატარებელი და მათი ქონების მემკვიდრე. ასეთ შემთხვევაში, ბიოლოგიურ ოჯახთან ყველა სახის კავშირი წყდება.* ***გასაშვილებელი ბავშვი*** *— 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს (18 წლამდე პირი; რომლის მშობლები სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; მიტოვებული ბავშვი; ობოლი ბავშვი; მშობლების თანხმობით გაშვილებული პირი; ბავშვი, რომლის მშობლებსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება)* ***გ) ნაპოვნი ბავშვი*** *— 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის აღმოჩენის მომენტში და ამ მომენტიდან 6 კვირის ვადაში ვერ დადგინდა მისი ან/და მშობლის (მშობლების) ვინაობა, მის მიტოვებულ ბავშვად აღიარებამდე;* ***დ) მიტოვებული ბავშვი*** *— 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის აღმოჩენის მომენტში და ამ მომენტიდან 6 კვირის ვადაში ვერ დადგინდა მისი ან/და მშობლის (მშობლების) ვინაობა და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ იქნა მიტოვებულად.* ***მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ბავშვი*** *– მშობლებს ჩამოერთვათ ან შეუჩერდათ მშობლის უფლებები და მოვალეობები და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ. თუ მშობლის უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან იცხოვროს მისმა შვილმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ; თუ ბავშვის დატოვება მეურვესთან ან მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ბავშვისთვის საზიანოა; თუ შვილის ჩამორთმევა ხდება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის ან შეზღუდვის გარეშე.*

ამავე კანონით, ბავშვი, თუ მან მიაღწია 10 წელს ან 10 წელზე მეტი ასაკისაა, არ ეთანხმება შვილად აყვანას (გაშვილებაზე) ან მინდობით აღზრდას, არ შეიძლება იქნეს გაშვილებული, ასევე აკრძალულია 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გაშვილება მისი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს. მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის (თუ იგი 10 წლისაა ან 10 წელზე მეტისაა) მოთხოვნით სასამართლო სხდომა შეიძლება იყოს ღია, ხოლო ინფორმაცია - საჯარო. თუ ნაშვილები 10 წლისაა ან 10 წელზე მეტისაა, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ ნაშვილების თანხმობით.

გაშვილებისას ან მინდობისას შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა.

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება და ამ სფეროში მისი ნების პატივისცემა აისახა საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ; პაციენტის უფლებათა შესახებ; ორგანოთა გადანერგვის შესახებ და სხვა.

არასრულწლოვან პაციენტთა უფლებები ყველაზე კარგად ვლინდება საქართველოს კანონში **„პაციენტთა უფლებების შესახებ“ (2000),** რომელიც არასრულწლოვან პაციენტებს ისეთსავე უფლებებს ანიჭებს, როგორც სრულწლოვანს, გარდა იმ სპეციფიკური შემთხვევებისა, როდესაც თავისი ასაკის გამო, პაციენტი მომეტებულ

ყურადღებას საჭიროებს. მაგალითად, ინფორმირებული თანხმობის მიცემა რაიმე სამედიცინო მანიპულაციისას.

კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვნის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დაცვას. მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება, თუ ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგია თვით ქმედუნარიანი არასრულწლოვანი პაციენტი, ასევე 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და რომელმაც ექიმს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით. 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურებაზე, თუ მან სამედიცინო მომსახურების გამწევს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით.

საქართველოს კანონი **„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ (2006)** განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არასრულწლოვანი უარს ამბობს მკურნალობაზე. არასრულწლოვანს გააჩნია მკურნალობაზე უარის თქმის უფლება, თუ აქვს უნარი, მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება.

ბავშვის უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონით **„ზოგადი განათლების შესახებ“ (2005).** კანონის თანახმად, მოსწავლეს აქვს უფლება: თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით; სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას. მოსწავლე დაცული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება.

მოსწავლეებს აქვთ უფლება, ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. სკოლა ვალდებულია, ყოველ ახალ მოსწავლეს გააცნოს მისი უფლებები და თავისუფლებები; უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მოსწავლეს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი, მოსწავლეს კი აქვს უფლება, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა; მოითხოვოს და მიიღოს სკოლის მიერ მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტილება, მოითხოვოს მისი აზრის მოსმენა და მონაწილეობა მიიღოს განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით.

„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ (1999) საქართველოს კანონით დაცულია ბავშვების მიერ შექმნილ სხვადასხვა სახის

ორგანიზაციები – ბავშვთა კავშირები. ბავშვთა კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქმიანობის მიზანია ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა. ბავშვთა კავშირში გაწევრიანებისა და სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს 7 წლის ასაკიდან, თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

საქართველოს კანონით **„რეკლამის შესახებ“ (1998)** დაცულია არასრულწლოვნის უფლებები. კერძოდ, რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია: ა) არასრულწლოვანთა შთაგონება – დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებული საქონლის შეძენაში; ბ) არასრულწლოვანთა ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებული საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, ხოლო მისი უქონლობა იწვევს საწინააღმდეგო ეფექტს; გ) რეკლამაში ისეთი ტექსტის, აუდიო- და ვიდეოინფორმაციის მოთავსება, რომლებიც აჩვენებს არასრულწლოვნებს საშიშ ადგილას და საშიშ ვითარებაში; დ) არასრულწლოვანთათვის საქონლის გამოსაყენებლად საჭირო ჩვევების აუცილებელი დონის გაუთვალისწინებლობა. ამასთან, თუ საქონლის გამოყენების შედეგები ნაჩვენები ან აღწერილია, რეკლამა უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რისი მიღწევაც რეალურად შესაძლებელია იმ ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საქონელი; ე) არასრულწლოვანთათვის საქონლის ღირებულებაზე (ფასზე) არარეალური (დამახინჯებული) წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, სიტყვების „მხოლოდ“, „სულ რაღაც“ და მათ მსგავსთა გამოყენებით, აგრეთვე პირდაპირი ან ირიბი მითითებით იმაზე, რომ რეკლამირებული საქონელი ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

საქართველოს კანონი **„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“** (2001) გულისხმობს დაცვას იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მომხმარება-გასაღებასთან, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან, ისეთ ფილმების ჩვენებასთან, ნაბეჭდი პროდუქციის მოხმარება-გასაღებასთან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას.

ანალოგიურ აკრძალვას შეიცავს საქართველოს კანონი **„მაუწყებლობის შესახებ“** (2004), რომლის მიხედითაც იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.

არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები ჩამოყალიბებულია **საქართველოს შრომის კოდექსში (2006).** საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა **(ILO)** და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებსა და სტანდარტებს.

საქართველოს კანონმდებლობით სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკია 16 წელი. საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული 16 წლამდე არასრულწლოვანის დასაქმება, მაგრამ კანონმდებელი მიუთითებს იმ პირობებზე, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანის დასაქმებისას: კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა; როდესაც ... შრომითი ურთიერთობები არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს; ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას; არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებას და შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების დადება, მაგრამ მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა, მნიშვნელოვან ინტერესებს.

შრომის კოდექსით აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად. შრომითი კოდექსი ზღუდავს არასრულწლოვნის 22 საათიდან 6 საათამდე დასაქმებას.

ბავშვის უფლებების დაცვის მექნიზმები ჩადებულია საქართველოს კანონში **„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (2006).**

ოჯახში ძალადობა *გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.*

კანონის თანახმად, ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობისას კანონით დადგენილი წესით უნდა მოხდეს ბავშვის მისი მშობლებისაგან განცალკევება. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიების სახით დამცავი ორდერის საფუძველზე ხდება ბავშვის განცალკევება მოძალადე მშობლისაგან. სასამართლო განსაზღვრავს მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების ვადებს. ამ დროსაც კანონი მკაცრად იცავს ბავშვის უსაფრთხოებას. მშობელს ბავშვის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ბავშვის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე. თუ ბავშვის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლება იზღუდება.

2010 წლის მარტიდან ფუნქციონირებს "ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები", რომელიც სამი სამინისტროს — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო — კოორდინაციის მექანიზმს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენასა და მათზე რეაგირებას.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია, გამოიცეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.

დამცავი ორდერი *არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.*

შემაკავებელი ორდერი *არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.*

ბავშვის უფლებათა კონვენციის 32-ე მუხლი კრძალავს ბავშვის მონური შრომის გამოყენებას. ანალოგიური აკრძალვა მოცემულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ", რომლის მონაწილეც 2006 წლიდან საქართველოც გახდა.

ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა) *– ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.*

არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) *– არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.*

ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვა ხორციელდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმით *ადამიანების,*

განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის, აგრეთვე „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა დაცვის მექანიზმებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული სახელმძღვანელო მითითებებით. ამ დოკუმენტების საფუძველზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სპეციალური მუხლები — *ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.* საქართველოში მოქმედებს სპეციალური კანონი **„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” (2006)**, რომლითაც დაცულია ბავშვის უფლებები.

საქართველოს კანონმდებლობა ყურადღებას უთმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისადმი ეფექტურ, სამართლიან და ჰუმანურ დამოკიდებულებას და ცდილობს, ეროვნულ კანონმდებლობაში დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტები ამ სფეროში.

ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირებს. მაგალითად, მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევა; წვრილმანი ხულიგნობა ან ხულიგნობა, ჩადენილი თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდის მიერ, წვრილმანი ქურდობა და სხვა. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უხვად შეიცავს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვით ნორმებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქართველოში არსებული სისტემის შესახებ დაწვრილებით იხილეთ მე-2 თავში.

გამოხატვის თავისუფლება და ბავშვის უფლებების დაცვა ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი აღიარებს ინფორმაციისა და იდეების დაუბრკოლებლად გავრცელებისა და მიღების უფლებას, თუმცა შეზღუდვის ერთ-ერთ კრიტერიუმად ადგენს სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ ის ლახავს ბავშვის კონსტიტუციით დაცულ სხვა უფლებებს და წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის კონსტიტუციით დაცულ ინტერესებთან.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებულ წესებს უდგენს სამაუწყებლო (ტელე- და რადიომაუწყებლობა) მედიასა და პრესას. სამაუწყებლო მედიას გაცილებით მეტი რეგულაცია და ვალდებულებები აქვს, მისი ზემოქმედების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.[1]

ბავშვთა უფლებების დაცვას მედიაში ითვალისწინებდა კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. 2004 წლის 23 დეკემბრის ცვლილებების თანახმად

1 რა თქმა უნდა, რეგულაციები მარტო გავლენის შესაძლებელობებიდან არ არის განპირობებული. მნშვნელოვანია ამოწურვადი რესურსებით სარგბლობაც, თუმცა განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სწორედ ეს საკითხი, რის გამოც მოხდა მასზე აქცენტირება.

აღნიშნული ფუნქცია სრულად გადავიდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში და მას დაევალა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიღება“, რომლითაც დადგინდებოდა ბავშვთა საკითხების გაშუქებისათვის სავალდებულო წესები. სწორედ ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა მედიაში გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“, განაპირობებს მის სავალდებულოობას მაუწყებლების და არა პრესის მიმართ.

პრესის მიმართ ვრცელდება ის ზოგადი კრიტერიუმები და მოთხოვნები, რაც დადგენილია კონსტიტუციითა და კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მაგალითად, ყალბი ფაქტების, შეურაცხმყოფელი მასალების გავრცელებით, სხვა პიროვნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, დავა აწარმოოს სასამართლოში მედია საშუალების წინააღმდეგ. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ პრესას შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, წინასწარ კანონით დადგენილი წესების გარეშე, ხოლო დაინტერესებულ პირს[2] აქვს პოსტ-ფაქტუმ რეაგირების უფლება.

განსხვავებულ მდგომარეობაშია სამაუწყებლო მედია. ჟურნალისტების მიერ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისათვის სავალდებულო წესებს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-11 თავი. ქცევის კოდექსი ადგენს იმ წინასწარ კრიტერიუმებს, რაც სავალდებულოდ უნდა გაითვალისწინოს მაუწყებელმა. მაგალითად, საბავშვო გადაცემების გაშვება განსაზღვრულ დროს, სავარაუდო აუდიტორიის წინასწარ განსაზღვრა.

არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით ფილმებზე გამოიყენება შესაბამისი სპეციალური შემზღუდავი ნიშანი. განსაკუთრებულად შეზღუდულია უხამსი და ძალადობის ამსახველი მასალების გაშვება ეთერში იმ დროს, როდესაც, სავარაუდოდ, დიდია არასრულწლოვანთა აუდიტორია. ასევე აკრძალულია მათთვის განკუთვნილ გადაცემებში შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება.

არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის თავლსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის[3] თანახმად ვალდებულია, პროგრამებში ასახოს ასაკობრივი მრავალფეროვნება და, ასევე, ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დატკიცებულ 2010 წლის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებულად არის გამოყოფილი ბავშვთა ინტერესების გათვალისწინება. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტია „საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამები ყველა ასაკობრივი (სკოლამდელი, უმცროსი სასკოლო, უფროსი სასკოლო, სტუდენტები) ჯგუფისათვის“.[4]

2 ამ შემთხვევაში იგულისხმება ბავშვი და მისი კანონიერი წარმომადგენელი.
3 იხ. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მუხლი 16.
4 www.gpb.ge

3. ბავშვის უფლებები და მედია

ძირითადი სასწავლო თემები

- მედიის გავლენა ახალგაზრდებზე
- ბავშვების ასახვა მედიაში
- მედიის მიერ ბავშვების ექსპლუატაცია
- ბავშვების მონაწილეობა მედიაში
- მედიის მხრიდან ბავშვზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები

„ოსლოს გამოწვევა“

1999 წლის ნოემბერში მედიაპროექტებში ჩაბმული ახალგაზრდები, მედიის პროფესიონალები და ბავშვის უფლებათა ექსპერტები შეიკრიბნენ ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, რათა განეხილათ, თუ რა როლის შესრულება შეუძლია მედიას ბავშვის უფლებების განვითარებაში მსოფლიო მასშტაბით. მსჯელობა მოიცავდა ხუთ თემას:

- ბავშვის უფლება, ხელი მიუწვდებოდეს მედიაზე, მათ შორის ახალ მედიაზე;
- ბავშვის უფლება, მიიღოს ცოდნა და შეიქმნას წარმოდგენა მედიასთან დაკავშირებით;
- ბავშვის უფლება, მონაწილეობა მიიღოს მედიაში;
- ბავშვის უფლება, დაცული იყოს მედიით მიყენებული ზიანისგან და ეკრანზე არსებული ძალადობისგან;
- მედიის როლი ბავშვის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში.

ამ განხილვების საფუძველზე გაჩნდა „ოსლოს გამოწვევა“, რომელიც აღიარებდა, რომ „ბავშვებსა და მედიას შორის ურთიერთობა არის კარი ბავშვების და მათი უფლებების დიდ და მრავალსახოვან სამყაროში — განათლების, გამოხატვის თავისუფლების, თამაშის, იდენტობის, ჯანმრთელობის, ღირსების და საკუთარი თავის პატივისცემის, დაცვის სამყაროში — და რომ მედია გარკვეულ როლს თამაშობს ბავშვის უფლებების ყველა ასპექტში, ბავშვის ცხოვრების ყოველ ელემენტში“.

„ოსლოს გამოწვევა“ მოქმედებისკენ მოწოდებაა. იგი ყველას მისწვდა, ვინც ბავშვებისა და მედიის რთული ურთიერთობის კვლევით, განვითარებით და მონიტორინგით არის დაკავებული და მონაწილეობს ამაში: მთავრობები, ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც ბავშვების საკითხებზე მუშაობენ, მედიის პროფესიონალები ყველა დონეზე და ყველა მედია საშუალებაში, კერძო სექტორი, მათ შორის მედიის მფლობელები, ბავშვები და ახალგაზრდები, მშობლები, მასწავლებლები და მკვლევრები („იუნისეფის“ ვებგვერდი www.unicef.org/magic ამ მოწოდებაზე გამოხმაურებაა — აქ მოცემულია მთელი მსოფლიოს ბავშვების მიერ ბავშვებისთვის და ბავშვების მონაწილეობით შექმნილი მედიაპროექტები, სხვა ბმულებთან და ინფორმაციასთან ერთად).

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რამდენიმე ძირითადი მუხლი ეხება მედიისა და ბავშვების საკითხებს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა სამი ძირითადი საკითხი გამოყო განსახილველად:

- მედიის საშუალებებით ბავშვის წარმოჩენის გაუმჯობესება;
- ბავშვების წახალისება, რომ აქტიურად მიიღონ მედიაში მონაწილეობა;
- ბავშვების დაცვა მედიის მავნე ზემოქმედებისგან.

კონვენციის მე-17 მუხლი განმარტავს მედიის მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის გავრცელებაში და განუსაზღვრავს მონაწილე სახელმწიფოებს კონკრეტულ ამოცანებს, რაც ფართო გაგებით ხელს უწყობს ბავშვის კეთილდღეობას. იგულისხმება, რომ სახელმწიფოები „აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს“ და „უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციის და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ.“

კონვენციის მე-12 მუხლი აღიარებს ბავშვის უფლებას, გამოხატოს თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. მე-13 მუხლი ამკვიდრებს გამოხატვის თავისუფლებას: „ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მიუხედავად საზღვრებისა, მოიძიოს, მიიღოს ან გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან მოსაზრებები ზეპირად, წერილობით ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების სახით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანისამებრ.“

ეს მუხლები ემსახურება არა მარტო კარგად ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბებას, არამედ იმასაც, რომ ახალგაზრდების ხმა უფრო ხშირად ისმოდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. იგი იძლევა მკაფიო გზავნილს, რომ ბავშვები უნდა იყვნენ სააინფორმაციო რევოლუციის როგორც მონაწილეები, ისე ბენეფიციარები.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალებებისა და ინტერნეტის გავრცელების შემდეგ, ბავშვებისა და ახალგაზრდების მედიის საკითხმა გლობალური მნიშვნელობა შეიძინა. ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ დაიწყო ბავშვის უფლებების რეალიზება მედიის საშუალებით — მაგალითად, იმის უზრუნველყოფით, რომ ახალგაზრდული აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი იყოს მაღალხარისხოვანი შინაარსის მედია, გაისმოდეს ახალგაზრდების ხმა და ბავშვების შესახებ საკითხები ეთიკურად შუქდებოდეს.

მედიის გავლენა ახალგაზრდებზე

მრავალი კვლევაა ჩატარებული ბავშვებზე მედიის – მათ შორის მედიაში ძალადობის ასახვის – ზემოქმედების შესახებ. როგორც ზოგიერთი ექსპერტი, მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. როუელ ჰიუსმანი (2000) ამტკიცებს, 50-წლიანი დაკვირვება ცხადყოფს, რომ „ძალადობა მედიაში ზრდის ბავშვების აგრესიულობას და ეს წლების შემდეგ იჩენს თავს, როდესაც ისინი ზრდასრულ ასაკს აღწევენ.“ თუმცა სხვები, მათ შორის ჯონათან ფრიდმანი ტორონტოს უნივერსიტეტიდან, ამტკიცებენ, რომ „სამეცნიერო მონაცემები არ ადასტურებს, რომ ძალადობის ნახვა ძალადობას წარმოშობს ან მის მიმართ უგრძნობს ხდის ადამიანს.“

მედიის გავრცელება და გლობალიზაცია თანამედროვე ახალგაზრდული კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდებს გაცილებით

მეტად მიუწვდებათ ხელი მულტიმედიის საშუალებებზე, ვიდრე ადრე — ეს არის ტრადიციული, სატელიტური და საკაბელო ტელევიზიის არხები; რადიოსადგურები; გაზეთები და ჟურნალები; ინტერნეტი, კომპიუტერი და ვიდეოთამაშები. დღეს უცხოური პროგრამები და მედია ბევრად უფრო ხელმისაწვდომია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნაკლებია ოფიციალური ცენზურა და კონტროლი. ინფორმაციის, ელექტრონული ფოსტის და ფოტოების გაცვლა მსოფლიოში დღეს უფრო სწრაფად და თავისუფლად ხდება, ვიდრე ოდესმე. ამიტომ განხილული უნდა იქნეს, როგორც ბავშვების მედიაში მონაწილეობის, ისე მავნე ზეგავლენისაგან მათი დაცვის საკითხები.

ბავშვების ასახვა მედიაში

მედიის მიერ ბავშვების ასახვა დიდ გავლენას ახდენს ბავშვებისა და ბავშვობის მიმართ დამოკიდებულებაზე და მნიშვნელოვნად მოქმედებს ბავშვების მიმართ მოზრდილთა ქცევაზე. მედიის საშუალებით მოწოდებული აღწერა მისაბაძ მაგალითად იქცევა ახალგაზრდებისთვის და ზემოქმედებას ახდენს მათ პოზიციასა და მოლოდინზე. ის, თუ როგორ ხდება ბავშვების წარმოდგენა მედიის მიერ, ან სულაც მათი იგნორირება, გავლენას ახდენს ბავშვებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის დამოკიდებულებაზე მათ მიმართ. მედია ხშირად ბავშვებს ისე აღწერს, როგორც პასიურ, უტყვ „მსხვერპლებს.“

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შესაძლებლობის მიცემით, თავად ილაპარაკონ თავიანთ იმედებზე, შიშებსა თუ მიღწევებზე, ასევე მათ ცხოვრებაზე უფროსების ქცევის ზემოქმედებაზე, მედიის პროფესიონალებს შეუძლიათ შეახსენონ საზოგადოებას, რომ ბავშვები ისევე იმსახურებენ პატივისცემას, როგორც ყველა ადამიანი.

ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის ინფორმაციით, მედიის მიერ ბავშვების ასახვა ამკვიდრებს მთელ რიგ მითებს:

- განვითარებადი ქვეყნების ოჯახები, ღატაკი ბავშვები, აგრეთვე ომისა და სხვადასხვა უბედურების მსხვერპლები კარგავენ ინდივიდუალობას და ჰუმანურობას. მათ ხშირად აჩვენებენ როგორც უმწეო ტანჯულებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მოქმედება, ფიქრი ან ლაპარაკი;
- ბავშვების პრობლემების გაშუქებისას არსებობს ტენდენცია, რომ ფოკუსირება მოხდეს სენსაციურ ამბებზე, ხოლო მრავალრიცხოვანი პრობლემები, რომლებიც ბავშვის უფლებათა კონვენციაშია განსაზღვრული, უყურადღებოდ რჩება;
- ხშირად მედიაში ერთჯერადი რეპორტაჟებია ბავშვების შესახებ, რასაც არ მოჰყვება ანალიზი და შემდგომი მოქმედება;
- კონფიდენციალურობას ბავშვებთან დაკავშირებით ყოველთვის არ უწევენ ანგარიშს;
- ახალ ამბებში ბავშვებს ხშირად სტერეოტიპულად წარმოაჩენენ, მაგალითად: „აფრიკელი მოშიმშილე ბავშვები“ და „უპასუხისმგებლო თინეიჯერები.“

დომინირებს ამბები ბავშვების მიმართ ძალადობაზე, არასრულწლოვანთა დამნაშავეობაზე, ქუჩის ბავშვებზე, მაშინ, როდესაც ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, როგორიცაა თამაშის, დასვენებისა და სპორტის უფლება, არ არის მიჩნეული ახალი ამბებისთვის საინტერესო სიუჟეტად. ამის შედეგად იქმნება დაუბალანსებელი შთაბეჭდილება, რომ ბავშვები ან „მსხვერპლები“

არიან, ან სახიფათო „შფოთისთავები.“

1998 წელს ბრიტანული ორგანიზაცია „ჩილდრენზ ექსპრესი“ რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს და ახალგაზრდებს, მონაწილეობა მიიღონ მედიის საქმიანობაში, თავად წერონ და რედაქტირება გაუკეთონ რეპორტაჟებს, მონიტორინგს უწევდა ეროვნული გაზეთების შინაარსს ერთი კვირის განმავლობაში. მკვლევრებმა „შვიდი მომაკვდინებელი სტერეოტიპი“ აღმოაჩინეს. სიხშირის მიხედვით ესენია:

- „მსხვერპლი ბავშვები“: 31,5%
- „საყვარელი ბავშვები“ (გაუმართლებელი, მიზანთან შეუსაბამო ფოტო/ გამოსახულება): 26,7%
- „პატარა ეშმაკები“ (ბავშვების „დემონიზება“/ანუ მათთვის ათასნაირი ცოდვის მიწერა): 10,8%
- „ბავშვები შესანიშნავები არიან“ (განსაკუთრებული ბავშვები): 9,7%
- „ბავშვები, როგორც აქსესუარები“ (ანუ მშობლების საკუთრება): 8,4%
- „დღევანდელი ბავშვები“ (მოზრდილების ნოსტალგია წარსულის მიმართ): 7,5%
- „პატარა ანგელოზები“ (ვისაც ცუდის გაკეთება არ შეუძლია): 5,4%

სტერეოტიპებისკენ მიდრეკილებას მოწმობს კვლევა, რომელიც ორგანიზაცია „MORI“-მ (ბაზრისა და საზოგადოებრივი აზრის საერთაშორისო კვლევა - Market and Opinion Research International) ჩაატარა 2004 წელს ბრიტანული ჟურნალისთვის „Young People Now“ („დღევანდელი ახალგაზრდობა“). მასში ნათქვამია: [ახალგაზრდების] ეს ჯგუფები ხედავენ პრესაში დამკვიდრებულ ნეგატიურ სტერეოტიპს და გრძნობენ, რომ ეს მოქმედებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ ექცევიან მათ უფროსები, როდესაც საჯარო თავშეყრის ადგილებში არიან მეგობრებთან ერთად. ამასთან, ისინი თვლიან, რომ ჟურნალისტები ნაჩქარევად იკავებენ მორალური უპირატესობის პოზიციას, როდესაც ახალგაზრდების ქცევას აფასებენ“. ისინი ამას ფარისევლურ პოზად აღიქვამენ, რადგან თვლიან, რომ ჟურნალისტებს ახასიათებთ გაზვიადება იმისათვის, რომ უკეთესად გაყიდონ გაზეთები და ფული იშოვონ: „ნებისმიერ რამეს მიაგნებენ და მოიპოვებენ, თუ დასაწერი შემოაკლდებათ. სულ არ ადარდებთ, ვინმეს რეპუტაციას თუ ჩრდილი მიადგება.“ ეს „MORI“-ს ადრინდელ (2003) გამოკვლევას ეხმაურება, რომელიც ცხადყოფს, რომ 11-18 წლის 914 ახალგაზრდიდან ორმა მესამედმა (64%) განაცხადა, რომ არ ენდობა ჟურნალისტებს.

ასე რომ, მართალია, მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაში, მაგრამ, ამავე დროს, ის შეიძლება საეჭვო პარტნიორიც აღმოჩნდეს.

მედიის მიერ ბავშვების ექსპლუატაცია

ერთი მხრივ, საინფორმაციო მედია აშუქებს ძალადობის მსხვერპლებს ან მოგვითხრობს ამბებს მოძალადეების შესახებ რეპორტაჟების, ფოტოების, დოკუმენტური ფილმებისა და სხვა საშუალებებით. მეორე მხრივ, იგი თავად შეიძლება გახდეს ექსპლუატატორი, როდესაც ახალ ამბებში ან რეკლამაში ბავშვების სექსუალურად პროვოკაციულ სახეებს ქმნის.

მედიის პროფესიონალები კარგად არიან მომზადებულნი საიმისოდ, რომ ბავშვის უფლებები სტაბილურად შეინარჩუნონ საინფორმაციო ფორმატში, ამ უფლებების

დასაცავად სერიოზული ძალისხმევა გამოიყენონ და მოითხოვონ ბავშვის უფლებების დაცვა იმათგან, ვინც ამას არ აკეთებს. მაგრამ კომერციულმა მოსაზრებებმა შეიძლება აიძულოს მედია, რომ თავიდან აირიდოს ეს პასუხისმგებლობა. ინტერესთა უხერხული წონასწორობა პრევალირებს იქ, სადაც ეთიკური სტანდარტები შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს კომერციულ მოთხოვნებს.

ბავშვების მონაწილეობა მედიაში

ახალგაზრდების მედიაში მონაწილეობის მაგალითები ადასტურებს მათ ინტერესს გარე სამყაროს მიმართ, განსაკუთრებით, თუ მათ შანსი ეძლევათ, რომ თავიანთი თავი გამოხატონ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ეხება. ინტერესთა ჯგუფების და მედიის ორგანიზაციების მზარდი რაოდენობა უამრავ შესაძლებლობას ქმნის ახალგაზრდებისათვის, რომ მედიაში მიიღონ მონაწილეობა.

მედიაპროექტების მაგალითები

წარმატებული მედიაპროექტებისა და პროგრამების მაგალითები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის და მათი მონაწილეობით:

„ANDI“ — ბავშვის უფლებათა ბრაზილიური ახალი ამბების სააგენტო მონიტორინგს უწევს მედიის მიერ ბავშვებისა და ახალგაზრდობის გაშუქებას, ტრენინგებს უტარებს და მუშაობს ჟურნალისტებთან, რომლებიც წერენ ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე. **„ANDI“**-ს ძალისხმევით მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების გაშუქება ბრაზილიურ მედიაში. ეს მოდელი ახლა ლათინური ამერიკის რვა ქვეყანაში ინერგება.

„TROC“ - ალბანეთის ახალგაზრდა რეპორტიორები. ათეულობით ახალგაზრდა 13-დან 18 წლამდე ქვეყნის ყველა კუთხიდან გადის ტრენინგს ამ ყოველკვირეული ტელეჟურნალის საშუალებით. სტუდენტები სწავლობენ ვიდეო ახალი ამბების წარმოების ყველა ასპექტს და პასუხისმგებელნი არიან პროგრამების დაგეგმვასა და გამოშვებაზე უფროსების მცირედი დახმარებით. ეს პროგრამა ძალზე პოპულარულია ახალგაზრდა მაყურებლებს შორის ალბანეთსა და მეზობელ ქვეყნებში. ისინი აფასებენ **„TROC“**-ს როგორც პირველ სატელევიზიო შოუს, რომელიც სათანადოდ აშუქებს სოციალურ პრობლემებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„მუკთო ხობორ“ (Mukto Khobor) – (თავისუფალი ახალი ამბები) – ეს არის ყოველკვირეული ახალი ამბების 25-წუთიანი გამოშვება და მიმდინარე ამბების პროგრამა ბანგლადეშში, რომელსაც 11-დან 17 წლამდე ბავშვები და ახალგაზრდები ქმნიან. ის ყურადღებას ამახვილებს ბავშვებსა და მათ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი უზრუნველყოფს ფორუმს ახალგაზრდებისთვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი შეხედულებების გამოხატვა, უვითარებს ახალგაზრდა ჟურნალისტებს სპეციალურ უნარ-ჩვევებს, შთააგონებს ახალგაზრდა მაყურებლებს, რომლებიც ხედავენ თავიანთი თანატოლების წარმატებულ მუშაობას მედიაში და უჩვენებს, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ არსებულ პრობლემებთან ბრძოლაში.

აფრიკის ბავშვთა და მაუწყებლობის ფონდი („CBFA“). ეს ფონდი 1995 წელს შეიქმნა. მისი მიზანი იყო, ხელი შეეწყო ბავშვებისა და მაუწყებლობის შესახებ აფრიკის წესდების განხორციელებისთვის, აგრეთვე მიეპყრო მაუწყებლებისა და პროდიუსერების ყურადღება მაღალხარისხოვანი საბავშვო ტელევიზიის შექმნის აუცილებლობისკენ. „**CBFA“**-ს მიზნობრივ ჯგუფში შედიან 9-დან 16 წლამდე ახალგაზრდები, მედიის პროფესიონალები და მაუწყებლები. ფონდი მართავს სემინარებს, კინოჩვენებებსა და შეხვედრებს, რომელთა განხილვის საგანი აფრიკელი ბავშვების პრობლემები და უფლებებია.

ეგვიპტის ვიდეო და თემის ოცნებები პროექტი ავრცელებს განვითარების და მოსახლეობის საქმიანობის ცენტრ „ახალი ჰორიზონტების“ პროგრამის ცოდნასა და გამოცდილებას და აძლიერებს ახალგაზრდა ქალებისა და გოგონების ხმას ეგვიპტურ საზოგადოებაში. ქალთა ჯგუფები სხვადასხვა ეგვიპტური თემიდან ეუფლებიან ვიდეო და საპროდიუსერო უნარ-ჩვევებს და სწავლობენ პრობლემურ ან დელიკატურ საკითხებზე მუშაობას. ჯგუფის წევრები ცნობადი ხდებიან, როგორც სპიკერები და ლიდერები და ხელს უწყობენ სტერეოტიპების დამსხვრევას. ამ ჯგუფების მიერ შექმნილი ვიდეომასალები ხშირად აღძრავს დისკუსიებს და ხელს უწყობს პრობლემის მოგვარების ადგილობრივი გზების ძიებას თითოეულ თემში.

მედიაში მონაწილეობა შესანიშნავ შედეგებს აძლევს ახალგაზრდებს, რაც შეჯამებულია „იუნესკოს“ საინფორმაციო სამსახურის 2001 წლის ყოველწლიურ გამოცემაში „მოსაზრებები ბავშვებისა და მედიის შესახებ.“ ეს შედეგებია:

- სიამაყის, სიძლიერისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობის გაძლიერება, როდესაც ახალგაზრდები გრძნობენ, რომ მათი ხმა ყურადღების ღირსი გახდა, ისინი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, მათ გაუგეს სხვებს და საკუთარ კულტურას;
- მათი ყოველდღიური ოცნებების და საკუთარი ადგილობრივი, სოციალური და ეთნიკური კულტურისა და სინამდვილის ასახვა მედიაში;
- უნარ-ჩვევებისა და ცნობისმოყვარეობის გაძლიერება და მედიის საკითხებში კომპეტენტურობის ამაღლება (მაგალითად, მედიის კრიტიკული გააზრება);
- აუდიო-ვიზუალური მედიის წარმოებაში მონაწილეობის მეშვეობით სოციალური სამართლიანობის გაზრდილი შეგრძნება იმ ახალგაზრდებში, რომლებიც კარგად არ სწავლობენ ტრადიციულ, ბეჭდვით მასალებზე დაფუძნებულ სკოლებში;
- მეტი ინტერესი და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი პირობებით, რაც, თავის მხრივ, გადაიზრდება მოქმედებაში, რომელიც მიზნად დაისახავს მედიასა და თემებში ახალგაზრდების პრობლემების განხილვის გაუმჯობესებას.

მედიის მხრიდან ბავშვზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები

ბავშვები და მოზარდები მასმედიის ყურადღების ცენტრში, როგორც წესი, რაიმე ნეგატიური, დრამატული მოვლენებისა და ინციდენტების შედეგად ხვდებიან: ომი,

შიმშილი, ბუნებრივი კატასტროფები, მკვლელობა და ძალადობა — აი ის კონტექსტი, რომლის მთავარი გმირები ხშირად ბავშვები არიან. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება ბავშვებზე, როგორც მსხვერპლსა ან მოძალადეზე. მოზარდებთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაციების გაშუქება გავლენას ახდენს, როგორც თავად ინციდენტში ჩართულ მოზარდზე, ასევე მასმედიის მრავალათასიან აუდიტორიაზე, განსაკუთრებით კი ბავშვებზე.

ჟურნალისტებს ხშირად აქვთ საქმე ამა თუ იმ ხარისხის მატრავმირებელ მოვლენასა და დაზარალებულ, ტრავმირებულ ადამიანთან. მასმედია, რომლის მოვალეობაა გააშუქოს ეს ინციდენტები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ზოგჯერ ნეგატიურს) ძალადობის, ინციდენტების, ტრავმირებულობის ხარისხის განსაზღვრაში. ინფორმაციის შეგროვების დროს, დაზარალებულის ინტერვიურების პროცესში ჟურნალისტი ცდილობს აღწეროს რაც შეიძლება „მძიმე“ და „საშინელი“ ისტორია, მოაგროვოს ე.წ. „სენსაციური მასალა“. ეს ამძიმებს მატრავმირებელი ინციდენტის ხარისხს, აიძულებს დაზარალებულს, კიდევ ერთხელ განიცადოს ის ტკივილი, დამცირება, შიში და შეურაცხყოფა, რომელიც მას თავს გადახდა. ჟურნალისტი არ არის ფსიქოთერაპევტი და, ბუნებრივია, ის ვერ გაუადვილებს დაზარალებულს მდგომარეობას – ის თავისდა უნებურად ტოვებს რესპონდენტს პირისპირ საკუთარ განცდებთან.

მასმედიის მატრავმირებელი ზეგავლენის კიდევ ერთი ასპექტია ის, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ჟურნალისტი მატრავმირებელ (ძალადობის) ინციდენტს. არის შემთხვევები, როდესაც ხდება მოვლენის დრამატიზება, კიდევ უფრო დამძიმება. ჟურნალისტი ასევე ცდილობს, მოიძიოს მიზეზები და იპოვოს დამნაშავეები, ხდება წარსულზე ფიქსირება, იქმნება გამოუვალობის შთაბეჭდილება, რამაც მკითხველ აუდიტორიაში შეიძლება გამოიწვიოს უსუსურობის განცდა, შიშისა და შფოთვის მომატება, აგრესიული იმპულსების გააქტიურება, რაც საბოლოოდ საზოგადოებაში არასასურველი ფსიქოემოციური ფონის შექმნას უწყობს ხელს.

რაც შეეხება მასმედიის გავლენას ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, წინამდებარე სახელმძღვანელოში წერია: „ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისათვის:

ნუ მიაყენებთ რაიმე ზიანს ბავშვს; მოერიდეთ ისეთ კითხვებს ან კომენტარებს, რომლებიც შეიძლება სადავო აღმოჩნდეს კულტურული თვალსაზრისით და რომლებიც ბავშვს შეუქმნის საფრთხეს, დაუცველს გახდის შეურაცხყოფისგან ან გააღვიძებს მასში ***ტკივილსა*** *და* ***წუხილს****, გამოწვეულს* ***ტრავმული*** *მოვლენებით”*

ზიანში, „ტკივილსა და წუხილში” იგულისხმება ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობა და ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს, რამდენად სერიოზული შეიძლება გახდეს ეს „ზიანი“.

შემთხვევა 1

არასრულწლოვანმა კ.გ.-მ, ქუჩაში ურთიერთშელაპარაკების დროს, ცივი იარაღით მსუბუქი ჭრილობა მიაყენა მოქალაქე რ.დ.-ს. ინციდენტის შემდეგ ის მშობელთან

ერთად გამოცხადდა პოლიციაში, სადაც დააკავეს. ამის შემდგომ მოზარდი თვეების განმავლობაში მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, ძირითადად შემთხვევის გაშუქებისას ხდებოდა ფაქტის დრამატიზება, შეფასება, ოჯახისა და მოზარდის დადანაშაულება. ნაწილი საზოგადოებისა იზიარებდა ასეთ დამოკიდებულებას, ნაწილი ცდილობდა, მოზარდი „გმირად“ წარმოეჩინა და მის დაუყონებლივ განთავისუფლებას ითხოვდა. ყურადღების ცენტრში ყოფნა, საზოგადოებრივი დამოკიდებულების ასეთი პოლარიზება ზემოქმედებს მოზარდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე. ორივე პოზიცია მომხდარი ფაქტის შეუსაბამოა. მოყვანილ მაგალითში მოხდა მოზარდზე ორაზროვანი „იარლიყის“ — მსხვერპლისა და მოძალადის — მიკვრა. მსგავსი ვითარება ზემოქმედებს მოზარდის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ორივე პოზიცია არაადეკვატურია, ხელს უშლის მოზარდს, გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა და ჩამოუყალიბდეს კონგრუენტული, შესატყვისი დამოკიდებულება მომხდარი ინციდენტის მიმართ. ამგვარი აჟიოტაჟი, ზეწოლა ართულებს მოზარდთა ადაპტაციის ისედაც რთულ პროცესს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში. აქ მოყვანილ შემთხვევაში მოზარდ კ.-ს აღენიშნებოდა ძილის პრობლემები, ღამის კოშმარები, ბრაზის შემოტევები, აუტოაგრესია – სუიციდის რამდენიმე მცდელობა.

შემთხვევა 2

არასრულწლოვანი გოგონა ნ.კ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. ეს შემთხვევა გაშუქდა ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე, სადაც მოძალადის სახელი და გვარი ანონიმური იყო, ხოლო გოგონას შესახებ გაზეთი სრულ ინფორმაციას გვაწვდიდა. შედეგად მომხდარის შესახებ გაიგეს მეზობლებმა, სკოლამ და გოგონა თემის მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი გახდა, მასთან ურთიერთობა შეწყვიტეს მეგობრებმა (ძირითადად მშობლების მოთხოვნით), მეზობლებმა. გოგონამ ჯერ უარი თქვა სკოლაში სიარულზე, მერე გარეთ გამოსვლა შეწყვიტა, შემდეგ საკუთარი ოთახიდან არ გამოდიოდა, ჩამოუყალიბდა დეპრესიული სიმპტომატიკა, ძლიერი ბრალეულობის განცდა, დაბალი თვითშეფასება, უიმედობა, უპერსპექტივობა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გოგონა ეროვნებით რუსი იყო და ეს ფაქტორიც (ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმა) მის წინააღმდეგ გამოიყენეს. გოგონასთან ფსიქოლოგიური მუშაობის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ოჯახმა მაინც მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინათ საქართველო და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასულიყვნენ, რასაც ამ ინციდენტამდე არ აპირებდნენ.

ორივე შემთხვევა ნათლად გვიჩვენებს, რომ ამგვარ სიტუაციაში ირღვევა არა მარტო მოზარდის უფლებები, არამედ ზიანდება მისი ფსიქიკური ჯანმრთელობაც, რომ მედიის ამგვარმა მუშაობამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვისა თუ მოზარდის ცხოვრებაზე. მედიის მიერ ბავშვებსა და მოზარდებთან დაკავშირებული მოვლენების ასახვა განსაზღვრავს საზოგადოების პოზიციას მათ მიმართ, დამოკიდებულებასა და ქცევას, გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან მოზარდებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

შეფასება

შეარჩიეთ მედიის ინფორმაცია ბავშვების შესახებ და განიხილეთ ბავშვის უფლებათა კონტექსტში.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„მსოფლიოს ბავშვები, ახალგაზრდები და მედია: ტენდენციებისა და პრობლემების მიმოხილვა“, სიუზენ გიგლი, „იუნისეფის“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომპლექსის კვლევითი ინსტიტუტი, 2004 წლის აპრილი: http://www.intermedia.org/

ბავშვების, ახალგაზრდებისა და მედიის შემსწავლელი ცენტრი:
http://www.childrenyouthandmediacentre.co.uk/

„ბავშვთა უფლებები და მედია — წყარო ჟურნალისტებისთვის“:
http://www.unicef.org/southafrica/SAF publications soulbuddiez.pdf

„იუნისეფი“ - ვებგვერდი Magic: http://www.unicef.org/magic/briefing/about.html

„იუნისეფი“ - ახალგაზრდების ხმა: http://www.unicef.org/voy. ამ გვერდებზე ახალგაზრდები თავიანთი სიტყვებით გამოხატავენ აზრებს მედიის შესახებ საკუთარ ქვეყნებში.

„იუნესკოს“ ბავშვების, ახალგაზრდებისა და მედიის საერთაშორისო საინფორმაციო სამსახური: http://www.nordicom.gu.se/clearinghouse.php. ინფორმაციის კარგი წყაროა მსოფლიოს ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და მედიასთან დაკავშირებული კონკრეტული პროექტების და საკითხების შესახებ. საინფორმაციო სამსახური მიზნად ისახავს, აამაღლოს ბავშვების, ახალგაზრდებისა და მედიის შესახებ ინფორმირებულობისა და ცოდნის დონე, საფუძველს ქმნის სათანადო პოლიტიკის ფორმულირებისთვის, ხელს უწყობს კონსტრუქციულ საზოგადოებრივ დებატებს, აძლიერებს ბავშვებისა და ახალგაზრდების გათვითცნობიერებას და კომპეტენტურობას მედიის საკითხებში.

ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: მედია
http://www.crin.com/themes/ViewTheme.asp?id=12

მედიაში ასახული ძალადობის გავლენა ახალგაზრდობაზე (Psychological Science, მარტი 2004)
http://www.psychologicalscience.org/pdf/pspi/pspi43.pdf

„სახელმწიფო ჯანდაცვის მიდგომა მედიის ძალადობრივი შინაარსის ზემოქმედების შესახებ კვლევის შედეგების მიმართ“: The Lancet, ტომი 356, გამოცემა 9460 (2005 წლის თებერვალი, გვ. 702-710)

ლ. როუელ ჰიუსმანი (2000) „კოლუმბიის ოლქის კვლევა“, მიჩიგანის უნივერსიტეტი: http://www.rcgd.isr.umich.edu/aggr/Projects/CCLS/description.html

---

4. წინააღმდეგობები ბავშვთა უფლებების განხორციელების გზაზე

ძირითადი შესასწავლი თემები

- ადამიანის უფლებათა დაცვა
- ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა
- პრობლემები ბავშვთა უფლებების რეალიზებაში
- ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირება

ადამიანის უფლებათა დაცვა

არსებობს ადამიანის უფლებათა განხორციელების მექანიზმები საერთაშორისო, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე. სახელმწიფო დონეზე პოლიტიკოსებს და კანონმდებლებს შესწევთ ძალა, რომ თავიანთი კონსტიტუციების მეშვეობით უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დამკვიდრების ხელშეწყობა. ზოგადად, კონსტიტუცია კარნახობს იმ წესებს, რომლებიც „უწესებს მოვალეობებს, უფლებებს და ფუნქციებს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტს“. ადამიანის უფლებათა განხორციელების ყველაზე ეფექტიანი ხელშეწყობა აღნიშნულ წესებს მაშინ შეუძლია, როდესაც ისინი კონკრეტული ტერმინებით განსაზღვრავს ამ უფლებებს და როდესაც მთავრობაში ხდება უფლებამოსილების განაწილება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თითქმის საყოველთაო რატიფიცირება ასახავს იმ ვალდებულებას, რაც გლობალურად არსებობს ბავშვის უფლებების პრინციპებთან დაკავშირებით. კონვენციის რატიფიცირებით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აცხადებენ თავიანთი განზრახვის შესახებ, რომ ეს ვალდებულება პრაქტიკულად განახორციელონ. წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, შეასწორონ და შექმნან კანონები და პოლიტიკა, რათა სრულფასოვნად განახორციელონ კონვენცია; მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ყველა ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

კონვენციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოები „ღებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად“, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოები „იღებენ ვალდებულებას, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე“.

ქვეყნის კონსტიტუცია ყოველთვის არ უზრუნველყოფს აბსოლუტურ დაცვას ბავშვის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ კოლექტიურად მოსთხოვონ მთავრობას, განმარტოს თავისი მოქმედებები და ანგარიში ჩააბაროს ამასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოება მაშინ წარმოიქმნება, როდესაც მოქალაქეები ორგანიზებულად სთხოვენ პასუხს ხელისუფლებას. ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს არასამთავრობო

ორგანიზაციებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, საქველმოქმედო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ქვეყნების უმრავლესობაში ეს ორგანიზაციები წამყვან როლს ასრულებენ, როგორც ბავშვთა დამოუკიდებელი დამცველები ან ბავშვთა სპეციფიკური ჯგუფების დამცველები. მათი როლი აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციაში და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ. კონვენციის რატიფიცირების და პროპაგანდის შედეგი იყო ის, რომ გაიზარდა ბავშვის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა და გავლენა; ბევრ ევროპულ ქვეყანაში ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციები, რომლებიც ბავშვთა უფლებებზე მუშაობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოებას აღიქვამს როგორც მშვიდობისა და უფლებათა დაცვის აუცილებელ ელემენტს მთელ მსოფლიოში. გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა:

„ერთ დროს გაერო მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებებთან თანამშრომლობდა. დღეს ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა ვერ მიიღწევა მთავრობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესწრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობის გარეშე. დღევანდელ მსოფლიოში ჩვენ ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული“.

ბავშვის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების განვითარება ექცევა გაეროს უფრო ფართომასშტაბიანი გეგმის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ითვალისწინებს ზოგადად ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისათვის. ზოგ ქვეყანაში ბავშვთა დამოუკიდებელი დაწესებულებები ფუნქციონირებენ, როგორც ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ინსტიტუტების ნაწილი. სხვაგან ცალკე ინსტიტუტები შეიქმნა ბავშვის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვისათვის.

ქვეყნებში, სადაც ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის კულტურის განვითარებისკენ მიისწრაფიან, დასაწყისისთვის გონივრული იქნებოდა ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული დაწესებულების შექმნა, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებზე და მათ განვითარებაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია აღნიშნული კულტურის შესაქმნელად.

ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ეს დამოუკიდებელი დაწესებულებები არასამთავრობო დაწესებულებებისაგან იმით გამოირჩევიან, რომ მათი უფლებები და მოვალეობები კანონითაა გათვალისწინებული. არასამთავრობო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა ხორცშესხმის ხელშეწყობის საქმეში და ჩვეულებრივ საკმაოდ დამოუკიდებელი არიან. მაგრამ ცალ-ცალკე თუ ერთობლივად მათ შეიძლება არ აღმოაჩნდეთ საკმაო ძალა, რომ რეალურად შეცვალონ ხელისუფლების პრიორიტეტები.

ბავშვის უფლებათა დაცვა

როდესაც ქვეყანა ახდენს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტის რატიფიცირებას, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია, მას ან პირდაპირ შეაქვს კონვენციის დებულებები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, ან სხვაგვარად კისრულობს

ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების შესრულებას. „ხშირად ის ფაქტი, რომ არსებობს კანონი ზოგიერთი უფლების დასაცავად, საკმარისი არ არის, თუ ეს კანონი არ ითვალისწინებს ყველა იურიდიულ უფლებამოსილებას და ინსტიტუტს ამ უფლებათა ეფექტიანი განხორციელებისთვის...“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ცენტრიდან).

ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვას მონიტორინგს უწევს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ეროვნულ ანგარიშებს იღებს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისგან და პარალელურ ანგარიშებს — არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

აღნიშნული კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს მთავრობის ყველა რგოლს, გამოიყენონ კონვენცია, როგორც სახელმძღვანელო კანონების შექმნისა და განხორციელების დროს, რათა უზრუნველყონ:

- სპეციალური ყოვლისმომცველი დღის წესრიგის შემუშავება ბავშვებისათვის;
- მუდმივმოქმედი ორგანოების ან მექანიზმების შექმნა, რათა ხელი შეეწყოს ხელისუფლების ყველა სექტორის აქტივობის კოორდინაციას, მონიტორინგსა და შეფასებას;
- კანონმდებლობის სრული შესაბამისობა კონვენციასთან;
- ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, მთავრობის დონეზე ბავშვზე ზემოქმედების შეფასებების შემოღების გზით;
- ბიუჯეტის ადეკვატური ანალიზის ჩატარება იმის განსაზღვრისათვის, თუ სახელმწიფო სახსრების რა ნაწილი იხარჯება ბავშვებისათვის და ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- საკმარისი მონაცემების შეგროვება და გამოყენება მათ იურისდიქციაში ყველა ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- კონვენციის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება და ინფორმაციის გავრცელება სათანადო ტრენინგების ჩატარების გზით მათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული, ქმნის სახელმწიფო პოლიტიკას ბავშვებისთვის, მუშაობს მათთან ან მათთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა — თავად ბავშვების ჩათვლით — ბავშვის უფლებათა განხორციელებაში და მათ შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაში;
- დამოუკიდებელი საჯარო უწყებების — ომბუდსმენების, კომისიებისა და სხვა ინსტიტუტების – შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბავშვთა უფლებების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ გლობალური მასშტაბით ბავშვის უფლებათა მიმართ პატივისცემა ადვილი მისაღწევი არ არის. მართალია, გაერო, ეროვნული კონსტიტუციები და სამოქალაქო საზოგადოება გარკვეულ როლს თამაშობენ ბავშვის უფლებათა დარღვევის თავიდან აცილებაში, მაგრამ დარღვევები კვლავ გვხვდება.

გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბავშვის უფლებები კარგად იქნება დაცული. დასავლეთის ქვეყნებში არსებული მრავალფეროვანი და განვითარებული მომსახურება ყოველთვის არ წარმოადგენდა იმის საწინდარს, რომ ყველა ბავშვს ბედნიერი ბავშვობა ჰქონოდა. ბევრი სიღატაკეში ან მეტისმეტად ხალხმრავალ და შეუფერებელ გარემოში ცხოვრობს. ბევრის უფლებებს ლახავენ ან უგულებელყოფენ და დახმარების მოწოდება მეტისმეტად ნელია იმისათვის, რომ რეაგირება მოახდინოს მათ გაჭირვებაზე. ბევრი ბავშვის განვითარების პოტენციალი შეფერხებულია განათლების მიღების მწირი შესაძლებლობით, თამაშისთვის განკუთვნილი და გამაჯანსაღებელი ობიექტების ნაკლებობით.

პრობლემები ბავშვთა უფლებების რეალიზებაში

თითოეულ საზოგადოებაში არის ტრადიციები და ჯგუფები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ბავშვის უფლებათა დაცვას. ზოგჯერ საზოგადოებაში მიმდინარე ფართო ცვლილებები საფრთხის წინაშე აყენებს მათ უფლებებს. როგორ ხდება, რომ მთავრობა ვერ ამართლებს ბავშვების იმედს ან ვერ ასრულებს ბავშვის უფლებათა კონვენციას? ხშირად ამის მიზეზი ის არის, რომ ბავშვებს არ ენიჭებათ განსაკუთრებული პრიორიტეტი. პოლიტიკური ლიდერები, პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ ესმით ბავშვთა მდგომარეობა ან რომ მათი უფლებების განხორციელების ვალდებულებას კისრულობენ. მაგალითად, ბავშვები ხშირად არ არიან გათვალისწინებული მთავრობის მიერ სტრატეგიის შემუშავებაში.

მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ბავშვების პასუხისმგებლობით აღსავსე მონაწილეობის ხელშეწყობა. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები უნდა ითვალისწინებდნენ და სერიოზულად აღიქვამდნენ ბავშვების შეხედულებებს პოლიტიკის შესახებ. მაგრამ ყოველთვის არ არსებობს ოფიციალური არხები ბავშვებთან საკონსულტაციოდ. კანონმდებლობა უნდა ასახავდეს კონვენციის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ბავშვებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მათ ეხება და მათ შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ხშირად სახელმწიფო დეპარტამენტებს შორის არასაკმარისი კოორდინაციაა ბავშვებთან დაკავშირებულ სტრატეგიასთან მიმართებით. ბავშვებთან დაკავშირებული სტრატეგია ეფექტიანად უნდა განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე და კანონმდებლობა მთლიანად უნდა გადაისინჯოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი განუხრელი შესაბამისობა კონვენციასთან და ბავშვის უფლებების ხელშეწყობა.

ზოგჯერ წარუმატებლობის მიზეზი ის არის, რომ ბავშვის უფლებათა დაცვისკენ მიმართული შეზღუდული რესურსები ეფექტიანად არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში დიდი ყურადღებით უნდა განხორციელდეს ბავშვების მომსახურების ბიუჯეტების მართვა, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეებზე. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ზემოქმედების შეფასება ხელისუფლების დონეზე.

შესაძლოა, პრობლემები იყოს ბავშვის უფლებათა შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. თითოეულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ბავშვის უფლებათა შესახებ ინფორმაციის, როგორც ბავშვებში, ასევე უფროსებში, გავრცელების მრავალმხრივი გეგმა.

კვლევა უნდა ჩატარდეს იმის შესაფასებლად, თუ როგორ იციან გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია იმათ, ვინც ბავშვებთან და ზოგადად საზოგადოებასთან მუშაობს.

თუმცა ბავშვის უფლებათა დაცვა მხოლოდ მთავრობას კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ საზოგადოების ყოველ წევრსაც. კონვენციაში ფორმულირებული ნორმები და პრინციპები მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს რეალობად, როდესაც მათ ყველა პატივს სცემს — ოჯახები, სკოლები და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც ბავშვის მომსახურებას უზრუნველყოფენ საზოგადოებაში და ადმინისტრირების ყველა დონეზე.

ბავშვები განხილული უნდა იქნენ, როგორც ადამიანები და არა, როგორც „მომავალი ადამიანები." ისინი ჩამოყალიბებული ადამიანები არიან, რომლებსაც თავიანთი უფლებები აქვთ. დროთა განმავლობაში ისინი შეიცვლებიან და განვითარდებიან, მაგრამ საზოგადოების მიერ ბავშვობის შეფასება შესაბამის უფლებებს უნდა ეფუძნებოდეს და ის არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ზრდასრულობისკენ მიმართული ნაბიჯი. ამ პრინციპს მნიშვნელობა აქვს სპეციალური პროგრამებისა და სამსახურებისთვის; ის ყურადღებას ამახვილებს ბავშვებთან მუშაობაზე პრინციპით: „დღეს და აქ".

თუმცა ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ პოლიტიკის რეაგირება ხშირად არ ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად სასწრაფოდაა მოსაგვარებელი პრობლემები და რამდენად ხანმოკლე და დიდი ზემოქმედების მქონეა ბავშვობა. ბავშვობის ხანა არ არის გაჩერებული, სანამ მომდევნო სტრატეგიის შემუშავება ხდება. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამტკიცებიდან ორი ათეული წლის განმავლობაში ბავშვების, სულ მცირე, ორი თაობა გამოვიდა ბავშვობის ხანიდან.

რეაგირება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ თავიანთი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის კონვენციის პრინციპებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. სადაც საჭიროა, უნდა მოხდეს კანონის რეფორმირება, მაგალითად, ბავშვების ძალადობისგან დასაცავად ოჯახში და სასწავლო დაწესებულებებში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა, აგრეთვე, რეკომენდაციას, რომ მთავრობამ შექმნას დამოუკიდებელი მექანიზმები იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს კონვენციის მონიტორინგი და განხილვა ბავშვის უფლებათა კომისრებისა თუ ომბუდსმენების საშუალებით.

ქვეყნების მიერ კონვენციის განხორციელების კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება დამოუკიდებელი სამსახურების რიცხვი. აღნიშნული სამსახურები ძირითადად მთავრობის ან პარლამენტის მიერ იქმნება, მაგრამ მათი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა დამოუკიდებლობა და იმის უნარი, რომ თავად იზრუნონ ბავშვთა დაცვაზე. ამ ინსტიტუტების დაარსებით მთავრობები კეთილ ნებას გამოხატავენ ბავშვების მიმართ და იმის დემონსტრირებას ახდენენ, რომ სერიოზულად განიხილავენ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს და სურთ, ანგარიშვალდებული იყვნენ დამოუკიდებელი სამსახურების მიმართ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ექცევიან ბავშვებს.

მთავრობებს მოეთხოვებათ, გააანალიზონ ბავშვებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტების მოცულობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდა მოაქალაქეებში განხორციელებული ინვესტიციის პროპორციულობა მათ რაოდენობასა და საჭიროებებთან. ხშირად მთავრობები აერთიანებენ სოციალურ ხარჯებს, რითაც ნიღბავენ ბავშვთა კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისათვის ასიგნებული რესურსების შედარებით სიმწირეს.

ქვეყნებს მოეთხოვებათ კონვენციის პრინციპების და ნორმების გაცნობა საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის. მთავრობები ვალდებულნი არიან, აამაღლონ ბავშვების, როგორც უფლებების მქონე ადამიანების, სოციალური გათვითცნობიერებულობის დონე. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიონალები, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ, მათ შორის ჯანდაცვის და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ინფორმირებულნი იყვნენ იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ კონვენცია ყოველდღიურ პრაქტიკაში.

კონვენციის რატიფიცირებამ და პროპაგანდირებამ გამოიწვია ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობისა და გავლენის სწრაფი ზრდა; ბევრ ევროპულ ქვეყანაში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციები, რომლებიც ბავშვთა უფლებებზე მუშაობენ. ასეთია, მაგალითად, ბავშვის უფლებათა საინფორმაციაო ქსელი (CRIN). ეს კოალიციები წამყვან როლს ასრულებენ, როგორც ბავშვის უფლებათა დამოუკიდებელი დამცველები. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების დამატებითი ხელშეწყობა მოდის დაინტერესებული საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც საგანგებო როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის განვითარებაში“. და კიდევ: „არასამთავრობო ორგანიზაციებს თავისი ბუნებით ახასიათებს გამოხატვის თავისუფლება, მოქნილი მოქმედება და მოძრაობის თავისუფლება, რაც გარკვეულ ვითარებაში მათ საშუალებას აძლევს, გადაჭრან ამოცანები, რომლებიც მთავრობებს და სამთავრობო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ან არ სურთ რომ გადაჭრან“.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროფესიონალებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს. ჟურნალისტებს შეუძლიათ გამოავლინონ ბავშვის უფლებათა დარღვევის შემთხვევები და აამაღლონ აღნიშნული უფლებების შესახებ გათვითცნობიერების დონე, ამასთან, ისინი დიდ გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ბავშვებს. ჟურნალისტებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა შედეგი მოაქვს მათ მუშაობას; მედიის პროფესიონალები აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს და გავლენას ახდენენ მის ქცევაზე.

მედიის ეს ძლიერი პოზიცია იმას ნიშნავს, რომ მას სჭირდება შიდა რეგულირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწორად წარმოადგენდეს ბავშვის უფლებებს და პატივს სცემდეს მათ.

შეფასება

დაასახელეთ, რომელი ჯგუფები იცავენ ბავშვებს თქვენს ქვეყანაში. ეფუძნებიან თუ არა ისინი ბავშვის უფლებებს? გათვალისწინებულია თუ არა მათ მუშაობაში ბავშვის ხმა?

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„ENOC"-ის შემუშავებული ტრენინგის სახელმძღვანელო. ბავშვის უფლებათა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC) მიერ შედგენილი ეს სახელმძღვანელო გათვალისწინებულია მათთვის, ვინც აპირებს, შექმნას კანონით განსაზღვრული დამოუკიდებელი სამსახურები ბავშვის უფლებათა დაცვის მიზნით — ბავშვის უფლებათა ომბუდსმენები და კომისრები:
http://www.ombudsnet.org/docs/informationdtrainingpack.pdf

„სოციალური მუშაობა და ბავშვის უფლებები": პროფესიონალური ტრენინგის სახელმძღვანელო გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია, 2002.

„ბავშვების მდგომარეობა მსოფლიოში", 2010, „იუნისეფი": http://www.unicef.org/rightsite/sowc/

„ადამიანის უფლებათა ნაციონალური ინსტიტუტები", ადამიანის უფლებათა ცენტრი, პროფესიული ტრენინგის სერიები №4, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ჟენევა, 1995, პარაგრაფი 15.

http://www.unicef.org/magic/users/resources.html

http://www.unicef.org/georgia/rights_8343.html

---

5. მედიის მიერ ბავშვების ასახვა, ბავშვის უფლებები და პროფესიული პასუხისმგებლობა

ძირითადი შესასწავლი თემები

- ბავშვების ასახვა მედიაში;
- სტერეოტიპების შექმნა მედიის მიერ;
- ბავშვის უფლებათა დარღვევა;
- ბავშვთა დაცვა;
- კვლევა ბავშვთა საკითხების გაშუქებისას მედიის ეთიკისა და ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტების დაცვის შესახებ საქართველოში.

აღიარებულია, რომ მედიის პროფესიონალებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ბავშვის უფლებათა გარშემო საზოგადოების მობილიზებაში. ისინი ძირითადად რეპორტაჟებს აკეთებენ სხვების არასწორ საქციელსა და შეცდომებზე, მაგრამ ამავე დროს კატალიზატორის როლს ასრულებენ. მათ, როგორც საზოგადოების ინტერესებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე მდგომ ადამიანებს, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ბავშვების წარმოჩენის, მათი უფლებების და პერსპექტივების გაუჯობესების კუთხითაც.

ბავშვების წარმოდგენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

მართალია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მძლავრი პოზიცია აქვთ, მაგრამ ისინი ყოველთვის არ ასრულებენ ბავშვის უფლებათა მოკავშირის როლს. ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ ახალგაზრდებს არ მოსწონთ ის, თუ როგორ ასახავენ მათ მედიაში. ჩატარებული კვლევებიც აჩვენებს, რომ გარკვეული მსგავსებაა იმაში, თუ როგორ ასახავენ ბავშვებს სხვადასხვა მედიაში მსოფლიო მასშტაბით.

2003 წლის ნოემბერში „მედიაუაიზმა“ (MediaWise) ბრიტანული პლაკატების სამი კომპანია და ბულვარული გაზეთი „სანდი” (Sunday) შეისწავლა. მიღებული შედეგები მძიმე სურათს ქმნის. 32 მასალიდან მხოლოდ ორი იყო პოზიტიური. სამ სტატიაში იცავდნენ მშობლების უფლებათა დომინირებას ბავშვის უფლებებზე.

სტერეოტიპის შექმნის ტენდენცია გამოვლენილია დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ რამდენიმე კვლევაში. 2004 წელს „MORI“-ს მიერ ჟურნალისთვის *„იანგ პიპლ ნაუ“ (Young People Now)* ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს სულ უფრო მეტად წარმოაჩენენ როგორც „პრობლემებს“. მათ შესახებ დიდი ბრიტანეთის საერთო-ეროვნულ და ადგილობრივ გაზეთებში 2004 წლის ერთი კვირის განმავლობაში გამოქვეყნებულ სტატიებში 71% ნეგატიური იყო, 14% პოზიტიური და მხოლოდ 15% – ნეიტრალური. დანაშაულის და ძალადობის შესახებ სტატიების 48%-ში ახალგაზრდები წარმოდგენილი იყვნენ, როგორც კანონდამრღვევები. 70% ბიჭებისა იყვნენ ბოროტმოქმედები, ხოლო 32% – მსხვერპლი. გოგონებში 10% იყო კანონდამრღვევი, ხოლო 91% – მსხვერპლი. მედიაში გაშუქების საწინააღმდეგოდ ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბიჭები უფრო მეტად ხდებიან ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი, ვიდრე გოგონები.

სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების სტერეოტიპული წარმოდგენა საერთაშორისო ფენომენია. „გლოკალ იუთის“ (Glocal Youth) მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მედიას ადანაშაულებს უყურადღებობაში ახალგაზრდების სამოქალაქო საქმიანობის მიმართ, მსგავსი ტენდენციები აღმოაჩინა ევროპის წამყვან მედიაში: *„ახალგაზრდებს ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც პრობლემების, სამართალდარღვევების, საშიში გარეუბნების, ნარკოტიკებისა და ბობოქარი შეკრებების სიმბოლოს, განსაკუთრებით, თუ საქმე ახალგაზრდა ემიგრანტებს ეხება. მათი ასეთი იმიჯი გვხვდება განსაკუთრებით ისეთ (როგორც ბეჭდვით, ასევე აუდიო-ვიზუალურ) დოკუმენტურ ფილმებსა თუ ჟურნალებში, სადაც ურბანული კულტურაა ასახული“.*

2003 წელს მედიამონიტორინგის პროექტმა შეისწავლა ბავშვების ასახვა და ბავშვის უფლებები სამხრეთ აფრიკის საინფორმაციო მედიაში. პროექტს რამდენიმე საფეხური ჰქონდა, მათ შორის ერთობლივი სემინარები ბავშვების მონაწილეობით, სამთვიანი მონიტორინგის პერიოდი და სპეციალიზებული ტრენინგი ჟურნალისტებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრაქტიკოსების მონაწილეობით. აღინიშნა ყველა საკითხი, რომლებიც ბავშვებს ეხებოდა და დაფიქსირდა სათანადო ინფორმაცია თემის, წყაროების, წარმოდგენის და სხვა პრობლემების მითითებით, რომლებიც ბავშვის უფლებებს განიხილავდა. ბავშვები მონაწილეობდნენ პარალელურ პროექტში, სადაც ისინი ორი კვირის მანძილზე ახდენდნენ მათ მიერვე შერჩეული საინფორმაციო მედიის მონიტორინგს.

კვლევის შედეგად გაკეთდა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. ***ბავშვები საინფორმაციო მედიაში ნაკლებად არიან წარმოდგენილი.***
   როგორც უფროსების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, ბავშვები საინფორმაციო გამოშვებების მხოლოდ 6%-ში ფიგურირებენ, ხოლო ბავშვების მიერ ჩატარებული მონიტორინგის თანახმად, მათ მიერ განხილული სიუჟეტების მხოლოდ 26%-ში შეეხნენ ბავშვების თემას.

2. ***ბავშვები ძირითადად წარმოდგენილი არიან მსხვერპლის სახით.***
   უფროსების მიერ ჩატარებული მონიტორინგის თანახმად, სიუჟეტების 25%-ში ბავშვები მსხვერპლის სახით არიან გამოყვანილი. მთლიანობაში ბავშვები უფრო ხშირად უარყოფითად არიან გამოყვანილი და მათი როლები შეზღუდულია. ბავშვების მონიტორინგმა დაადასტურა ეს ტენდენციები. როგორც ისინი აღნიშნავდნენ, მედიამ უნდა სცადოს, უფრო პოზიტიურ როლებში წარმოადგინოს ბავშვები.

3. ***ბავშვები ძირითადად ნეგატიურ სიუჟეტებში არიან წარმოდგენილი.***
   როგორც უფროსების, ასევე ბავშვების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საინფორმაციო სიუჟეტები, სადაც ბავშვები ფიგურირებენ, ძირითადად ნეგატიური შინაარსისა იყო. უფროსების მიერ ჩატარებული მონიტორინგის მიხედვით, ყოველი მეორე სტატია, სადაც ბავშვი ფიგურირებს, ნეგატიური შინაარსისაა და ეხება დანაშაულს, ძალადობას, უფლებების შელახვას ან სხვადასხვა უბედურებას.

4. ***ბიჭები და გოგონები თანაბრად არიან წარმოდგენილი, მაგრამ კვლავ სტერეოტიპული სახით.***
   ამ აშკარა თანასწორობის მიუხედავად, შემდგომმა ანალიზმა აჩვენა გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრება ბავშვების წარმოდგენისას. გოგონები უფრო ხშირად იყვნენ გამოყვანილი ბავშვებზე ძალადობის ისტორიებში, ხოლო ბიჭები —

სპორტთან დაკავშირებულ ისტორიებში. ეს აძლიერებს მედიასაშუალებებში ქალების – მსხვერპლის, ხოლო მამაკაცების — ძლიერების სახით წარმოდგენას.

1998 წელს საქველმოქმედო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვებმა" ჩაატარა კვლევა ბავშვების დამოკიდებულების შესახებ იმის მიმართ, თუ როგორ არიან ისინი წარმოდგენილი ბეჭდვით და სამაუწყებლო მედიაში. აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა ზუსტად იციან, რა არ მოსწონთ ყველაზე მეტად მედიაში:

- ბავშვების მიერ სერიოზულად გაკეთებული კომენტარების გამოყენება უფროსების გასაცინებლად;
- მიმზიდველი ბავშვების გამოყენება ყურადღების მისაპყრობად;
- მძიმე სიტუაციაში მცხოვრები ბავშვების ფოტოების გამოყენება და მათი მდგომარეობის აღწერა ემოციის აღძვრის მიზნით, მით უმეტეს, რომ ამით არაფერი კეთდება არც ბავშვების მიერ საკუთარი თავის პატივისცემისთვის და არც აუდიტორიის მხრიდან მათი პატივისცემისთვის;
- ქედმაღლური ლაპარაკი ბავშვებთან;
- ბავშვების მაგივრად დიდების ლაპარაკი, მაშინ, როდესაც ბავშვებმა გაცილებით მეტი იციან ამ საკითხის შესახებ;
- ბავშვების იძულება, ცირკის ცხოველებივით მოიქცნენ;
- უფროსები წარმოაჩენენ ბავშვების უცოდინრობას;
- ის, რომ უფროსები თავისი სიტყვებით ალაპარაკებენ ბავშვებს ან ახდენენ მათი ნათქვამის ინტერპრეტირებას;
- ბავშვების წარმოდგენა პასიურებად, როდესაც ისინი არ არიან პასიურები;
- ყველა ახალგაზრდის მოქცევა ერთ პრობლემურ ჯგუფში – სახელწოდებით „ახალგაზრდობა".

სტერეოტიპები მედიაში

პირობითად ბავშვებს განიხილავენ როგორც საზოგადოების ქვეჯგუფს, რომელიც დაცული უნდა იყოს. ბავშვების მიმართ არსებული საფრთხე ძლიერ ემოციურ გამოხმაურებას პოვებს, რაც შეიძლება მკითხველებისა და აუდიტორიის დასაპყრობად იქნეს გამოყენებული. ბავშვების შესახებ სიუჟეტები და მათი გამოსახულება ისევე შეიძლება იქნეს შეფასებული თავისი მარკეტინგული პოტენციალით, როგორც სოციალური მნიშვნელობით. ამის შედეგად ბავშვები ხშირად გამოყვანილი არიან მედიაში, როგორც მსხვერპლი ან როგორც უფროსების საყვარელი დანამატი.

ამგვარი შეხედულება ბავშვებზე, შესაძლოა, ასახავდეს ბავშვობის საყოველთაო აღქმას უმანკოობის ხანად. ბავშვების მომხიბვლელობა უფროსებში აღძრავს დაცვის სურვილს, ნოსტალგიას და უპირატესობის შეგრძნებას. თუ ისინი ტკივილს ან უბედურებას განიცდიან, უფროსები თავს ვალდებულად თვლიან, თანაგრძნობა და ზნეობრივი აღშფოთება გამოხატონ. თუმცა ამის შედეგად ბავშვები იძენენ სტატუსს, რომელიც სადღაც მოქალაქეობის ქვემოთ იმყოფება.

ბავშვების გამოსახვა მსხვერპლის ან უფროსების საყვარელი დანამატის სახით შეზღუდულ და ყალბ წარმოდგენას ქმნის მათ შესახებ. მედიის წარმომადგენლებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ასეთი წინასწარგანწყობა მოდის იმ ფაქტიდან, რომ

საინფორმაციო გამოშვებები ყურადღების ცენტრში აქცევენ უჩვეულოს. მაგრამ ამით ხდება იგნორირება მედიის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციისა – წარმოადგენდეს საზოგადოების სარკეს, რათა ხალხმა უკეთესად გაიგოს, თუ რა ხდება მის გარშემო. მედიის მუშაკებმა სხვებზე უკეთესად იციან, რომ ხშირად ფაქტებზე უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა მათ აღქმას შეუძლია. ახალგაზრდების აღქმის დამახინჯებით მედია დათვურ სამსახურს უწევს როგორც ბავშვებს, ასევე მთელ საზოგადოებას. ამით შეიძლება მათი უფლებებიც დაირღვეს.

ბავშვთა უფლებების დარღვევა

რამდენიმე გზა არსებობს, რითაც ბავშვის უფლებები შეიძლება დაირღვეს მათი არასწორი წარმოდგენით და სტერეოტიპული ჩვენებით მედიაში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოუწოდებს ოჯახისა და პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემისკენ, ხოლო მე-14 მუხლი — დისკრიმინაციის აკრძალვისკენ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის უფლებები მოიცავს:

- **მე-12 მუხლი:** ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება;
- **მე-13 მუხლი:** ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს „სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის ... ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის“;
- **მე-16 მუხლი:** „პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების... ღირსებისა და რეპუტაციის“ დაცვას ჩარევის ან ხელყოფისაგან;
- **მე-17 მუხლი:** მედიის მნიშვნელობის აღიარებას და მასალების გავრცელებას „ბავშვის სოციალური და კულტურული კეთილდღეობისთვის“ და „იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა ბავშვის კეთილდღეობისათვის.“

ეს მუხლები გარკვევით აყალიბებს ბავშვის უფლებებს, რომლებიც შეიძლება დაირღვეს მედიის უპასუხისმგებლო მოქმედებით, კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად, მედია პასუხისმგებელია ბავშვის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

ბავშვის უფლებათა დარღვევა გულისხმობს მათთან დაკავშირებული საკითხების უგულისყუროდ გაშუქებას და დამახინჯებას ან მათი შეხედულებების უგულებელყოფას.

ბავშვთა დაცვა

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ვინც დამოუკიდებელ მედიაში სახელმწიფოს ჩარევას მიესალმება, ბავშვთა უფლებებმა მოითხოვა გარკვეულ სფეროებში ჩარევა. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა კრძალავს სასამართლო საქმეებში ჩართული ახალგაზრდების იდენტიფიცირებას ბავშვებისა და ახალგაზრდების 1933 წლის აქტის 39-ე თავში. ეს კანონი აღიარებს, რომ ახალგაზრდა სამართალდამრღვევი იმსახურებს, რომ გამოსწორების შანსი მიეცეს მედიის

ყურადღებისა და საჯარო სტიგმატიზაციის გარეშე. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი დაცვაც არ აღმოჩნდა საკმარისი; მედიამ შეცვალა ბავშვების პირდაპირი იდენტიფიკაცია სამართალდამრღვევებისთვის იარლიყების სტერეოტიპული მიკვრით.
მიუხედავად ისეთი ორგანიზაციების ძალისხმევისა, როგორიცაა საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც საკუთარი ინიციატივა წამოიწყო 1998 წელს და მიზნად ისახავდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს პასუხისმგებლობის წახალისებას, ბავშვების ამ ტიპის სტერეოტიპებით გაშუქების ტენდენცია ყველა კონტინენტზე თვალსაჩინოა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვებისადმი მიძღვნილი საკითხების გაშუქება იშვიათად ფიგურირებს ჟურნალისტურ ტრენინგებში, რადგან მთლიანობაში ჟურნალისტები უფროსებისადმი მიძღვნილი და მათივე სამყაროში არსებული ისეთი თემებით არიან დაკავებული, რომლებიც ზრდასრული ადამიანების აუდიტორიისათვის არის განკუთვნილი. იშვიათად შეგხვდებათ სიუჟეტი იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ახალმა სოციალურმა ან ფისკალურმა პოლიტიკამ ბავშვებზე, თუ ის არ ეხება, მაგალითად, ბავშვებისთვის დაწესებულ შეღავათებს ან მათ განათლებას. იშვიათია, აგრეთვე, გაზეთი, რომელიც ცდილობს, გამოაქვეყნოს ახალგაზრდების კომენტარები მიმდინარე პრობლემების შესახებ.
შესაბამისად, ბავშვები სერიოზულად არ განიხილებიან მედიის პროფესიონალების მიერ, რადგან მათი ძირითადი სამიზნეა ზრდასრული ადამიანების ბაზარი. სირთულე ისაა, რომ ბავშვები არიან მედიის იმ ძირითადი პროდუქტების მომხმარებლები, რომლებიც კონკრეტულად მათთვის არ არის შექმნილი. ახალი ამბები მიჩნეულია ისეთ რამედ, რაც, უწინარეს ყოვლისა, ზრდასრული ადამიანებისთვის და მათ შესახებაა.

დამატებითი საფრთხეა ის, რომ ზრდასრული ადამიანებისთვის განკუთვნილ ბაზარზე ბავშვებს ხელი მიუწვდებათ პოტენციურად მავნე მასალაზე, მათ შორის ძალადობის, სექსის და ბავშვების „სექსუალური“ სახეების ამსახველ მასალაზე. კომუნიკაციების ახალი ფორმების განვითარება, როგორიცაა ინტერნეტი, გარკვეულ შეშფოთებას იწვევს, რადგან ძალიან უმნიშვნელოა ან საერთოდ არ არსებობს კონტროლი ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე.

სანამ გრძელდება კამათი იმის თაობაზე, თუ რა პირდაპირ გავლენას ახდენს ამგვარი მასალა ბავშვების ქცევაზე, მედიის მწარმოებლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ გარკვეული ტიპის მასალის (ისეთი ვიზუალური ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ან პოპულარიზაციას უწევს ძალადობას ან შეუსაბამო სექსუალურ აქტივობას) ადვილად ხელმისაწვდომობამ მავნე ზეგავლენა არ მოახდინოს ბავშვებზე ან საფრთხე არ შეუქმნას მათ.
ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, ბავშვებში მედიის შესახებ ცოდნის გავრცელებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები აფასებდნენ მედიის როლს სამოქალაქო საზოგადოებაში და შეეძლოთ, კრიტიკულად შეხედონ ამას, რათა ჟურნალისტები ითვალისწინებდნენ ბავშვების საჭიროებებს, პრობლემებს და უფლებებს.

იუნისეფის აზრით, ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა თანამედროვე მედიის კრიტიკის სწავლება, „უდიდესი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა განათლებაში“. ბრიტანელი პარლამენტარი ტესა ჯოუელი ამბობს, რომ მედიის სწავლება, მედიის ეფექტიან რეგულირებასთან ერთად, საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ ბავშვებს გაუადვილო ურთიერთობა მედიაში წარმოდგენილ სამყაროსთან.

მედია ახალი თაობისთვის

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მედია გაფართოვდა, ახალი ათასწლეულის დასაწყისში იუნისეფის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ინტერნეტში ჩატარებულმა „ჩეთმა“ 17 ქვეყნის მედიის 70-მდე ახალგაზრდა აქტივისტთან, გამოავლინა ერთსულოვანი გზავნილი – მედია არ უპასუხებს ახალგაზრდების პრობლემებს.

მედიამ ხელახლა უნდა გაიაზროს ბავშვებისა და ახალგაზრდების თემატიკის გაშუქება – ისე, რომ სტერეოტიპულობა და, აქედან გამომდინარე, შედეგები გამოირიცხოს – და ხელი შეუწყოს მედიის შესახებ ცოდნის გაფართოებას. იზრდება ახალი თაობა, რომელიც დათრგუნულია მძიმე ახალი ამბებით და მათი დამახინჯებით; რაკი ახალი ტექნოლოგიები თითის ერთი დაკვრით არის მათთვის ხელმისაწვდომი, ისინი საკუთარ მედიას ქმნიან ონლაინ რეჟიმში და გვერდს უვლიან მისი წარმოების ტრადიციულ მეთოდებს.

უკვე ვნახეთ, როგორ შეიქმნა ონლაინ საზოგადოებები და სამაუწყებლო არხები Bebo, Youtube და MySpace. 2007 წელს აშშ-ის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა ახალი საკაბელო ტელევიზია გახსნა ახალგაზრდებისთვის Current TV, რომლის შინაარსი მთლიანად ახალგაზრდა მაყურებლების მიერ იქმნება. ბ-ნ გორის თქმით, ახალგაზრდა მაყურებელს საშუალება ეძლევა, „ჩაებას დიალოგში დემოკრატიის შესახებ“ და შექმნას საკუთარი სატელევიზიო პროგრამები. მისივე თქმით, ამ კონცეფციის საფუძველზე „შეიძლება მოხდეს თავად სატელევიზიო მედიის გარდაქმნა“, რადგან მაყურებელს ეძლევა შესაძლებლობა, ხმა მიაწვდინოს მას.

მასმედიით უკმაყოფილო ახალგაზრდები გვერდს უვლიან ტრადიციულ მედიას და საკუთარ დღის წესრიგს აწესებენ. ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მასმედიის და ტრადიციული (კომერციული) პოპკულტურის მომავალზე.

პროფესიული პასუხისმგებლობა

ჟურნალისტების წინააღმდეგობას იწვევს, როდესაც ვინმე კარნახობს, თუ როგორ უნდა იმუშაონ. მათ აღაშფოთებს ზეწოლა და სკეპტიკურად განაწყობს ძლევამოსილი ელიტის ზრახვები. ბევრმა ჟურნალისტმა სიცოცხლე და თავისუფლება შესწირა ისეთი დანაშაულების გამომჟღავნებას, რომლებიც შეიძლებოდა მიჩქმალულიყო პრესის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში.

მედიის პროფესიონალებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, პასუხი მოსთხოვონ იმათ, ვინც სამოქალაქო საზოგადოებაზე ახდენს ზეწოლას. ისინი უფრთხილდებიან საკუთარ დამოუკიდებლობას. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სამოქალაქო საზოგადოებაში იმაში გამოიხატება, რომ სამოქალაქო ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და პოპულარიზაცია გაუწიონ დებატებს, ცოდნის, ინფორმირებულობის ამაღლებას და სახელმწიფოს მიერ ისეთი პრობლემების აღიარებას, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ დემოკრატიის დამკვიდრების და ადამიანის უფლებების პატივისცემისთვის. ჟურნალისტების მიერ ამ როლის შესრულების უნარი მაშინ ქვეითდება, როდესაც ისინი ანგარებაზე დაფუძნებული ინტერესების გამტარებლები ხდებიან.

შიდა რეგულირება

ჟურნალისტები ხელს აწერენ ქცევის კოდექსს, რომელიც მათი პროფესიული კავშირის, პროფესიული ასოციაციის ან დამქირავებლის მიერ არის გამოცემული. თუმცა პრაქტიკულად ჟურნალისტების უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ კოდექსის დეტალებზე და ეყრდნობა ჟურნალისტიკის პრინციპების ზოგად გაგებას. მაგრამ ბავშვებს ზუსტი პროტოკოლები სჭირდებათ, როდესაც საქმე მათი უფლებების დაცვას ეხება.

ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც ბავშვის სიცოცხლეს და კეთილდღეობას ეხება, ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის პერსპექტივას. ჟურნალისტები და მედიაორგანიზაციები ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტების დაცვას უნდა ესწრაფოდნენ, როდესაც ბავშვებთან დაკავშირებულ თემებს აშუქებენ.

გაერთიანებულ სამეფოში კომუნიკაციების ოფისის და „ბი-ბი-სის“ სახელმძღვანელო პრინციპები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის უფლებათა დაცვას, ისევე, როგორც ამას აკეთებს ბრიტანეთის საგაზეთო ინდუსტრიის საპროცესო კოდექსი, რომელსაც პრესასთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი კომისია აკონტროლებს. ისინი აცნობიერებენ, რომ მედიის პროფესიონალების მოვალეობაა, ზრუნავდნენ, რომ მედიაში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ არ შელახოს ბავშვის უფლებები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ ბავშვის უფლებები შეიტანა პროფესიული ეთიკის კოდექსში და ახორციელებს პროგრამებს გათვითცნობიერებულობის დონის ასამაღლებლად. ის ხელს უწყობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ურთიერთგაცვლას სხვადასხვა კავშირს შორის, უპირისპირდება ჟურნალისტებსა და მედიაზე კომერციულ ზეწოლას „სენსაციური ახალი ამბების“ მოთხოვნით და საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომ მათი პრობლემები დანახული და გაგონილი იყოს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპები, *„ბავშვის უფლებები და მედია: ბავშვის პრობელემებისადმი მიძღვნილი საკითხების განხილვის სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები“,* 70 ქვეყნის ჟურნალისტურმა ორგანიზაციებმა დაამტკიცეს ჟურნალიზმისა და ბავშვის უფლებებისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო საკონსულტაციო კონფერენციაზე, რომელიც ბრაზილიის ქალაქ რესიფეში ჩატარდა 1998 წლის 2 მაისს. ეს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვებს დაეხმარება იმის დანახვაში, რომ ჟურნალისტები მათ პრობლემებსა და შეხედულებებს სერიოზულად უყურებენ. ამ დოკუმენტში ნათქვამია:

> *„ყველა ჟურნალისტი და მედიის პროფესიონალი მუშაკი ვალდებულია, შეინარჩუნოს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტები და დარგის ფარგლებში პოპულარიზაცია გაუწიოს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას.“*

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად: მედიაორგანიზაციები ბავშვის უფლებათა დარღვევას, ბავშვის უსაფრთხოების,

პირადი ცხოვრების, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს და ექსპლუატაციის ყველა ფორმას გამოძიებისა და საჯარო მსჯელობის საგნად უნდა მიიჩნევდნენ.

ბავშვებს პირადი ცხოვრების აბსოლუტური უფლება აქვთ, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც გარკვევით არის მითითებული სახელმძღვანელო პრინციპებში.

ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც ბავშვების ცხოვრებასა და კეთილდღეობას ეხება, ყოველთვის უნდა წარიმართოს მათი დაუცველობის გათვალისწინებით.

ჟურნალისტებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ გადაუხვიონ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებსა და ნორმებს ბავშვთა პრობლემების გაშუქებისას. კერძოდ:

1. ბავშვების საკითხების გაშუქებისას მათ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ სიზუსტისა და კორექტულობის დასაცავად;
2. უნდა მოერიდონ ისეთი ფოტოებისა და ინფორმაციის გამოქვეყნებას ბავშვებისათვის განკუთვნილ მედიასივრცეში, რომელიც საზიანო იქნება მათთვის;
3. მოერიდონ პუბლიკაციებისათვის პოპულარობის მოპოვების მიზნით ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ გაშუქებას;
4. ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებისას საგულდაგულოდ აწონ-დაწონონ შესაძლო შედეგები და მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანის ფაქტორი;
5. თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, დაიცვან ბავშვის ვინაობა და არ გამოაქვეყნონ მისი ფოტოები;
6. როდესაც ეს შესაძლებელია, მისცენ ბავშვებს მასმედიის საშუალებით თავიანთი აზრების გამოხატვის შესაძლებლობა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე;
7. უზრუნველყონ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებელი შემოწმება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ამ ინფორმაციის შემოწმებისას ინფორმატორ ბავშვს საფრთხე არ შეექმნას;
8. მოერიდონ ბავშვების სექსუალურ ფორმაში გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებას;
9. გამოიყენონ ბავშვების ფოტოების მოპოვების სამართლიანი, ღია და პირდაპირი მეთოდები და, როდესაც ეს შესაძლებელია, მოიპოვონ ისინი ბავშვების, მათზე პასუხისმგებელი პირის ან მეურვის თანხმობით;
10. შეამოწმონ იმ ორგანიზაციების უფლებამოსილება, რომლებიც ბავშვების სახელით ლაპარაკობენ ან წარმოადგენენ ბავშვთა ინტერესებს;
11. ბავშვის ცხოვრების პირობების ამსახველი სიუჟეტისათვის მოპოვებული მასალის საფასური არ გადაუხადონ არც ბავშვს და არც ბავშვის მშობლებსა თუ მეურვეებს, თუ ეს ნამდვილად ბავშვის ინტერესებში არ შედის.

ჟურნალისტებმა კრიტიკულად უნდა შეისწავლონ წარმოდგენილი რეპორტაჟები და მთავრობების მიერ გამოთქმული პრეტენზიები გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მედიამ არ უნდა განიხილოს და გააშუქოს ბავშვების პრობლემები, მხოლოდ როგორც მომხდარი ფაქტები, არამედ „გამუდმებით უნდა წერდეს იმ პროცესების შესახებ, რომლებსაც მივყავართ ან მიგვიყვანენ მსგავს ფაქტებთან“.

სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

„მედია უაიზმა“ და „იუნისეფმა“ გამოსცეს სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, სახელწოდებით *„მედია და ბავშვის უფლებები“,* რომლებიც ბავშვებს წარმოადგენენ მედიაში, (2005). ეს სახელმძღვანელო მედიის მუშაკების და სხვების დასახმარებლად დაიწერა. იგი მიზნად ისახავს, ისინი, ვინც ამ სფეროში საქმიანობს, დააფიქროს იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვების წარმოჩენაზე მედიაში და მედიის მიერ. მოქმედი ჟურნალისტების პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით სახელმძღვანელო ესწრაფვის, ბიძგი მისცეს პასუხისმგებლობის ამაღლებას ბავშვების საკითხების, აგრეთვე ბავშვების ცხოვრებაზე უფროსების ქცევისა და გადაწყვეტილებების გავლენის გაშუქებისას. ეს სახელმძღვანელო მოუწოდებს მედიის მუშაკებს, საუკეთესო გზა მოძებნონ ბავშვის უფლებათა დასაცავად და დაეხმარონ მათ მასობრივ მედიაში გარკვეული როლის შესრულებაში.

ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების გაშუქებას თავისი პრობლემები აქვს. ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელმა შექმნა *„ბავშვებისგან ინტერვიუს აღების ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები“,* ხოლო „იუნისეფმა“ შემუშავა საკუთარი, *„ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების ეთიკურად გაშუქების პრინციპები“.*

საქმე ის არის, რომ მედია არა მხოლოდ სამართლიანად, პატიოსნად და ზუსტად უნდა აშუქებდეს ბავშვობის პრობლემებს, არამედ ადგილს ტოვებდეს თავად ბავშვების განსხვავებული, კოლორიტული და შემოქმედებითი აზრების გამოსახატავად. ახალი ამბები იქნება ეს, მიმდინარე მოვლენები თუ შემოქმედებითი და საშემსრულებლო ხელოვნების რთული სამყარო, მედიის ყველა მუშაკი და ორგანიზაცია პასუხისმგებელნი არიან, ცნონ ბავშვის უფლებები და ასახონ ისინი თავიანთ შემოქმედებაში.

ეს კი ისეთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება, როგორიცაა მედიის მუშაკების ტრენინგი. ამჟამად ყურადღება გადატანილია ტრენინგის მონაწილეებისთვის ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომ მათ შეძლონ მუდმივად ცვალებად სამუშაო გარემოსთან შეგუება, როდესაც მთავარია მოქნილობა.

ტრენინგების დროს ბავშვებისთვის ფოტოების გადაღებას და მათ ვიდეოკამერით გადაღებას იმდენივე ყურადღება უნდა დაეთმოს, რამდენიც ტექნიკურ კვალიფიკაციას, რადგან ვიზუალური გამოსახულების მოპოვებისთვის გამოყენებული მეთოდები, გამოსახულების კონსტრუირების გზები და დემონსტრირების ფორმები შეიძლება განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდეს.

იმისათვის, რომ მედიის მუშაკები უფრო აქტიურად ჩაებან ბავშვის უფლებათა დაცვაში, საჭიროა შემუშავდეს სახელმძღვანელო ტრენინგის, საინფორმაციო მასალების და მედიის დარგებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება და ბავშვის უფლებების მიმართ ყურადღება და ზრუნვა.

ბავშვის პრობლემების და უფლებების უკეთ გაგება მათ მიერ, ვინც უმაღლეს ეშელონებშია, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც იმის უზრუნველყოფა, რომ ჟურნალისტებმა და პროგრამების შემქმნელებმა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა დაამყარონ სხვა პროფესიონალებთან, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ (მასწავლებლები, სოციალური მუშაკები და სხვ.).

ბავშვთა საკითხების გაშუქებისას მედიის ეთიკისა და ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტების დაცვის შესახებ საქართველოში

2008 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის ეგიდით ჩატარდა კვლევა სახელწოდებით „ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედია ეთიკა საქართველოში — სიტუაციური ანალიზი“. ეს კვლევა მიმოიხილავს საქართველოში არსებული მედია ეთიკის კოდექსებსა და მედიის თვით-რეგულირების მექანიზმებს ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ასახავს ქართული მედიის სამთვიანი მონიტორინგის შედეგებს იმის თაობაზე, თუ რამდენად იცავს მედია ბავშვთა უფლებებს ბავშვთა საკითხების გაშუქებისას.

კვლევის თანახმად, ქართულ მედიაში არ არსებობს ერთიანი პროფესიული სტანდარტები ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, რომლებსაც ჟურნალისტები და მენეჯერები ერთნაირად სცემდნენ პატივს. მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალებას აქვს თავისი კოდექსი, რომლის აღიარება და დაცვა ვერ ქმნის სათანადო ამინდს. ქართულ მედიაში ჭარბობს სტერეოტიპული მიდგომა ბავშვების მიმართ, რაც საკმაოდ რთული შედეგების მომტანია. ბავშვთა საკითხებს ჟურნალისტები განზოგადებული ფორმულებით აშუქებენ.

ქართულ მედიაში ხშირია იმგვარი სტატიები, სადაც არ არის მკაფიოდ გამიჯნული ფაქტი და კომენტარი, ფიგურირებს დაუზუსტებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია. ბავშვებზე საუბრისას ჟურნალისტები არ ერიდებიან განზოგადებას, რაც თავისთავად ხელს უწყობს სტერეოტიპებს. გარდა ამისა, ნაკლებად ხდება პრობლემის დეტალური გაანალიზება და ინფორმაციის გაშუქება რამდენიმე წყაროს საფუძველზე.

ხშირია ფაქტები, როდესაც ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ინფორმაციის სენსაციური კუთხით გაშუქება და ამ ბავშვების იდენტიფიცირება. ქუჩის ბავშვეის მიმართ კი ხშირად ისმის დისკრიმინაციული და სტერეოტიპული გამოთქმები.

კვლევის შედეგად შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შორისაც დიდი ადგილი უჭირავს ჟურნალისტებისთვის ბავშვთა საკითხების გაშუქების სასწავლო კურსის შემოღებასა და ტრენინგების ორგანიზებას.

შეფასება

ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელის ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების განხილვა და ძირითადი მომენტების იდენტიფიცირება საკუთარ პრაქტიკაში გამოყენებისთვის. რა ინფორმაციას აწვდის სახელმძღვანელო დღევანდელ პრაქტიკას?

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„ცილისწამება, სენტიმენტალობა თუ სიჩუმე? რას ეგუებიან ახალგაზრდები მედიაში“.
მაიკ ჯემფსონი, “MediaWise Trust”, 2003

„ბავშვები და მედია: გლობალური პრობლემა“
მაიკ ჯემფსონი, “MediaWise Trust”, 2003

„უთანასწორობა და ახალგაზრდების წარმოჩენა სტერეოტიპულად“
დოქტორი მორის დევლინი, NUI Maynooth, 2006

http://www.unicef.org/magic/users/resources.html

„ბავშვის უფლებები და მედია: ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები“, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, 1998:
http://www.ifj.org/default.asp?index=192&Language=EN

„ბავშვებისგან ინტერვიუს აღების სახელმძღვანელო მითითებების კომპილაცია“, ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი (CRIN) 2005:
http://www.crin.org/resources/infoDetail.asp?ID=5572

„გლოკალ იუთ“: www.glocalyouth.net

„გადავარჩინოთ ბავშვები“: http://www.savethechildren.org.uk/scuk/jsp/newhome.jsp?flash=true

„კარენტ ტივი“ (Current TV): http://uk.current.com/

მედიის მონიტორინგის პროექტი: http://www.mediamonitoring.org.za

„იუნისეფი“: „ბავშვების შესახებ საკითხების გაშუქების ეთიკური პრინციპები“:
http://www.unicef.org/media tools guidlines.html

„ბავშვებისგან ინტერვიუს აღება: სახელმძღვანელო ჟურნალისტებისა და სხვებისთვის“
“Save the Children”, 1998

„მედია და ბავშვის უფლებები“, „მედიაუაიზ“, 2005:
http://www.mediawise.org.uk/files/uploaded/The%20Media%20and%20Children%20Rights%202005.pdf

„ბავშვისგან ინტერვიუს აღების ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები“, ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი:
http://www.crin.com/resources/infoDetail.asp?ID=5572&flag=report

კვლევა „ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედია ეთიკა საქართველოში — სიტუაციური ანალიზი“ - http://www.unicef.org/georgia/resources_6521.html

---

6. ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო პრაქტიკა ბავშვების შეხედულებების გათვალისწინებით

ძირითადი შესასწავლი თემები

- „მსოფლიო ბავშვებისათვის“
- ეროვნული სამოქმედო გეგმები ბავშვებისათვის
- ბავშვების მონაწილეობა
- საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები
- ბავშვთა თვალსაზრისის გაგება: მაგალითები

გაეროს მიერ 2002 წლის მაისში ჩატარებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საგანგებო სესიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვებისა და, ზოგადად, ადამიანების განვითარებისთვის. ეს იყო გენერალური ასამბლეის პირველი საგანგებო სესია, რომელიც მიეძღვნა ბავშვებს და რომელზეც ისინი მოწვეულნი იქნენ ოფიციალურ დელეგატებად. სესიაზე თავი მოიყარეს 69 ქვეყნის ლიდერებმა; 190-მა ეროვნულმა დელეგატმა; არასამთავრობო ორგანიზაციების 1 700-ზე მეტმა წარმომადგენელმა; მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ხუთმა ლაურეატმა; სხვადასხვა ბიზნესის, რელიგიის, ხელოვნების მიმდინარეობის, სამეცნიერო და სამოქალაქო საზოგადოების უამრავმა წარმომადგენელმა და, პირველად გაეროს არსებობის ისტორიაში, 600-ზე მეტმა ბავშვმა, როგორც დელეგატმა და აქტიურმა მონაწილემ.

„მსოფლიო ბავშვებისათვის“

2002 წელს გამართულ საგანგებო სესიაზე, ისტორიაში პირველად, ახალგაზრდებმა უშუალოდ მიმართეს გენერალურ ასამბლეას და შესთავაზეს თავიანთი მოსაზრებები და შემოქმედებითი გადაწყვეტილებები. ბავშვების მონაწილეობამ გამოაცოცხლა შეხვედრა და გააჩინა მეტი მიზანმიმართულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებმა გაათვითცნობიერეს, რომ, იმისათვის, რომ შეცვალონ მსოფლიო ბავშვებისათვის, მათ მსოფლიოს შეცვლა ბავშვებთან ერთად მოუწევთ.

ამ ახალგაზრდების ენთუზიაზმით და ხედვით შთაგონებულმა გენერალურმა ასამბლეამ მიაღწია შეთანხმებას დოკუმენტთან „მსოფლიო ბავშვებისათვის“ დაკავშირებით — ეს არის დეტალური გეგმა, რომელიც ეხება ჯანსაღი ცხოვრების, ძირითადი განათლების უზრუნველყოფას, აივ/შიდს-ის დამარცხებას და ბავშვების დაცვას შეურაცხყოფის, ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან.

„იუნისეფის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის, კეროლ ბელამის, თქმით, „გაეროს არც ერთ სხდომაზე არ ყოფილა მოწვეული ამდენი ბავშვი და ახალგაზრდა ოფიციალური დელეგატის სახით... სწორედ მათი მონაწილეობა აქცევს საგანგებოდ საგანგებო სესიას“.

„მსოფლიო ბავშვებისათვის“ ადგენს მიზნებს, რომელთა შესრულების საფუძველზე გაიზომება პროგრესი 2015 წლისთვის გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევაში. იგი ასევე ადგენს მიზნებს კონკრეტულად ბავშვებისთვის:

„ბავშვებს, მათ შორის მოზარდებს, უნდა ჰქონდეთ თავიანთი უფლებების გამოყენების საშუალება იმისათვის, რომ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრები, ჩამოაყალიბონ საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა, შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც დაკავშირებული იქნება კონფლიქტების გადაჭრასთან, გადაწყვეტილების მიღებასა და ურთიერთობასთან, რაც მათ ცხოვრებაში გამოადგებათ. აუცილებელია ბავშვების, მათ შორის მოზარდების, აზრების თავისუფლად გამოხატვის უფლების პატივისცემა და ხელშეწყობა, ასევე აუცილებელია მათი შეხედულებების გათვალისწინება ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში – მათ აზრებს უნდა მიენიჭოს შესაბამისი მნიშვნელობა მათი ასაკის და სიმწიფის მიხედვით. აუცილებელია ბავშვების ენერგიულობის და შემოქმედებითობის ხელშეწყობა ისე, რომ მათ შეძლონ აქტიური მონაწილეობის მიღება მათი გარემოცვის, თემებისა და იმ მსოფლიოს ცხოვრებაში, რომელიც მათ მემკვიდრეობით უნდა მიიღონ.“

ეს სიტყვები და ბავშვების აქტიური მონაწილეობა გენერალურ ასამბლეაში ასახავს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლში მოცემულ იდეებს — ბავშვის შეხედულების და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას. ყოველ ბავშვს, რომელსაც აქვს საკუთარი აზრის ფორმულირების უნარი, აქვს ამ აზრების თავისუფლად გამოხატვის უფლება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ მოქმედებს მის ცხოვრებაზე.

ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმები

გაეროს ბავშვებთან დაკავშირებული საგანგებო სესიის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო სტრატეგიაში ბავშვების ჩართვის საკითხი. პრიორიტეტული რეაგირებისათვის დაადგინეს ბავშვების წინაშე არსებული ოთხი ძირითადი საკითხი: ჯანმრთელობა, განათლება, დაცვა ძალადობისგან, შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციისგან და აივ/შიდს-ი.

გლობალური სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით მსოფლიოს მთავრობები შეთანხმდნენ, მოემზადებინათ ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმები 2003 წლის ბოლოსთვის. ეს სამოქმედო გეგმები განმარტავს, როგორ იმუშავებს თითოეული მთავრობა გლობალური სამოქმედო გეგმის მიზნების და ამოცანების შესრულებისთვის საკუთარ ქვეყნებში.

საგანგებო სესიამ ყველას დაანახვა, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ ბავშვებსა და მოზარდებს მათზე მოქმედი საკითხების გადაწყვეტაში და რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიმღებებისთვის ბავშვებთან კონსულტირებას და მათ მოსმენას. მთელი მსოფლიოს ბავშვებში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა სესიის შემდგომ პროცესებში მათი ჩართვის გამო. ბავშვებმა და მოზარდებმა მკაფიოდ გამოხატეს, რომ მათ სურდათ, მიზანმიმართულად ყოფილიყვნენ ჩართული ქვეყნის ეროვნული სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში.

ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ 14 ქვეყნის 4 500 ბავშვს ჰკითხა, თუ რატომ უნდათ ამ პროცესში მონაწილეობა. ქვემოთ ჩამოთვლილია მათ მიერ დასახელებული მთავარი მიზეზები:

- ისინი თავად წარმოადგენენ აღნიშნული გეგმების უშუალო მიზანს და ყველაზე მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირებს;

- მათ ყველაზე კარგად იციან ბავშვების მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, შეუძლიათ დაეხმარონ მთავრობებს ბავშვების პრობლემების უკეთ გაგებაში;
- ყველა ბავშვი არ არის ერთნაირი, მთავრობებმა უნდა იცოდნენ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფების აზრები;
- მათ აქვთ უფლება, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მათ ეხება (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი);
- ბავშვებს და მოზარდებს შეუძლიათ (და აქვთ ამის სურვილი) გარკვეული როლის შესრულება გეგმის განხორციელებაში;
- მათი მონაწილეობის შედეგად სამოქმედო გეგმა უფრო ეფექტიანი და ქმედუნარიანი გახდება;
- გეგმა ხელს უწყობს დემოკრატიის მშენებლობას და წარმოშობს ბავშვებში პასუხისმგებლობას საკუთარი სიცოცხლის, თემების და საზოგადოების მიმართ;
- მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ პროცესში.

გლობალურ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მთავრობები შეთანხმდნენ შემდეგზე: „ჩვენ პატივი უნდა ვცეთ [ბავშვების და მოზარდების] უფლებას, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და აზრი და მონაწილეობა მიიღონ მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხში მათი ასაკის და სიმწიფის მიხედვით. ვინაიდან ეროვნული სამოქმედო გეგმები იქმნება ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესების და მათი უფლებების განხორციელების რეალობად ქცევის მიზნით, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად ბავშვების და მოზარდების მონაწილეობას ამ გეგმების შემუშავებაში. ბავშვები მთავარი დაინტერესებული პირები არიან და აუცილებელია მათი მოსმენა იმისათვის, რომ დაისახოს სწორი მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო გზები“.

ბავშვების მონაწილეობა

გაეროს გენერალური ასამბლეის 2002 წელს გამართულმა სესიამ და სახელმწიფო დონეზე ეროვნული სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბების პროცესმა დაანახვა საზოგადოებას, თუ რა ენთუზიაზმით შეხვდნენ ბავშვები მონაწილეობას მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. მათი მონაწილეობის შედეგად ბავშვებში იზრდება თანამონაწილეობისა და ბავშვების ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან დაფასების გრძნობა.

მონაწილეობა არ არის მარტივი; მას სჭირდება ლიდერები ეროვნულ, ადგილობრივ და საორგანიზაციო დონეებზე. კერძოდ, საჭიროა ძლიერი ლიდერი ორგანიზაციებში ბავშვების და ახალგაზრდების რეალური და აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობის ინიცირებისა და გაფართოებისათვის.

ორგანიზაციების მზადყოფნასა და ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვის სურვილზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, კულტურული ფასეულობები, რესურსების საკითხები, უფროსების აზრი ბავშვთა შეხედულებების მნიშვნელობის შესახებ, ორგანიზაციაში არსებული შესაძლებლობები და თვით ბავშვებისა და ახალგაზრდების მზადყოფნა მონაწილეობისთვის.

ბავშვებს და ახალგაზრდებს მონაწილეობისთვის სჭირდებათ ინფორმაცია, უნარები და

საკუთარი თავის რწმენა. მონაწილეობისათვის აუცილებელი ამ უნარების ჩამოყალიბება ოჯახში იწყება. ოჯახებს შეუძლიათ ბავშვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიანიჭონ ამის საშუალება მათთვის არჩევანის შეთავაზების, მათი მოქმედებების და გადაწყვეტილებების შედეგების განმარტების და მათი აზრების პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბების გზით.

ოჯახის შემდეგ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში არსებულ გარემოს და კულტურას, რომლის ხელშეწყობითაც ბავშვებს შეუძლიათ შეიძინონ აქტიური მონაწილეობის და მოქალაქეობის ჩვევები, უნარები და პასუხისმგებლობა. ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა უდიდეს დროს ატარებს სასწავლო დაწესებულებებში, აღნიშნული დაწესებულებები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ბავშვებთან.

სკოლებში სპეციალური ტრენინგი უნდა გაიარონ მასწავლებლებმა და სკოლის თანამშრომლებმა, რომლის დახმარებითაც ისინი შეძლებენ სასკოლო საბჭოების მუშაობის და ბავშვების მონაწილეობის ხელშეწყობას. სკოლებს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა განათლების პროცესში ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობაში, სადაც აქტიური მონაწილეები ბავშვები არიან.

თემის დონეზე ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის კონსულტაციების გამართვა, რომელთა საფუძველზე ბავშვები შეძლებენ საკუთარი ადგილობრივი საბჭოს არჩევას, რომელიც, თავის მხრივ, შეძლებს მონაწილეობას და ინტეგრირებას უფროსების საქმიანობაში.

საზოგადოებაში ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი როლიდან გამომდინარე ყალიბდება მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ინტერნეტის გამოყენებას, ხოლო მობილურ ტელეფონებს კიდევ უფრო მეტად შეუძლია მონაწილეობის ხელშეწყობა. ინტერნეტის მსოფლიო ქსელი სულ უფრო ფართოვდება და ქმნის მსოფლიოს ხალხების ფორუმს, სადაც ბავშვებს და ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებებისა და გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის და თავისი წვლილის შეტანა სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებაში სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე.

მონაწილეობით მიღებული სარგებლობა

გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობას პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. ისინი იძენენ ისეთ უნარებს, როგორიც არის გუნდური მუშაობა, მოლაპარაკების წარმოება, პრობლემების მოგვარება და ზემოქმედება. ისინი სწავლობენ, როგორ ყალიბდება პოლიტიკა და როგორ მუშაობენ ორგანიზაციები. ისინი სწავლობენ მუშაობას უფროსებთან, როგორც პარტნიორებთან, და სწორედ ასეთი მონაწილეობა ზრდის მათში საკუთარი თავის რწმენას და საკუთარი თავის პატივისცემას.

მონაწილეობის შესაძლებლობას პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეუძლია მარგინალიზებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც განიცდიან ან გარიყულნი არიან საზოგადოებისგან, თავისი თემის კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ბავშვებს და ახალგაზრდებს თავიანთი უნიკალური პერსპექტივების და გამოცდილების შემოთავაზება შეუძლიათ ისეთ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. თუ მოვუსმენთ ბავშვების აზრს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიქმნას, წარდგეს, შეფასდეს, შემოწმდეს და გაუმჯობესდეს პოლიტიკა და მომსახურებები, უზრუნველყოფილი იქნება ამ პოლიტიკის თუ მომსახურების შესაბამისობა მათ საჭიროებებთან და დაუკმაყოფილებელი საჭიროებების აღიარება.

როცა ბავშვები და ახალგაზრდები მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ისინი უფროსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პასიური მიმღებებიდან იქცევიან „უფლებამოსილ“ პირებად, რომლებსაც ძალუძთ საკუთარი და საზოგადოების ცხოვრების შეცვლა. „მოპოვებული ინფორმაციისა და წარმომადგენელთა შეხედულებების მიღების გარდა, თვით პროცესი წევრებს აძლევს საკითხების განხილვის და მომზადების საშუალებას და, ასევე, მოსალოდნელს ხდის მათ მონაწილეობას ცვლილებების განხორციელებაში და განამტკიცებს მათში საკუთარი თავისადმი, როგორც მოქალაქისადმი, რწმენას“ (*„უსმინეთ ახალგაზრდა ხმებს“*, მაქოლეი და ბრატმანი, „ბავშვთა უფლებების ალიანსი“, 2002).

პერსპექტივები ბავშვებისთვის: მაგალითები

ბავშვთა ომბუდსმენი

ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა შემოიღეს ბავშვთა ომბუდსმენის თანამდებობა, მათ შორის ავსტრიამ, ბელგიამ, ხორვატიამ, დანიამ, ფინეთმა, ისლანდიამ, ირლანდიამ, ნორვეგიამ, შვედეთმა და ესპანეთმა.

კონკრეტული მაგალითი: ირლანდია

ირლანდიაში ბავშვთა ომბუდსმენის დანიშვნის პროცესში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის მართვა ბავშვთა სახელმწიფო ოფისმა იკისრა, რომელმაც ირლანდიურ პროცესებში ჩართო სხვა ქვეყნების გამოცდილება და რეკომენდაციები. 64-მა ახალგაზრდამ 9-დან 17 წლამდე მონაწილეობა მიიღო ომბუდსმენის შერჩევის და მასთან გასაუბრების პროცესში. მათ ასევე მიიღეს მონაწილეობა ახალგაზრდების საკონსულტაციო კომისიის შექმნაში, რომლის სამუშაოა ბავშვთა ომბუდსმენისთვის კონსულტაციის მიწოდება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია თანამედროვე ახალგაზრდა ირლანდიელებზე. ოფისთან რეგულარულ შეხვედრებზე ისინი ატყობინებენ ომბუდსმენს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს და უყვებიან, თუ როგორ ისურვებდნენ მათ მოგვარებას.

ომბუდსმენის ოფისი ყურადღებას აქცევს ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებას და გაუმჯობესებას, რომლებიც ბავშვებს და ახალგაზრდებს მისცემს მონაწილეობის საშუალებას (როგორიცაა Dail na nOg — ახალგაზრდების პარლამენტი და Comhairle na nOg – ახალგაზრდების საბჭო). იგი ასევე ახორციელებს მონაწილეობასთან დაკავშირებულ პროექტებს სახელმწიფო ორგანოებთან, ხელისუფლების დეპარტამენტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტები იყო საკმაოდ ფართო და მოიცავდა თანამშრომლობას მრავალ დაინტერესებულ

მხარესთან. სამუშაოს მაგალითებია:

- კონსულტაციები ახალგაზრდებთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სექსუალური აქტივობის ასაკის განსაზღვრისას;
- მუშაობა ირლანდიის სამაუწყებლო კომისიასთან ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვის საკითხებზე იმ სახელმწიფო პროცესებში, რომლებიც ეხება ბავშვების საკითხებს სარეკლამო კოდექსში;
- *„ახალგაზრდობის ხმების"* შექმნა: *სახელმძღვანელო პრინციპები იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვების და ახალგაზრდების ჩართვა მუშაობაში,* ირლანდიის ახალგაზრდობის სახელმწიფო საბჭოსთან და ბავშვთა უფლებების ალიანსთან თანამშრომლობის საფუძველზე;
- ბავშვების და ახალგაზრდების ჩართვა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებათა დაგეგმვაში.

ბავშვთა პარლამენტები

ახალგაზრდების პარლამენტები არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას მომავლის შენებაში.

„ოქსფამ ინტერნეიშენალის" (Oxfam International) ახალგაზრდული პარლამენტი წარმოადგენს „Oxfam International"-ის ინიციატივას. „Oxfam International"-ის ახალგაზრდული პარლამენტი მობილიზებას უწევს ახალგაზრდა ლიდერებსა და აქტივისტებს პოზიტიური და მდგრადი ცვლილებების შეტანის საკითხებში თანამშრომლობისთვის. იგი ახერხებს ამას ახალგაზრდობის ინიციატივების მხარდაჭერით, შესაძლებლობათა განვითარების პროგრამების დახმარებით და ახალგაზრდების თანადგომით მათი და მათი თემების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში. „ოქსფამ ინტერნეიშენალის" ახალგაზრდული პარლამენტი მხარს უჭერს ახალგაზრდებს, როგორც ლიდერებს, ცვლილებების შემოტანის მიზნით დადებითი, მდგრადი, ინოვაციური და თემზე ორიენტირებული ინიციატივების განხორციელებაში.

კონკრეტული მაგალითი: ახალგაზრდული საბჭო, საფრანგეთი
ახალგაზრდული საბჭოები საფრანგეთში 1970-იანი წლებიდან მუშაობს. ამჟამად მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. მათი ფუნქციაა ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების შეტყობინება ადგილობრივი თემებისთვის. 1991 წელს დაარსდა ბავშვებისა და ახალგაზრდების საქალაქო საბჭოების ეროვნული ასოციაცია. მის პირველ შეხვედრას 700 ახალგაზრდა და 400 ზრდასრული დაესწრო; შემდგომ შეხვედრებს ესწრებოდნენ მინისტრები.

ახალგაზრდული საბჭოების მიღწევები მნიშვნელოვანია — სქეიტბორდის ფერდობების აგება, მოედნების მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, მულტფილმების ვიდეოთეკა, გაუმჯობესებული სატრანსპორტო საშუალებები, სოციალური ღონისძიებები, ქალაქის რუკების შექმნა ბრაილის სისტემით, ვიდეოფირების გადაღება, სადაც ასახულია ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემები მათ მშობლიურ ქალაქებში.

ახალგაზრდული საბჭოების რაოდენობა და მათი არსებობის ხანგრძლივობა გვიჩვენებს, თუ რა სერიოზულად განიხილება ამგვარი ორგანოები საფრანგეთში. მათი ეფექტიანობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პოლიტიკური ვალდებულებები მათ მიმართ როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეებზე. ისინი სერიოზულად განიხილება როგორც ადგილობრივ საზოგადოებაში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი როლის შესრულების ეფექტიანი საშუალება.

ახალგაზრდების ევროპული ფორუმი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ეროვნული საბჭოებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ევროპის ყველა კუთხის ახალგაზრდების ინტერესების გამოხატვის მიზნით. ფორუმი სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს მონაწილეობისთვის ევროპისა და იმ საზოგადოებების მოწყობაში, სადაც ისინი ცხოვრობენ. იგი წარმოადგენს ახალგაზრდების ორგანიზაციებს საერთაშორისო დაწესებულებებში — უმთავრესად ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და გაეროში. მათი საშუალებით იმართება ინფორმაციის ნაკადი ახალგაზრდებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის.

ფორუმში გაერთიანებულია 93 წევრი ახალგაზრდული ეროვნული საბჭოებიდან და ახალგაზრდების საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ფორუმი აერთიანებს ათობით მილიონ ახალგაზრდას ევროპის ყველა ქვეყნიდან.

ახალგაზრდების პარლამენტი წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს ინიციატივას, რომელიც შეიქმნა ახალგაზრდების დასახმარებლად მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე ხმის უფლების მოპოვებაში. ორგანიზაცია შეიქმნა ბირმინჰემში ფორუმის სახით, სადაც ახალგაზრდებს შეეძლოთ შეხვედრა ერთმანეთთან სხვადასხვა საკითხის განსახილველად და ისეთი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ქალაქს ახალგაზრდებისთვის უკეთეს ადგილად გადააქცევდა. ამჟამად ახალგაზრდების პარლამენტი რეგიონის საბაზისო ორგანიზაციაა, იგი ასევე ახორციელებს სახელმწიფო და საერთაშორისო ღონისძიებებს და აკავშირებს ერთმანეთთან ახალგაზრდებს.

კონკრეტული მაგალითი: ბავშვთა პარლამენტი სლოვენიაში

სლოვენიაში 1990 წელს საპარლამენტო დემოკრატიის შემოღებასთან ერთად შეიქმნა ბავშვთა პარლამენტი. ყოველ წელს ბავშვებს სკოლაში ეძლევათ რაიმე ერთი თემა და მისი სიღრმისეულად შესწავლის საშუალება. 13-15 წლის 100-ზე მეტ ახალგაზრდას თავის სკოლებში ირჩევენ სლოვენიის პარლამენტში შესწავლილი საკითხების განსახილველად შეხვედრისთვის. შეხვედრის ბოლოსთვის ისინი ირჩევენ თემას მომავალი წლისთვის. პირველი წლის საკითხს წარმოადგენდა „უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო“.

ბავშვთა პარლამენტის მეორე შეხვედრისთვის სურათი ძირფესვიანად შეიცვალა. სლოვენიაში, ხორვატიასა და ბოსნიაში ომი დაიწყო. ახალგაზრდები პარლამენტს იყენებდნენ მომავალთან დაკავშირებით საკუთარი აზრების გამოსახატავად და ხმამაღლა აცხადებდნენ თავიანთ შენიშვნებს პოლიტიკოსების მიმართ, რომლებმაც ვერ შეძლეს ქმედითი მთავრობის შექმნა. ისინი გამოხატავდნენ რისხვას, შიშსა და ღალატის შეგრძნებას ომთან დაკავშირებით, დაუცველობის გრძნობას, სკოლაში სიარულის შეუძლებლობას. პოლიტიკოსები იძულებული იყვნენ, მათთვის მოესმინათ. მათ პარლამენტში საბოლოოდ წარმოადგინეს ანგარიში სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო წინა პარლამენტის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები.

მართალია, ანგარიში მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულად შესრულებულ საკითხს მოიცავდა, მაგრამ იგი უჩვენებდა ბავშვებს, რომ მათი აზრები სერიოზულად განიხილება. პარლამენტის მესამე სხდომა ფოკუსირებული იყო ბავშვებისთვის მეგობრული გარემოს მქონე სკოლის შექმნაზე. წინა წლებისგან განსხვავებით, ყურადღება გამახვილებული იყო გაუმჯობესებაზე და არა კრიტიკაზე.

არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, რომ პარლამენტი არ იყო უბრალოდ სიმბოლური ჟესტი, იყო ის, რომ პოლიტიკოსებმა უჩვენეს ყველას, რომ მათ სურდათ ბავშვების მოსმენა, მათი წინადადებებისა და მათ მიერ წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება და პრაქტიკულად მოქმედება, როდესაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, პროცესმა ყველას დაანახვა, რომ ბავშვებს შეუძლიათ საკუთარ თავში დემოკრატიული პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

მონაწილეობისთვის არსებული ბარიერები

მიუხედავად კარგი მაგალითებისა, ბავშვების და ახალგაზრდების ხმების მნიშვნელობის გათვითცნობიერება და მათთან პრაქტიკული მუშაობა ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაშია. სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციები ბავშვებთან და ახალგაზრდებთან კვლავაც ახალ და ბოლომდე გაურკვეველ კონცეფციად რჩება. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების ხმები სტრუქტურულად ჩაირთოს სამოქალაქო საზოგადოების გადაწყვეტილებებში.

გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღებისას ახალგაზრდების მხარდაჭერა უფროსებისთვის რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა, თუმცა ჯერ კიდევ ცოტა

მათგანი თუ გადის შესაბამის ტრენინგს. უფროსების (მათ შორის მშობლების) უარყოფითი დამოკიდებულება ახალგაზრდების მონაწილეობის მიმართ ბარიერს ქმნის.
მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ებმებიან მონაწილეობაზე დაფუძნებულ პროექტებში, შეფასების შედეგები გვიჩვენებს, რომ მათი გავლენა სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა ეს მაჩვენებელი განსხვავდება კონტექსტების და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების მიხედვით.

კიდევ კარგა ხანი გავა, ვიდრე ბავშვების მოსმენის კულტურა მათთან დაკავშირებული საკითხების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ნაწილი გახდება. იმისათვის, რომ დაცული იყოს ბავშვების უფლება, მოისმინონ მათი აზრი, უფროსებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ და გაითვალისწინონ მათი შეხედულებები.

შეფასება

განიხილეთ თქვენს ქვეყანაში ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის სტატუსი და მის შემუშავებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

ბავშვებთან შეხვედრის ოფიციალური ანგარიში: ბავშვების საკითხებზე მომუშავე ომბუდსმენების ევროპული ქსელი, 17/11/2003:
http://www.ombudsmet.org/Organisations/vieworg.asp?id=2872&fromEnoc=e

გაეროს ბავშვებთან დაკავშირებულ საგანგებო სესიაზე ბავშვების მონაწილეობის შედეგად მიღებული 12 გაკვეთილი, „Save the Children“, 2004:
http://www.savethechildren.ca/whatwedo/rights/12lessons stc.pdf

ირლანდიის ობმუდსმენის ოფისი, 2005-2006 წლის წლიური ანგარიში
http://www.oco.ie/whatsNew/annual reports.aspx

მსოფლიო მოძრაობა ბავშვებისთვის:
http://www.gmfc.org/index.php/gmc6/homepage

ბავშვების ჩართვა ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში: საერთო მითითებები მთავრობებისთვის; 2002, „Save the Children“: www.crin.org/resources/infoDetail.asp?ID=3145

„შეიძლება საოცრების გაზომვა: სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შეფასება და კვლევა“; პერპეტუა ქირბი, კარნეგის ახალგაზრდათა ინიციატივა:
http://cypi.carnegieuktrust.org.uk/files/2643 MeasuretheMagic 001.pdf

---

თავი 2: ბავშვის უფლებები და პროფესიული ჟურნალისტური პრაქტიკა

1. ქცევის კოდექსები და სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები

ძირითადი შესასწავლი თემები

- რა საჭიროა ქცევის კოდექსები?
- კოდექსები დეტალური და ნორმატიული უნდა იყოს თუ ზოგად პრინციპებს მოიცავდეს?
- ქცევის კოდექსები და მოვალეობა
- ქცევის კოდექსები და პრესის თავისუფლება
- პასუხისმგებლობის და თავისუფლების შედარება

ქცევის კოდექსები იმ წესების კრებულებია, რომლებითაც იმართება ქცევა და სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბებული ჟურნალისტური ქცევის კოდექსები ეხმიანება პროფესიონალი ჟურნალისტების წინაშე წამოჭრილ სირთულეებს. ეს პრინციპები ჟურნალისტებისთვის უფრო ფართოდ ცნობილია პროფესიული *ეთიკის კოდექსის, ქცევის კოდექსის* ან *ჟურნალისტიკის კანონების* სახელით. ძირითად კოდექსებს, ჩვეულებრივ, ადგენენ ჟურნალისტთა პროფესიული ასოციაციები და, აგრეთვე, ინდივიდუალური საგამომცემლო, სამაუწყებლო და ინტერნეტ-ახალი ამბების ორგანიზაციები.

თუმცა კოდექსებში შეინიშნება გარკვეული განსხვავება. ძირითადად, მათში მოცემულია ისეთი საერთო ელემენტები, როგორებიცაა ჭეშმარიტების პრინციპები, სიზუსტე, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე ფასეული ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოყენებული საინფორმაციო წყაროების ანონიმურობის დაცვასა და ამგვარი ინფორმაციის საზოგადოებისთვის შეტყობინებაზე.

მრავალი სხვა ეთიკური სისტემის მსგავსად, ჟურნალისტური ეთიკა მოიცავს „ზიანის შეზღუდვის“ პრინციპს. ეს ხშირად ნიშნავს ისეთი დეტალების დაფარვას საზოგადოებისგან, როგორებიცაა ბავშვების ვინაობა, გაუპატიურების მსხვერპლთა ვინაობა, ინფორმაცია, რომელსაც არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი კავშირი კონკრეტულ ამბავთან (რომლის გამჟღავნებას, მაგალითად, შეუძლია ვინმესთვის ზიანის მიყენება) და, ასევე, თვითმკვლელობის დროს გამოყენებული მეთოდები.

ჟურნალისტიკის კოდექსების განვითარება

ჟურნალისტიკის აღიარებული პრინციპების მიზანია საზოგადოებისთვის უმაღლესი ხარისხის ამბების მიწოდება, ინფორმაციის გავრცელების მისიის განხორციელება სახელმწიფო ინტერესთა მომსახურების მიზნით. თუ რას ნიშნავს „სახელმწიფო ინტერესი“, დღემდე დებატების საგანია. იგი შეიძლება ეხებოდეს „საერთო“ ან „ზოგად“ კეთილდღეობას.

გაერთიანებული სამეფოს და ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნულმა კავშირმა

ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი „სახელმწიფო ინტერესების“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით:

- სერიოზული დანაშაულის ან სამართალდარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება;
- საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;
- რომელიმე ინდივიდის ან ორგანიზაციის რაიმე განცხადების საშუალებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილება;
- სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ან კორუფციის სხვა ფორმების გამომჟღავნება;
- ხელისუფლებისა და ზეგავლენის მქონე ჯგუფებს შორის ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის გამოაშკარავება;
- კორპორაციული ანგარების გამოვლენა;
- ფარისევლური ქცევის გამომჟღავნება მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ჟურნალისტური კოდექსები წარმოიქმნა ჟურნალისტების ძველ ეთიკურ შეცდომებზე დაკვირვების და მათზე რეაგირების საფუძველზე. დღეს დასაქმების ზოგიერთი პირობა სავალდებულოდ აცხადებს ამგვარი კოდექსების დაცვას, როგორც თანამშრომლების, ასევე შტატგარეშე ჟურნალისტებისთვის; ჟურნალისტები შეიძლება დაითხოვონ სამუშაო ადგილებიდან ეთიკური კოდექსის დარღვევის გამო. ჟურნალისტები ძალიან ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე, რომ, თუ არ სურთ სამსახურის დაკარგვა, საკუთარი ეთიკური შეხედულების საწინააღმდეგოდ მოუწევთ მოქმედება.

მსოფლიოში ქცევის პირველი კოდექსი 1936 წელს გამოსცა გაერთიანებული სამეფოს და ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნულმა კავშირმა, როგორც დამქირავებელმა ორგანომ. კოდექსების ფორმულირება ხშირად წარმოადგენდა ჟურნალისტების გამოხმაურებას საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო მედიასაშუალებათა საკუთრებასთან და საკუთრების კონცენტრაციასთან.

ჟურნალისტური ეთიკის კოდექსები შექმნილია გზის გასაკვლევად სხვადასხვა ისეთ სირთულეებში, როგორებიცაა ინტერესთა კონფლიქტი ან ჟურნალისტების დახმარება ეთიკურ დილემებთან დაკავშირებით. კოდექსები ჟურნალისტებს აძლევს სისტემას თვითმონიტორინგისა და საკუთარი საქციელის ცვლილებისთვის. პროფესიული სტანდარტების დაცვა ასევე ზრდის ახალი ამბების სააგენტოების რეპუტაციას და ნდობას მათ მიმართ, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათი მკითხველებისა თუ აუდიტორიის მოცულობას. ახალი ამბების იმ ორგანიზაციებში, რომლებმაც მიიღეს ჟურნალისტური ეთიკის ზოგადი სტანდარტები და ცდილობენ მათ დაცვას, შეიძლება სხვადასხვა იყო მათი მუშაობის და აღნიშნული სტანდარტების დაცვის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ახალი ამბების სააგენტოს სამ უპირველეს აქტივს წარმოადგენს პროფესიონალიზმი, სანდოობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. ორგანიზაცია მაღალ რეპუტაციას მოიპოვებს და ინარჩუნებს, ნაწილობრივ, ეთიკური სტანდარტების მუდმივი დაცვით, რაც ზეგავლენას ახდენს მის მდგომარეობაზე საზოგადოებაში და დარგში.

ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე ინგლისურენოვან გამოცემებსა და მაუწყებლობებს შორისაა: ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია (BBC), კანადის სამაუწყებლო კორპორაცია (CBC), გაზეთი *„გარდიანი“ (Guardian)* (რომელსაც ჰყავს მკითხველთა წარმომადგენელი); აშშ-ში *„უოშინგტონ პოსტი“ (Washington Post), „ნიუ იორკ ტაიმსი“*

(New York Times)", „უოლ სტრიტ ჯორნელი" (Wall Street Journal), ახალი ამბების საკაბელო არხი (CNN), ეროვნული საზოგადოებრივი რადიო (NPR) და სახელმწიფო მაუწყებლობის სამსახური (PBS). ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების უმეტესობას აქვს საკუთარი სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები.

პრესის თავისუფლება

კოდექსები შემუშავებული აქვთ იმ ქვეყნების ახალი ამბების ორგანიზაციებს, სადაც პრესას მინიჭებული აქვს თავისუფლება. ზოგიერთ ქვეყანაში ერთზე მეტი კოდექსი არსებობს. ჩვეულებრივ, გაზეთებსა და მაუწყებლობებს განსხვავებული კოდექსები აქვთ და ისინი განსხვავებულ იურიდიულ ბაზას ასახავს. მაუწყებლობათა ჟურნალისტები უფრო რეგულირებულ გარემოში მუშაობენ.

განვითარებულ ქვეყნებში პრესის თავისუფლება გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრის წერილობით ან მისთვის სასურველი სხვა ფორმით გამოხატვის უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ნათქვამია:

„ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა".

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეამოწმეს პრესის თავისუფლების დონე მსოფლიოში. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", რომლის საქმიანობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ზემოხსენებულ მუხლს ეყრდნობა, ჩამოაყალიბა მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი, რომლის გამოყენებითაც იგი ითვლის რომელიმე ქვეყანაში მოკლული, ჟურნალისტთა რიგებიდან გარიცხული ან შეურაცხყოფილი ჟურნალისტების რაოდენობას, სახელმწიფო მონოპოლიის არსებობას ტელევიზიასა თუ რადიოში და ცენზურის ან თვითცენზურის დონეს მედიაში. იგი ასევე აფასებს მედიის საერთო დამოუკიდებლობას და იმ სირთულეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უცხოელი ჟურნალისტების წინაშე. ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ინფორმაციით, მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, სადაც პრესა არ არის თავისუფალი (ქვეყნების კლასიფიცირება მოცემულია ინტერნეტში მისამართზე http://www.rsf.org/). იმ სხვა ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მონიტორინგს უწევენ პრესის თავისუფლებას, არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია.

პრესის დამოუკიდებლობის ცნება მჭიდროდ უკავშირდება პრესის თავისუფლების ცნებას. იმისათვის, რომ მედიამ კარგად იმუშაოს დემოკრატიის პირობებში, აუცილებელია მისი თავისუფლება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ზეწოლისაგან.

ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის თემას აშშ-ში ყველაზე ხმამაღლა განიხილავს პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოება. მისი ეთიკის კოდექსის პრეამბულაში ნათქვამია:

„...საზოგადოების განათლება წინ უძღვის სამართლიანობას და დემოკრატიის

საფუძველს წარმოადგენს. ჟურნალისტის მოვალეობაა აღნიშნულისკენ სწრაფვა სიმართლის გზით და მოვლენებისა და საკითხების სამართლიანი და ყოვლისმომცველი გაშუქება. მედიის ნებისმიერი ფორმის და სფეროს სამართლიანი ჟურნალისტები ცდილობენ, უმწიკვლოდ და გულწრფელად ემსახურონ საზოგადოებას. ჟურნალისტისადმი ნდობის საფუძველს პროფესიული წესიერება და თანმიმდევრულობა წარმოადგენს."

ეს ეხმაურება ამერიკის კონსტიტუციას, სადაც სიტყვის თავისუფლება დაცულია კანონით, ხოლო ცნობილი პირველი შესწორება აცხადებს, რომ „კონგრესი არ მიიღებს რაიმე იმგვარ კანონს, რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას..."

ახალი რესპუბლიკის მიერ გამოცხადებულ არც ერთ დოქტრინას არ გამოუწვევია ასეთი დიდი გამოხმაურება მსოფლიოში, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის დეკლარაციას. თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოს შეიძლება საკუთარი მიზეზი ჰქონდეს ჟურნალისტების ქცევის შეზღუდვისთვის – მაგალითად, ჟურნალისტებისთვის სამუშაო ლიცენზიის გაცემისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მთავრობის სურვილების მიხედვით მოქმედებენ. ამგვარი დამოკიდებულება მიუღებელი უნდა იყოს ჟურნალისტისთვის, რომელიც აფასებს საკუთარ დამოუკიდებლობას და საკუთარ თავს განიხილავს როგორც საზოგადოების თვალებს და ყურებს და არა როგორც მარიონეტს ელიტის ხელში.

მთავრობებს ხშირად „მედიის არასწორი მოქმედება" მოჰყავთ მიზეზად იმისთვის, რომ გაამართლონ მათთვის დაწესებული შეზღუდვები. აი, რატომ არის მნიშვნელოვანი ჟურნალისტიკისთვის თვითრეგულირება ისეთი სისტემით, რომელიც იქნება გამჭვირვალე და ზოგადად მიღებული მედიის სფეროში.

მედიის რეგულირება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუმცა ასევე ხშირია სრულიად საწინააღმდეგო აზრებიც. ზოგიერთი გამონაკლისით, წინააღმდეგობის კონცენტრირება ხდება არა იმ სტანდარტებზე, რომლებისკენაც უნდა მიისწრაფოდეს მედია დემოკრატიულ გარემოში, არამედ *თვითრეგულირების* და *კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირების* ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებზე.

მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს პრესის საბჭოს ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ჟურნალისტებისა და რედაქტორებისათვის მთელ რიგ სტანდარტებს, მათ შორის სიზუსტეს, პირადი ცხოვრების პატივისცემის ზოგიერთ ფორმას, დაცვას ბავშვებისა და დაუცველი პირებისთვის, მაგრამ არა – სამართლიანობას ან მიუკერძოებლობას. თუმცა ეს კოდექსი არ არის კანონის ძალით სავალდებულო. პრესის საბჭომ შეადგინა იგი საკანონმდებლო რეგულირების შესაფერხებლად გარკვეული ხარისხის თვითრეგულირების დაწესებით. ქცევის კოდექსს ზურგს უმაგრებს საჩივრების პროცედურა და არა ჟურნალისტებისა და რედაქტორების ქცევის ყოველდღიური დისციპლინა. მისი განმტკიცების რეჟიმი სელექციური და რეტროსპექტიულია: პრესის საჩივრების კომისია, რომელიც შედგება გაზეთის რედაქტორებისა და არაპროფესიონალი წევრებისგან, შეისწავლის საჩივარებს კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით და გამოაქვს სათანადო გადაწყვეტილებები.

კოდექსები, რომლებიც შექმნილია ჟურნალისტური ორგანიზაციების, პროფკავშირების,

პრესის საბჭოების ან „ბი-ბი-სი“-ს მსგავსი ორგანიზაციების მიერ და უზრუნველყოფს სახელმძღვანელო პრინციპებს და ხელმძღვანელობას, შეიძლება შევადაროთ ისეთ კოდექსებს, რომლებიც იძლევა მითითებებს და ასრულებს მარეგულირებელი წესების ფუნქციას, როგორებიცაა პრესის საბჭოების კოდექსები სკანდინავიის ქვეყნებში.

არსებობს წინააღმდეგობა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ყველა ტიპის კოდექსებს პრესის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევენ და რომლებიც კოდექსებში ხედავენ დახმარებას პასუხისმგებლობით აღსავსე ჟურნალისტიკისათვის. ეს უკანასკნელი შეხედულება, ძირითადად, ახასიათებს ევროპულ ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო ამერიკელი ჟურნალისტებისთვის არის დამახასიათებელი, რომელთა ტრადიცია გამომდინარეობს აშშ-ის კონსტიტუციის ზემოთ მოყვანილი პირველი შესწორებიდან.

რას უნდა მოიცავდეს კოდექსი?

მიუხედავად იმისა, ზედმეტად დაწვრილებითია თუ არა მითითებების შემცველი კოდექსი, იგი შეიძლება მოიცავდეს სიტყვის თავისუფლებას და ჟურნალისტურ გამოძიებას. მაგრამ კოდექსი, იქნება ეს მხოლოდ მისი მონახაზი თუ დაწვრილებითი ტექსტი, შეიძლება იმდენ საშუალებას შეიცავდეს ინტერპრეტაციისთვის, რომ თითქმის შეუძლებელი გახდეს მისი ამოქმედება.

ეფექტიანობისთვის კოდექსში მოცემული უნდა იყოს ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც სურთ ჟურნალისტებს საკუთარი შრომისა თუ ქცევის შეფასება. მაგალითად, მართალია, ჟურნალისტებს აქვთ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მათი მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა მათი პირადი შეხედულებების წარმოჩენა და ისეთი ინფორმაციის უგულებელყოფა, რომელსაც ისინი არ ეთანხმებიან. ახალი ამბების კომენტირება და ანალიზი კანონიერი და სასურველი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ხდება აზრების გაზიარება, თუმცა განსხვავება უნდა გაკეთდეს ახალ ამბებსა და ინფორმაციას და კომენტარსა თუ ანალიზს შორის.

რეგულირების ნებისმიერი ფორმა უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების სისტემას. ამ სისტემის არსებითი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ „წესები“ ზეგავლენას ახდენს პრაქტიკულ მუშაობაზე — ან შესაბამისობის გარანტირებით, ან დარღვევების სწრაფად აღდგენის უზრუნველყოფით.

მედიის თვითრეგულირება ანგარიშვალდებულების განსაკუთრებული ფორმაა, ვინაიდან მისი მიზანია საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ შეიძლება მედიის სფეროს პროფესიონალების ნდობა, რომ ისინი დაიცავენ საზოგადოების უფლებას – ჰქონდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია.

საწყის წერტილად თვით პრაქტოკოსები უნდა მოგვევლინონ. ადამიანების უმეტესობა დასთანხმდება შემდეგი საკითხების კოდექსში შეტანას:

- მედიის თავისუფლების პრინციპების, საზოგადოების უფლების, ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე და ჟურნალისტები უფლების, იმოქმედონ საკუთარი სინდისის მიხედვით, დაცვა;
- სიზუსტე და უზუსტობების გასწორება;

- ფაქტებისა და კომენტარების განსხვავება;
- პირადი ცხოვრების პატივისცემა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისას და უახლოესი ადამიანის დაკარგვის დროს;
- ბავშვების, დანაშაულის მსხვერპლის ან სხვა დაუცველი ჯგუფების დაცვა;
- ინფორმაციის წყაროების დაცვა;
- ზიანის მიყენების და დისკრიმინაციის თავიდან აცილება;
- წაქეზების და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

ყოველთვის იარსებებს წესებიდან გამონაკლისი. მართალია, სიზუსტე მედიის ყველა პროფესიონალისთვის ხელშეუხებელ სიწმინდეს უნდა წარმოადგენდეს, ასევე საჭიროა მითითებების ჩამოყალიბება ისეთი შემთხვევებისთვის, როცა უფრო მეტმა სარგებლობამ (საზოგადოების უფლებამ, იცოდეს) – რასაც ზოგჯერ „საზოგადოების უპირველესი ინტერესის საგანს“ უწოდებენ – შეიძლება გაამართლოს კოდექსიდან გადახვევა.

გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, აზრის გამოხატვის უფლება თავისთავად განიხილება „სახელმწიფო ინტერესის“ კონტექსტში. როგორც საგაზეთო ინდუსტრია (პრესის საჩივართა კომისია), ასევე გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნული კავშირი მოითხოვს „გამონაკლის“ გარემოებებს კოდექსის ისეთი დარღვევების დასასაბუთებლად, როცა საქმე ეხება ბავშვებს, მაგრამ ასევე აღიარებს, რომ გადახრა მათი (მსგავსი, მაგრამ განსხვავებული) კოდექსებიდან შეიძლება დასაბუთდეს, თუ მისი მოტივია:

- დანაშაულის ან სერიოზული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა;
- საზოგადოების დაცვა რომელიმე ინდივიდის თუ ორგანიზაციის არასწორი განცხადების ან ქმედებისგან.

ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებლად უნდა არსებობდეს კოდექსის შესრულების ზედამხედველობის საშუალება – ჟურნალისტური ორგანიზაციებისა თუ ისეთი არასახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც ენდობა როგორც მედია, ასევე საზოგადოება — და რომლის დახმარებით დარღვევების შემთხვევებში შესაძლებელი იქნება გარკვეული ფორმით სიტუაციის გამოსწორება ან კომპენსაციის მიღება.

ჟან კლოდ ბერტრანი (იხ. ქვემოთ) გვირჩევს, რომ ხარისხის კონტროლი შეიძლება ჩაატაროს დაინტერესებულ პირთა სამმა ჯგუფმა — მფლობელებმა, პროფესიონალებმა და მომხმარებლებმა — ცალ-ცალკე ან ერთად სხვადასხვა კომბინაციაში, და ამისათვის გამოიყენონ „მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები“.

მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები

მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები ის საშუალებებია, რომლებიც უზრუნველყოფს მედიის სოციალურ პასუხისმგებლობას და მედიისა და ჟურნალისტების მხრიდან პროფესიონალთა მიერ დადგენილი ეთნიკური წესების პატივისცემას. მედიის ანგარიშვალდებულების ყველა სისტემის მიზანია ახალ

ამბებზე მომუშავე მედიის გაუმჯობესება, თუმცა აღნიშნული სისტემები ძალიან მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყვნენ:

- ინდივიდები (მაგალითად, ომბუდსმენი ან მკითხველთა წარმომადგენლები);
- ადამიანების ჯგუფები (მაგალითად, შინაარსის შემფასებელი კომისიები);
- რეგულარული შეხვედრები (მაგალითად, პრესის ადგილობრივი საბჭოები);
- ინდივიდუალური დოკუმენტები (მაგალითად, ეთიკური კოდექსები);
- მცირე მედია (მაგალითად, ჟურნალისტური განხილვები);
- საგანგებო ოპერაციები (მაგალითად, ეთიკური აუდიტი);
- ხანგრძლივი პროცესი (მაგალითად, საუნივერსიტეტო განათლება ან სიღრმისეული კვლევა).

მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები რამდენიმე მიზანს ისახავს. ეს მიზნებია:

- *კრიტიკა,* მედიის გამოსწორების ყველაზე მარტივი და ყველაზე პოპულარული მეთოდი;
- *მონიტორინგი,* ამჟამად აუცილებელი, რადგან გამოდის უამრავი მედიაპროდუქტი, თუმცა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა მოკლეა;
- *მედიის ხელმისაწვდომობა* – ყველას უნდა შეეძლოს ყველა სახის მედიით სარგებლობა და მოსახლეობის ყველა ჯგუფს უნდა შეეძლოს ინფორმაციის გავრცელება მედიასაშუალებებით;
- *ტრენინგი,* მედიის პრობლემათა უმეტესობის გრძელვადიანი გადაჭრა: როგორც პროფესიონალთა განათლება, ისე მოქალაქეების აღქმის უნარის გაზრდა.

მედიის ანგარიშვალდებულების ზოგიერთი სისტემა წარმოიშვა თავად მედიაში (ამის მაგალითია მედიასაშუალებებში არასწორი ინფორმაციისთვის ბოდიშის მოხდა), სხვები გაჩნდა სისტემის გარეთ (მაგალითად, ჟურნალისტური განხილვა), ხოლო ზოგიერთი ეფუძნება თანამშრომლობას მედიასა და საზოგადოებას შორის (მაგალითად, პრესის საბჭოები).

შეცდომების აღიარება ყოველთვის ძნელია, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, რომლის ფუნქციაა სანდო ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის იმ მოვლენებისა და საკითხების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მის ცხოვრებაზე. მაგრამ შეცდომის აღიარება საქვეყნოდ და უზრუნველყოფა იმისა, რომ ამგვარი შეცდომები აღარ გამეორდეს, ყველაზე ეფექტიანი გზაა მედიასა და საზოგადოებას შორის ნდობის განმტკიცებისთვის.

საერთაშორისო კოდექსები

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის და ბავშვის უფლებები საყოველთაო და განუყოფელ

უფლებებად განიხილება. და მაინც, არის თუ არა რაიმე საყოველთაო სტანდარტები, რომლებსაც უნდა იცავდეს ჟურნალისტი? დღევანდლამდე არ შექმნილა ჟურნალისტთა ქცევის საყოველთაო კოდექსი. არსებობს მრავალი რეგიონული და სახელმწიფო კოდექსი, საერთაშორისო კორპორაციებს ჩამოყალიბებული აქვთ თავისი საკუთარი მითითებები (თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შექმნილი აქვს პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული წესები).

წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული კოდექსები და პრაქტიკული სტანდარტები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანასა და ორგანიზაციაში, თუმცა ძირითადად მაინც ხშირია მათ შორის თანხვედრა.

ეთიკის კოდექსი ზრდის ეთიკური საკითხების აღქმის და მათზე მსჯელობის უნარს, განამტკიცებს დახმარებას ინდივიდის მიმართ მორალური თვალსაზრისით და ხელს უწყობს ორგანიზაციის იდენტურობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის აზრით, ჟურნალისტური სამუშაოს საფუძველს წარმოადგენს სიტყვის და ინფორმაციის თავისუფლება. იგი მოუწოდებს სარედაქციო დამოუკიდებლობისა და მედიის თვითრეგულირებისკენ და ხელს უწყობს დებატებს ჟურნალისტიკაში ეთიკასთან დაკავშირებით. იგი ასევე პროპაგანდას უწევს პროფესიულ სტანდარტებს, როგორიცაა დეკლარაცია ჟურნალისტების ქცევის პრინციპების შესახებ. ფედერაციამ სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები ჩამოაყალიბა ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისთვის. ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც ეხება ბავშვების ცხოვრებასა თუ კეთილდღეობას, ყოველთვის უნდა განხორციელდეს ბავშვების დაუცველობის დონის გათვალისწინებით. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის კოდექსი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი მრავალი სახელმწიფოს კოდექსებს დაედო საფუძვლად.

ბავშვებთან დაკავშირებული ქცევის კოდექსი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ ყველა ჟურნალისტის და მედიის პროფესიონალის ვალია არა მხოლოდ უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვა, არამედ ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ ინფორმაციის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის აზრით, მედიაორგანიზაციები ბავშვის უფლებათა დარღვევის და ბავშვის უსაფრთხოებასთან, პირად ცხოვრებასთან, უშიშროებასთან, განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფასთან, ასევე ექსპლუატაციის ყველა ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს უნდა განიხილავდნენ, როგორც გამოძიებისა და საზოგადოებრივი მსჯელობის საგანს.

გარდა ამისა, მედია არ უნდა განიხილავდეს და აცნობდეს საზოგადოებას ბავშვების შესახებ სიუჟეტებს მხოლოდ როგორც ცალკეულ ამბებს. იგი მუდმივად უნდა საუბრობდეს იმ პროცესებზე, რომლებსაც მივყავართ ან შეუძლია ჩვენი მიყვანა ამგვარ შემთხვევებამდე.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები

ჟურნალისტებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ გადაუხვიონ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებსა და ნორმებს ბავშვთა პრობლემების გაშუქებისას. კერძოდ:

1. ბავშვების საკითხების გაშუქებისას მათ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ სიზუსტისა და კორექტულობის დასაცავად;
2. უნდა მოერიდონ ისეთი ფოტოებისა და ინფორმაციის გამოქვეყნებას ბავშვებისათვის განკუთვნილ მედიასივრცეში, რომელიც საზიანო იქნება მათთვის;
3. მოერიდონ პუბლიკაციების გაპოპულარების მიზნით ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ გაშუქებას;
4. ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებისას საგულდაგულოდ აწონ-დაწონონ შესაძლო შედეგები და მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანის ფაქტორი;
5. თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, დაიცვან ბავშვის ვინაობა და არ გამოაქვეყნონ მისი ფოტოები;
6. როდესაც ეს შესაძლებელია, მისცენ ბავშვებს მასმედიის საშუალებით თავიანთი აზრების გამოხატვის შესაძლებლობა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე;
7. უზრუნველყონ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებელი შემოწმება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ამ ინფორმაციის შემოწმებისას ინფორმატორ ბავშვს საფრთხე არ შეექმნას;
8. მოერიდონ ბავშვების სექსუალურ ფორმაში გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებას;
9. გამოიყენონ ბავშვების ფოტოების მოპოვების სამართლიანი, ღია და პირდაპირი მეთოდები და, როდესაც ეს შესაძლებელია, მოიპოვონ ისინი ბავშვების, მათზე პასუხისმგებელი პირის ან მეურვის თანხმობით;
10. შეამოწმონ იმ ორგანიზაციების უფლებამოსილება, რომლებიც ბავშვების სახელით ლაპარაკობენ ან წარმოადგენენ ბავშვთა ინტერესებს;
11. ბავშვის ცხოვრების პირობების ამსახველი სიუჟეტისათვის მოპოვებული მასალის საფასური არ გადაუხადონ არც ბავშვს და არც ბავშვის მშობლებსა თუ მეურვეებს, თუ ეს ნამდვილად ბავშვის ინტერესებში არ შედის.

მედიის ორგანიზაციები თავად ქმნიან სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ეხება მათ მუშაობას ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე. *„ბი-ბი-სის“ სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები*, რომლებიც აქამდე ცნობილი იყო სახელით „პროდიუსერის სახელმძღვანელო პრინციპები“, ადგენს იმ სტანდარტებს, რომლებსაც „ბი-ბი-სი“ იცავს

ყველა თავის გადაცემაში ტელევიზიით, რადიოთი თუ ინტერნეტში. ეს პრინციპები ყველა იმ ადამიანისთვისაა, რომლებიც ქმნიან ეთერში გასაშვებ გადაცემებს. ისინი ეხმარება ჟურნალისტებს რთული საკითხების გადაჭრაში. აღნიშნული პრინციპები შეიცავს საგანგებო ნაწილებს ბავშვებთან დაკავშირებით.

„ბი-ბი-სი"-ს სახელმძღვანელო პრინციპებში ნათქვამია, რომ კორპორაცია ცდილობს, დაიცვას იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობა, რომლებიც მონაწილეობენ და ჩნდებიან მათ გადაცემებში, ცდილობენ, აგრეთვე, დაიცვან ბავშვების უფლება, მათი ხმა გაიგონონ მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი მაუწყებლობს „ბი-ბი-სი".

„ბი-ბი-სი"-ს სახელმძღვანელო პრინციპები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოხატავს „ბი-ბი-სი"-ს, როგორც მაღალი ხარისხის ახალი და მიმდინარე ამბების მომწოდებლის პოზიციას, არამედ იმიტომაც, რომ „ბი-ბი-სი" აქტიურ მონაწილეობას იღებს ჟურნალისტების ტრენინგში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი სახელმძღვანელო პრინციპები თარგმნილია არა ერთ ენაზე და ჟურნალისტებისთვის ეთიკის არაოფიციალური კოდექსის სახე მიიღო.

„ბი-ბი-სი"-ს სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისთვის, ბავშვებს განეკუთვნებიან ადამიანები 15 წლამდე, ხოლო 15, 16 და 17 წლის ადამიანები უკვე ახალგაზრდები არიან. თუმცა ეს არ არის იურიდიული განსაზღვრა და განსხვავდება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში მოცემულისგან, რომლის მიხედვითაც ბავშვად ითვლება ადამიანი 18 წლამდე. ეს ასაკობრივი განსხვავება შეიძლება ბავშვის უფლებების დამცველებსა და რომელიმე ჟურნალისტს შორის დავის საფუძველი გახდეს. გარდა ამისა, ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლებიც ახალი ამბების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

„ბი-ბი-სი"-ს სახელმძღვანელო პრინციპებში ნათქვამია:
„ბავშვები და ახალგაზრდები ძალიან მნიშვნელოვანი არიან „ბი-ბი-სი"-სთვის. ჩვენი მიზანია, მივაწოდოთ მათ მრავალმხრივი, შემეცნებითი, გასართობი და საინტერესო შინაარსის მქონე გადაცემები, რათა დავეხმაროთ, უკეთ გაიცნონ მსოფლიო, სადაც ცხოვრობენ. ისინი მრავალი სხვადასხვა გზით ურთიერთქმედებენ ჩვენთან — როგორც ჟურნალისტები, მსახიობები და წამყვანები, ურთიერთქმედებენ ასევე ჩვენი ინტერნეტის და ინტერაქტიული სამსახურების მეშვეობით.

„ყოველთვის ადვილი არ არის ბალანსის დაცვა ჩვენი გადაცემების მონაწილე ბავშვების, მათი მშობლებისა თუ აუდიტორიის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის. ჩვენ მუდმივად უნდა ვიცავდეთ იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენს გადაცემებში, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, რაც გულისხმობს მათ უფლებასაც, ილაპარაკონ თავისუფლად და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მოვლენაში."

ზოგიერთმა ორგანიზაციამ, რომელთა მუშაობა მიმართულია ბავშვებისკენ, ჩამოაყალიბა შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები მედიისთვის. მაგალითად, „იუნისეფი" გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც, მისი აზრით, დახმარებას გაუწევს მედიას, ისეთი სიფრთხილითა და დელიკატურობით გააშუქოს ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ეს მათ ასაკს შეესაბამება. აღნიშნული

სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია ეთიკურობის საუკეთესო განზრახვების დაცვისკენ — ემსახურო საზოგადოების ინტერესებს ისე, რომ რამენაირად არ შეიზღუდოს ბავშვების უფლებები. ეს პრინციპებია:

1. აუცილებელია თითოეული ბავშვის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა ყველანაირ პირობებში.
2. ბავშვებისგან ინტერვიუს აღებისას და მათზე მასალების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეული ბავშვის უფლებას კონფიდენციალურობაზე, მათი აზრის მოსმენაზე, მათ შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობაზე და ზიანის მიყენებისა და შურისძიებისგან, მათ შორის ზიანის მიყენებისა და შურისძიების შესაძლებლობისგან დაცვაზე.
3. თითოეული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას უნდა მიენიჭოს უპირველესი მნიშვნელობა ნებისმიერ სხვა საკითხთან შედარებით, მათ შორის ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების ლობირებისა და ბავშვის უფლებათა ხელშეწყობასთან შედარებით.
4. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის უფლებას, მხედველობაში იქნეს მიღებული მისი შეხედულება მისი ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით.
5. ბავშვის სიტუაციასთან ყველაზე ახლოს მდგომ და მის საკითხებში კარგად გარკვეულ ადამიანებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ნებისმიერი რეპორტაჟის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ შედეგზე.
6. არასოდეს უნდა გამოქვეყნდეს რაიმე ისეთი ამბავი ან ფოტო, რომელმაც შეიძლება რისკის ქვეშ მოაქციოს ბავშვი, მისი და-ძმა ან თანატოლები, მაშინაც კი, როცა მათი ვინაობა შეცვლილია, დაუკონკრეტებელია ან სულაც არ არის მოხსენიებული.

სახელმძღვანელო პრინციპები ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მათ უნდა გამოიყენონ ბავშვებისგან ინტერვიუს აღებისას, ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელმაც ჩამოაყალიბა.

ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისათვის

- არასოდეს გამოაქვეყნოთ რაიმე ისეთი სიუჟეტი ან ფოტო, რომელმაც შეიძლება რისკის ქვეშ მოაქციოს ბავშვი, მისი და-ძმა ან თანატოლები, მაშინაც კი, როცა მათი ვინაობა შეცვლილია, დაუკონკრეტებელია ან სულაც არ არის მოხსენიებული;
- ნუ მიაყენებთ რაიმე ზიანს ბავშვს; მოერიდეთ ისეთ კითხვებს ან კომენტარებს, რომლებიც შეიძლება სადავო აღმოჩნდეს კულტურული თვალსაზრისით და რომლებიც ბავშვს შეუქმნის საფრთხეს, დაუცველს გახდის შეურაცხყოფისგან ან გააღვიძებს მასში ტკივილს და წუხილს, გამოწვეულს ტრავმული მოვლენებით;

- ინტერვიუსთვის ბავშვის შერჩევისას ნუ მიმართავთ დისკრიმინაციას სქესის, რასის, ასაკის, რწმენის, მდგომარეობის, განათლების ან ფიზიკური შესაძლებლობების ნიშნით;
- მოერიდეთ სტერეოტიპების გამოყენებას და სენსაციურ პრეზენტაციას იმ ჟურნალისტური მასალის პოპულარიზების მიზნით, რომელიც ბავშვებს ეხება;
- მოერიდეთ ინსცენირებას: არ სთხოვოთ ბავშვს იმ ამბების მოყოლა ან განსახიერება, რომლებიც პირადად მის ცხოვრებაში არ მომხდარა;
- დარწმუნდით, რომ ბავშვმა და მისმა მეურვემ იციან, რომ ესაუბრებიან კორესპონდენტს. აუხსენით ინტერვიუს მიზანი და თანამიმდევრობა;
- ინტერვიუს აღების, ვიდეოჩანაწერის გაკეთებისა და ფოტოგადაღებების შემთხვევაში მიიღეთ ნებართვა ბავშვისა და მისი მეურვისგან. როცა ეს შესაძლებელია, ნებართვა უნდა იყოს წერილობითი. ნებართვა იმისთვისაა საჭირო, რომ უზრუნველყოთ ბავშვის და მისი მეურვის ინტერვიუში ძალდაუტანებლად მონაწილეობა. ისინი უნდა ათვითცნობიერებდნენ, რომ იმ სიუჟეტის მოქმედი პირები არიან, რომელიც შეიძლება გაშუქდეს ადგილობრივად და გლობალურად;
- შეზღუდეთ კორესპონდენტებისა და ფოტოგრაფების რაოდენობა. ეცადეთ, რომ ინტერვიუს მსვლელობისას ბავშვები კომფორტულად გრძნობდნენ თავს და არ განიცდიდნენ ზეწოლას;
- ყოველთვის ზუსტად გადმოეცით ბავშვის შესახებ სიუჟეტის ან ფოტოს კონტექსტი;
- ყოველთვის შეცვალეთ ვინაობა და დაფარეთ გრაფიკული გამოსახულება იმ ბავშვისა, რომელიც არის

  ა) სექსუალური ძალადობის ან ექსპლუატაციის მსხვერპლი;

  ბ) დამნაშავე ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობაში;

  გ) აივ მატარებელი ან ცხოვრობს შიდს-ით დაავადებულ ადამიანებთან, თუ ამის უფლებას არ მოგცემთ ბავშვი, მისი მშობელი ან მეურვე;

  დ) დანაშაულში ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული.
- სხვა ბავშვებთან ან/და უფროსებთან (სასურველია ორივესთან) გასაუბრების გზით დარწმუნდით ბავშვის მონათხრობის სიზუსტეში;
- თუ ეჭვობთ, რომ ბავშვს საფრთხე ემუქრება, მოყევით ბავშვებთან დაკავშირებული ზოგადი სიტუაციის შესახებ და არა კონკრეტული ბავშვისა, რამდენად სენსაციურიც უნდა იყოს ამბავი.

მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები საქართველოში

საქართველოში მედიის ანგარიშვალდებულების სისტემები უახლეს წარსულში ჩამოყალიბდა. მოქმედი სისტემა იყოფა ორ კატეგორიად, სავალდებულოდ შესასრულებელ ქცევის წესებად, რომლის უკანაც დგას სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, საქართველოს კონუმიკაციების ეროვნული კომისიის სახით, და ჟურნალისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება — ქარტია.

გარდა ამისა, საქართველოში მოქმედი მედიასაშუალებები ამკვიდრებენ საკუთარ ეთიკურ სტანდარტებს, რომლის შესრულება იქ დასაქმებული ჟურნალისტის შრომის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი ხდება. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და გაზეთ "ბათუმელების" ეთიკის კოდექსები.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" არასრულწლოვანთა გაშუქების სტანდარტები მიმოვიხილეთ პირველი ნაწილის მეორე თავში „ადამიანის უფლებები საქართველოს კანონმდებლობაში".[5]

რაც შეეხება ჟურნალისტების ეთიკის ქარტიას, ის მიიღეს და დაამტკიცს იმ პირებმა, რომლებიც დასაქმებული არიან მედიაში. 2009 წლის 4 დეკემბერს 138 ჟურნალისტმა მოაწერა ხელი ეთიკურ სტანდარტებს, რითაც ნებაყოფლობით აღიარა ამ პრინციპებისადმი ერთგულება და მათი დაცვის ვალდებულება.

როგორ მუშაობს ანგარიშვალდებულების სისტემები?

ანგარიშვალდებულების სისტემის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ორი ფაქტორი:

1. მოქალაქეთა აქტიურობა;
2. თვითრეგულირების სისტემის უფლებამოსილების ფარგლები.

მოქალაქეთა აქტიურობა ვლინდება თვითრეგულირების შესაბამის ორგანოში[6] განცხადებების ან საჩივრების წარდგენით. მნიშვნელოვანია, რომ უმეტეს შემთხვევაში თვითრეგულირების ორგანო იხილავს ისეთი სახის დარღვევებს, რომლებიც თავისი შინაარსით სასამართლოს განსახილველი არ არის. დავა სასამართლო განხილვის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურანლისტმა დაარღვია კონკრეტული პირის უფლებები და თავისუფლებები. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად თვითრეგულირების ფარგლებში ჩადენილი დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს იდავოს მხოლოდ ამ სისტემის ფარგლებში. ეს გულისხმობს იმას, რომ სადავო საკითხის (ან თუნდაც თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების) გასაჩივრება შეუძლებელია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში.

მოცემული წესიდან არსებობს მხოლოდ ორი გამონაკლისი. დავა მაუწყებელთა თვითრეგულირების სისტემას შესაძლებელია გასცდეს, თუ მაუწყებელმა დაარღვია პროცედურა, ანუ საჩივრის განხილვის წესები. აგრეთვე, უხამსი მასალის გავრცელებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით დაცული სხვა რომელიმე უფლება. მაგალითად, პირის პატივი და ღირსება.

მაუწყებელთა თვითრეგულირების ფარგლებში მომხდარ დარღვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრეცედენტია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება „ტელეიმედის" მიერ მაუწყებელთა ქცევის წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

5 იხ. ზემოთ

6 აქ იგულისხმება კომისიები, სააპელაციო საბჭოები, ქარტიის საბჭო და ა.შ. ყველა ის ორგანო, რომელიც იხილავს მედიაეთიკის წესების დარღვევის საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ მათგანს აქვს დადგენილი წესები, რომლებიც განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებას და რომელთა დაცვითაც უნდა იმოქმედონ.

რაც შეეხება, ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის სიცოცხლისუნარიანობასა და მისი პასუხისმგებლობის ხარისხს, მასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქარტიის საბჭო, რომელსაც ევალება ქარტიის პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. „ტელეიმედის" მიერ ჩადენილ დარღვევასთან დაკავშირებით საბჭომაც შექმნა საინტერესო პრეცენდენტი 2010 წლის 25 მარტს. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ქარტიის საბჭო, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან განსხვავებით, მსჯელობს არა მაუწყებლის მიერ ჩადენილ დარღვევაზე, არამედ კონკრეტული ჟურნალისტის მიერ ეთიკური ნორმების დაცვის საკითხზე.[7]

ანგარიშვალდებულების სისტემების უმთავრესი ფუნქციაა მასალის შექმნის პროცესში ეთიკური სტანდარტების შესრულება. ეს უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სანდო, ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას. გარდა ამისა, ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებებს აძლევს დარღვევების მინიმუმდე დაყვანის შესაძლებლობას.

დამატებითი ლიტერატურა

- საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ";
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი".
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები — გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღდეგ".
- www.gpb.ge
- www.mediasabcho.blogspot.com
- www.gncc.ge

შეფასება

ამ ნაწილის დასაწყისში ჩამოთვლილია რამდენიმე ძირითადი შესასწავლი თემა. შეგიძლიათ უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს? მოქმედების სტანდარტები, კანონების მსგავსად, მორალური ნორმების კოდიფიცირების მცდელობაა. ხანდახან მორალური და ეთიკური ნორმები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. იგივე ხდება კანონების შემთხვევაშიც. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი, როცა თავისუფალი სიტყვისა და პრესის თავისუფლების უფლება ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებებს? რომელი იქნებოდა პრიორიტეტული?

---

7 საქმე ეხებოდა 2010 წლის 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის" მიერ „მოდელირებული ქრონიკის" ეთერში გაშვებას, რომელიც წარმოადგენდა ინსცენირებას, თუმცა კადრს არ ახლდა წარწერა ინსცენირების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების გაცნობა შესაძლებელია ქარტიის ბლოგზე www.mediasabcho.blogspot.com

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„ქცევის კოდექსები“, მაიკ ჯემფსონი, “ზე პრესუაიზ ტრასტი” (The PressWise Trust): http://www.mediawise.org.uk/display_page.php?id=792

„იუნისეფი“: „ბავშვებთან დაკავშირებული თემების ეთიკური გზით გაშუქების პრინციპები“: http://www.presswise.org.uk/display page.php?id=594
პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოება; ეთიკის კოდექსი:
http://www.spj.org/ethiccode.asp

„ვინ არის პასუხისმგებელი კონტროლზე?“ – სახელმძღვანელო გლობალური მედიის პირობებში აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებისთვის შექმნილი საფრთხეების თემაზე მრგვალი მაგიდის გარშემო დისკუსიისთვის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, 2005.

„ბავშვთა უფლებები და მედია“: ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას:
http://www.ifj.org/default.asp?index=192&language=EN

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია: http://www.ifj.org/

„ჟურნალისტების ეთიკა“, რიჩარდ ქიბლი, London: Routledge, 2001.

„მედიის ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები“, კლოდ-ჟან ბერტრანი, ტრანზექშენ პაბლიშერზი (Transaction Publishers), 2000.

„გლობალური ჟურნალისტიკა: ძირითადი საკითხები და მედიასისტემები“. არნოლდ დე ბირი და ჯონ სი. მერილი, Allyn & Bacon, 2003.

დანართები

„ბი-ბი-სი“-ს სარედაქციო პრინციპები ბავშვების გაშუქებასთან დაკავშირებით

პროგრამაზე მუშაობის, მისი ეთერში გაშვების ან ინტერნეტში განთავსების დროს უნდა უზრუნველვყოთ, რომ დაცული იყოს 18 წლამდე ადამიანების, განსაკუთრებით კი 15 წლამდე ასაკის ბავშვების ღირსება, ასევე მათი ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა, მიუხედავად მათი ან მათი მშობლების, მეურვეების ან მშობლების მაგიერი სხვა პირების თანხმობისა.

უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების პროგრამებში ჩართვამ არ გამოიწვიოს მათი აღელვება ან დათრგუნვა. მათი ჩართვა სარედაქციო თვალსაზრისით უნდა იყოს სრულიად გამართლებული და საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარება უნდა გაეწიოს.

ჩვენ უნდა დავაბალანსოთ ჩვენი პასუხისმგებლობა – დავიცვათ ბავშვები და ახალგაზრდები შეუფერებელი თანხმობის მიცემისგან და, ამავე დროს, შევუნარჩუნოთ აზრის თავისუფლად გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება.

ბავშვები და თანხმობა

ბავშვების და 18 წლამდე ახალგაზრდებისგან ინტერვიუს ასაღებად უნდა მოვიპოვოთ თანხმობა მათი მშობლების, კანონიერი მეურვეების ან მშობლების მაგიერი პირებისგან. რაც უფრო მცირეწლოვანი და დაუცველია ბავშვი და რაც უფრო დელიკატურია მისი ისტორია, მით უფრო აუცილებელი ხდება თანხმობა. კერძოდ, თანხმობის გარეშე დაუშვებელია, ვთხოვოთ ბავშვებს, გვიამბონ თავიანთი შეხედულებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდება მათ შესაძლებლობას, გაგვცენ სათანადო პასუხი.

პროგრამის შინაარსზე პასუხისმგებელმა ადამიანმა, რომელიც თავის პროდუქციაში აპირებს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვას:

- უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს და, საჭიროების შემთხვევაში, მის მშობელს/მეურვეს ან 18 წლის ან უფროსი ასაკის ადამიანს, ვინც მისი მშობლის მაგივრობას ასრულებს, ესმოდეს პროგრამის შინაარსი და გაცნობიერებულად შეეძლოს თანხმობის მიცემა;
- უნდა მოიპოვოს თანხმობა ბავშვის ან ახალგაზრდისგან, ხოლო უარის შემთხვევაში პატივი სცეს მის გადაწყვეტილებას. იმის გადაწყვეტისას, შეუძლია თუ არა ბავშვს ინტერვიუზე თანხმობის მიცემა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განვითარების დონე, ასაკი და ინფორმაციის გათვითცნობიერების უნარი.
- პროგრამაში ბავშვის მონაწილეობასთან ან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, უნდა მოიპოვოს მშობლის/მეურვის/მშობლის მაგიერი სხვა ადამიანის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვი მონაწილეობს გადაცემაში ისეთ არაპრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა, ვთქვათ, ჯიბის ფული ან საყვარელი მომღერალი.

- როცა მშობელი უარს ამბობს თანხმობის გაცემაზე, უნდა მიმართოს მაღალი რანგის რედაქტორს ან, დამოუკიდებელი ტელეკომპანიის შემთხვევაში, მთავარ რედაქტორს ან გამოშვების რედაქტორს, რომლებმაც პრობლემის გადასაჭრელად უნდა გამოიყენონ სარედაქციო პოლიტიკა. ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვის ან ახალგაზრდის მონაწილეობის გაგრძელებასთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ეს შემთხვევა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, ან თუ ირღვევა ბავშვის ან ახალგაზრდის უფლება, თავისუფლად გამოხატოს და გამოთქვას საკუთარი აზრი.
- უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს განემარტოს მისი მონაწილეობის ნებისმიერი სავარაუდო შედეგები, მაგალითად, მასზე ზეწოლის შესაძლებლობა.
- ფინანსურად არ უნდა დააინტერესოს ბავშვი ან მისი მშობელი/მეურვე თანხმობის მიღების მიზნით. ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი დასაბუთებული და კანონიერია.
- ბავშვების გადაღებისას სკოლის შენობაში ან სასწავლო პერიოდში უნდა აიღოს ნებართვა უფროსი მასწავლებლისგან. კანონის მიხედვით, სასწავლო მეცადინეობების საათებში ნებისმიერი გადაღების ნებართვას გასცემენ განათლების ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოები.

თუ ბავშვს პირადი ინფორმაციის მოწოდებას ინტერნეტის მეშვეობით ვთხოვთ, უნდა მოვიფიქროთ, მშობლის მხრიდან, რა სახის თანხმობა იქნება შესაფერისი.

ნებისმიერი შემოთავაზება, რომელიც ეხება ბავშვის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მესამე მხარისთვის თანხმობის გარეშე გადაცემას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ვეჭვობთ, რომ ბავშვზე ძალადობა განხორციელდა, უნდა ეცნობოს რედაქციის მაღალი თანამდებობის პირს, ხოლო დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში – გამოშვების რედაქტორს, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციას გაივლის სარედაქციო პოლიტიკის ზედამხედველთან და პროგრამის იურიდიულ კონსულტანტთან.

ბავშვის სატელეფონო ინტერვიუზე მოწვევის შემთხვევაში უნდა ვთხოვოთ მას, დარეკვამდე აიღოს ნებართვა მშობლისგან ან საუბრის საფასურის გადამხდელი პირისგან. გამონაკლის შემთხვევაში, როცა სატელეფონო საუბარი გრძელდება ერთ წუთზე მეტ ხანს, შეტყობინება უნდა დაიწყოს იმით, რომ ბავშვს ეცნობოს, რომ საჭიროა თანხმობის მიღება. ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა სამსახურში უნდა გამოიყენებოდეს სატელეფონო საუბრების გაწყვეტა, ხოლო ბავშვების მომსახურებასთან დაკავშირებული სატელეფონო ზარების ღირებულება, ჩვეულებრივ, არ უნდა აღემატებოდეს წერილის მოწერის ხარჯებს.

ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა

უნდა გავითვალისწინოთ ყველანაირი ზემოქმედება და შესაძლო შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ბავშვის მონაწილეობას რაიმე მასალაში, იქნება ეს მზადების პროცესი თუ მასალის გამოქვეყნების შემდგომი პერიოდი. ეს ეხება ყველა შემთხვევას, მიუხედავად იმისა, მიღებულია თუ არა მშობლის თანხმობა.

ბავშვებს ხშირად უხარიათ პროგრამებში მონაწილეობა. თუმცა იმის გამო, რომ არა აქვთ საკმარისად განვითარებული განსჯის უნარი, ვერ ხვდებიან, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათ ცხოვრებაზე მათი ისტორიის გამოქვეყნებამ. ბავშვების ასოციალური ქმედებების გაშუქებისას, საუკეთესო მიდგომის გამოსაძებნად და სტრესის მინიმუმამდე დასაყვანად, უნდა გავითვალისწინოთ ექსპერტთა აზრი. განსაკუთრებით ისეთი ქმედებების გაშუქებისას, როგორებიცაა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, ძალადობა, კვებასთან დაკავშირებული დარღვევები და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა.

ხშირად მიზანშეწონილია, რომ მტკივნეული საკითხის განხილვისას ბავშვს ახლდეს მესამე პირი – ნათესავი, ოჯახის მეგობარი ან მასწავლებელი. ეს ნიშნავს, რომ ბავშვთან იქნება ადამიანი, რომელსაც ის იცნობს და რომელიც დაეხმარება მისი ინტერესების დაცვაში.

უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს ჰქონდეთ თავიანთი სათქმელის გამოხატვის საშუალება, მაგრამ იმაშიც უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათი ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება, რომ ისინი არ ცდილობენ მოვლენის გაზვიადებას, ვინმეს საამებლად არასწორი ინფორმაციის მოწოდებას ან ჭორის ფაქტად გასაღებას. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს სისხლის სამართლის დანაშაული ან ანტისოციალური ქცევა.

ანონიმურობა

რთული ეთიკური საკითხი წამოიჭრება, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ, ასოციალური ან კრიმინალური ქცევის შემთხვევაში რა არის ბავშვის ინტერესში: მისი ვინაობის გამჟღავნება თუ ანონიმურობის დაცვა. როგორც წესი, ასეთი ქცევის ასახვისას არ უნდა გავამჟღავნოთ ბავშვის ვინაობა მოვლენის ილუსტრირების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვის ვინაობის გამჟღავნებას საფუძვლად უდევს მკაფიო სარედაქციო დასაბუთება. ასეთ დროს, თუ დარწმუნებული არა ხართ, როგორ მოიქცეთ, ყოველთვის მიმართეთ რედაქციის მაღალი თანამდებობის პირს ან, დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში, გამოშვების რედაქტორს.

ასოციალური ქცევის შემთხვევაში ბავშვის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს პროგრამის იურიდიულ კონსულტანტთან.
იმ ბავშვის ჩართვა პროგრამაში, გადაღება და ვინაობის გამჟღავნება, რომლის მშობლებიც ჩართულნი არიან ასოციალურ და კრიმინალურ საქმიანობაში, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამით ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქრება და თუ ეს დასაბუთებულია სარედაქციო პოლიტიკით. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც ბავშვებს შეიძლება რაიმე საფრთხე ემუქრებოდეთ, მაგალითად, როდესაც ბავშვი ლოთ მშობლებთან ცხოვრობს ან როდესაც მას აიძულებენ, შეასრულოს ნარკოკურიერის როლი.

ბავშვების დაცვა ინტერნეტში

ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ, რომ უახლესი ტექნოლოგიით სარგებლობისას ბავშვები და ახალგაზრდები აცნობიერებდნენ შესაძლო რისკებს და იცოდნენ, როგორ შეამცირონ ეს რისკები. ბავშვთა დაცვა ინტერნეტში „ბი-ბი-სი“-ს, მშობლის/მეურვის და ბავშვის ერთობლივი პასუხისმგებლობაა.

ბავშვისთვის შეუფერებელია ინტერნეტ-სივრცე, სადაც უცხო პირებს შეუძლიათ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, თუ არ არის ხელმისაწვდომი ციფრული იდენტიფიკაციის საიმედო მეთოდი. ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეუძლებელია ინტერნეტის მომხმარებელი ბავშვის დაცვა. ნებისმიერი საპირისპირო შეთავაზება უნდა ეცნობოს ახალი მედიისა და ტექნოლოგიის დირექტორს.

სიფრთხილე გვმართებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა რაოდენობის პერსონალურ ინფორმაციას შევაგროვებთ, შევინახავთ და გამოვაქვეყნებთ „ბი-ბი-სი"-ს ვებგვერდზე ბავშვებზე. ინფორმაციის დიდი მოცულობით გამოქვეყნებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვს.

ბავშვები, ინტერნეტში განთავსებული მასალების შინაარსი და ბმულები

უნდა უზრუნველვყოთ, რომ ის ვებგვერდები, რომლებსაც სავარაუდოდ ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა ესტუმრება, მათი ასაკისთვის შესაბამისი შინაარსის მატარებელი იყოს. კერძოდ:

- „ბი-ბი-სის" საწყის ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია მისაღები უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის, ასევე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. „ბი-ბი-სის" საწყისი ვებგვერდიდან ერთი დაწკაპუნებით შეუძლებელი უნდა იყოს ისეთი შინაარსის გვერდზე გადასვლა, რომელიც მიუღებელია ფართო საზოგადოებისთვის;
- სამაუწყებლო ვებგვერდზე, რომელიც იზიდავს ბავშვებსა და მოზარდებს, არ უნდა იყოს მითითებული ისეთი სამაუწყებლო ბმული, რომლის რადიო- ან ტელეპროგრამა მოიცავს ბავშვებისთვის შეუფერებელ შინარსს.
- საწყის ვებგვერდზე პირდაპირ გაშვებული სატელევიზიო კადრები მისაღები უნდა იყოს ოჯახური აუდიტორიისთვის;
- ჩვენ უნდა ვამოწმებდეთ მესამე მხარეების ინტერნეტგვერდებს და იმას, თუ სად შეიძლება იქიდან გადასვლა;
- ბავშვების აუდიტორიისთვის არ უნდა განვათავსოთ ისეთი „ჩეთის" ბმული, რომელსაც არ ჰყავს მოდერატორი.
- ჩვენ მოდერატორობას ვუწევთ ბავშვებისთვის მიმზიდველ ვებგვერდებს, სადაც ინფორმაცია მომხმარებლების მიერაა გამოქვეყნებული, და, ასევე, ინტერნეტსივრცეებს, სადაც მომხმარებლებს სთავაზობენ სურათის გამოგზავნას მისი გამოქვეყნების მიზნით.

ჟურნალისტების სტატუსი და ჟურნალისტური ეთიკა: ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრინციპები

1. ზოგადი პრინციპები

1.1 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას, რომელიც წარმოადგენს 450 000-ზე მეტ ჟურნალისტს 100-ზე მეტი ქვეყნიდან, მიაჩნია, რომ თავისუფალ და დამოუკიდებელ

პროფკავშირებში ორგანიზებული პროფესიონალი ჟურნალისტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ დემოკრატიული მედიაკულტურის განვითარებაში.

1.2 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის რწმენით, დემოკრატიის განვითარება დამოკიდებულია აზრის გამოხატვის თავისუფლების და საზოგადოებრივი სამართლის საზღვრების გაფართოებაზე. დემოკრატიის განვითარებას განსაზღვრავს დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის განსაკუთრებული როლის გაცნობიერება.

1.3 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ მედიამ პატივი უნდა სცეს პრესის თავისუფლების პროფესიულ, ეთიკურ პრინციპებს, რასთანაც პირდაპირ კავშირშია აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია პრესის თავისუფლებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„ეს არის შეზღუდვებისგან გათავისუფლება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ჟურნალისტებს, რედაქტორებს, გამომცემლებსა და მაუწყებლობებს მიეცეთ შესაძლებლობა, გაზარდონ საზოგადოებრივი ინტერესი ფაქტების გამოქვეყნების, გაშუქებისა თუ გავრცელების მეშვეობით, რის გარეშეც დემოკრატიულ ელექტორატს არ შეუძლია პასუხისმგებლობით აღსავსე გადაწყვეტილებების მიღება.“
ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის აზრით, ამ თავისუფლების გამოხატვა მხოლოდ იქ არის შესაძლებელი,

ა) სადაც არსებობს თავისუფალი, პლურალისტური მედია, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა აზრს;

ბ) სადაც არსებობს ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი, რაც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის დემოკრატიულ გაცვლა-გამოცვლას საზოგადოების ნებისმიერ ფენებს შორის, გეოგრაფიული საზღვრების, ეთნიკური წარმომავლობის, ფასეულობებისა თუ ენის მიუხედავად;

გ) სადაც მოქალაქეების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება კანონით არის დაცული;

დ) სადაც პატივს სცემენ ჟურნალისტების პროფესიულ სტატუსს და მათ დამოუკიდებელ როლს.

1.4 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ ახალი ამბებისა და ინფორმაციისადმი, როგორც მოხმარების საგნისადმი, დამოკიდებულება არ უნდა უშლიდეს ხელს ჟურნალისტის მოვალეობას, მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია და რომ მედია უნდა იმართებოდეს საჯაროობის და გამჭირვალობის უმაღლესი სტანდარტებით.

1.5 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ საჯარო და კერძო მაუწყებლობის თანაარსებობა იცავს თავისუფლებას, პლურალიზმს და პროგრამების მრავალფეროვნებას საზოგადოების ყველა ფენის სასარგებლოდ.

1.6 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ადასტურებს, რომ ჟურნალისტური ეთიკის დაცვა და მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა მედიის პროფესიონალების პასუხისმგებლობაა.

1.7 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ღრმა რწმენით, კანონი არ უნდა ერეოდეს იმ საკითხებში, რომლებიც ჟურნალისტების უშუალო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, კერძოდ, ინფორმაციის მომზადებაში, შერჩევასა და გადაცემაში.

2. პროფესიის მიღება

2.1 პროფესიის მიღება თავისუფალი უნდა იყოს. მომავალი ჟურნალისტის პროფესიული დონე რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს.

2.2 სტაჟიორმა ჟურნალისტმა უნდა გაიაროს სათანადო ტრენინგი გამომცემლებისა და ჟურნალისტების პროფკავშირებთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

2.3 თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ მხოლოდ კვალიფიციური ჟურნალისტები, ანუ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მინიმალური პროფესიული კვალიფიკაცია, დადასტურებული ჟურნალისტების პროფკავშირის და მედიის ორგანიზაციების მიერ. ამგვარი ჟურნალისტები კვალიფიციურად კოლექტიური ხელშეკრულებებით უნდა იქნენ აღიარებულნი. დამქირავებლები აღიარებენ, რომ იმ საზოგადოების ასახვა, რომელსაც ემსახურებიან, ზოგადად მედიის, კერძოდ კი დამქირავებლის მოვალეობაა.

3. სინდისი

3.1 ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ მათი სინდისის შესაბამისად მოქმედების უფლება. დამქირავებლის პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური მსოფლმხედველობის ფუნდამენტური ცვლილების შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს უფლება, გაუფრთხილებლად შეწყვიტოს კონტრაქტი და მიიღოს ისეთივე კომპენსაცია, რამდენსაც დამქირავებელი გადაუხდიდა კონტრაქტის თავისი ინიციატივით გაწყვეტის შემთხვევაში.

3.2 დამქირავებელმა ან დამქირავებლის სახელით მოქმედმა რომელიმე პირმა არ უნდა მიუთითოს არც ერთ ჟურნალისტს ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც, ჟურნალისტის აზრით, ხელყოფს მის პროფესიულ ეთიკას, რომელიც განსაზღვრულია ჟურნალისტების მიერ მიღებულ ეთიკის კოდექსში, ან არღვევს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებულ ჟურნალისტური ქცევის პრინციპების კოდექსს. არც ერთი ჟურნალისტი არ უნდა დაისაჯოს საკუთარი სინდისის თანახმად მოქმედების უფლების დაცვის გამო.

4. სარედაქციო დამოუკიდებლობა

4.1 მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაში დაცული უნდა იყოს სარედაქციო დამოუკიდებლობის საერთო მინიმალური სტანდარტები.

4.2 აღნიშნული მინიმალური სტანდარტები უნდა ასახავდეს:

- იმ ფაქტს, რომ რედაქციის თანამშრომლები წარმოადგენენ რედაქციებისა და მაუწყებლობების მორალურ და ინტელექტუალურ კაპიტალს;
- სარედაქციო საბჭოს უფლებას, მასთან შეთანხმდეს გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს:
    - უფროსი რედაქტორის დანიშვნასა და განთავისუფლებაზე;
    - სარედაქციო პოლიტიკისა და გაზეთის/მაუწყებლობის შინაარსის განსაზღვრაზე;
    - საკადრო პოლიტიკაზე;
    - სარედაქციო დეპარტამენტში ჟურნალისტებს შორის დავალებების განაწილება/ცვლილებაზე;
- სარედაქციო საბჭოს უფლებას, გამოთქვას თავისი მოსაზრება სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ;
- ჟურნალისტის უფლებას, უარი თქვას დავალებაზე, თუ ეს დავალება დაარღვევს ჟურნალისტის პროფესიულ ეთიკას, რომელიც ჩამოყალიბებულია ქცევის კოდექსში;
- სარედაქციო კოლეგიის უფლებას, აირიდოს მესამე მხარეთა მენეჯმენტის მხრიდან სარედაქციო შინაარსში ჩარევის შესაძლებლობა;
- ევროპის ჟურნალისტების უფლებას, მიიღონ თანაბარი ანაზღაურება და იყვნენ თანასწორნი კარიერული ზრდის თვალსაზრისით;
- საჩივრების შემთხვევაში სარედაქციო საბჭო, უფროსი რედაქტორი და მენეჯმენტი ატარებენ მოლაპარაკებას, რომელშიც, არსებული შრომის/პრესის კანონის გათვალისწინებით, შეიძლება მონაწილეობდნენ ჟურნალისტთა ასოციაციებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები.

5. თვითრეგულირება და ჟურნალისტური ეთიკა

5.1 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ ეთიკის ან ქცევის კოდექსები უნდა შეიქმნას თავად ჟურნალისტების მიერ.

5.2 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ 1954 წელს ჩამოყალიბებული ქცევის პირველი კოდექსი გვაცნობს ეთიკის პრინციპებს, რომლებიც მიღებულია ევროპის ყველა სახელმწიფოს ჟურნალისტურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ. შესაბამისად, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ქცევის კოდექსი იძლევა ბაზისს ჟურნალისტებისა და გამომცემლების მიერ ეთიკური საკითხების საერთო გაგებისათვის (რაც ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს). ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას მიაჩნია, რომ ამ სფეროში სახელმწიფოთა მთავრობები ვერ შეასრულებენ აქტიურ როლს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაცია ჟურნალისტური ქცევის პრინციპების შესახებ

წინამდებარე საერთაშორისო დეკლარაცია გამოცხადებულია პროფესიული საქმიანობის სტანდარტად ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მოვლენების აღწერის მიზნით აგროვებენ, გადასცემენ, კომენტარს უკეთებენ და ავრცელებენ ახალ ამბებსა და ინფორმაციას.

1. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა, პატივი სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, იცოდეს სიმართლე;
2. აღნიშნული მოვალეობის შესრულებისას, ინფორმაციის პატიოსანი გზით შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესში, ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა დაიცვას თავისუფლების პრინციპი და სამართლიანი კომენტარისა და კრიტიკის უფლება;
3. ჟურნალისტმა მოვლენების შესახებ უნდა განაცხადოს მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წარმოშობის წყარო მისთვის ცნობილია. მან არ უნდა დაფაროს ან გააყალბოს დოკუმენტები;
4. ინფორმაციის, ფოტოებისა და დოკუმენტების შეგროვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს;
5. თუ ჟურნალისტმა აღმოაჩინა, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია არასწორია, რასაც ზიანის მოტანა შეუძლია, მან უნდა მიმართოს ყველა შესაძლო გამოსასწორებელ ზომას;
6. კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის შემთხვევაში ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ინფორმაციის წყაროს ანონიმურობა;
7. ჟურნალისტს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის გაღვივების საშიშროება. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ხელი არ შეუწყოს დისკრიმინაციას რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ხედვის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის ნიშნით;
8. ჟურნალისტმა სერიოზულ პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს:
    - პლაგიატი;
    - ინფორმაციის შეგნებულად დამახინჯებულად გადმოცემა;
    - ჭორები, რეპუტაციის შელახვა, დისკრედიტაცია, უსაფუძლო დადანაშაულება;
    - ნებისმიერი სახის ქრთამის მიღება ინფორმაციის დამალვის ან გამოქვეყნების მიზნით;
9. ჟურნალისტებმა, რომლებიც ღირსნი არიან, ერქვათ ჟურნალისტის სახელი, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების შესრულება თავის ვალდებულებად უნდა ჩათვალონ. თითოეული ქვეყნის ზოგადი კანონმდებლობის ფარგლებში ჟურნალისტები პროფესიულ საკითხებში უნდა აღიარებდნენ მხოლოდ კოლეგების ავტორიტეტს და არ უნდა უშვებდნენ მთავრობების ან სხვა პირების მხრიდან რაიმე სახის ჩარევას.

მიღებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის 1954 წლის მსოფლიო კონგრესზე. შესწორებულია 1986 წლის მსოფლიო კონგრესზე.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

პრეამბულა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ–ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.

ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" მე–10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის" მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას". ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალიტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს მედიის წარმომადგენლები ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების უფლებამოსილებად განვიხილავთ და გამოვრიცხავთ ხელისუფლების ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ჩარევას ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.

10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

    - ფაქტის განზრახ დამახინჯება;
    - ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
    - პლაგიატი.

მიღებულია 2009 წელს

2. ბავშვთა დაცვის სტრატეგიები

ძირითადი სასწავლო თემები

- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები. რას წარმოადგენს ეს სტრატეგიები და რა შეხება აქვს მათ ჟურნალისტებთან?
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების შემუშავება
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიების გაზიარება
- ბავშვთა დაცვის სტრატეგიები და პრესის თავისუფლება

ჟურნალისტები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, უნდა იცნობდნენ ბავშვთა დაცვის სტრატეგიებს, უნდა შეეძლოთ მათთან დაკავშირებით კრიტიკული რეცენზიების მომზადება, უნდა უზრუნველყონ კრიტიკული მოსაზრებების გამოქვეყნება და მონიტორინგი უნდა გაუწიონ ორგანიზაციებსა და მთავრობას, რათა დარწმუნდნენ სტრატეგიების შესრულებაში.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლებია:

- მე-19 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ბავშვებს უფლება აქვთ, დაცული იყვნენ ბავშვზე მზრუნველი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ სულიერი ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისაგან;
- მე-12 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, და ბავშვის შეხედულებებისთვის სათანადო ყურადღების დათმობას მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად;
- დასასრულ, მე-3 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ, როცა ორგანიზაციები ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ, უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ბავშვთა დაცვა

ბავშვთა დაცვა გულისხმობს ბავშვების დაცვას როგორც *განზრახ*, ასევე *წინასწარი განზრახვის გარეშე* მიყენებული ზიანისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება ორგანიზაციების – და აღნიშნულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირების – მოვალეობას მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების მიმართ. ყველა ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვები, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს, მიუხედავად იმისა, ბავშვს ზიანს ორგანიზაციის შიგნით აყენებენ თუ მის ფარგლებს გარეთ.

ყველაზე მარტივი ფორმით ბავშვთა დაცვა გულისხმობს დაცვას ყველა ბავშვის უფლებისა, არ მიაყენონ ზიანი. ეს უფლება ავსებს სხვა უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ბავშვებმა მიიღონ ყველაფერი, რაც მათი არსებობის, განვითარებისა და კეთილდღეობისათვის არის საჭირო.

ბავშვის დაცვა მთელ რიგ მნიშვნელოვან და განსხვავებულ საკითხებს მოიცავს. ბევრი ისეთი საკითხი, როგორიცაა ბავშვთა პროსტიტუცია, ეკონომიკურ ფაქტორებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. სხვა საკითხები, მაგალითად, ოჯახში ან სკოლაში ძალადობა, უფრო მეტად სიღარიბესთან, სოციალურ ფასეულობებთან, ნორმებთან და ტრადიციებთან არის დაკავშირებული. ხშირად საქმე კრიმინალურ ქმედებებსაც ეხება, მაგალითად, ბავშვებით ტრეფიკინგის დროს. ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს ტექნოლოგიური პროგრესიც კი წამოჭრის. ამაზე ბავშვთა პორნოგრაფიის ქსელის გაფართოება მეტყველებს.

გაერთიანებული სამეფოს ორგანიზაცია „ჩაილდჰოუპ“ (ChildHope) აღწერს ბავშვებში ძალადობის/შეურაცხყოფის ოთხ ტიპს:

თვითდაზიანება: მაგალითად, საკუთარი თავის განზრახ დაჭრა ან საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება; თავის მოკვლის მცდელობა ან თავის მოკვლა.

თანატოლების შეურაცხყოფა: მაგალითად, დაშინება („ბულინგი“); ფიზიკური და სექსუალური ძალადობა; ჯგუფური ძალადობა.

ძალადობა უფროსების მხრიდან: მაგალითად, ოჯახში ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური); ფიზიკური დასჯა სკოლებში და ორგანიზაციებში; სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია.

სოციალური ძალადობა: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემო, რომელიც აქტიურად ან შეფარულად უწყობს ხელს ძალადობას ბავშვების მიმართ, მაგალითად, პოლიტიკური კამპანიები, რომლებიც ხელს უწყობს ქუჩის ბავშვებისგან ქუჩების „გაწმენდას“; რელიგიები და კულტურები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების ფიზიკურ და დამამცირებელ დასჯას, როგორც ბავშვის აღზრდის მიღებულ პრაქტიკას; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ძალადობის ფაქტების ფართო გაშუქება; იმ კულტურების მიდგომები, რომლებიც ქადაგებს იდეებს, რომ ქალები და ბავშვები მამაკაცების/მშობლების „საკუთრებას“ წარმოადგენენ და არა ადამიანებს, რომლებსაც სხვების თანასწორი უფლებები აქვთ.

ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა შეიძლება განახორციელონ ადამიანებმა როგორც დაწესებულებებში (მაგალითად, მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, მშობლებმა, თანატოლებმა, სპონსორებმა, მოხალისეებმა), ისე დაწესებულებების გარეთ (მაგალითად, მშობლებმა, პოლიციამ, გარეშე მასწავლებლებმა, მაღაზიების მეპატრონეებმა, ბანდებმა თემში/საზოგადოებაში).

იმის გარდა, რომ დაცვაზე ბავშვის უფლების დარღვევა ადამიანის უფლების დარღვევაა, იგი ბავშვის არსებობისა და განვითარებისთვის ფართოდ გავრცელებულ და ბოლომდე გაუთვითცნობიერებელ ბარიერს წარმოადგენს. და პირიქით, როცა ბავშვის

უფლებები კარგად არის დაცული, იზრდება იმის შანსი, რომ ბავშვი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ, თავდაჯერებულ და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან სხვების, მათ შორის საკუთარი შვილების, მიმართ ჩაიდინოს ძალადობა ან ექსპლუატაცია გაუწიოს ვინმეს.
ბავშვის დაცვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აქტუალური საკითხია:

- 30-ზე მეტ ქვეყანაში 300 000-ზე მეტი ჯარისკაცი ბავშვი, ზოგიერთი მათგანი 8 წლის, განიცდის ექსპლუატაციას შეიარაღებულ კონფლიქტებში. მონაცემების თანახმად, 1990 წლიდან მოყოლებული, უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ორ მილიონზე მეტი ბავშვი დაიღუპა (ეს საკითხი უფრო დეტალურად შემდგომ მეცადინეობაზეა წარმოდგენილი);
- ერთ მილიონზე მეტი ბავშვი მსოფლიო მასშტაბით საპატიმროებშია მოთავსებული კანონთან კონფლიქტის გამო. მარტო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის 1,5 მილიონი ბავშვი იმყოფება სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ;
- 13 მილიონზე მეტი ბავშვი მსოფლიო მასშტაბით დაობლებულია აივ/შიდს-ის შედეგად;
- დაახლოებით 250 მილიონი ბავშვია ჩართული ბავშვთა შრომაში, ხოლო 180 მილიონი ბავშვი სახიფათო სიტუაციებში ან პირობებში მუშაობს;
- ყოველწლიურად 1,2 მილიონი ბავშვი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი;
- 1995 წლის მონაცემებით ყოველწლიურად ერთი მილიონი ბავშვი ემატება კომერციული სექსის მრავალმილიარდიან ბიზნესს (უმეტესად გოგონები, მაგრამ ბევრი ბიჭიც). ამჟამად ეს ციფრი შეიძლება უფრო მაღალი იყოს;
- 15 წელზე უმცროსი ასაკის 40 მილიონი ბავშვი განიცდის ძალადობას და უგულებელყოფას. ისინი ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ დაცვას საჭიროებენ.

როცა ბავშვები დაცული არ არიან, ეს ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს და დიდ სამომავლო დანახარჯებსა და უარყოფით შედეგებს იწვევს ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. ვიდრე ბავშვები ძალადობას, შეურაცხყოფას და ექსპლუატაციას განიცდიან, მსოფლიო ვერ შეასრულებს ბავშვების წინაშე ნაკისრ ვალდებულებას; ის ასევე ვერ განახორციელებს თავის სწრაფვას განვითარებისაკენ, რაც ისეთ დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული, როგორიცაა „ათასწლეულის პროგრამა“ და მისი „ათასწლეულის განვითარების მიზნები“, ვერ შეასრულებს ვერც ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა ვალდებულებებს.

ბავშვებზე უნდა ვრცელდებოდეს ადამიანის ყველა უფლება და, შესაბამისად, მათ დაცვას უნდა ახორციელებდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა მექანიზმი საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე. ეს ასევე ეხება გაეროს ან ადამიანის უფლებათა რეგიონულ ორგანოებს (როგორიცაა ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკის კომისია) და ქვეყნებსაც, სადაც ბავშვის უფლება დაცვაზე უნდა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთმა მექანიზმებმა, როგორიცაა კონსტიტუციური სასამართლოები.

მთავრობებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ძირითადი წესები შევიდეს კანონმდებლობაში და მიიღონ და დანერგონ უფრო ყოვლისმომცველი და დეტალური სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა შესრულებას შესაბამისი პროფესიული ასოციაციები და ორგანოები გაუწევენ მონიტორინგს.

ბავშვის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო მექანიზმია ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ პერიოდულად წარმოსადგენი ანგარიშების განხილვა. ეს ანგარიშები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანონმდებლობის და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ კონვენციაში აღიარებული უფლებების ხორცშესხმის მიზნით გაატარა, მათ შორის აღნიშნული უფლებების დაცვისა და მიღწეული წარმატებების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაიცვან ყველა ბავშვი და აკისრიათ ანგარიშვალდებულება ნებისმიერ წარუმატებლობაზე. მაგრამ სამართლებრივ სტანდარტსა და მის განხორციელებას შორის დიდი შეუსაბამობა რჩება. ეს ის სფეროა, რომელშიც ჟურნალისტებს შეუძლიათ ჩარევა და კითხვების დასმა სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით.

ბავშვის დაცვის ძირეული მიზანია ის, რომ ყველა იმ ადამიანმა, რომლის მოვალეობასაც ბავშვების დაცვა წარმოადგენს, აღიაროს ეს მოვალეობა და შეძლოს მისი ცხოვრებაში გატარება. ჟურნალისტებმა უნდა დასვან კითხვები იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც დავალებული აქვთ ბავშვების დაცვა. აქვთ თუ არა მათ სათანადო მომზადება? შემოწმებულია, რამდენად სანდონი არიან?

ეთიკური და სამართლებრივი იმპერატივების გათვალისწინებით ბავშვთა დაცვა საზოგადოების ყოველ დონეზე ყოველი ადამიანის საქმეა. ბავშვთა დაცვის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოებს, მოსამართლეებს, პოლიციას, მასწავლებლებს, ექიმებს, სოციალურ მუშაკებს, ჯანდაცვის მუშაკებს, მშობლებს და მედიას. ეს მოვალეობები შეიძლება აისახოს სამართლებრივ სტანდარტებში, რომლებსაც სახელმწიფო პრაქტიკულად განახორციელებს. ისინი ასევე შეიძლება აისახოს მთავრობის მიერ გაკეთებულ სხვადასხვა არჩევანში, რესურსების გამოყენების ჩათვლით. ისინი სულ უფრო მეტ ასახვას პოვებენ მარეგულირებელ ნორმებში და მედიის ორგანიზაციებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელო მითითებებში.

ბავშვთა დაცვა ორგანიზაციებში

ბავშვთა დაცვა ყველა იმ ადამიანის საქმეა, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობს. ის მიზნად ისახავს ყველა ბავშვის და ახალგაზრდის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ბავშვთა დაცვის სტრატეგიები ხელს უწყობს ბავშვებისათვის უსაფრთხო ორგანიზაციების შექმნას, აგრეთვე რთულ სიტუაციებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას. ისინი ასევე ხელს უწყობს ისეთი კულტურის დამკვიდრებას, რომელშიც გათვალისწინებულია ბავშვთა საჭიროებები, რათა ორგანიზაციებმა საკუთარი საქმიანობა ბავშვის უფლებათა დაცვის პერსპეტივიდან დაინახონ.

„კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგია გიხელმძღვანელებთ რთული სიტუაციების გადაჭრაში. კრიზისის დროს შეიძლება უფრო ძნელი იყოს ნათლად აზროვნება. თუ საიმედო სტრატეგია გექნებათ, შეძლებთ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმოქმედოთ და თავიდან აიცილოთ ბრალდებები მიკერძოებულ დამოკიდებულებაში რომელიმე მონაწილის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.“ (ECPAT ავსტრალია).

ბევრ ორგანიზაციას ბავშვთა დაცვის საკუთარი სტრატეგია აქვს, რომელშიც აღნიშნულ სფეროში მათი საქმიანობა და პროცედურებია აღწერილი. ბავშვთა სამსახურებს რამდენიმე ქვეყანაში გამოცემული აქვთ სახელმძღვანელო მითითებები და ეს სამსახურები მოუწოდებენ ორგანიზაციებს, რომლებსაც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან კონტაქტი აქვთ, შეიმუშაონ ბავშვთა დაცვის სტრატეგია.

ორგანიზაცია „ჩაილდ ჰოუპმა“ (გაერთიანებული სამეფო) მოამზადა პაკეტი ბავშვთა დაცვის სტრატეგიებისა და პროცედურების შემუშავებაში ორგანიზაციების დასახმარებლად. ამ პაკეტში მოცემულია ბავშვთა დაცვის ძირითადი პრინციპები და ის ეტაპები, რომლებიც საჭიროა ბავშვთა დაცვის სტრატეგიების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასებისათვის. მასში ჩამოთვლილია ექვსი ნაბიჯი „ბავშვებისათვის უსაფრთხო ორგანიზაციის“ შესაქმნელად:

1. ბავშვთა დაცვისა და ბავშვებზე ძალადობის კონცეფციების შესწავლა;
2. იმის გაანალიზება, თუ რატომ სჭირდება ორგანიზაციას ბავშვთა დაცვის სტრატეგიები და პროცედურები;
3. ბავშვთა დაცვის სტრატეგიებისა და პროცედურების ეფექტიანი შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო საორგანიზაციო პრინციპების განხილვა;
4. როგორ უნდა შემუშავდეს პოლიტიკა და პროცედურები ორგანიზაციაში;
5. მათ შორის მათი განხორციელების სახელმძღვანელო მითითებები;
6. როგორ უნდა გადაილახოს ორგანიზაციების წინაშე წარმოქმნილი დაბრკოლებები და პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზების განხილვა.

მედიის ბავშვთა დაცვის სტრატეგიები

მედიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვთა დაცვის საქმეში. პირველ რიგში, მედიის ორგანიზაციებს შეუძლიათ განახორციელონ ბავშვთა დაცვის სტრატეგიები, რათა მიიღონ ზომები საკუთარი თანამშრომლების ისეთი ქცევის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია, საფრთხე შეუქმნას ბავშვის უფლებებს. მაგალითად, „ბი-ბი-სი“ მოითხოვს, რომ თანამშრომლებმა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მიმართებაში დაიცვან მისი „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“:

„18 წლამდე ასაკის ყველა ახალგაზრდის კეთილდღეობას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ნიშნავს, რომ მათი ინტერესები და უსაფრთხოება ნებისმიერ სარედაქციო მოთხოვნაზე უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს. ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, მათი ასაკის, შეზღუდული უნარის, სქესის, რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, უფლება აქვს, რომ ისინი დაცული იყვნენ ზიანისა და ძალადობისაგან“.

„თუ ჩვენი საქმიანობის პროცესში გაგვიჩნდება ეჭვი, რომ ბავშვს შეიძლება რაიმე რისკი დაემუქროს, ან თუ ახალგაზრდა გვაფრთხილებს, რომ ყურადღება მივაქციოთ ბავშვის კეთილდღეობის საკითხს („ბი-ბი-სის“ თანამშრომლების წინააღმდეგ ბრალდებების

ჩათვლით), აღნიშნული სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განყოფილების მენეჯერს, რომელიც ბავშვთა დაცვის პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი.“

ახალი ამბების სააგენტოებში არსებულ ბავშვთა დაცვის სტრატეგიათა უმეტესობაში მოცემული იქნება სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ეხება ბავშვების ვინაობის გამჟღავნებას, ახალგაზრდების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას და მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების სახელების გამოყენების აკრძალვას. ეს სახელმძღვანელო მითითებები უზრუნველყოფს, რომ პროცედურები სათანადოდ იქნეს გამოყენებული ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის დასაცავად. ბავშვებთან მომუშავე ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოუშვა სახელმძღვანელო მითითებები ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ და საკუთარი სტრატეგიები აქვთ, მაგალითად, ბავშვების ფოტოების გამოყენების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მედიამ დახმარება გაუწიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ბავშვთა დაცვაში მონაწილეობასთან და იმ ადამიანების გამომზეურებასთან დაკავშირებით, რომლებიც რაიმე ფორმით (ძალადობის ფორმით თუ უბრალოდ შესაბამისი სისტემების ნაკლებობის გამო) საფრთხეს წარმოადგენენ ბავშვებისათვის. მედიამ მთავრობას ანგარიში უნდა მოჰკითხოს, თუ ის ვერ მოახერხებს საკუთარი ბავშვების დაცვას.

შეფასება

რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისათვის ბავშვთა დაცვის სტრატეგიების ცოდნა? მოიძიეთ მაგალითები ახალი ამბებიდან, სადაც მთავარი თემა ბავშვთა დაცვაა. რამდენად ინფორმირებულია ჟურნალისტი ბავშვთა დაცვის სტრატეგიების შესახებ? როგორ გააუმჯობესებდით ამ სტატიას?

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„ჩაილდ ჰოუპი“ (გაერთიანებული სამეფო), ბავშვთა დაცვის პოლიტიკის მექანიზმების პაკეტი:
http://www.childhope.org.uk/toolkit.php

„ბავშვთა დაცვა“, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის „იუნისეფის“ რეგიონული ოფისი, 2004

---

3. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

ძირითადი სასწავლო თემები

- იმ ბავშვების საკითხების გაშუქება, რომელთა საქმე სასამართლოშია;
- პატიმრობაში მყოფ ბავშვებთან შესვლის უფლება;
- რა კანონი არსებობს, რომელიც ბავშვების სასამართლო პროცესებს და პატიმრობის საკითხებს ეხება?
- პატიმრობაში მყოფი ბავშვების უფლებათა ცოდნა.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

ტერმინი „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები“ ეხება 18 წლამდე ნებისმიერ პირს. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უმეტესობას ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, ან ისეთი წვრილმანი სამართალდარღვევა, როგორიცაა მაწანწალობა, სკოლის უმიზეზოდ გაცდენა, მათხოვრობა ან ალკოჰოლის გადაჭარბებით მოხმარება. ზოგიერთი მათგანი ცნობილია, როგორც „სტატუსური სამართალდარღვევა“ და არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, თუ ის ზრდასრული ადამიანის მიერ არის ჩადენილი. რეალურად, ამგვარი დანაშაული ნაკლებად საინტერესოა ჟურნალისტებისათვის, თუ მათ რაიმე განსაკუთრებული ინტერესი არა აქვთ, როდესაც, მაგალითად, ბავშვი გამოჩენილი ადამიანის ნათესავია. ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელო კანონდარღვევებს უფრო მეტად სენსაციური გამოცემები აშუქებენ.

ხშირად კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს აღარ ეპყრობიან როგორც ბავშვებს. ამის სანაცვლოდ ითვლება ხოლმე, რომ მათ მიერ ჩადენილი კანონდარღვევა ართმევს მათ ბავშვთა უფლებას დაცვაზე და მათ ზუსტად ისე ეპყრობიან, როგორც ზრდასრულ დამნაშავეებს ან, უარეს შემთხვევაში, სარგებლობენ მათი დაუცველობით.

მონაცემები პატიმრობაში მყოფი ბავშვების შესახებ მწირია, მაგრამ „იუნისეფის“ შეფასებების თანახმად, კანონთან კონფლიქტში ყოფნის გამო ერთ მილიონზე მეტი ბავშვი იმყოფება პატიმრობაში. ბევრ ქვეყანაში უკვე მოსმენილია სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრილი ბავშვების საქმეები და შესაძლებელია მათ შესახებ ოფიციალური ცნობების მოპოვება, ასე რომ, ინფორმაციის ნაკლებობას გასამართლებელი საბუთი არა აქვს.

პატიმრობაში მყოფი ბავშვების მიმართ ძალადობრივი მოპყრობა ფართოდ გავრცელებული და სერიოზული პრობლემაა. ბავშვის უფლებათა კომიტეტის 37-ე შეხვედრაზე გამოითქვა შეშფოთება სხვადასხვა ქვეყენის, მათ შორის ბრაზილიის, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების მიმართ არსებულ პროცედურებთან და ბავშვების დაცვასთან დაკავშირებით; აღინიშნა, აგრეთვე, ანგარიშები დაკავების ადგილებში წამებისა და გაუსამართლებლად მკვლელობის ფაქტების შესახებ.

პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, სასამართლო პროცესამდეც და მის შემდეგაც, ბავშვები ძალადობის რისკის წინაშე დგანან. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური და

სექსუალური ძალადობა უფროსი ასაკის პატიმრების, ბადრაგის, პოლიციელებისა თუ სხვა არასრულწლოვანი პატიმრების მხრიდან, რომლებსაც ხშირად თავად სისტემის თანამშრომლები აქეზებენ ან ზოგ შემთხვევაში უბიძგებენ კიდეც. ზოგჯერ თავად გამასწორებელი რეჟიმია გადამეტებულად სასტიკი, მოიცავს გაურკვეველი ხნით დაკავებას, ბავშვების იზოლაციაში ან უფროსი ასაკის პატიმრებთან ერთად გადაჭედილ და ანტისანიტარიულ პირობებში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყოფნას. ზოგ ქვეყანაში არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ ჯერ კიდევ იყენებენ სიკვდილით დასჯას. საერთაშორისო სამართალი კრძალავს სიკვდილით დასჯას 18 წლამდე ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგიერთი ქვეყანა აგრძელებს დამნაშავე ბავშვების სიკვდილით დასჯას.

2005 წლის აპრილში, გაეროს გენერალური მდივნის ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებისადმი მიძღვნილი კვლევის ფარგლებში კონსულტაციების სახით გაიმართა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა. აღნიშნულმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების მიმართ ძალადობას უწყობს ხელს. ეს ფაქტორებია:

- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა, დაწესებულებათა და იმ პერსონალის დაუსჯელობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის მიმართ ძალადობაზე;
- აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გადაჭარბებით გამოყენება, განსაკუთრებით წინასწარი დაკავების დროს, მათ შორის არასამართალდამრღვევების მიმართ;
- ოფიციალური მართლმსაჯულების სისტემის საზოგადოებრივი ალტერნატივებისა და საპატიმრო სისტემის ალტერნატივების, მათ შორის ზრუნვისა და დაცვის სისტემების ნაკლებობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სათანადო სისტემების ნაკლებობა, მათ შორის შესაბამისი დაწესებულებების ნაკლებობა და ბავშვების უფროსი ასაკის პატიმრებისაგან იზოლირებულად მოთავსების შეუძლებლობა;
- დაწესებულებებზე გარეშე კონტროლის ნაკლებობა, მათ შორის ეფექტიანი დამოუკიდებელი საჩივრებისა და საგამოძიებო პროცედურების, დამოუკიდებელი მონიტორინგისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საპატიმროებში შესვლის უფლების ნაკლებობა;
- საზოგადოებაში ძალადობის „დაშვება“, რასაც მივყავართ ძალადობის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებამდე ყველა დონეზე: ოჯახში, სკოლასა და თემში;
- სამართალდამცავი ორგანოებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა ტრენინგების ნაკლებობა;
- „ბოროტმოქმედების მიმართ სასტიკი დამოკიდებულების“ სტრატეგიები, ქუჩის ბავშვებისა და სოციალურად და ეკონომიკურად დისკრიმინირებული სხვა ბავშვების მიმართ მედიის უარყოფითი დამოკიდებულება და მათი დამამცირებელი იმიჯის შექმნა.

კონკრეტული მაგალითის განხილვა: უკანონო დაკავების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი

უკანონო დაკავების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს გაეროს მანდატის მქონე ადამიანის უფლებათა ექსპერტების დამოუკიდებელ ორგანოს. იგი იძიებს უკანონო დაკავების შემთხვევებს, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ეს ორგანო 1991 წელს დაარსდა ადამიანის უფლებათა ყოფილი კომისიის მიერ და ამჟამად გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს კონტროლის ქვეშ იმყოფება.

სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, მთავრობათაშორისი სააგენტოებისა და მსხვერპლთა ოჯახებისაგან მიღებული ინფორმაციის დადასტურების შემდეგ სამუშაო ჯგუფი მთავრობებს უგზავნის გადაუდებელ მოთხოვნებს, დაადგინონ დაკავებულის ადგილსამყოფელი და პირობები. სამუშაო ჯგუფს შეუძლია ჩაატაროს საგამოძიებო გასვლითი ვიზიტებიც იმ ქვეყნებში, რომლებმაც გაუგრძელეს ჯგუფს მოწვევა. სამუშაო ჯგუფში შედიან ადამიანის უფლებათა ექსპერტები, რომლებიც შერჩეული არიან სამართლებრივ საკითხებში მათი გამოცდილების და მიუკერძოებლობის გამო.

ჯგუფის აზრით, ბევრი ბავშვი დაკავებული იმის გამოა, რომ ისინი მარტო არიან: „ზოგჯერ ბავშვები დაკავების ადგილებში იმიტომ კი არა ხვდებიან, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი, არამედ იმის გამო, რომ არ ჰყავთ ოჯახი, რომელიც მათზე იზრუნებდა. ისინი არიან ობლები, რომლებიც მოთავსებულნი არიან ციხის მაგვარ „დაცულ დაკავების ადგილებში“.

კანადაში, თურქეთსა და ნორვეგიაში, ადამიანის უფლებათა კომისიის ინფორმაციით, ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა. კანადაში მკვლევარმა ვერც ერთი ბავშვი ვერ ნახა დაკავების ადგილებში. თურქეთში მოქმედებს ახალი პროგრამა, თუმცა ის სრულად არ არის ამოქმედებული, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურად მომზადებულ პოლიციის მუშაკებს და პროკურორებს ბავშვებთან სამუშაოდ. იქ ასევე არსებობს ბავშვთა დაკავების სპეციალური ცენტრები და ბავშვები უფროსებისაგნ ყოველთვის იზოლირებულნი არიან.

მთავრობებს აკისრიათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობა, დაიცვან დაკავებული ბავშვები ძალადობისა და ზიანისაგან. მაგრამ საზოგადოებამ და ჟურნალისტებმა უნდა დასვან კითხვა, საერთოდ უნდა იყვნენ თუ არა ბავშვები დაკავებულნი. დაკავება უკიდურესი საშუალება უნდა იყოს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ასეთი ფორმით რეაგირებას ახდენენ ბავშვების ან მოზარდების მხრიდან ანტისოციალურ ან მავნებლურ საქციელზე. თითქოს, თუ მათ თვალს მოაშორებენ ან მათზე ფიქრს შეწყვეტენ, სასურველ მიზანს მიაღწევენ.

„ჰიუმან რაითზ უოჩს“ 1995 წლიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ 17 ანგარიში აქვს გამოქვეყნებული და იგი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროპაგანდას ეწევა. ორგანიზაციას დოკუმენტურად აქვს დაფიქსირებული ის სისტემატური დარღვევები, რომლებიც ბავშვის იურიდიული წარმომადგენლობის ან საქმის სამართლიანი სასამართლო მოსმენის უზრუნველყოფას ეხება ბრაზილიაში, ბულგარეთში, გვატემალაში,

ინდოეთში, იამაიკაში, კენიაში, პაკისტანში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სასამართლოების მიერ გამოტანილი ისეთი განაჩენები, რომლებიც არღვევს საერთაშორისო პრინციპს, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ხანმოკლე და არ უნდა წარმოადგენდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღების და თითქმის საყოველთაო რატიფიცირების შემდეგ ბევრმა ქვეყანამ შეიტანა ცვლილებები საკუთარი ქვეყნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კანონებში, რათა უზრუნველეყო კონვენციასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ბავშვთა უფლებები. სხვა ქვეყნები განიხილავენ რეფორმებს, მაგრამ კანონი ჯერ მიღებული არა აქვთ. და კიდევ ბევრი ქვეყანაა, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ საკუთარი კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

იმ ქვეყნებში, სადაც ამ საკითხს ყურადღება ექცევა, საკანონმდებლო რეფორმები წარმოადგენს პირველ პოზიტიურ ნაბიჯებს ბავშვის უფლებების აღიარების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, შეუსაბამობა კანონსა და პრაქტიკას შორის მაინც ხშირად დიდია. ბევრ ბავშვს უარს ეუბნებიან სათანადო სასამართლო პროცესზე, აუტანელ პირობებში ამყოფებენ, ისინი ბადრაგის და პოლიციის ხელში სასტიკ ძალადობას განიცდიან, ზოგიერთი მათგანი კი სიკვდილითაც ისჯება.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ბავშვებს აქვთ უფლება, არ დაექვემდებარონ წამებას, სასტიკ მოპყრობას, თვითნებურად ან უკანონოდ დაპატიმრებას. მათი საქმეები სამართლიანად და მიუკერძოებლად უნდა იქნეს განხილული. თუ ბავშვებს აპატიმრებენ, ეს უნდა იყოს უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდით. ბავშვებს აქვთ უფლება, საპატიმროში უფროსებისგან განცალკევებით იყვნენ მოთავსებულნი, ჰქონდეთ საკუთარი ოჯახების ნახვის უფლება და მიიღონ იურიდიული დახმარება. მაგრამ ათასობით ბავშვი ვერ იღებს ამ უფლებას. ზოგიერთ ქვეყანაში დაუცველი ჯგუფები, როგორებიც არიან ქუჩის ბავშვები, კრიმინალებად არიან გამოცხადებულნი და მათ მზრუნველობის ნაცვლად საპატიმროებში ამწყვდევენ.

ხშირად ბავშვებს უარს ეუბნებიან იურიდიულ დახმარებაზე ან მშობლებთან ურთიერთობაზე, ათავსებენ საკნებში უფროსი ასაკის დამნაშავეებთან ერთად, მათ არა აქვთ სათანადო კვება და სანიტარიული სათავსოები, ზოგჯერ კი მათ საკნებში იზოლირებულად ამყოფებენ. საპატიმროში მოხვედრის შემდეგ ისინი უჩინარები ხდებიან და ადვილ ნადავლად იქცევიან იმ ადამიანების (პოლიციელებისა და ციხის ზედამხედველების) ხელში, რომლებსაც მათი უსაფრთხოება აქვთ ჩაბარებული. ბევრ ადგილებში არასრულწლოვანთა მიმართ სასტიკი მოპყრობა, მათზე სექსუალური ძალადობა და მათი წამებაც კი ფართოდ არის გავრცელებული.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში პაკისტანში მიიღეს კანონმდებლობა, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება. მაგრამ პრაქტიკულად ბევრი ბავშვისათვის დიდი არაფერი შეცვლილა. პაკისტანში შვიდი წლის ბავშვს შეიძლება წაუყენონ ბრალდება დანაშაულის ჩადენაში. „რაც უფრო დაუცველი ხარ, უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამართალი იპოვო. ბავშვებს ხმის უფლება არა აქვთ, ამიტომ ისინი არავის ენაღვლება.“

კენიაში ღარიბი და დანგრეული ოჯახებიდან გამოსული ბავშვების მზარდი რაოდენობა ქალაქში დაეხეტება, ღამეებს ღია ცის ქვეშ ატარებს, წებოს ისუნთქავს და ქურდობს იმისათვის, რომ იარსებოს. ქუჩის ბავშვებს პოლიცია და ქალაქის ხელისუფლება იჭერენ და შემდეგ მათ მართლმსაჯულების სისტემა შთანთქავს.

აშშ-ში – ერთ-ერთში იმ ორი ქვეყნიდან, რომლებმაც არ მოახდინეს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება — არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სერიოზულად გაუარესდა. საზოგადოებრივმა პროტესტმა მოზარდების ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით 1980-1990 წლებში ქვეყნის მასშტაბით ზეწოლა მოახდინა პოლიტიკოსებზე, გაემკაცრებინათ ზომები დანაშაულის წინააღმდეგ. ორმოცმა შტატმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა გასამართლებას ზრდასრული ადამიანების მსგავსად და კიდევ უფრო მკაცრი რეჟიმის მომხრეა.

ნორმა ხდება ბავშვების დასჯა და არა რეაბილიტაცია. სულ უფრო ხშირად უსჯიან არასრულწლოვანებს უვადო პატიმრობას და მათზე არც პირობით ვადამდე განთავისუფლება ვრცელდება.

ბავშვების ციხეში მოთავსება ალტერნატიული მეთოდების გამონახვის ნაცვლად ახდენს მათ სტიგმატიზაციას და მთელი ცხოვრების მანძილზე დამნაშავის სახელს აკერებს, ართმევს მათ სამუშაოს ან სტიპენდიის მიღების შესაძლებლობას და იმ ადამიანების გარემოცვაში აგდებს, ვისაც უფრო სერიოზული დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს ასევე ზრდის ბავშვების მიერ კანონის ხელახლა დარღვევის ალბათობას.

არსებობს თუ არა პატიმრობის რაიმე ალტერნატივა? არსებობს, აცხადებს „იუნისეფი“ და რამდენიმე რეკომენდაციას გვთავაზობს:

- ნუ დააპატიმრებთ იმ ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ არსებობისათვის სჩადიან დანაშაულს;
- აარიდეთ სისხლის სამართალწარმოების სისტემას ბავშვები, რომლებმაც მსუბუქი დანაშაული ჩაიდინეს;
- პატიმრობის შეფარდება მხოლოდ უკიდურეს ზომად გამოიყენეთ;
- არ მოათავსოთ დაპატიმრებული ბავშვები უფროსებთან ერთად საკნებში;
- მთავრობებმა უნდა ჩაატარონ სიტუაციის ზედმიწევნითი მონიტორინგი, სულ მცირე, მათ უნდა ჰქონდეთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვია ციხეში და რამდენი ხანია, რაც იქ არის.

„ჰიუმან რაითზ უოჩის“ რეკომენდაციები

„ჰიუმან რაითზ უოჩი“ რეკომენდაციას იძლევა, რომ ყველა ქვეყანამ მიიღოს, სულ მცირე, შემდეგი ზომები კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებების დასაცავად (ეს რეკომენდაციები საინტერესო სადისკუსიო თემებია):

1) ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს პატიმრობა შეეფარდოთ მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და რაც შეიძლება მოკლე ხნით. ბავშვები არასოდეს უნდა დააპატიმრონ იმ ქმედებების გამო, რომლებიც დანაშაულად არ ჩაითვლება, თუ ზრდასრული ადამიანების მიერ არის ჩადენილი.

2) დაკავების და პატიმრობის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ბავშვები არასოდეს უნდა მოვათავსოთ საპატიმროებში ზრდასრულებთან ერთად. მათ უნდა დაერთოთ ნება, რეგულარული და ხშირი კონტაქტი ჰქონდეთ საკუთარი ოჯახის წევრებთან, იურიდიულ წარმომადგენლებთან და სხვა პირებთან გარე სამყაროდან; მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს განათლება, ჯანდაცვა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, უნდა ჰქონდეთ საკმარისი საკვები და სანიტარიული პირობები.

3) იმ ქვეყნებმა, სადაც არსებობს ბავშვების სიკვდილით დასჯა ან უვადო სასჯელი, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ამგვარი პრაქტიკა და საკუთარ კანონმდებლობაში შეიტანონ შესაბამისი შესწორებები.

კითხვები ჟურნალისტებისათვის

- დაკავების როგორი წესი არსებობს სასამართლო სისტემაში მოხვედრილი ბავშვებისათვის?
- არიან თუ არა დაკავებული ისეთი ბავშვები, რომლებიც არ არიან დანაშაულის ჩადენაში დამნაშავეებად ცნობილი?
- არიან თუ არა დაკავებულთა შორის ლტოლვილები და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლები?

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი მუხლი ეხება: 37-ე მუხლი წამების და თავისუფლების აღკვეთის შესახებ და მე-40 მუხლი არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების შესახებ.

37-ე მუხლში ნათქვამია, რომ არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს არ შეიძლება შეეფარდოს არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას; ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერ-ესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; დაკავებულ ბავშვს უნდა ჰქონდეს

უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება.

მე-40 მუხლში ნათქვამია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს ისეთი მოპყრობის უფლება აქვს, რომელიც ხელს უწყობს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, ითვალისწინებს ბავშვის ასაკს და მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ბავშვს აქვს ძირითადი გარანტიების მიღების უფლება, ასევე უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება. როდესაც შესაძლებელია, სასამართლო პროცესი და დაკავება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა თავის მეცხრე სხდომაზე, რომელიც 1995 წლის მაისში გაიმართა, ჩაატარა ზოგადი განხილვა არასრულწლოვანთა საქმეების ადმინისტრირების თემაზე. კომიტეტის რეკომენდაცია იყო, რომ სახელმწიფოებმა დაამკვიდრონ „ბავშვზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც ბავშვს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მქონე ადამიანად აღიარებს, ასევე აღიარებს იმას, რომ ბავშვთან დაკავშირებული ყველა ქმედება, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებისაკენ უნდა იყოს მიმართული.“

იმის მიუხედავად, რომ ამ ბოლო დროს ბავშვის უფლებათა ორგანიზაციების ყურადღება გამახვილებულია ბავშვების მიერ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმართ საკუთარი აზრების გამოხატვის მნიშვნელობაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს იშვიათად უსმენენ. ეს ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, მოუსმინონ. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კონვენციის მე-12 მუხლის განმარტებისას განაცხადა, რომ ეს მუხლი მოითხოვს ბავშვებისათვის საჩივრების პროცედურების უზრუნველყოფას და ყურადღება გაამახვილა საჩივრების პროცედურების განსაკუთრებულ საჭიროებაზე თავისუფლებააღკვეთილი ბავშვებისათვის.

არასრულწლოვანთა საქმეების ადმინისტრირების თემაზე კომიტეტის ზოგადი განხილვის შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებს „ხშირად ... უარს ეუბნებოდნენ უფლებაზე, წარედგინათ საჩივრები, როცა ეს ბავშვები მათი ძირითადი უფლებების დარღვევის, მათ შორის ცუდი მოპყრობის და სექსუალური ძალადობის ... მსხვერპლნი ხდებოდნენ“.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, დააწესონ მინიმალური ასაკი, „რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი“. მაგრამ კონვენცია არ აწესებს კონკრეტულ ასაკს და ეს ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა პეკინის წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, რეკომენდაციას უწევს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი დაეფუძნოს ემოციურ, გონებრივ და ინტელექტუალურ სიმწიფეს და რომ ეს ასაკი ძალიან დაბალი არ უნდა იყოს.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესრულების მონიტორინგს აწარმოებს, იძლევა რეკომენდაციას, რომ აღნიშნული ასაკის დადგენისას საჭიროა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინება.

აშშ-ში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი დადგენილია სახელმწიფო კანონით. მხოლოდ 13 შტატს აქვს დადგენილი ისეთი მინიმალური ასაკი, რომელიც 6-დან 12 წლამდე მერყეობს. შტატების უმრავლესობა ეყრდნობა ზოგად კანონს, რომლის თანახმად იგულისხმება, რომ 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვები ვერ იტვირთავენ პასუხისმგებლობას, მაგრამ მათ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

იაპონიაში 20 წლამდე ასაკის დამნაშავეებს სისხლის სამართლის სასამართლო სისტემის ნაცვლად ოჯახურ სასამართლოში ასამართლებენ. სკანდინავიის ყველა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად 15 წელია მიჩნეული, ხოლო 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ექვემდებარებიან მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც უფრო მეტად სოციალური მომსახურებისკენ არის მიმართული, ხოლო დაპატიმრება უკიდურესი ზომაა. 1997 წლის აპრილში შვედეთში მხოლოდ 15 არასრულწლოვანი იხდიდა სასჯელს ციხეში.

ჩინეთში 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მოქმედებს და ბავშვებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის შეიძლება სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ.

ლათინური ამერიკის უმეტეს ქვეყნებში მიმდინარეობს რეფორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში. ამის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი ბრაზილიაში, კოლუმბიასა და პერუში 18 წლამდე გაიზარდა, 12-დან 18 წლამდე ბავშვების პასუხისმგებლობას კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაზღვრავს.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად 13-16 წელია მიჩნეული, ხოლო ირლანდიაში – 12 წელი.

დიდი განსხვავებები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დადგენაში საერთაშორისო კონსენსუსის ნაკლებობაზე მეტყველებს. იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის დაბალი ასაკია დადგენილი, მიუთითებს იმაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ბევრი სისტემა სათანადოდ არ ითვალისწინებს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი მხოლოდ ერთი ცვლადი მაჩვენებელია, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან მართლმსაჯულების სისტემები არასრულწლოვანებს. სხვა ცვლადებია: არსებობს თუ არა ცალკე კანონი არასრულწლოვანებისთვის, რომელიც ბავშვის უფლებებზეა დაფუძნებული; ახალგაზრდებზე სადამსჯელო სანქციები ვრცელდება თუ მხოლოდ სოციალური და საგანმანათლებლო ზომები არსებობს; და არსებობს თუ არა ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემები და საპყრობილეები ახალგაზრდებისთვის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვა და

მოპყრობის მიუკერძოებელი სტანდარტი. ამგვარი სისტემის არარსებობის პირობებში ახალგაზრდების მიმართ გამოყენებული იქნება ზრდასრული ადამიანებისათვის განკუთვნილი სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ან ისინი მოხვდებიან „დამცავ“ სამზრუნველო დაწესებულებაში, სადაც მათ არანაირი სამართლებრივი დაცვა არ ექნებათ და შეიძლება შეეჯახონ თვითნებურ და სასტიკ მოპყრობას.

მედია და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები: ვინაობის დაცვა

ბრიტანეთში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის აქტი (1999 წ.) დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს საქმეს, რომლის გამოძიებასაც იწყებს პოლიცია და რომელიც ეხება რაიმე ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რაც გამოიწვევს 18 წლამდე იმ ახალგაზრდის იდენტიფიცირებას, რომელსაც ბრალად დანაშაულის ჩადენა ედება. ეს პირობა შეიძლება მოიხსნას, თუ ჟურნალისტი შეძლებს სასამართლოს დარწმუნებას, რომ ამგვარი დეტალების გამოქვეყნება საზოგადოების ინტერესებშია. აღნიშნული შეზღუდვები უქმდება, როცა მსჯავრდებული 18 წლის ასაკს აღწევს.

„ბი-ბი-სის “ სარედაქციო მითითებები ბავშვების იდენტიფიკაციის შესახებ

რთული ეთიკური საკითხი წამოიჭრება, როდესაც უნდა გადავწყვიტოთ, ასოციალური ან კრიმინალური ქცევის შემთხვევაში რა არის ბავშვის ინტერესში: მისი ვინაობის გამჟღავნება თუ ანონიმურობის დაცვა.

როგორც წესი, ასეთი ქცევის ასახვისას არ უნდა გავამჟღავნოთ ბავშვის ვინაობა მოვლენის გაშუქების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვის ვინაობის გამჟღავნებას საფუძვლად უდევს მკაფიო სარედაქციო დასაბუთება. იმ ბავშვის ჩართვა პროგრამაში, გადაღება და ვინაობის გამჟღავნება, რომლის მშობლებიც ჩართულნი არიან ასოციალურ და კრიმინალურ საქმიანობაში, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამით ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქრება და თუ ეს დასაბუთებულია სარედაქციო პოლიტიკით. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც ბავშვებს რაიმე საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეთ, მაგალითად, როდესაც ბავშვი ლოთ მშობლებთან ცხოვრობს ან როდესაც მას აიძულებენ, შეასრულოს ნარკოტიკების კურიერის როლი.

კონკრეტული მაგალითი (1): დიდი ბრიტანეთი: მერი ბელი

მერი ბელი ორი ბიჭის - მარტინ ბრაუნის (ოთხი წლის) და ბრაიან ჰოუვის (სამი წლის) მკვლელობაში დამნაშავედ 1968 წლის დეკემბერში ცნეს. მერი ბელმა ბავშვები „მხოლოდ სიამოვნების და მკვლელობით გამოწვეული აღგზნების გამო“ დაახრჩო.

მკვლელობების ჩადენის დროს ბელი 10 წლის იყო. დამნაშავედ ცნობის შემდეგ მას დიდ ყურადღებას უთმობდა ბრიტანული პრესა და გერმანული ჟურნალი „შტერნი“. მისი დედა მის ამბებს პრესას მიჰყიდდა ხოლმე და ხშირად კორესპონდენტებს აძლევდა ნაწერებს, რომლებიც, მისი თქმით, მერის ეკუთვნოდა. თავად ბელი ისევ მოხვდა გაზეთების პირველ გვერდებზე, როცა 1979 წლის სექტემბერში გაიქცა „მურ კორტის“ (Moor Court) ღია ტიპის ციხიდან.

ბელი 1980 წელს გაათავისუფლეს ციხიდან და ანონიმურობას შეჰპირდნენ, რათა თავის ქალიშვილთან ერთად (რომელიც 1984 წელს დაიბადა) ახალი ცხოვრება დაეწყო (გამოგონილი სახელით). ქალიშვილმა არაფერი იცოდა დედის წარსულის შესახებ, მაგრამ ბელის ადგილსამყოფელი რეპორტიორებმა აღმოაჩინეს და დედა-შვილს სახლის დატოვება მოუხდა. მათ თავზე ლოგინის თეთრეული შემოიხვიეს და ისე გაიპარნენ. ქალიშვილის ანონიმურობა თავდაპირველად, ვიდრე ის 18 წლის არ გახდა, დაცული იყო. თუმცა 2003 წლის 21 მაისს ბელმა მოიგო საქმე უმაღლეს სასამართლოში მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარი და თავისი ქალიშვილის ანონიმურობის დაცვასთან დაკავშირებით.

კონკრეტული მაგალითი (2): დიდი ბრიტანეთი: ჯეიმს ბალგერის მკვლელები

ჯეიმს („ჯემი“) ბალგერი იყო ორი წლის ბავშვი, რომელიც ორმა 10 წლის ბიჭმა მოიტაცა და მოკლა მერსისაიდში, ინგლისში. ესენი იყვნენ ჯონ ვინეიბლსი და რობერტ თომპსონი. ორი ბავშვის მიერ მცირეწლოვანი ბავშვის მკვლელობამ საზოგადოებაში შოკი, რისხვა და მწუხარება გამოიწვია, განსაკუთრებით ლივერპულში. მოსამართლემ, რომელსაც სასამართლო პროცესი მიჰყავდა, ბრძანება გასცა, რომ ეს ორი ბიჭი *„მრავალი, მრავალი წლით“* მოეთავსებინათ საპატიმროში.

სასამართლო პროცესიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ლორდმა ტეილორმა გოსფორტიდან, ლორდმა — მთავარმა მოსამართლემ, გამოსცა ბრძანება, რომ ბიჭებს, სულ მცირე, 10 წელი უნდა გაეტარებინათ ციხეში. ისინი ციხიდან მხოლოდ 2003 წელს გამოვიდოდნენ. მაგრამ მასობრივმა პრესამ და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალეს, რომ განაჩენი ძალზე რბილი იყო და გაზეთ „სანის“ რედაქტორებმა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, მაიკლ ჰოუვარდს, გადასცეს 300 000 ხელმოწერიანი პეტიცია, რომელშიც ბიჭებისათვის ციხეში დარჩენის ვადის გახანგრძლივებას მოითხოვდნენ. 1995 წელს ორივე ბიჭის პატიმრობის მინიმალური ვადა 15 წლამდე გაიზარდა. ამ განაჩენის თანახმად მათ ციხიდან 2008 წლამდე არ გამოუშვებდნენ. ამ დროისათვის ისინი 26 წლის იქნებოდნენ.

1999 წელს ვინეიბლსის და თომპსონის ადვოკატებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იმის ნიადაგზე, რომ „ბიჭების სასამართლო საქმის გარჩევა არ იყო მიუკერძოებელი, ვინაიდან ისინი მეტად ახალგაზრდები იყვენ იმისათვის, რომ სასამართლო საქმისათვის თვალი მიედევნებინათ და გაეგოთ სრულწლოვანთა სასამართლოს ქმედებები. ადვოკატები ასევე აცხადებდნენ, რომ ჰოვარდის ჩარევამ *ატმოსფერო უფრო დამუხტა,* რამაც სამართლიანი სასამართლო გარჩევა შეუძლებელი გახადა. აღნიშნულმა სასამართლომ საქმე ბიჭების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსმა“ (*Manchester Evening News)* დებატების პროვოცირება მოახდინა იმ დახურული ტიპის დაწესებულებების დასახელებით, სადაც ეს ორი ბიჭი იმყოფებოდა და ამით დაარღვია პრესის საჯაროობის შესახებ სასამართლოს ამკრძალავი მითითება, რომელიც 2001 წლის დასაწყისში განახლდა. იმავე წლის დეკემბერში გაზეთი დამნაშავედ ცნეს სასამართლოს შეურაცხყოფის გამო, 30 000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და 120 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ხარჯების დაფარვა დააკისრეს.

ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაზე საუბრისას, აუცილებელია მიმოვიხილოთ ამ სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული ფუძემდებლური პრინციპები.

ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წ. ბავშვის უფლებებათა კონვენცია (საქართველო მიუერთდა 1994 წელს). კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ზოგიერთ ძირეულ დამცავ ზომას შეიცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950 წ. (რატიფიცირებულია 1999 წელს) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტშიც (1966 წ.) ასევე ასახულია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ძირეული სტანდარტები (საქართველო მიუერთდა 1994 წელს).

აღნიშნული კონვენციების გარდა, არსებობს მთელი რიგი სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებისა, კერძოდ:

- გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ (1990 წ. ცნობილია, როგორც რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), რომელიც განსაზღვრავს იმ სოციალურ პოლიტიკას, რაც დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ მოზარდთა დასაცავად უნდა იქნეს გატარებული.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაეროს მინიმალური სტანდარტები და წესები (1985 წ. ცნობილია, როგორც პეკინური წესები). ეს წესები განსაზღვრავს მოზარდთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალურ სტანდარტებს.

- გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის (1990, JDL). აღნიშნული წარმოადგენს თავისუფლებააღკვეთილ მოზარდებთან მოპყრობის წესებს.
- გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (1997) (ვენის დებულებები).

- გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ზომების შესახებ (1990 წ. ცნობილია, როგორც ტოკიოს წესები).

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა 2007 წელს შეიმუშავა ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, რომელიც დეტალურად განმარტავს სისტემის არსს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომლის 37-ე და მე-40 მუხლებში დეტალურადაა გაწერილი კანონთან

კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება ზემოთ მოცემულ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს, მართალია, მათ ხელმოწერილი ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, ქვეყნისათვის არ გააჩნია სავალდებულო ძალა, თუმცა ისინი გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოების ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ. მათში მოცემული პრინციპები გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღიარებულია არასრულწლოვანთა მართლსამაჯულების სისტემისათვის შესაფერის სტანდარტებად.

არასრუწლოვანთა მართლსამჯულების ძირითადი საერთაშორისო პრინციპები

მართალია, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებზე ძირითადად კონვენციის 37-ე და მე-40 მუხლებში ასახული სტანდარტები ვრცელდება, თუმცა არსებობს პრინციპები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და თანაბრად გამოიყენება მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების მიმართ. ეს პრიციპებია:

1. ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფა

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით:
„ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“.

კომიტეტის ზოგადი კომენტარის მიხედვით, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვის ინტერესის დაცვა სწორედ მის რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას გულისმობს. კონვენციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი ეხმიანება მე-3 მუხლში მოცემულ პრინციპს და აღნიშნავს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც მიიჩნევენ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონი, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი **ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას**, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებათა და სხვათა თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.

2. სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება

გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით:
«სახელმწიფო ორგანოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება».
სიცოცხლის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და სხვა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტით.

3. უფლება მოსმენაზე - უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მოცემულია კონვენციის მე-12 მუხლში:

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით».

4. მნიშვნელოვანია თანსაწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, რომელიც ასახულია კონვენციის მე-2 მუხლში:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად“.

ეს პრინციპი ასევე განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა (მუხლი 14) და საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მუხლი 26).

მოკლედ შევეხოთ უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, კონვენციის 37-ე და მე-40 მუხლებშია ასახული. ეს პრინციპებია:

- უფლება, ითვლებოდე უდანაშაულოდ, ანუ უდანაშაულობის პრეზუმფცია (მ.40.2 (ბ)(ი))
- უფლება წაყენებული ბრალდების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიღებაზე 40(2)(ბ)(ii)
- უფლება ბრალეულობის დაყოვნების გარეშე დადგენაზე 40(2)(ბ)(iii)
- საქმის განხილვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ 40.2(ბ)(iii)
- იურიდიული დახმარების ან სხვა შესაბამისი კონსულტაციის მიღების უფლება (მუხლი 40.2(ბ)(ii))
- მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მხარდაჭერა პროცესში 40.2(ბ(iii)
- ბავშვის დაცვა ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების მიზნით ძალდატანების მოხდენისაგან მე-40.2(ბ)(iv)

უმნიშვნელოვანესი პრინციპია თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ზომის, გამოყენება, რომელიც ასახულია 37-ე (ბ) მუხლში. კერძოდ, „არც ერთ ბავშვს არ

უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში". თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უფროსებისაგან განცალკევებით უნდა განთავსდეს.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვისათვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას. პეკინური წესების მე-14 მუხლში აღნიშნულია: „სასამართლო განხილვა უნდა უპასუხებდეს არასრულწლოვანის ინტერესებს და განხორციელდეს გაგების ატმოსფეროში, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს, მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გამოთქვას თავისი თვალსაზრისი". როგორც ვხედავთ, აღნიშნული პირდაპირ კავშირშია სასამართლო პროცესში აქტიურ მონაწილეობასთან, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას.

პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს ეხება. ეს პრინციპი განმტკიცებულია, როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციით, ასევე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებით. კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპოდენციის საიდუმლობის უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი" **კონვენციის მე 40(2)(ბ)(ვიი) მუხლი უზრუნველყოფს** ბავშვის პირადი ცხოვრების სრულ პატივისცემას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტების მიხედვით *„საქმის მიმდინარეობის ნებისმიერი ეტაპი"* გულისხმობს ყოველ ეტაპს სამართალდამცავებთან პირველი კონტაქტიდან მოყოლებული (მაგ., ინფორმაციის მოთხოვნა და იდენტიფიკაცია) საქმის საბოლოო დასრულებამდე — კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ან ზედამხედველობის ქვეშ გამოშვებამდე, ან დაპატიმრებამდე და თავისუფლების აღკვეთამდე. მისი მიზანია, თავიდან ავიცილოთ არამიზანშეწონილი საჯაროობით ან სტიგმატიზაციის პროცესით გამოწვეული ზიანი. დაუშვებელია გამოქვეყნდეს ნებისმიერი ინფორმაცია, რითაც შეიძლება მოხდეს ბავშვის ამოცნობა, რადგანაც ეს იწვევს სტიგმატიზაციას და, შესაძლოა, ზიანი მიადგეს მის შესაძლებლობას, მიიღოს განათლება, სამუშაო, ჰქონდეს სახლი ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას. საჯარო ორგანოებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აქვთ უფლება, გაავრცელონ პრესრელიზი, რომელიც შეეხება მხოლოდ მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულს. მათ უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა ამ პრესრელიზის საშუალებით არ მოხდეს ბავშვის ამოცნობა.

კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო ორგანოებმა დანერგონ წესი, რომლის თანახმადაც სასამართლო და სხვა მოსმენები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საქმის შესახებ დახურულ კარს მიღმა ჩატარდება. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვება ძალზე შეზღუდული უნდა იყოს და მკვეთრად უნდა ჩამოყალიბდეს კანონში. სასამართლო დარბაზში განაჩენი იმგვარად უნდა წარმოითქვას, რომ არ გამჟღავნდეს

ბავშვის პიროვნება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 16) მოითხოვს საქმეში ჩართული ყველა პროფესიონალისაგან, რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილ ზომის გატარებაში მონაწილეობს, ან სხვა კომპეტენტური პირისაგან, დაიცვან ინფორმაცია, რამაც შეიძლება ბავშვის ამოცნობა შესაძლებელი გახადოს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ნიშნავს იმასაც, რომ არასრულწლოვნის საქმის მასალები მკაცრად კონფიდენციალური და ხელმიუწვდომელი უნდა იყოს მესამე პირებისათვის, იმ პირების გარდა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ გამოძიებაში, განაჩენის გამოტანასა და მის აღსრულებაში.

პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნას შეიცავს ე.წ. პეკინური წესები, რომლის მე-8 წესის მიხედვით:

8.1 ყველა ეტაპზე დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვანის უფლება პირად ცხოვრებაზე რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

8.2 ზოგადად არ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანის ვინაობის დადგენას. მე-8 მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატიზაციას. რეპუტაციის შელახვის შესახებ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვ-ნის მუდმივ იდენტიფიკაციას სამართალდამრღვევებად და დამნაშავეებად მოსდევს სხვადასხვა სახის დამღუპველი შედეგები. სწორედ ამიტომ მე-8 წესი ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვანის დაცვის აუცილებლობას საქმესთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის (მაგ., ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის სახელები) ვინაობის შედეგებისაგან.

ამავე დოკუმენტის 21-ე წესის მიხედვით „21.1 არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული უნდა იყოს მესამე მხარისათვის. მასალების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხება საქმეზე გადაწყვეტილების მიღება ან სხვა სათანადოდ უფლებამოსილი პირებით.

21.2 არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების შესახებ არსებული მასალები არ გამოიყენება სრულწლოვანთა საქმეების, ან თავად ამ სამართალდამღვევებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.“

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად ასევე ხაზს უსვამს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვნის შესახებ არსებული ჩანაწერების კონფიდენციალურობას. ამ დოკუმენტის მე-19 წესში აღნიშნულია, რომ „ანგარიშები, სამართლებრივი და სამედიცინო ჩანაწერებისა და დისციპლინური სამართალწარმოების ჩანაწერების ჩათვლით, ასევე, დოკუმენტები მოპყრობის ფორმის, შინაარსისა და დეტალების შესახებ მოთავსებული უნდა იქნეს კონფიდენციალურ ინდივიდუალურ ფაილად, რომელიც იქნება მუდმივად განახლებული და ხელმისაწვდომი მხოლოდ ამაზე უფლებამოსილი პირებისათვის, კლასიფიცირებული იმგვარად, რომ იოლად იქნეს აღქმული... არასრულწლოვანთა გათავისუფლების შემდეგ ჩანაწერები უნდა დაილუქოს და გარკვეული დროის შემდეგ უნდა განადგურდეს“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

საქართველოს მთავრობის, იუნისეფის, ევროკავშირისა და სხვა პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა. 2009 წელს განახლდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტარტეგია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებებია:

1. პრევენცია
2. სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა
3. ინტერვენცია (ალტერნატიული სქემები, ალტერნატიული სანქციები, თავისუფლების აღკვეთა)
4. რეინტეგრაცია
5. კვალიფიციური მუშახელი
6. მონაცემთა შეგროვება, შეფასება და კვლევა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი საქართველოში

სანამ უშუალოდ არასრულწლოვანთა საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს საქართველოში. მინიმალური ასაკობრივი ზღვარი იყო 14 წელი ყველა სახის დანაშაულისათვის იქამდე, ვიდრე 2007 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდოდა ცვლილებები და ეს ზღვარი 12 წლამდე დაიწეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა ყველა კატეგორიის დანაშაულზე არ ვრცელდებოდა. კერძოდ, ეს ეხებოდა მხოლოდ 7 სახის დანაშაულს (განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ძარცვა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობა, გაუპატიურება და 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სასჯელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება). ცვლილებები ძალაში 2008 წლის 1 ივლისს შევიდა. კანონის მიხედვით 12-14 წლის არასრულწლოვანთათვის სპეციალური დაწესებულების აშენებამდე, მათ სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმა უნდა შეფარდებოდათ. როგორც ცნობილია, მსგავსი დაწესებულების მოდიფიცირება არ განხორციელდა და, შესაბამისად, საქართველოს სასამართლოები მსგავსი კატეგორიის არასრულწლოვანებისათვის სასჯელის შეფარდებისას მხოლოდ ჯარიმით უნდა შემოფარგლულიყვნენ. უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, 2008 - 2009 წლებში, მსჯავრი დაედო ხუთ 12-14 წლის არასრულწლოვანს. აქედან ორი გაასამართლეს 2008 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინიციატივას საკმაოდ მკაცრი რეაქცია მოჰყვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაბეჯითებით მოუწოდა საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ აღედგინა 14 წელი, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში კვლავ აიწია პასუხისმგებლობის ზღვარი და 14 წელს დაუბრუნდა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2010 წელს შევიდა ცვლილებები ამ საკითხთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის საყოველთაოდ დადგენილი ზღვარი არ არსებობს, თუმცა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ ის რაც შეიძლება მაღალი იყოს.

საქართველოს კანონმდებლობა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა შესახებ[8]

ძირითადი კანონია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მეორე თავში ასახული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვანებზეც.
რაც შეეხება სხვა, ძირითად, კანონებს, ესენია:

- საქარველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999წ)
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009წ)[9]
- საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ (2010წ)[10]
- საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ (2007 წ)

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისას გასათვალისწინებელი პროცესუალური საკითხები (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი)

როგორც ზემოთმოცემული მუხლებიდან ჩანს, კანონი პროცესის მწარმოებელს ავალებს შეისწავლოს არასრულწლოვნის პიროვნება და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა საქმეში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა (მუხლი 45; 321). არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს უფლება აქვთ, დაესწრონ სასამართლო სხდომას ან საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს. თუ სასამართლო ან პროკურორი მიიჩნევს, რომ ეს არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებს ემსახურება, მას შეუძლია სავალდებულო წესით უზრუნველყოს მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის, ასევე პედაგოგის მონაწილეობა. არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს ან პროკურორს შეუძლია აუკრძალოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა (მუხლი 317. 2.3). სასამართლო სხდომა, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული ესწრება, დახურულად ტარდება (მუხლი

8 კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს საქათველოს კნონმდებლობის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. დოკუმენტში ზოგადად არის აღწერილი ის თავისებურებები, რაც კანონმდებლობის მიერ არასრულწლოვნებთან მიმართებაშია გათვალისწინებული. ჯკონკრეტული დოკუმენტის მიზანს ასევე არ წარმოადგენს არასრულწლოვნებთან მიმართებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დეტალური საკითხის მიმოხილვა

9 2009 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს

10 2010 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო პატიმრობის კოდექსი, რომელიც ასევე, ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს

317.1) არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა (მუხლი 316).

დაკავება, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ

თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა. დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში (მუხლი 174).

როგორც ვხედავთ, ამ კუთხით არ არსებობს რაიმე სახის სპეციფიკური მოთხოვნები არასრულწლოვნებთან დაკავშირებით და მათი დაკავების საკითხი ზოგადი ნორმებით რეგულირდება.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით (მუხლი 198.1).

არასრულწლოვნის მიმართ შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის აღკვეთის ღონისძიებები:

1. გირაო;
2. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა;
3. პირადი თავდებობა;
4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ;
5. პატიმრობა;

გირაო – გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის

მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე (მუხლი 200).

პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას (მუხლი 203)

არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა – მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში არასრულწლოვნის გადაცემის მიზანია, აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვანი ბრალდებულის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება (მუხლი 201).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ პირადი თავდებობის ანდ არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენებისას ბრალდებული აღკვეთის გამოყენების პირობას დაარღვევს, მაშინ თავმდებს ან პირს, რომელიც ახორციელებდა მეთვალყურეობას არასრულწლოვანზე, შესაძლოა სასამართლოს მიერ დაეკისროთ ფულადი ჯარიმა (მუხლი 203.6; 201.5)

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით (მუხლი 202).

პატიმრობა – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. (მუხლი 205) არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს პატიმრობა, უნდა მოთავსდეს სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან (მსჯავრდებულებისაგან) და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით (მუხლი 323).

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მასთან დაკავშირებული თავისებურებები(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი)

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის XVI თავში. მაგრამ სანამ უშუალოდ პასუხისმგებლობის სახეებზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით შევეხოთ დანაშაულის კატეგორიებს. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არსებობს დანაშაულის სამი კატეგორია:

- ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- მძიმე დანაშაული;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ნაკლებად მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას;
მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას; განსაკუთრებით მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახით არ ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას.
რაც შეეხება სასჯელის სახეებს, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არასრულწლოვანს შეიძლება შეეფარდოს:

- ჯარიმა;
- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- გამასწორებელი სამუშაო;
- თავისუფლების შეზღუდვა;
- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. (მუხლი 82)

ჯარიმის შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს (მუხლი 42.5[1]).

რაც შეეხება ვადიან თავისუფლების აღკვეთას, სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის მიხდევით, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს. ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის გამოყენებას არასრულწლოვნის მიმართ, თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (მუხლი 63.5). პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება, მაგალითად, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს და სხვა მოვალეობა რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას (მუხლი 65). უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, ალტერნატიულ სასჯელთაგან ყველაზე ფართოდ სწორედ პირობითი მსჯავრის გამოყენება ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას. ზრდასრულებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვნებისათვის დადგენილია შედარებით შემცირებული ვადები. კერძოდ, კოდექსის მიხედვით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან გამასწორებელი სამუშაოთი მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანი –საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება პირობით ვადამდე გაათავისუფლოს სასჯელის მოხდისაგან, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;
გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პრობაციის სამსახური როგორც აღინიშნა, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს კომპეტენციაში შედის. არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო. ადგილობრივი საბჭო ასევე უფლებამოსილია, კანონით განსზაზღვრულ შემთხვევებში განიხილოს და გადაწყვიტოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი.

სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ნასამართლობის გაქარწყლების შემცირებულ ვადებს იმ პირებისათვის, რომელმაც დანაშაული 18 წელს მიღწევამდე, ესე იგი, არასრულწლოვნობის პერიოდში ჩაიდინა.

არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას იძულებითი ხასიათის აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენებით. არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით (მუხლი 90).

აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებებია: გაფრთხილება; საზედამხედველოდ გადაცემა; ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება; ქცევის შეზღუდვა; სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება. ჩვენს ხელთ არსებული ინფრმაციით, ზემოთ დასახელებული ღონისძიებების გამოყენება ფაქტობრივად არ ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დაზარალებულთან შერიგების გამო (მუხლი 89[1]). აღნიშნული ღონისძიებაც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაკლებად გამოიყენება.

განრიდება და მედიაცია

საინტერესოა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი, რომლთაც ხდება არასრულწლოვნის მართლმსაჯულების სისტემისაგან და ფორმალური პროცედურებისაგან განრიდება. კერძოდ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია ახალი დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლის სამართლებრივი დევნა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 105). განრიდების სქემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთან მუშაობს სხვადასხვა პროფესიონალი (პროკურორი, სოციალური მუშაკი, ზოგ შემთხვევაში მედიატორი), რაც ხელს უწყობს განრიდების მიზნების მიღწევას. შესაძლოა, პროცესში მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულმაც. არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რაც მხედველობაშია მისაღები განრიდების სქემის განხორციელებისათვის. უახლოეს მომავალში დაგეგმილია განრიდების სხვა ფორმების დანერგვაც.

პატიმრობაში მყოფი და თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები (პატიმრობის კოდექსი)

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია პატიმრობის კოდექსში. არსებობს ორი ტიპის დაწესებულება, სადაც არასრულწლოვნები შეიძლება განთავსდნენ: პატიმრობის დაწესებულება, სადაც განთავსებული არიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი, ბრალდებული არასრულწლოვნები და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვნები თავსდებიან. ბრალდებული არასრულწლოვნები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რამოდენიმე დაწესებულებაში არიან მოთავსებულნი. მსჯავრდებული არასრულწლოვნებისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულება, რომელიც გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან.

ბრალდებულ და მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სხვადასხვა უფლებით, მათ შორის ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების, სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით

და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის, უფასო იურიდიული დახმარების, ინფორმაციის მიღების, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის და სხვა მნიშვნელოვანი უფლებებით. მსჯავრდებულს დამატებით გააჩნია სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობისა და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება (პატიმრობის კოდექსი მუხლი 14).

კანონის მიხედვით თითოეულ არასრულწლოვან მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართის ნორმა არ უნდა იყოს 3,5 მეტრზე ნაკლები. ასევე არასრულწლოვნებს, სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით უნდა ჰქონდეთ გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები (მუხლი 15).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსჯავრდებული არასრულწლოვნები, ანუ მსჯავრდებულები, რომელთაც დაწესებულებაში შესახლების მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, მოთავსებულნი არიან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ისინი იმყოფებიან სრულწლოვანების ასაკს მიღწევამდე. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 68—ე მუხლის მიხედვით, რესოციალიზაციის, ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღების მიზნით 18 წელს მიღწეული არასრულწლოვანი მსჯავრდებული შესაძლებელია პირადი განცხადებით, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, სასჯელის მოსახდელად დარჩეს იმავე დაწესებულებაში, სადაც ის იხდიდა სასჯელს სრულწლოვანების მიღწევამდე, არა უმეტეს 20 წლის მიღწევისა. სრულწლოვანებას მიღწეულ მსჯავრდებულზე, რომელიც სასჯელის მოსახდელად დატოვებულ იქნა არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, ვრცელდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დადგენილი სასჯელის მოხდის პირობები, კვებისა და საყოფაცხოვრებო ნორმები.

კანონის მიხედვით არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს:

- 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, რაც გულისხმობს კანონით განსაზღვრულ პირებთან შეხვედრას, რომელმაც შეიძლება გასტანოს 1დან 2 საათამდე;
- 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით — წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ხანგრძლივი პაემანი გულისხმობს ამ კოდექსით განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მსჯავრდებულის ან შესაბამისი პირების ხარჯით, ადმინისტრაციის წარმომადგენლის დაუსწრებლად. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 24 საათისა.
- ყოველთვიურად, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების შეძენისათვის გამოიყენოს მის პირად ანგარიშზე არსებული თანხა განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში;
- 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული — არა უმეტეს 15 წუთისა;
- იქონიოს და ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით, გარდა ღამის საათებისა.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისათვის ხორციელდება ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება, რომლის მიზანია, მსჯავრდებულს ჩამოუყალიბდეს ზოგადი უნარ-ჩვევები, მიიღოს ზოგადი ან პროფესიული განათლება. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში სწავლების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ განათლების სტანდარტებს.
საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით დაინერგა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომა, რომელიც გულისხმობს თითოეული მსჯავრდებული არასრულწლოვნის შეფასებას მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ და სასჯელის დაგეგმვას არასრულწლოვანთა საჭიროებიდან გამომდინარე. დაწესებულებაში მომუშავე სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები ეხმარებიან არასრულწლოვანს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევაში.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი - საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის 10/08/2006 (მეათე სხდომის ანგარიში, ოქტომბერი/ნოემბერი 1995, CRC/C/46, პუნქტი 220): http://www.crin.org/resources/infodetail.asp?id=9711

„Save the Children UK“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: ახალი იდეები კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისთვის“:
http://www.crin.org/resources/infodetail.asp?id= 11042

გაერო: „მოუთხრობელი ისტორია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შესახებ“:
http://www.un.org/events/tenstories 2006/story.asp?storyID = 2800

ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი (CRIN) – თემა: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები:
http://www.crin.org/themes/ViewTheme.asp?id = 16

„ბი-ბი-სი ნიუს“ - „სასამართლო უფლებები ჯემი ბალგერის მკვლელებისათვის“:
http://news.bbc.co.uk/1/hi/uk/295752.stm
http://news.bbc.co.uk/1/hi/uk/567578.stm

„ბავშვები და დანაშაული: იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდების საკითხების გაშუქების შედარებითი შესწავლა“, ტომ ბრისლინი და იასუჰირო ინოუე. Journal of Mass Media Ethics, 2007 22(1), gv. 3-17

---

4. სიუჟეტებისა და წყაროების მოძიება

სიუჟეტების აგება ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში

ძირითადი სასწავლო თემები

- რა არის წყარო?
- შეიძლება, რომ ბავშვი იყოს წყარო?
- წყაროების მნიშვნელობა ჟურნალისტებისათვის;
- ანონიმური წყაროები;
- საიდან ვგებულობთ ამბებს?

ჟურნალისტის როლი

არ არის აუცილებელი, რომ ჟურნალისტი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პროპაგანდისტი იყოს. თუ ადამიანების უმეტესობა იცავს ბავშვებს და მათთვის ყოველივე საუკეთესო სურთ, ჟურნალისტებისათვის ეს საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული მოვალეობაა და ბავშვების დაცვით ისინი საკუთარი პროფესიული ეთიკის პრინციპებს ასრულებენ. ჟურნალისტი იტოვებს უფლებას, მიმართოს კრიტიკას, როდესაც ეს საჭიროა და უზრუნველყოფს იმას, რომ ყველას აზრი მოისმინოს.

ჯერ კიდევ 1920-იან წლებში, საიდანაც თანამედროვე ჟურნალისტიკა იღებს სათავეს, მწერალი უოლტერ ლიპმანი და ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი კამათობდნენ ჟურნალისტიკის როლზე დემოკრატიაში. მათი განსხვავებული აზრები ჟურნალისტიკის როლზე საზოგადოებასა და სახელმწიფოში დღევანდელი დებატებისთვისაც აქტუალურია.

ლიპმანს სჯეროდა, რომ ჟურნალისტიკის როლი გულისხმობდა შუამავლობას საზოგადოებასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღებ ელიტას შორის. ჟურნალისტი გადაიქცა შუამავლად. როცა ელიტა ლაპარაკობდა, ჟურნალისტები უსმენდნენ და იწერდნენ ინფორმაციას, შემდეგ „ფილტრავდნენ“ მას და საზოგადოებას გადასცემდნენ მოხმარებისათვის. ლიპმანის არგუმენტაცია ის იყო, რომ საზოგადოება არ არის მზად, თავი გაართვას თანამედროვე საზოგადოებაში წარმოქმნილი ინფორმაციის მზარდ და კომპლექსურ ნაკადს და ამიტომ საჭიროა შუამავალი, რომელიც ახალ ამბებს მასებისათვის გადასაცემად ფილტრში გაატარებს.

ამის საპირისპიროდ, დიუის სჯეროდა, რომ საზოგადოებას არათუ ელიტის მიერ წამოჭრილი საკითხების და გაცემული პასუხების გაგება შეუძლია, არამედ რომ სწორედ საზოგადოებრივმა ფორუმმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები დისკუსიისა და დებატების შემდეგ.

საკითხების დეტალურად შესწავლის შემდეგ ზედაპირზე საუკეთესო აზრები ამოტივტივდება ხოლმე. დიუის მიაჩნდა, რომ ჟურნალისტებმა საზოგადოებას მარტო ინფორმაცია კი არ უნდა მიაწოდონ, არამედ ანგარიში უნდა ჩააბარონ კონკრეტული საკითხების შესახებ და არ შემოიფარგლონ მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით. დიუის აზრით, ჟურნალისტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია და შემდეგ აწონ-დაწონონ, თუ რა შედეგებს მოუტანს საზოგადოებას ელიტის მიერ გატარებული პოლიტიკა.

თუ ლიპმანის ჟურნალისტური ფილოსოფია სახელმწიფოს მეთაურებისათვის იყო უფრო მეტად მისაღები, დიუის მიდგომა უკეთესი საშუალება იყო იმის გასაგებად, თუ რამდენ ჟურნალისტს ჰქონდა გააზრებული საკუთარი როლი საზოგადოებაში და, თავის მხრივ, რამდენი ადამიანი ელოდებოდა ჟურნალისტების მხრიდან მოქმედებას. მაგალითად, ამერიკელები შეიძლება აკრიტიკებდნენ ჟურნალისტების მხრიდან ზოგ შემთხვევაში უფლებამოსილების გადამეტებას, მაგრამ ისინი ჟურნალისტებს მთავრობის, ბიზნესის წარმომადგენლების და სხვა სუბიექტების მაკონტროლებლად მიიჩნევენ, რაც საზოგადოებას საშუალებას აძლევს, ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედია საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ ჟურნალისტების მოვალეობაა, საზოგადოების იმ წარმომადგენლებსა და ორგანოებს დააკისრონ ანგარიშვალდებულება, რომელთა საქმიანობაც სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. სწორედ ეს არის სიუჟეტების მასალების უმეტესი ნაწილის წყარო. ბავშვთა უფლებებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში ამან შეიძლება ახალი პერსპექტივიდან დაგვანახვოს ახალი ამბები.

მაგალითად, ბავშვზე ძალადობის შესახებ სტატიაში ძირითადი სიუჟეტური ხაზი მხოლოდ ძალადობა კი არ უნდა იყოს, არამედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ბავშვთა და მათი უფლებების მიმართ და, აგრეთვე, ბავშვების დაცვა, რაც მათ გაეროს კონვენციით აქვთ ნაკისრი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რაფიტიცირება და ჟურნალისტების მოვალეობაა, მოჰკითხონ მთავრობებს კონვენციის ხელმოწერით დადასტურებული ვალდებულებების შესრულება.

კითხვები ჟურნალისტებისათვის

- როგორ ასრულებს თქვენი ქვეყნის მთავრობა ბავშვის უფლებათა კონვენციას?
- შეასრულა თუ არა თქვენმა მთავრობამ კონვენციის მოთხოვნა, რომ მასში განსაზღვრული პრინციპები და დებულებები საჯაროდ იყოს გამოქვეყნებული?
- ჩამორჩება თუ არა ქვეყანა ბავშვის უფლებათა კომიტეტში ანგარიშების წარდგენის გრაფიკს? ჩატარდა თუ არა საჯარო კონსულტაცია?

არის თუ არა რედაქტორების და მაღალი რანგის ჟურნალისტების მოვალეობა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების შეტანა დღის წესრიგში? საზოგადოება ჟურნალისტებსა და წამყვან რედაქტორებს მეთვალყურეებად მიიჩნევს – ისინი იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი სიუჟეტები და რა დროს უნდა შეირჩეს გამოსაქვეყნებლად ან მაუწყებლობისათვის. მაგრამ ონლაინ ჟურნალისტიკის გაჩენასთან ერთად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბევრი ქსელური ბლოგერი შეიძლება გარკვეულწილად ჟურნალისტად ჩაითვალოს, ეს ტრადიციული როლი იცვლება. „ჟურნალისტიკის ელემენტების“ ავტორი, ბილ კოვაჩი, აცხადებს: „ჩვენი შეხედულება ჟურნალისტების შესახებ, რომ ისინი მეთვალყურეები არიან,

მოძველებულია. ინტერნეტმა ყველა ზღვარი მოხსნა". ამჟამად რედაქტორი უფრო მეტ ყურადღებას არაზუსტი ინფორმაციის გაცხრილვას და ახალი ამბების კონტექსტში და პერსპექტივაში ჩასმას უთმობს.

მაგრამ მკითხველს წარმოდგენა არა აქვს, თუ რამდენად რეალური ან უზუსტოა უშუალოდ ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია. თუ ჟურნალისტიკა ახალი ამბების და ინფორმაციის გამოქვეყნების კანონიერი დამცველია, ასევე, თუ ის განსაზღვრავს, რა უნდა იყოს ან არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, მაშინ მისი მოვალეობა და უფლებაა, დაიცვას და შეინარჩუნოს ეს პოზიცია. მის მოვალეობაში ასევე შედის ბავშვის უფლებათა საკითხების შეტანა ახალი ამბების დღის წესრიგში.

ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ მასალების მომზადებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები

ადამიანის უფლებები ყოველთვის იქნება ჟურნალისტიკის ძირითადი კომპონენტი, მაგრამ მედიის ბევრი მესვეური ან ინფორმირებული არ არის, ან საერთოდ არ გააჩნია საკმარისი ცოდნა ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანის და ბავშვის უფლებათა საკითხებში განათლება პირველი ნაბიჯია ჟურნალისტების მიერ უფლებების დაცვის საკითხებზე მასალების მომზადების გზაზე.

ჟურნალისტებს, რომლებისთვისაც ნაცნობია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, ხელთ უპყრიათ სათანადო ინსტრუმენტები მაკონტროლებლის როლის შესასრულებლად. ისინი შეიძლება საზოგადოების „თვალი და ყური" გახდნენ და უზრუნველყონ, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით იმ ადამიანებმა, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სათანადოდ და პატიოსნად იმოქმედონ.

სიტყვის ძალამ და მისმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება ასევე ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებზე. მედიის მიერ დანაშაულის, ოჯახური ძალადობის, ბრბოს მიერ ძალადობის და პოლიტიკური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ მომზადებულ რეპორტაჟებში გამოყენებულმა ენამ ადამიანის უფლებათა დარღვევები დაამკვიდრა. მედიის მიერ ინფორმაციის წყაროს სიტყვების (როგორიცაა, მაგალითად, ტერორისტი) ციტირებამ შესაძლოა (შეიძლება ყოველგვარი ცუდი განზრავის გარეშე) გარკვეული ადამიანებისა და თემების დემონიზება მოახდინონ.

ბავშვები *ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ* თუ *ისინი უკანონოდ გაიყვანეს ქვეყნიდან*? ადამიანებს შორის *აზრთა სხვადასხვაობაა* თუ *ისინი ჩხუბობენ*?

ხომ არ აღწერენ ბავშვებს შემდეგი სიტყვებით: „პატარა", „პაწაწინა"? ხომ არ ლახავს ეს მათ ღირსებას?

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმ პრობლემებისა, რომლებსაც აწყდებიან ჟურნალისტები ენასთან დაკავშირებით. ბავშვებთან დაკავშირებული სიუჟეტების მომზადება ჟურნალისტებისაგან განსაკუთრებულ გამოცდილებასაც მოითხოვს; მაგალითად, სიუჟეტი ბავშვების ტრეფიკინგის შესახებ საჭიროებს ჟურნალისტური გამოძიების წარმოების კარგ უნარს. საგამოძიებო რეპორტაჟის მომზადება

გულისხმობს საკითხის დეტალურ, ღრმა შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამგვარი ტიპის სიუჟეტის მომზადების არსი მდგომარეობს საკითხის დეტალურ შესწავლაში და მასთან დაკავშირებული ადამიანებისგან სისტემატური ინტერვიუების აღებაში იმისათვის, რომ საქმე შეივსოს და შესაძლებელი იყოს ზოგადი ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ამგვარი სიუჟეტები, როდესაც საქმე უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივ ინტერესებს ეხება, ხშირად ინფორმაციის მოსაძიებლად კანონმდებლობაში ჩაწვდომას საჭიროებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვეკიდებით განსახილველ თემას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვებთან, რომლებიც უშუალო წყაროს წარმოადგენენ, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორი მიდგომა გვაქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით. „იუნისეფმა“ გამოუშვა მედიაში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებშიც მოცემულია სასარგებლო რჩევები ბავშვების შესახებ სიუჟეტების მომზადებისთვის და სადისკუსიო თემები.

როგორც წესი, ჟურნალისტები ყველა სტატიასა თუ სიუჟეტში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც ბავშვის უფლებებს ეხება, დებენ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა: **ზეგავლენა, დროულობა, სინამდვილესთან სიახლოვე, კონფლიქტი, აქტუალურობა, სიახლე და შესაბამისობა.** ამ ფასეულობების გარეშე, რაგინდ კარგი უნდა ეჩვენებოდეთ მასალა ჟურნალისტებსა თუ ბავშვის უფლებათა პროპაგანდისტებს, იგი აუდიტორიას ვერ დააინტერესებს.

„იუნისეფის“ სახელმძღვანელო მითითებები ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისათვის

1. უფრო მეტად ნულარ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზაციას; თავი აარიდეთ კატეგორიზაციებს ან სიუჟეტის ისეთ აღწერას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვისათვის სამაგიეროს გადახდა — დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია, ან ადგილობრივი საზოგადოების მიერ გარიყვა.
2. ყოველთვის გადმოეცით ბავშვის ამბავი ან მისი სახე შესაბამის კონტექსტში.
3. ყოველთვის შეცვალეთ ბავშვის სახელი და დაფარეთ მისი გარეგნობა, თუ ბავშვი არის:
   ა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი;
   ბ. ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ჩამდენი;
   გ. აივ-დადებითი ან შიდსით დაავადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბავშვი, მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი არ განაცხადებს თანხმობას სრულიად შეგნებულად;
   დ. ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული;
   ე. საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში.

4. ბავშვისათვის ზიანის მიყენების ან სამაგიეროს გადახდის რისკის ან პოტენციური რისკის შემთხვევაში შეცვალეთ ბავშვის სახელი და შენიღბეთ მისი გარეგნული სახე, თუ ბავშვი:

   ა. იყო მეომარი, ამჟამად არ აქვს იარაღი, მაგრამ შეიძლება არსებობდეს რისკი;
   ბ. ეძებს თავშესაფარს, არის ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირი.

5. ზოგჯერ შეიძლება ბავშვის ვინაობის გამხელა — მისი სახელის, ან ამოსაცნობი ნიშნების მითითება, - თუკი ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია. მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყოთ და დაიცვათ ის მავნე ზემოქმედებისაგან, სტიგმისა ან საპასუხო ქმედებებისაგან.

ასეთი შემთხვევების მაგალითებია:

   ა. როდესაც თვითონ ბავშვის ინიციატივით ხდება ჟურნალისტთან კონტაქტი, რადგან ბავშვის სურს გამოიყენოს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება.
   ბ. როდესაც ბავშვი მონაწილეობს სოციალური მობილიზაციის ან სხვა რაიმე კამპანიაში და მას უნდა, რომ მისი ვინაობა იყოს გამჟღავნებული;
   გ. როდესაც ბავშვი ჩართულია ფსიქო-სოციალურ პროგრამაში და მიაჩნია, რომ მისი სახელისა და ვინაობის თქმა აუცილებელია ჯანმრთელი განვითარებისათვის;

6. გადაამოწმეთ იმის სისწორე, რის თქმასაც აპირებს ბავშვი სხვა ბავშვებთან ან უფროსთან; სასურველია ორივესთან.

7. თუ ეჭვობთ, რომ ბავშვს შეიძლება ემუქრებოდეს საფრთხე, ყურადღება გაამახვილეთ ზოგად სიტუაციაზე, პრობლემაზე და არა ამ კონკრეტულ ბავშვზე, იმისდა მიუხედავად, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მისი ამბავი.

გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით კითხვების დასმა

ჟურნალისტების საქმიანობა საშუალებას აძლევს მათ, მოსთხოვონ სახელმწიფოს მოქმედება საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად. შეგიძლიათ, თქვენ თავად წამოიწყოთ კამპანიები იმისათვის, რომ გააუმჯობესოთ საზოგადოებისა და პოლიტიკოსებისთვის კონვენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება? უწყობს თუ არა ხელს თქვენი სტატიები თუ სიუჟეტები ბავშვთა უფლებების საკითხებში საზოგადოების ცოდნის გაღრმავებას და შეუძლია თუ არა, რომ ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის უფლებების ხელშეწყობის და დაცვის საქმეში თქვენი მთავრობის სტრატეგიის როლზე?

მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებს შეეძლოთ, თავისუფლად გააკრიტიკონ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მასთან დაკავშირებით კითხვები დასვან. ზოგიერთ ჟურნალისტს შეიძლება პრობლემა შეუქმნას ბავშვის უფლებათა კონვენციაში მოცემულმა განმარტებამ, რომ ბავშვობა 18 წლის ასაკში მთავრდება, თუ ეს გულისხმობს, რომ არ შეიძლება 16 ან 17 წლის ზოგიერთი ადამიანისაგან ინტერვიუს აღება ან მათთვის კითხვების დასმა საჯაროდ. ეს არის სფერო, რომელიც შეიძლება განხილვის საგანი გახდეს.

ესაუბრეთ ექსპერტებს, ბავშვის უფლებათა აქტივისტებს და უშუალოდ ბავშვებს თქვენს ქვეყანაში ბავშვების წინაშე არსებული პრობლემების შესახებ. შეეცადეთ თუ არა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განმარტებების მიღებას ბავშვებისათვის მომსახურების უზრუნველყოფაში და მათი უფლებების დაცვაში არსებული ნაკლოვანებების თაობაზე?

მიგიციათ თუ არა ბავშვებისთვის შესაძლებლობა, რომ მათ ხმას ხელისუფლებამდე და სამოქალაქო საზოგადოებამდე მიეღწია? შეგიმოწმებიათ თუ არა არასამთავრობო

ორგანიზაციების საჩივრები და მიგიპყრიათ თუ არა ყურადღება მათ წარმატებებისა და ნაკლოვანებებისათვის?

კონვენცია მარეგულირებელი წესია თუ მორალური სახელმძღვანელო? ვინაიდან ის კანონი კი არ არის, არამედ დოკუმენტია, რომლის რატიფიცირებაც სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით მოახდინეს, არსებობს თუ არა ის მორალური ნორმა, რომლის შესრულების მიხედვითაც შეიძლება ქვეყანაზე მსჯელობა?

სტატიებისა და სიუჟეტების წყაროები

ინფორმაციის წყაროს ჟურნალისტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ინფორმაციის წყარო იძლევა არსებით ინფორმაციას საგაზეთო სტატიების, რადიოპროგრამებისა და სატელევიზიო გადაცემებისათვის. ისინი შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად — პირველად და მეორად წყაროებად:

პირველადი წყაროები	
კონტაქტები	სასამართლოები/ტრიბუნალები
უშტატო თანამშრომლები	ადგილობრივი მთავრობა
რეგულარული სატელეფონო ზარები	საზოგადოებრივი საქმეები
გავლენიანი ჯგუფები	პრესკონფერენციები

მეორადი წყაროები	
წერილები რედაქტორთან	პრესის სააგენტოები
განცხადებები	ახალი ამბების ორგანიზაციები („როიტერი“, ITN)
პრესრელიზები	ადგილობრივი ხელისუფლება
მედიის სხვა საინფორმაციო საშუალებები	ცენტრალური ხელისუფლება

ხშირად ჟურნალისტები ინფორმაციას პირველადი წყაროებიდან ინტერვიუების საშუალებით იღებენ. თუ პირველად წყაროს ბავშვები წარმოადგენენ, ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ ბავშვებისთვის ინტერვიუს ჩამორთმევასთან დაკავშირებული და ამ დროს გასათვალისწინებელი საკითხები. ამ თემას შემდეგ თავში განვიხილავთ, მაგრამ საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ახალგაზრდების პირადი ცხოვრება უფრო მეტად უნდა იყოს დაცული, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანებისა.

წყაროები მნიშვნელოვანი საკითხია ჟურნალისტიკაში. ზოგიერთი მეცნიერული ნაშრომი მოწმობს, რომ ჟურნალისტების მიერ გამოყენებული წყაროების დიაპაზონი საკმაოდ პატარაა და ისტებლიშმენტის ინტერესებს ემსახურება. ასევე არსებობს ანონიმური წყაროების საკითხიც; ჟურნალისტების ტრადიციული პოზიციაა, რომ მათ არასოდეს შეუძლიათ დაასახელონ წყარო, რომელსაც ანონიმურობის გარანტია მისცეს. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ კანონიც კი მიიღო, რომლის თანახმადაც ჟურნალისტებს შეუძლიათ ამგვარი ანონიმურობა დაიცვან მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ინფორმაციას სასამართლო მოითხოვს. როცა ჟურნალისტებს წყაროს დასახელებას სთხოვენ, მათი ტრადიციული პასუხია, რომ ვინაობის დასახელება, რაგინდ მნიშვნელოვანი მიზეზიც უნდა არსებობდეს, ჟურნალისტიკის რეპუტაციას შელახავს და

ჟურნალისტს აღარავინ ენდობა.

ვრცელდება თუ არა ეს წესი იმ ადამიანებზე, ვინც ბავშვზე ძალადობის ფაქტს აღიარებს? ბევრ ჟურნალისტს ამ საკითხზე სრულიად მყარი შეხედულება აქვს და ისინი ამბობენ, რომ არასოდეს, არანაირ გარემოებებში არ უნდა გამჟღავნდეს ანონიმური წყარო. ჟურნალისტების უფრო მცირე რაოდენობა აცხადებს, რომ ეს საკითხი დამატებით დისკუსიას საჭიროებს (იხ. მაიკლ ფოლის „აბსოლუტიზმი და კონფიდენციალურობა“, *„ეთიკალ სპეის“ (Ethical Space),* ტომი 1, № 2, 2004 წ.).

სად შეიძლება მოვიძიოთ კონკრეტული ინფორმაცია ბავშვებისა და მათი უფლებების შესახებ? გთავაზობთ რამდენიმე წყაროს:

ქვეყანაში არსებული წყაროები

- ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემები
- სკოლები
- საოჯახო სამართლის სასამართლოები
- მასწავლებელთა ორგანიზაციები
- მშობელთა ორგანიზაციები

ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები

- ბავშვთა ომბუდსმენი
- ბავშვის უფლებათა ნაციონალური კოალიციები: http://www.crin.org/NGOGroupforCRC/ViewOrgsByC.asp?typeID=7
- ბავშვების, ახალგაზრდებისა და მედიის საკითხების შემსწავლელი ცენტრი: www.childrenyouthandmediacentre.co.uk
  „ჩაილდ ჰოუპ“: http://www.childhope.org.uk
  „ჩილდრენზ ექსპრეს“: www.childrens-express.org./
  „ჩაილდუოჩ ინტერნეიშენალ“: www.childwatch.uio.no/

სტუდენტებმა უნდა ჩამოთვალონ მათ ქვეყანაში არსებული ნაციონალური წყაროები და ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები.

საერთაშორისო ორგანიზაციები

- „იუნისეფი“: www.unicef.org
- „იუნისეფის“ კვლევითი ცენტრი „ინოჩენტი“ ბავშვთა უფლებების შესახებ: www.unicef-icdc.org
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი: http://ohchr.org
- ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: www.crin.org
- ალიანსი „გადავარჩინოთ ბავშვები“: http://savethechildren.net
- „პლენ ინტერნეიშენალ“: www.plan-international.org
- „ჰიუმან რაითს უოჩ“: http://www.hrw.org
- „ემნისტი ინტერნეიშენალ“: http://www.amnesty.org
- „დიფენს ფორ ჩილდრენ ინტერნეიშენალ“ (Defence for Children International): http://childhouse.uio.no/childrens rights/dci what.html

- „მედიააქტივობა და კარგი იდეები ბავშვების მიერ, ბავშვებისათვის და მათთან ერთად“ (MAGIC):
  http://www.unicef.org/magic/index.html

ბავშვის უფლებათა კომიტეტი

- ბავშვის უფლებათა კომიტეტი: http://www.ohchr.org/english/bodies/crc/index.htm
- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე თითოეული ქვეყნის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები:
  http://www.ohchr.info/english/bodies/crc/sessions.htm an
  http://www.unohchr.ch/tbs/doc.nsf
- ალტერნატიული ანგარიშები — არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშების მოძიება შეიძლება ქვეყნის, სხდომის და ორგანიზაციის კომბინაციით:
  http://www.crin.org/NGOGroupforCRC/search.asp

ბავშვთა უფლებებზე მომუშავე და მედია ორგანიზაციები საქართველოში

გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა: www.unicef.org/georgia

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია – ყველა ბავშვი : www.everychild.org.uk

არასამთავრობო ორგანიზაცია — ბავშვი და გარემო : www.childandenvironment.org.ge

საერთაშორისო ორგანიზაცია — გადავარჩინოთ ბავშვები: www.savethechildren.org

უოლდ ვიჟენი : www.wvi.org

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს ბავშვები : www.cog.ge

გაეროს ასოციაცია: www.una.org
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: www.gyla.ge

სახალხო დამცველის ოფისის ბავშვის უფლებათა ცენტრი: www.ombudsman.ge

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია: www.grma.ge

საქართველოს რეგიონული მაუწყებელთა ასოციაცია: http://www.garb.ge/

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
(კავკასიური ინსტიტუტი): www.cipdd.ge

ასოციაცია “სტუდია რე”: www.studiore.org.ge/

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი: www.humanrights.ge

მედიის ვებ-პორტალი: www.media.ge

ინტერნიუსი საქართველო: www.internews.ge

ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის კავკასიური სკოლა: www.gipa.ge

ომისა და მშვიდობის ინსტიტუტი: www.iwpr.net

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: www.tsu.edu.ge

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: www.iliauni.edu.ge

საქართველოს უნივერსიტეტი: www.ug.edu.ge

საკონტაქტო წიგნაკი: ჟურნალისტებმა საკონტაქტო წიგნაკის წარმოება კარიერის დასაწყისში უნდა დაიწყონ (როცა ჯერ კიდევ სწავლობენ ჟურნალისტიკას). სახელები და გვარები, მისამართები, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები საიმედოდ უნდა იყოს შენახული. რეპორტიორები, რომელთა სპეციალიზაცია ბავშვების საკითხების შესწავლა ან მასთან დაკავშირებული ისეთი სფეროა, როგორებიცაა განათლება ან ჯანდაცვა, რეგულარულად უნდა ურეკავდნენ თავიანთ საკონტაქტო პირებს, რათა საქმის კურსში იყვნენ, თუ რა ხდება ამ სფეროში.

ახალი ამბების წყაროები შეიძლება იყოს სხვა საინფორმაციო გამოშვებებიც. სიუჟეტში ბავშვების შესახებ არ არის აუცილებელი ნახსენები იყოს ბავშვთა უფლებები, მაგრამ საჭიროა თვალყურის დევნება, თუ როგორ არის დაცული ეს უფლებები. ჟურნალებში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები, რომლებიც მცირე ტირაჟით გამოდის, გვთავაზობენ უახლესი კვლევების შედეგებს, რაც შეიძლება ასევე მდიდარი წყარო იყოს სტატიებისა თუ სიუჟეტებისათვის.

დასვით კითხვები: რატომ იხსნება ახალი სკოლა? რატომ იხურება ძველი სკოლა? გათვალისწინებულია თუ არა ახალ განაშენიანებაში შესაბამისი შენობები ბავშვებისათვის, როგორიცაა დაწესებულება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, სპორტული მოედნები, სკოლები? როგორი პირობებია ბავშვებისათვის ადგილობრივ საავადმყოფოებში? ადგილობრივ პოლიციას გავლილი აქვს თუ არა სპეციალური ტრენინგი ახალგაზრდებთან ურთიერთობის საკითხებში? რა ტიპის ტრენინგი აქვს გავლილი?

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„მედია უაიზ ტრასტ“ (Media Wise Trust) და „იუნისეფი“: „ბავშვთა უფლებები და მედია“, 1999 http://www.mediawise.org.uk/display_page.php?id =125

ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი რიგი სახელმძღვანელოებისა, როგორიცაა დევიდ რენდალის *„უნივერსალური ჟურნალისტი“ (The Universal Journalist)* ან რიჩარდ კიბლის *„საგაზეთო სახელმძღვანელო“(The Newspaper Handbook),* რომლებიც ინფორმაციის წყაროებს ეხება.
მაიკლ ფოლის „აბსოლუტიზმი და კონფიდენციალურობა“, Ethical Space, Vol 1 No 2, 2004: www.ethicalspace.org

---

ძირითადი ტერმინები წყაროებთან ურთიერთობისას

ბევრი ჟურნალისტური ჟარგონი ენაში ფილმებიდან და რომანებიდან შემოვიდა. თუმცა ხშირად არ არსებობს ერთი აზრი სიტყვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ, როცა ინფორმაციის წყაროს ესაუბრებით ან ინტერვიუს იღებთ, აუხსნათ, თუ რას გულისხმობთ. ასევე უნდა იცოდეთ, რომ ზოგი უფრო კომპეტენტურია მედიის საკითხებში. ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, საღი აზრი აქაც საუკეთესო გზამკვლევია. გახსოვდეთ, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ წერა საკმაოდ დელიკატური რამ არის.

გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი და კონფიდენციალური ინფორმაცია

ადამიანებს, რომლებიც ჩართული არიან ბავშვის უფლებათა დაცვაში, ექნებათ ბავშვების მიმართ ცუდი მოპყრობის ან ძალადობის ფაქტების გამომჟღავნების სურვილი. ამ სფეროს დელიკატური ხასიათის გათვალისწინებით, ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა ელაპარაკონ ადამიანებს კონფიდენციალურად და რას ნიშნავს ეს. როცა რომელიმე ანონიმურ წყაროს ესაუბრებით, ყოველთვის აუხსენით, რას გულისხმობთ კონფიდენციალურობაში.

მოყვანილი ციტატები

ეს სწორედ ის არის, რაც ჟურნალისტების უმეტესობას უნდა და სჭირდება: ზუსტად მოახდინოს იმის ციტირება, თუ რა თქვა ადამიანმა. ეს ჟურნალისტურ მასალას მეტ კომპეტენტურობას და სარწმუნოობას შესძენს. იდეალურ შემთხვევაში დასახელებული უნდა იყოს ციტატის ავტორი.

გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი ინფორმაცია

როცა ჟურნალისტი ინფორმაციის ოფიციალურ წყაროს ესაუბრება, მის მიერ გამოთქმული შენიშვნები ავტომატურად იწერება, ანუ შესაძლებელია ამ ადამიანის ციტირება და მისი ვინაობის გამჟღავნება.

კონფიდენციალური ინფორმაცია

არ შეიძლება კონფიდენციალურად განდობილი ინფორმაციის ციტირება, ის მხოლოდ დამხმარე ინფორმაციას წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა, რომელსაც ესაუბრებით, თავიდანვე გაიგოს, რომ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეთანხმება დაცული იქნება. ძალიან ხშირად ნუ დათანხმდებით კონფიდენციალურობის დაცვაზე. თქვენი სტატია არადამაჯერებელი იქნება და ცინიკოსებს შეიძლება ეჭვი გაუჩნდეთ, რომ ნაწილი ინფორმაციისა შეთხზულია. მიწოდებული ინფორმაცია უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას: „გასაგებია, რომ...“. ზოგ შემთხვევაში კონფიდენციალური ინფორმაციით შეიარაღებულმა შეიძლება მოახერხოთ სათანადო კითხვების დასმა სხვა ადამიანისთვის და ოფიციალური ვერსია მიიღოთ.

ინფორმაციის წყაროს ვინაობის გაუმჟღავნებლობა
ვიღაცას შეიძლება სურდეს რაიმე განცხადების გაკეთება, მაგრამ არ სურდეს, რომ ეს ინფორმაცია მის სახელს დაუკავშირონ (ასეთ დროს შეიძლება ითქვას: „მრეწველობის დარგის შესახებ ინფორმაციის წყაროები“, „... დაახლოებული წყაროები“, „სერიოზული წყაროები“ და ა.შ.). ადამიანს შეიძლება უნდოდეს კომენტარის გაკეთება მრეწველობის სფეროზე, მაგრამ არ უნდოდეს, რომ საზოგადოებამ ნახოს, თუ რა კომენტარს აკეთებს კონკურენტებზე. ზოგ ქვეყანაში მთავრობის პრესმდივანი ყოველთვის ვინაობის გაუმჟღავნებლობის პრინციპით მუშაობს. ეცადეთ, დაარწმუნოთ ადამიანები, დაგრთონ ნება, რომ მათი ვინაობა ახსენოთ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რადგან ამის შედეგად მასალა უკეთესი და უფრო დამაჯერებელი გამოვა.

კომენტარის გარეშე

ეცადეთ, დაარწმუნოთ ადამიანები, რომლებიც აცხადებენ „კომენტარის გარეშე“, რომ ამან შეიძლება უბიძგოს საზოგადოებას, საკუთარი აზრი შეიქმნას საკითხზე და საკუთარი დასკვნები გამოიტანოს.

5. ინტერვიუს აღება ბავშვებისაგან

ბავშვები, როგორც ინფორმაციის წყარო და თანხმობის მიღება

ძირითადი სასწავლო თემები

- როგორ უნდა აიღოთ ინტერვიუ ბავშვებისაგან?
- ბავშვისგან ინტერვიუს აღება მხოლოდ ბავშვზე პასუხისმგებელი უფროსი ადამიანის დასწრებით შეიძლება?
- როდის შეიძლება ბავშვისაგან ინტერვიუს აღება მშობლის ან მეურვის დაუსწრებლად?
- საჭიროებს თუ არა ბავშვისგან ინტერვიუს აღება იმ უნარ-ჩვევებისგან განსხვავებულ უნარებს, რომლებიც ზრდასრულისგან ინტერვიუს აღებას სჭირდება?

ბავშვები იშვიათად ხვდებიან ახალი ამბების ყურადღების ცენტრში, ვიდრე მათ რაიმე მნიშვნელოვანი ან საშინელი ამბავი არ შეემთხვევათ. მიჩნეულია, რომ ახალი ამბები პირველ რიგში უფროსებზეა და უფროსებისათვის არის განკუთვნილი.

გამოჩენილი ადამიანების ბავშვის დაბადება, გულახდილი აღიარება ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ან ლტოლვილთა ბანაკებში ბავშვების სიკვდილის შესახებ – ეს ყველაფერი შეიძლება სენსაციური ახალი ამბები გახდეს, თუმცა ძირითადი ყურადღება უფროსების პასუხებზეა გადატანილი და არა ბავშვის შეხედულებებზე.

როგორც ბავშვების, ისე ახალგაზრდების უკმაყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არავინ უსმენს. თუმცა მათ ბევრი აქვთ უფროსებისთვის სათქმელი. ბავშვებსა და უფროსებს საერთო ფიზიკური და სოციალური გარემო აქვთ და

ბავშვებზე თავისებურად ახდენს ზემოქმედებას დანაშაულის თუ ეკონომიკური და საკანონმდებლო ცვლილებები.

როცა ბავშვების საკითხებს მედიაში აშუქებენ, როგორც წესი, მათ სტრეოტიპულად წარმოაჩენენ და მათ მიმართ მფარველურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ჟურნალისტების სპეციალიზაცია ბავშვებისაგან საინტერესო სიუჟეტებისა და შეხედულებების შეგროვებაში ერთ-ერთი საშუალებაა, რომლითაც მედიის ორგანიზაციები შეძლებენ ბალანსის დამყარებას. სიტუაციის გამოსწორებას ხელს შეუწყობდა ახალგაზრდა რეპორტიორთა ქსელების შექმნაც, ვინაიდან ახალგაზრდებს მათ გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ საღი აზრის მოწოდება შეუძლიათ.

იმის გაგება, თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები მათ გარშემო არსებულ სამყაროს და საზოგადოებისათვის მათი ხედვის გადაცემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც ჟურნალისტების წინაშე დგას. ამის მიუხედავად, მათ იშვიათად უტარდებათ ტრენინგები იმაში, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მედიაში ბავშვების აღწერისას. ჟურნალისტების პასუხისმგებლობაა, მიუკერძოებლად წარმოაჩინონ ბავშვები, იმგვარად, რომ ინფორმაციის შეგროვების და გამოქვეყნების დროს მათ არანაირი ზიანი არ მიაყენონ.

ჟურნალისტების მოვალეობების დაბალანსება იმ მიზნით, რომ მათ სიმართლე თქვან და თან ბავშვები დაიცვან, ბევრ რთულ და ეთიკურ საკითხთან არის დაკავშირებული. საჭიროა თუ არა კორესპონდენტების ჩარევა ისეთი ბავშვების ცხოვრებაში, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ? უნდა ჩამოართვან თუ არა ჟურნალისტებმა ინტერვიუები იმ ბავშვებს, რომლებსაც ტრავმა აქვთ გადატანილი? რა გარემოებების დროს არის მისაღები ბავშვის ვინაობის გამჟღავნება ან დამალვა?

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ახალგაზრდების პირადი ცხოვრება ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით უფრო მეტ დაცვას საჭიროებს. თუმცა ბევრ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს იმ ბავშვების ვინაობის, ნათქვამის ან ფოტოების გამოქვეყნებას, რომლებიც ინტერვიუს საჯაროდ ჩამორთმევაზე თანხმობას აცხადებენ.

ოფიციალური აზრის გამოთქმის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების დაცვა. ჟურნალისტებმა მიზნად უნდა დაისახონ, რომ ბავშვს მინიმალური ზიანი მიაყენონ როგორც ინტერვიუს აღების მომენტში, ისე მისი გამოქვეყნებით გამოწვეული შედეგებით.

ბავშვების და ახალგაზრდების კეთილდღეობის დაცვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჯანსაღ ჟურნალისტურ პრაქტიკას. ყველა ჟურნალისტმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს რამდენიმე ძირითადი კითხვა:

- მოხდა თუ არა მცირეწლოვანი ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება უფროსების თანხმობით? არსებობს რაიმე სამართლებრივი ბაზა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება?
- ინტერვიუ ბავშვის მიმართ მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა? საკმაო დრო თუ

დაეთმო და შესაფერისი გარემო თუ იყო?

- გათვალისწინებული იყო თუ არა ბავშვის მიერ გაკეთებული კომენტარების, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგები და განუმარტეს თუ არა ეს შედეგები ბავშვს?
- მიღებულ იქნა თუ არა ზომები ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად ჟურნალისტური მასალის გამოქვეყნების შემდეგ და არსებობს თუ არა დამხმარე სისტემები, რომლებიც ხელს უწყობს სხვა ბავშვების კონტაქტს გამომცემელთან?
- აუხსნეს თუ არა ბავშვებს, რა ბედი ელის მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და შეუძლიათ თუ არა გაეცნონ მასალას დასრულებული სახით?

პირდაპირ ეთერში ახალი ამბების გაშუქების შემოღებასთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თანამშრომლებმა, რომლებსაც მკაცრი ვადების პირობებში უწევთ საქმიანობა, იცოდნენ ახალგაზრდებთან მუშაობის მარტივი წესები. „სი-ენ-ენმა " შეიმუშავა ექვსი ფაქტორისაგან შედგენილი სია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ დროს, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას სენსაციური მასალისათვის ბავშვებისაგან ინტერვიუს აღების მიზანშეწონილებაზე. ეს ფაქტორებია:

- ასაკი და სიმწიფე;
- ძალადობის ხარისხი;
- ბავშვის კავშირი რომელიმე მსხვერპლთან;
- მშობლის ნებართვის არსებობა;
- მასალა ფირზეა გადაღებული თუ პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

„ბი-ბი-სის" ასევე მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპები აქვს ბავშვებთან მუშაობისათვის: იხილეთ **„ბი-ბი-სის" სარედაქციო პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებით**.

ხშირად ბავშვები უფროსებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ეუბნებიან იმას, რაც ჰგონიათ, რომ უნდათ უთხრან, მაგრამ ეს ყოველთვის ის არ არის, რისი თქმაც მათ სინამდვილეში სურთ. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ბავშვები უფრო ზუსტ ინფორმაციას მაშინ იძლევიან, როცა მიცემული აქვთ დრო იმისათვის, რომ თავისუფლად ილაპარაკონ საკუთარ ამბებზე, ვიდრე მაშინ, როცა მათ პირდაპირ კითხვებს უსვამენ.

მიზანშეწონილია, რომ ინტერვიუს დროს შორიახლოს ბავშვებისათვის ნაცნობი უფროსები იმყოფებოდნენ, მაგრამ ყველაზე ზუსტი ინფორმაციის მიღება მაშინ შეიძლება, როცა ბავშვები თანატოლების გარემოცვაში არიან. ამის მიუხედავად, ჩვეულებრივ მნიშვნელოვანია, რომ, თუ შესაძლებელია, მიღებული იქნეს შესაბამისი უფროსი ადამიანის (მშობლის ან მზრუნველის) თანხმობა.

მართალია, უნდა არსებობდეს ზოგადი წესი შესაბამისი ზრდასრული ადამიანისაგან ნებართვის მოპოვებასა და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ინტერვიუს თემა არ ამოაგდებს ბავშვს კალაპოტიდან, მაგრამ არსებობს თემები, რომლებთან დაკავშირებითაც ბავშვების შეხედულებების გამოკითხვა არ იქნება პრობლემური. მაგალითად, სიუჟეტს კვების და იმის შესახებ, თუ რას ჭამენ ბავშვები, შეიძლება ახლდეს ბავშვებთან გასაუბრება, როდესაც ბავშვები მოყვებიან, რის ჭამა უყვართ ან რამდენ ფულს აძლევენ ჯიბის ფულად.

ფოტოებში ბავშვების გამოყენება

მედიის მიერ წარმოდგენილი ყველაზე შემძვრელი ტრაგედიის, კონფლიქტის, ბუნებრივი კატასტროფის ან იმედის გამომსახველი ზოგიერთი ფოტო ან გამოსახულება ბავშვებს ეხება. მაგალითად, დაბომბვის დამანგრეველი ძალა მუდმივად ასოცირებული იქნება ცხრა წლის ფან თი კიმ ფუკთან, რომელიც შიშველი გარბის ვიეტნამის გზაზე. აღნიშნულმა ფოტომ 1972 წელს ნიკ ატს „მსოფლიო პრესის ფოტოს“ ჯილდო მოუტანა. საინტერესოა, გამოქვეყნდებოდა თუ არა ამგვარი ფოტო დღევანდელ დღეს და, თუ არა, რატომ? ამ ფოტოს გამოქვეყნების მიზანი ბავშვის ყურადღების ცენტრში მოქცევა იყო თუ ის უფრო ფართო მიზანს – ვიეტნამის ომის ასახვას – ემსახურებოდა, რამაც მის გამოქვეყნებას შეუწყო ხელი?

აღნიშნული ფოტოს ნახვა შესაძლებელია მისამართზე:

http://www.worldpressphoto.org/index.php?option=com_photogallery&task=view&id=177&Itemid=115&bandwidth=high

ამგვარი ფოტოების ან გამოსახულების გარდაუვალი ასპექტია, რომ ბავშვები იდენტიფიცირებული არიან; ისინი რეალური სახელების და ისტორიების მქონე ადამიანები არიან. თუმცა ბავშვების იდენტიფიცირება თუნდაც მათი სახელების მიუთითებლად შეიძლება საბედისწერო გახდეს. დასავლეთის ერთ-ერთ გაზეთში ჯარისკაცი ბავშვის ჩვენება იმით დასრულდა, რომ ათასობით მილით დაშორებულ, ომით განადგურებულ ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში ეს ბავშვი მოკლეს. იმათ, ვინც ბავშვებს ექსპლუატაციას უწევს, არ სურთ, რომ მათ სისასტიკეს მოწმეები ჰყავდეს. კოსოვოს კრიზისის პერიოდში ბალკანეთის რედაქტორებმა უარი თქვეს იმ ბავშვების ფოტოების გამოქვეყნებაზე, რომლებიც გაასახლეს, ვინაიდან იცოდნენ სამხედრო დანაშაულის სასამართლო პროცესებზე პოტენციური მოწმეების იდენტიფიცირების რისკების შესახებ. ამგვარი თავშეკავება არ შეინიშნებოდა დასავლეთის ქვეყნების მედიის სხვა საშუალებებში, რომლებმაც ნახეს, რომ ასეთი ფოტოების ძალამ შეიძლება გაეროს და ნატო-ს მხრიდან ინტერვენცია გამოიწვიოს.

ომის, დანაშაულის და ბუნებრივი კატასტროფების დროს გადაღებული ბავშვების ფოტოებისა და გამოსახულებების გამოყენება სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს. ფოტოჟურნალისტებს გამოუთქვამთ პრეტენზია, რომ მათ მიერ გადაღებულ ფოტოებს არამიზნობრივად და კონტექსტიდან ამოგლეჯილად იყენებენ. ჰუმანიტარული დახმარების მუშაკები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გადამღები ჯგუფების მიერ ლტოლვილთა ბანაკებში სასოწარკვეთილი ბავშვების გადაღების გამო. ეს რეპორტიორები ვერ აცნობიერებდნენ, რომ ბავშვების აშკარა შიში და ტრავმირება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო უცხოელ ჟურნალისტებთან მოულოდნელი შეხებით. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას მედიის მიერ ბავშვთა უფლებების დარღვევის გამო, შეიძლება თავად გამოიყენონ ბავშვის ფოტო ან გამოსახულება თანხების მოსაზიდად. რა არის ბავშვის ფოტოზე უფრო ქმედითი, რაც მათ მუშაობას წარმოაჩენს?

ბავშვის ფოტო ან გამოსახულება

ბავშვების ფოტოებს ხშირად იყენებენ ომის ან კატასტროფების აღსაწერად ამგვარი ფოტოების ემოციური ხასიათის გამო.

„მსოფლიო პრესის ფოტოს“ კონკურსის გამარჯვებულთა ფოტოები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე: http://www.worldpressphoto.org/ და დაფიქრდეთ ბავშვის ფოტოების გამოყენებაზე.

რა გარემოებებში (თუ ოდესმე) არის ახალი ამბების ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ბავშვის ინტერესები? რა მეთოდებია მისაღები ბავშვის ფოტოს ან გამოსახულების შექმნისას, განსაკუთრებით ისეთი ამბების საილუსტრაციოდ, როდესაც ბავშვის ვინაობის გამჟღავნებასთან შეიძლება განსაკუთრებული რისკები იყოს დაკავშირებული?

იუნისეფმა ბავშვებისაგან ინტერვიუს ასაღებად შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშავა:

იუნისეფის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებისაგან ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებით

1. ზიანი არ მიაყენოთ არც ერთ ბავშვს. თავი აარიდეთ ისეთი კითხვების დასმას, ან ისეთი დამოკიდებულების ან მოსაზრებების გამოხატვას, რომლებსაც აქვთ განსჯის ხასიათი, არ ითვალისწინებენ ბავშვის კულტურულ ფასეულობებს და საფრთხეს უქმნიან ან ამცირებენ ბავშვს, ან რომლებიც იწვევენ ტრავმის შედეგად გამოწვეული ტკივილის და უარყოფითი ემოციის ხელახალ განცდას.

2. ინტერვიუსათვის ბავშვის შერჩევისას ნუ მოახდენთ მის დირკიმინაციას სქესის, რასის, ასაკის, რელიგიის, სტატუსის, განათლების ან ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით.

3. არ არის საჭირო ინსცენირება. არ თხოვოთ ბავშვს ისეთი ამბის მოყოლა ან მოქმედების განხორციელება, რომელიც არ არის კავშირში მის საკუთარ ისტორიასთან.

4. აუცილებელია, რომ ბავშვმა ან მასზე პასუხისმგებელმა პირმა/მეურვემ იცოდნენ, რომ ესაუბრებიან ჟურნალისტს. აუხსენით ინტერვიუს მიზანი და სად და როგორ იქნება ის გამოყენებული.

5. აუცილებელია ბავშვის ან მისი მეურვის/მასზე პასუხისმგებელი პირის თანხმობა ნებისმიერი ინტერვიუს, ვიდეო ფირზე ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, დოკუმენტური ფოტოსურათების გადაღებისათვის. თუ შესაძლებელია და მართებული, თანხმობა უნდა იყოს წერილობითი ხასიათის. თანხმობა ბავშვისაგან ან მასზე პასუხისმგებელი პირისაგან უნდა იყოს მიღებული ყოველგვარი იძულების გარეშე და მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი იქნებიან იმ ისტორიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გავრცელდება ადგილობრივი ან ფართო მასშტაბით. ამის უზრუნველყოფა, ჩვეულებრივ, მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თანხმობის მიღება ხდება ბავშვის მშობლიურ ენაზე და გადაწყვეტილება მიღებულია იმ უფროსთან კონსულტაციის შედეგად, რომელსაც ბავშვი ენდობა.

6. მიაქციეთ ყურადღება, სად და როგორ ხდება ბავშვისგან ინტერვიუს აღება. შეზღუდეთ ფოტოგრაფების და იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მას დაუსვამენ კითხვებს. უზრუნველყავით, რომ ბავშვები თავს არ გრძნობდნენ უხერხულად და შეძლონ საკუთარი ამბის მოყოლა გარეგანი ზეწოლის გარეშე, მათ შორის ჟურნალისტის მხრიდან. ფილმის, ვიდეო ან რადიო ინტერვიუების დროს გაითვალისწინეთ ვიდეო თუ აუდიო საშუალებების გავლენა ბავშვის ცხოვრებასა და ისტორიაზე. უზრუნველყავით, რომ ბავშვს არ დაემუქროს საფრთხე ან მასზე უარყოფითად არ აისახოს მისი სახლის, მეზობლების ან საერთოდ, საცხოვრებელი გარემოს ჩვენების გამო.

ინტერვიუს შემდეგ...

- მადლობა გადაუხადეთ ბავშვს იმისათვის, რომ დრო გამონახა და გაგესაუბრათ.
- ჰკითხეთ, ხომ არა აქვს რაიმე შეკითხვა.
- იფიქრეთ ბავშვისთვის კომპენსაციის გადახდაზე, ვინაიდან მან თქვენ დრო დაგითმოთ(განსაკუთრებით მომუშავე ან ქუჩის ბავშვებისთვის), მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს არის დროის კომპენსაცია და არა გადახდა ინტერვიუსთვის. მონაყოლი ამბისათვის თანხის გადახდამ შეიძლება დამახინჯებული სახე მიიღოს, რადგან ხშირად ადამიანები ჟურნალისტებს აწვდიან ინფორმაციას, რომელიც, მათი აზრით, ჟურნალისტებს სჭირდებათ, განსაკუთრებით, თუ მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სენსაციურია და მეტ ფულს მოიტანს.
- კიდევ ერთხელ განუმარტეთ ბავშვს, რისთვის იქნება გამოყენებული სტატია და შეუთანხმდით, რომ გაუგზავნით სტატიას.
- ჰკითხეთ, ხომ არ სურს რაიმეს ამოღება ან საკუთარი სახელის თუ სხვა დეტალების შეცვლა.

ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ბავშვებისგან ინტერვიუს აღების სახელმძღვანელო პრინციპები

მომზადება

გაერკვიეთ საკუთარ დამოკიდებულებაში ბავშვების მიმართ. ნუ გამოამჟღავნებთ მფარველურ დამოკიდებულებას მათ მიმართ, ნურც იმას აჩვენებთ, რომ მათზე მეტი იცით. მათ ადგილას წარმოიდგინეთ თავი და პატივისცემით მოეპყარით.

დეტალურად განუმარტეთ, რას აკეთებთ და რატომ გსურთ მათთან საუბარი. აჩვენეთ სხვა ბავშვებისგან აღებული ინტერვიუების მაგალითები. განუმარტეთ, რისთვის გამოიყენებთ მასალას და აიღეთ მათგან ნებართვა მის გამოქვეყნებაზე. გულახდილი იყავით იმასთან დაკავშირებით, რასაც აკეთებთ, ნუ დააიმედებთ (მაგალითად, ფულით, სამუშაოთი, სამედიცინო მომსახურებით).

თუ თარჯიმანი გჭირდებათ, ამოარჩიეთ ისეთი ადამიანი, რომელსაც ადვილად შეუძლია ბავშვთან კონტაქტის დამყარება, არ შეაშინებს მას და ინტერვიუს მიზანი მისთვის გასაგები იქნება. უთხარით თარჯიმანს, რომ მან ყველაფერი თარგმნოს, გადმოსცეს

ბავშვის სიტყვები და არა მხოლოდ მოკლე შინაარსი.

გამოიყენეთ დიქტოფონი (თუ სტენოგრაფია კარგად არ გეხერხებათ). სხვა შემთხვევაში ბავშვის ენა და ის, რის გამოხატვაც მას უნდა, შეიძლება დაიკარგოს.

მოძებნეთ შესაფერისი წყნარი ადგილი (შენობაში ან გარეთ), სადაც ბავშვი კომფორტულად და თავისუფლად იგრძნობს თავს. მიეცით მას ადგილის შერჩევის საშუალება.

უზრუნველყავით, რომ ინტერვიუს, თარჯიმნის გარდა, უფროსები არ დაესწრონ – გარდა პროექტის თანამშრომლის, მასწავლებლის ან სხვა უფროსისა, რომელსაც ბავშვი იცნობს და ენდობა.

შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ბავშვების პატარა ჯგუფთან (2-5 ბავშვი) ინტერვიუს ჩატარება – ბავშვები ერთმანეთს მხარს დაუჭერენ და აზრებს გაუზიარებენ. მაგრამ მოიფიქრეთ, როგორ გაარჩიოთ, რომელი ბავშვი რას ამბობს.

შეეცადეთ, შექმნათ უშუალო გარემო. ისაუბრეთ, ითამაშეთ, მოასმენინეთ მაგნიტოფონზე ჩაწერილი საკუთარი ხმები. გაუშინაურდით — მაგალითად, იატაკზე მათთან ერთად დაჯექით.

მოიტანეთ რამე პირადი ნივთი, მაგალითად, ფოტოები, რაც ბავშვებს შებოჭილობას მოუხსნის ან დისკუსიაში ჩააბამს.

ინტერვიუ

მიეცით ბავშვს საშუალება, თავად აირჩიოს საუბრის ტემპი და ისე გიამბოთ საკუთარი ამბავი.

ფრთხილად მოეკიდეთ იარლიყების გამოყენებას (მაგალითად, როგორიცაა „მეძავი ბოზი“ და არა „კომერციული სექსის მუშაკი“), რომლებიც ბავშვისთვის არ არის შესაფერისი.

თავიდან ადვილი კითხვები დაუსვით — მაგალითად, ჰკითხეთ სახელი, ასაკი, სად ცხოვრობს. მიმართეთ სახელით.

დაუსვით ღია კითხვები. ერიდეთ ძალიან ბევრ დახურულ კითხვას, რომელზეც ბავშვმა „დიახ“ ან „არა“ უნდა გიპასუხოთ.

თქვენთვის სასურველი ინფორმაციის მიღებამდე შეიძლება მოგიხდეთ კითხვების სხვადასხვა გზით დასმა. სასურველია, ფრთხილად, დაჟინებით ისაუბროთ თემაზე და გამოიწვიოთ ბავშვი, იფიქროს თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე.

გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ბავშვი თავს შეიძლება უხერხულად გრძნობდეს და ნუ აიძულებთ, მისთვის მტკივნეულ საკითხებზე ისაუბროს. მზად იყავით, დაასრულოთ ინტერვიუ ან გადახვიდეთ ნაკლებად მტკივნეულ თემაზე, თუ შეატყობთ, რომ ბავშვი დაიძაბა.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

კანადის „მედია ეუეარნეს ნეტუორკმა“ (Media Awareness Network) შეიმუშავა „მედიაინსტრუმენტების ნაკრები ახალგაზრდებისათვის“, რომელშიც არის ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი თავი „თქვენი უფლებების ცოდნა“ და მოცემულია რჩევა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ახალგაზრდები პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს:
http://www.media-awareness.ca/english/index.cfm

აშშ-ის პოინტერის ინსტიტუტმა საკუთარ ინტერნეტგვერდზე განათავსა სახელმძღვანელო პრინციპები. აღნიშნული ინტერნეტგვერდი უფასო მომსახურებას უწევს ყველა დაინტერესებულ პირს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმუშაონ ახალგაზრდებთან: http://www.poynter.org/

„გადავარჩინოთ ბავშვები UK“-მ გამოაქვეყნა ბუკლეტი სახელწოდებით *„ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება. სახელმძღვანელო ჟურნალისტებისა და სხვებისათვის“*, რომელიც გვთავაზობს პრაქტიკულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ავიღოთ ინტერვიუ ბავშვებისაგან. ეს ბუკლეტი მსოფლიო მასშტაბით ბავშვებს შორის ჩატარებული კვლევაა. იგი სასარგებლოა ბეჭდვითი მედიის, რადიო- და ტელეჟურნალისტების, ახალი ამბების სტუდიებისა და მედიის სხვა საშუალებებისათვის:
www.savethechildren.org.uk

6. ბავშვები შეიარაღებული კონფლიქტების დროს

ძირითადი სასწავლო თემები

- ჯარისკაცი ბავშვების ისტორიები
- კონტექსტი, ომი, სამოქალაქო არეულობა, სამოქალაქო საზოგადოების კოლაფსი
- ჯარისკაცი ბავშვების თემის სენსაციურობა
- უნარ-ჩვევების სხვა ამბებთან მიმართებით გამოყენება

ჯარისკაცი ბავშვების საკითხი მთავარ თემად იქცა მედიაში. ისტორიები ჯარისკაცი ბავშვების შესახებ წამოჭრიან სერიოზულ და რთულ საკითხებს არა მხოლოდ ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით, არამედ ეთიკური კუთხითაც, რაც უკავშირდება მაუწყებლობას ომისა და სამოქალაქო კონფლიქტის დროს.

საკითხები ორიენტირებულია სენსაციურობაზე. მართებულია თუ არა კონფლიქტის ზონებში მყოფი ბავშვების ისეთი ფოტოების ჩვენება, რომლებიც არ იქნებოდა ნაჩვენები არაკონფლიქტურ ტერიტორიებზე? იწვევს თუ არა 11 წლის ბავშვის ფოტო, რომელსაც სამხედრო ფორმა აცვია და თითქმის თავისხელა „კალაშნიკოვი“ უჭირავს, სერიოზულ შეკითხვებს, თუ მხოლოდ ყდის კარგ გამოსახულებას იძლევა? არის თუ არა ჟურნალისტების სამსახურებრივი მოვალეობა, რომ გააშუქონ ჯარისკაცი ბავშვებიც და საზოგადოებაში მათი რეინტაგრაციის მცდელობებიც?

ჯარისკაცი ბავშვები – ეს დაუსრულებელი თემაა. ისევე, როგორც სხვა ხანგრძლივი თემების შემთხვევაში, მედიის დაღლამ შეიძლება სიმძაფრე მოაკლოს თემას. მაგრამ ჟურნალისტი ვალდებულია, სხვადასხვა კუთხით შეხედოს პრობლემას, მაგალითად იმას, თუ როგორ ხდება ამ ბავშვების რეინტეგრაცია, და მოძებნოს საზოგადოების წინაშე ამ თემის აქტუალურობის შენარჩუნების გზები.

2000 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო *ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების მონაწილეობის შესახებ.* ოქმით აკრძალულია 18 წლამდე ასაკის ბავშვების იძულებითი გაწვევა ან მათი გამოყენება საომარი მოქმედებების დროს. დღემდე ის რატიფიცირებულია 110-ზე მეტი ქვეყნის მიერ.

დაახლოებით 300 000 გოგონასა და ბიჭის სამხედრო გაწვევა და გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია ბავშვთა უფლებების დარღვევად, რაც მკაცრ საერთაშორისო რეაგირებას მოითხოვს.

შეიარაღებული კონფლიქტი მრავალ ასპექტში აიძულებს ბავშვებს, გამოტოვონ თავიანთი ბავშვობა. ჯარისკაცებად გაწვეული ბავშვები ვერ იღებენ სათანადო განათლებას და დაცვას და ხშირად მათთვის მიუწვდომელია ძირითადი ჯანდაცვის მომსახურებაც. მსგავს დანაკარგებს განიცდიან იძულებით გადაადგილებული და თავიანთ ოჯახებს დაშორებული ბავშვებიც. კონფლიქტი ზრდის ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათი შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციის რისკს. სექსუალური ძალადობა ხშირად გამოიყენება როგორც ბრძოლის იარაღი.

ის ბავშვებიც კი, ვინც საკუთარ ოჯახებში, საკუთარ სახლებში რჩება, შეიძლება დადგნენ სკოლიდან გაშვების რისკის წინაშე, დარჩნენ ჯანდაცვის მომსახურებისა და დაცვის გარეშე ფიზიკური ინფრასტრუქტურის განადგურების, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებზე ზეწოლის, ასევე მზარდი პირადი დაუცველობის გამო, რაც გამოწვეულია კონფლიქტით ან მისი ნარჩენებით — როგორიცაა ნაღმები და აუფეთქებელი საბრძოლო მასალა.

მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში ბავშვები ომის უშუალო მონაწილეები არიან. ხშირად საშინელი ძალადობის მსხვერპლნი, 200 000-დან 300 000-მდე ბავშვი მსახურობს ჯარში როგორც აჯანყებულთა რიგებში, ისე სამთავრობო ძალთა მხარეს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში. ეს ახალგაზრდა მებრძოლები მონაწილეობენ თანამედროვე საომარი მოქმედებების ყველა ასპექტში. მათ ხელთ უპყრიათ „AK-47“ და „M-16“, დგანან ფრონტის წინა ხაზზე, მსახურობენ როგორც განმნაღმველები, მონაწილეობენ თვითმკვლელობის მისიებში, ეზიდებიან მარაგებს და მოქმედებენ როგორც ჯაშუშები ან მზვერავები.

მაგალითად, კომუნისტური პარტიის მიერ ნეპალში 10-წლიანი სამოქალაქო ომის დროს ჯარში აყვანილი იყო ათასობით ბავშვი. ბავშვები მსახურობდნენ ფრონტის წინა ხაზზე, გადიოდნენ სწავლებას იარაღის ხმარებაში და არსებითი მნიშვნელობის სამხედრო და ლოგისტიკურ დახმარებას უწევდნენ მაოისტებს. 2006 წელს მთავრობასთან ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც კი მაოისტებმა განაგრძეს ბავშვების გაწვევა და უარი თქვეს თავიანთი რიგებიდან მათ გაშვებაზე.

ბურუნდიში მიმდინარე 13-წლიანი სამოქალაქო ომის დროს კონფლიქტის ყველა მხარე იყენებდა ბავშვებს, როგორც მებრძოლებს და, ზოგადად, დამხმარეებს. 3 000-ზე მეტი ბავშვი დემობილიზებულ იქნა, მაგრამ მეამბოხეთა ერთ-ერთი რაზმი სახელწოდებით „ეროვნული განმათავისუფლებელი ძალები“ კვლავ განაგრძობს ბავშვების გამოყენებას მებრძოლებად და სხვადასხვა დავალების შესასრულებლად. ამასთან, ათობით ბავშვი, ვინც ამ დაჯგუფებაში მსახურობდა ან ბრალი ედება მასთან კავშირში, სახელმწიფო პატიმრობაში იმყოფება დახმარების გარეშე.

ბავშვები, როგორც წესი, მორჩილი ჯარისკაცები არიან, რადგან ისინი ფიზიკურად დაუცველები არიან და მათი დამცირება ადვილია. ბევრი მათგანი მოტაცებულია ან იძულებით არის გაწვეული და ხშირად ბრძანებების შესრულება სიკვდილის მუქარის ქვეშ უწევს. ზოგიერთი მათგანი შეიარაღებულ დაჯგუფებებს სასოწარკვეთილების გამო უერთდება. ვინაიდან კონფლიქტის დროს ხდება საზოგადოების რღვევა — როდესაც ბავშვები ვეღარ დადიან სკოლებში, იძულებულნი ხდებიან, დატოვონ სახლები და დაშორდნენ თავიანთი ოჯახების წევრებს — ბევრი ბავშვი შეიარაღებულ ჯგუფებს უყურებს, როგორც გადარჩენის საუკეთესო შანსს. სხვები ცდილობენ, თავი დააღწიონ სიღარიბეს ან შეუერთდნენ სამხედრო ძალებს, რათა შური იძიონ ოჯახის მოკლული წევრების გამო.

საერთაშორისო სამართლის გაძლიერება და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ბავშვების სამხედრო გაწვევის პრობლემის აღიარება მნიშველოვანი მიღწევებია. მაგრამ ამ ინიციატივებს თან უნდა სდევდეს პრაქტიკული ზომები, რომლებიც მისცემს ბავშვებს, მათ ოჯახებსა და საზოგადოებას ჯარში გაწვევის სტაბილურ ალტერნატივებს, რომლებიც გამიზნული იქნება ბავშვების განთავისუფლებისა და დემობილიზაციისკენ და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ რეინტეგრაციას.

გადაუდებელ პრიორიტეტს წარმოადგენს 18 წლამდე ასაკის ყველა პირის სამხედრო ძალებიდან დემობილიზაცია. ბავშვების მონაწილეობა აღნიშნული უნდა იყოს ყველა სამშვიდობო შეთანხმებაში, რათა ეფექტიანად დაიგეგმოს მათი რეინტეგრაციის პროგრამები.

რეინტეგრაციის პროცესი ეხმარება ბავშვებს ცხოვრებაში ახალი ფუნდამენტის ჩამოყალიბებაში. ოჯახსა და საზოგადოებასთან კავშირის განახლება მნიშვნელოვანია ყოფილი ჯარისკაცი ბავშვებისთვის, რომლებიც თავიანთი ოჯახებისგან მოშორებით გაიზარდნენ და მოკლებულნი იყვნენ ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ნორმალურ შესაძლებლობებს. ყოფილი მცირეწლოვანი მებრძოლებისთვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა ხელს უწყობს მათ, რომ თავიდან აირიდონ სამხედრო დანაყოფებში ხელახალი გაწევრიანება და, ამავე დროს, ზრდის მათი ოჯახების ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ყოფილი ჯარისკაცი ბავშვისთვის განათლება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ გზა დასაქმებისაკენ. განათლების საშუალებით მისი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება და ის შეძლებს ჩამოყალიბდნენ პიროვნებად, რომელიც განსხვავებულია ჯარისკაცისგან. ამასთან დაკავშირებული სიძნელე ის არის, რომ ყოფილი მებრძოლები შესაძლოა ბევრად ჩამორჩნენ სწავლას და შეიძლება ჩაირიცხონ დაბალ კლასებში გაცილებით უფრო მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად. შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური ზომების მიღება, როგორიც არის სპეციალური კლასების ჩამოყალიბება

ყოფილი ჯარისკაცი ბავშვებისათვის, რომელთა რეინტეგრაცია შემდგომში შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ სკოლებში.

შემუშავებულია გარკვეული ზომები, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ან თავიდან აცილებული ბავშვების ჯარისკაცებად გამოყენება. მაგალითად, ადგილობრივ მოსახლეობას მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესახებ, რომელიც არეგულირებს სამხედრო გაწვევის ასაკობრივ ზღვარს. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიურ ჯგუფებს და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებას, შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ზნეობრივი ჩარჩოების დადგენაში, რომლებიც მიუღებლად აღიარებს ბავშვების მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში. პერუში იძულებით გაწვევის მცდელობები შემცირდა იქ, სადაც სამოციქულო ეკლესიებმა დაგმეს ასეთი ქმედება. ელ-სალვადორში, გვატემალასა და პარაგვაიში ეთნიკურმა ჯგუფებმა და ჯარისკაცი ბავშვების დედებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზაციები, რომლებიც ზეწოლას ახდენენ ხელისუფლებაზე, რათა გაათავისუფლონ არასრულწლოვანი ჯარისკაცები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრევენციული ზომა არის ლტოლვილთა ან იძულებით გადანაცვლებულ პირთა ბანაკებში მიტოვებული ბავშვების აქტიური და ადრეული აღრიცხვა და გამოვლენა. დევნილთა ბანაკების კონფლიქტური ზონებიდან შორ მანძილზე განთავსებას ასევე შეუძლია შეამციროს შანსი იმისა, რომ ბავშვებს გადაიბირებენ ან ძალით გააწევრიანებენ მებრძოლთა რიგებში.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოიცავს რამდენიმე მუხლს, კერძოდ, 38-ე მუხლს შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ და 39-ე მუხლს შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლი ბავშვების სარეაბილიტაციო მკურნალობის შესახებ. გარდა ამისა, 2002 წლის 12 თებერვალს ძალაში შევიდა ფაკულტატიური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების მონაწილეობის შესახებ. ოქმი მოითხოვს, რომ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვები არ იყვნენ სავალდებულო წესით გაწვეულნი მათ შეიარაღებულ ძალებში. ის ასევე მოუწოდებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაძლებელი ზომა იმისათვის, რომ მათი შეიარაღებული ძალების 18 წლამდე ასაკის წევრებმა არ მიიღონ მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში.

ფაკულტატიური ოქმის ინტერპრეტაცია ყოველთვის უნდა მოხდეს მთლიანობაში, თავდაპირველი შეთანხმების ჭრილში, ამ შემთხვევაში კი დისკრიმინაციის აკრძალვის, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებისა და ბავშვის მონაწილეობის პრინციპების გათვალისწინებით.

გასული ათწლეულის მანძილზე ორი მილიონი ბავშვი იქნა მოკლული შეიარაღებული კონფლიქტების დროს. უთვალავ შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენა ბავშვების ცხოვრებაზე შეუმჩნეველი რჩება. ბავშვები შეიძლება გაირიყონ საზოგადოებისგან, მოხვდნენ სპეციალურ დაწესებულებებში, ქუჩაში ან გახდნენ პროსტიტუციის მსხვერპლნი. ის ბავშვები, ვინც დაკარგა მშობლები, ხშირად განიცდიან დამცირებას, უარყოფას და დისკრიმინაციას, რასაც ისინი უთქმელად იტანენ, ხოლო მათი თვითშეფასება ნგრევას განიცდის.

მედია და ბავშვები შეიარაღებული კონფლიქტის დროს

ჯარისკაცი ბავშვების მონაწილეობა კონფლიქტებში მთელს მსოფლიოში წარმოადგენს არა მარტო ჰუმანიტარულ კრიზისს, არამედ მედია სენსაციასაც. ტელევიზიითა და პრესით გადაიცემა გამოსახულებები 11 წლის ბავშვებისა, რომლებიც ეწევიან სიგარას და აღჭურვილნი არიან იარაღით, ხოლო ოფიციალური შეტყობინებები გაეროდან და ადამიანის უფლებების დამცველი ორაგნიზაციების მმართველი ორგანოდან ამხელენ შემაშფოთებელ დეტალებს იმისა, რასაც ჩვეულებრივ აღწერენ, როგორც „მზარდ ფენომენს“. ჯარისკაცი ბავშვები ამჟამად ფიგურირებენ ფილმებში, როგორიცაა „სისხლიანი ალმასი“, ასევე დეივ ეგერსის რომანში, ხოლო ბრედ პიტმა შექმნა დოკუმენტური ფილმი მათი გაჭირვების შესახებ. 2007 წელს „სტარბაქსმა“ წიგნის კლუბი გახსნა ყოფილი კილერი ბიჭის პირველ პირში მონათხრობი ამბით. მაგრამ მოაქვს თუ არა ამ ისტორიებს სარგებლობა?

მედიის როლი საზოგადოების მიერ საგანგებო სიტუაციების უკეთ გათვითცნობიერებაში ძალზე მნიშვნელოვანია ქმედითი საპასუხო ზომების ორგანიზებისა და ბავშვების სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. თუმცა ახალი ამბების წამყვან სააგენტო „როიტერის“ ცნობით, მსოფლიოს უდიდესი „დავიწყებული კატასტროფების“ მთავარ დარტყმას ბავშვები იღებდნენ, მათმა გაჭირვებამ კი მხოლოდ ოდნავ გაიელვა საერთაშირისო ახალ ამბებში.

„როიტერის“ „ალერტ ნეტმა“ ჩაატარა ჰუმანიტარული ექსპერტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვა, რომელიც განსაზღვრავს პლანეტის ყველაზე სახიფათო ადგილებს ბავშვებისათვის. ის უკეთებდა ანალიზს გლობალურ მედიარეპორტაჟებს ინგლისურ ენაზე იმ პირველი 10 ცხელი წერტილიდან, რომლებიც დასახელებული იყო რესპონდენტების მიერ, და მცირე კავშირი იპოვა ტანჯვა-წამების მასშტაბებსა და შესაბამისი საგაზეთო სვეტების სისქეს შორის. ნაცვლად ამისა, როგორც ჩანს, მედიის ყურადღებას დასავლეთის ძალებისათვის ამ ადგილების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა იქცევდა. მედიის ყურადღების ცენტრში უმთავრესად ერაყი, პალესტინის ტერიტორიები და ავღანეთი იყვნენ. ნუთუ ჟურნალისტს არა აქვს ვალდებულება ბავშვების წინაშე სხვა კონფლიქტურ წერტილებში?

როგორც ჟურნალისტს, თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ბავშვების მიმართ, რომელთა შესახებაც ამზადებთ რეპორტაჟს. თქვენს მიერ გამოქვეყნებულ მასალას გაეცნობიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება არ ჰქონდეთ გამოცდილი ბავშვების მიერ გადატანილი საშინელი მოვლენები. თქვენი თემა შეიძლება გახდეს უცხო პირთა სიბრალულის, თანაგრძნობის ან თუნდაც დიდსულოვნების საგანი. მაგრამ რა ბედი ეწევათ იმ ბავშვებს, ვისთანაც ჟურნალისტს აქვს ურთიერთობა?

მაგალითად, დევნილთა ბანაკები უფროსებისთვისაც კი შეიძლება შიშის მომგვრელი და სახიფათო ადგილი იყოს, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვებზე, განსაკუთრებით, როდესაც ისინი მშობლიური გარემოდან შორს იმყოფებიან. ჰუმანიტარული დახმარების მუშაკები გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ უცხოური მედიის ჩარევამ შეიძლება გააძლიეროს ბავშვების ტრავმა, ასევე შეიძლება ცრუ მოლოდინი ჩაუსახოს იმათ, ვისაც გარკვეულწილად მაინც ესმის მედიის როლი.

ამის საპირისპიროდ, ჟურნალისტური ეთიკის საქველმოქმედო ორგანიზაცია „მედიაუაიზ ტრასტმა“ (MediaWise Trust) შექმნა სახელმძღვანელო პრინციპები ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ინტერვიუს ართმევენ ბავშვებს ომისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათთვის უნებლიეთ ზიანის მიყენება, როდესაც პირველადი განზრახვა არის „ისტორიის აგება“.

„მედიაუაიზ ტრასტ“: სახელმძღვანელო პრინციპები რეპორტიორებისთვის, რომლებიც ინტერვიუს იღებენ ბავშვებისგან ომისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს

1. **პირველ ადგილზე დააყენეთ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები**. თქვენს რეპორტაჟებს შეიძლება მოულოდნელი შედეგები მოჰყვეს და ამიტომ *იფიქრეთ* თქვენს მოტივაციაზე, იმაზე, თუ როგორ იქნება წარმოდგენილი ამბავი და რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს ამან ბავშვზე. ერთ-ერთი მთავარი საკითხია მათი ინდივიდუალურობა. მაგალითად, (ყოფილი) ჯარისკაცი ბავშვი, რომელიც მედიას ესაუბრება, შეიძლება მკვლელობის მსხვერპლი გახდეს, თუ მისი ზედამხედველი გაიგებს, რომ ის გადასცემს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს უფროსებს. ანალოგიურად, დანაშაულებრივი ქმედებების მოწმე ბავშვები შეიძლება დაისაჯონ, დევნილთა ბანაკებშიც კი.

2. **მოიპოვეთ ნებართვები, როდესაც და სადაც შესაძლებელია.** თუ ბავშვები პასუხისმგებელი უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, მათთან საუბრის დაწყებამდე გაიგეთ მათი მდგომარეობის შესახებ. ყოვლად მიუღებელია ინტერვიუს ჩამორთმევა მძიმედ ტრავმირებული ბავშვებისთვის, ხოლო რაც უფრო დათრგუნულია ბავშვი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი დაკითხვა მისთვის ნაცნობი უფროსის თანდასწრებით. ყოველთვის შეამოწმეთ, მისაღებია თუ არა მათი სრული იდენტიფიკაცია (სახელის ან ფოტოს გამოქვეყნება).

3. **დაფიქრდით სრული იდენტიფიკაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე**. ბავშვის პიროვნული იდენტურობის აღიარება მის მიმართ პატივისცემისა და მისგან ნდობის მოპოვების მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ ამ მონაცემების ბოლომდე საჯაროდ გახმაურება შეიძლება მიუღებელი იყოს. შეიძლება ბავშვს არაფერი ჰქონდეს საწინააღმდეგო, მაგრამ როგორც პასუხისმგებელ უფროსს, თქვენ მოგეთხოვებათ, გაითვალისწინოთ შესაძლო შედეგები. მაშინაც კი, როდესაც ინტერვიუს იღებთ ბავშვებისგან, რომელთაც დაკარგეს კავშირი თავიანთ ოჯახებთან, გამოიჩინეთ წინდახედულობა მათი სრული პირადი მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით. მოძებნეთ სათანადო გზები, რომ შეატყობინოთ ნამდვილ ნათესავს, მაგრამ სიფრთხილით მოეკიდეთ სრული იდენტიფიკაციის გამჟღავნებას იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი რისკის ქვეშ აყენებთ ბავშვებს. დღეს მედიის ყველა ფორმა გლობალურია — ასე რომ, თქვენი ისტორია შეიძლება ნახონ ადამიანებმა, რომელთა განზრახვა, დაეკონტაქტონ ბავშვებს, შეიძლება საეჭვო იყოს. თუ ეჭვი გაწუხებთ, მიიღეთ რჩევა ბავშვისთვის ნაცნობი უფროსებისგან. მართლა აუცილებელია თუ არა ეს სურათი?

4. **ყოველთვის მიეცით ბავშვს ახსნა-განმარტება**. შეეცადეთ, უზრუნველყოთ, რომ ბავშვმა იცოდეს, რას აკეთებთ. თქვენ ვერ იქნებით დარწმუნებული იმაში, მეგობრად გთვლით ის თუ მტრად, ამიტომ დაიწყეთ იმის განმარტებით, თუ ვინ ხართ თქვენ, რატომ გინდათ მასთან საუბარი და რას გააკეთებთ მოპოვებული ინფორმაციით, ასევე, სავარაუდოდ, ვინ იქნება თქვენი აუდიტორია. უჩვენეთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი საბუთი და აუხსენით, როგორ მუშაობს თქვენი აღჭურვილობა.

5. **მიეცით ბავშვს დრო.** შეიძლება თქვენს დღის წესრიგში ვადები შეზღუდულია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს ტრავმირებული ბავშვებისთვის. როდესაც ეს შესაძლებელია, მიეცით საშუალება, კარგად გაგიცნონ, თუნდაც რამდენიმე დღის მანძილზე. თქვენ უნდა შეძლოთ, რომ მისცეთ მათ დრო; თუ ეს არ შეგიძლიათ, კიდევ ერთხელ დაფიქრდით მათთან კონტაქტის დამყარებაზე. ისინი არ არიან იქ თქვენთვის; ისინი თქვენ გიყურებენ როგორც უფროსს, რომელიც ჩავიდა იქ მათ სანახავად. მათი კეთილდღეობა და საცხოვრებელი პირობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი „ისტორია“ და მოსალოდნელია, რომ ისინი უფრო ადვილად გაიხსნებიან მას შემდეგ, რაც შეეჩვევიან თქვენს იქ ყოფნას. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რეალურად მოისმინოთ მათი ნათქვამი და არა უბრალოდ დაიჭიროთ „ფრაზები, რომელთა ციტირებაც შეიძლება“. კარგ დროშიც კი ზოგ ბავშვს არ მოსწონს, როდესაც მას გარკვეული ჯგუფის ან „ტიპის“ წარმომადგენლად წარმოაჩენენ. შესაძლებელია, თქვენ შეძლოთ განზოგადება რამდენიმე ბავშვთან გასაუბრების შემდეგ, მაგრამ შეეცადეთ, გააცნობიეროთ მათი ინდივიდუალური გამოცდილება, ნაცვლად იმისა, რომ ეძიოთ კრიზისში მყოფი ბავშვების „გამომსახველობითი“ ტიპაჟი და ისტორიები.

6. **შეამოწმეთ ინფორმაცია, როდესაც კი არის ამის საშუალება**. ბავშვები შეიძლება გასაოცარი და მიმზიდველი მოწმეები აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი გამოუცდელობა და მწირი ლექსიკონი შეიძლება გაუგებრობის საბაბი გახდეს. შეიძლება მათ ძალიან მოინდომონ, რომ გასიამოვნონ და მოგიყვნენ იმას, რის გაგონებაც თქვენ გინდათ, და არა იმას, რაც თვითონ იციან. ტრავმირებული ბავშვის მიერ მოყოლილ ისტორიებში მისი გრძნობები და შიშები შეიძლება რეალურთან შედარებით გაზვიადებულად იყოს აღწერილი. ნუ დაეყრდნობით ბავშვს, როგორც „მყარ მოწმეს“, სანამ არ შეამოწმებთ ფაქტებს სხვა მოწმეებთან ან იმ ადამიანებთან, ვისაც მეტი ინფორმაცია აქვს ბავშვის ამბის შესახებ.

7. **არ გამოიწვიოთ ცრუ მოლოდინი**. ტრავმირებულ ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს მცდარი მოლოდინი ან შიში, როდესაც უცხო ადამიანი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მის მიმართ. არასდროს შეეცადოთ ქრთამით ან პირფერობით მათ დაყოლიებას და არასდროს მისცეთ ცრუ დაპირებები, რამდენადაც არ უნდა გინდოდეთ მათ მიმართ თანაგრძნობისა და სიმპათიის გამომჟღავნება. ბავშვები კრიზისულ სიტუაციებში კიდევ დიდხანს რჩებიან, მას შემდეგ, რაც მედია დაკარგავს ინტერესს მათი ამბების მიმართ, ხოლო შეუსრულებელი დაპირებები კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს მათ ნდობას ადამიანების მიმართ. ცალკეული ბავშვების ან ოჯახების გამორჩევამ მათთან განსაკუთრებული ურთიერთობით შეიძლება წარმოშვას პრობლემები თქვენი წასვლის შემდეგ.

თუ დახმარება გსურთ, შეუთანხმდით კოლეგებს გარკვეული გზების შესახებ, რომ გაუზიაროთ თქვენი რესურსები დიდი მოცულობის ჯგუფებს — შესაძლებელია, საიმედო ადგილობრივი სააგენტოს საშუალებით.

8. **დაამყარეთ კავშირები**. თუ თქვენ უნდა გადმოსცეთ ბავშვის ისტორია, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, შეეცადეთ, უზრუნველყოთ ამ ბავშვთან ხელახალი დაკავშირების შესაძლებლობა, მაგალითად, კონკრეტული ადამიანის საშუალებით ჰუმანიტარული დახმარების სააგენტოში. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შემდგომი კონტროლის მიზნით, არამედ იმ შემთხვევისთვისაც, თუ თქვენი ისტორია გამოიწვევს საპასუხო გამოხმაურებას, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ბავშვისთვის (მაგალითად, ქვეყნის გარეთ მცხოვრები ნათესავებისგან).

9. **იყავით დადებითზე ორიენტირებული.** ნუ შეგეშინდებათ, ღიად ისაუბროთ მიწისძვრაზე/შეტაკებაზე/მგზავრობაზე, რომელიც გადაიტანეს ბავშვებმა, მაგრამ შეეცადეთ, ძალიან ღრმად არ ჩაეძიოთ პირადულ საკითხებში. ისინი მიხვდებიან, თუ თქვენ ცდილობთ, თავი აარიდოთ თემას. აირჩიეთ იმედისმომცემი ისტორიები და არა ისეთები, რომლებიც სასოწარკვეთილებაში აგდებს — ისტორიები პირადი გამძლეობისა და გმირობის შესახებ. ყველაზე ცუდ ვითარებაშიც კი შეიძლება იყოს სიხარულისა და სიცილის მომენტები, რომლებიც ხაზს უსვამს ჩვენს ერთიან ადამიანურ ბუნებას. ბავშვებს აქვთ სწრაფი სულიერი რეაბილიტაციის არაჩვეულებრივი უნარი და უბრალოდ დადებითი ამბების მოყოლა შეიძლება ნუგეშად იქცეს, როდესაც ირგვლივ ყოველივე მუქ ფერებში ჩანს.

10. **მიეცით ბავშვს საშუალება, უფრო მეტი ილაპარაკოს, ვიდრე იმოქმედოს.** ბავშვები ყველაზე კარგად „მუშაობენ“ თავიანთ თანატოლებთან ერთად, ამიტომ მათთან კავშირის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ჯგუფური მუშაობა. ჰკითხეთ, შეგიძლიათ თუ არა დაესწროთ ან შეუერთდეთ მათ თამაშებს. მიეცით საშუალება, აგიხსნან თამაშის პრინციპი, ხოლო მას შემდეგ, რაც ინტერესს გამოიჩენთ, მათ შეიძლება ხმაურიანად მოითხოვონ ერთმანეთის შესახებ მოყოლა. თუ ისინი მიწაზე სხედან, თქვენც შეუერთდით. თუ ისინი თქვენი ჩამწერი მოწყობილობებით დაინტერესდნენ, მიეცით უფლება, რომ მოსინჯონ — შეეხონ და გამოიყენონ კიდევაც. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა – არ გამოიწვიოთ მათი ხელახალი ტრავმირება. როდესაც ისინი მოჰყვებიან თავის ისტორიებს, ნუ ჩაეძიებით დეტალებს, თუ გამოხატავენ, რომ ეს არ სურთ. როგორც არ უნდა გჭირდებოდეთ ეს ანგარიშისთვის, მიეცით თავისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ ემოციური დამცირება გამოიწვიოთ. გაშორდით, როდესაც დაინახავთ, რომ ბავშვი ჩაიკეტა, მოიწყინა ან ზედმეტად აჟიტირებულია და დარწმუნდით, რომ პასუხისმგებელი უფროსი საქმის კურსშია მომხდართან დაკავშირებით.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„ჰიუმან რაიტს უოჩ“: www.hrw.org

„უორჩაილდ“: www.warchild.org.uk

„უოჩლისტ“: http://www.watchlist.org/
კოალიცია ჯარისკაცი ბავშვების გამოყენების საწინააღმდეგოდ: http://www.child-soldiers.org/

„იუნისეფი“ — ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში:
http://www.unicef.org/emerg/index_chilsoldiers.html

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ოფისი ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტებისათვის: http://www.un.org/children/conflict/english/home6.html

თ.ჯ. რიდელი, „ომი რჩება უცვლელ რეალობად ჩრდილოეთ უგანდელების ცხოვრებაში“:
www.law.utoronto.ca/documents/ihrp/report05_Riddell.doc

ალერტნეტ: რჩევების ფურცელი — „როგორ გავაკეთოთ რეპორტაჟი კრიზისში მყოფ ბავშვებზე“
http://www.alertnet.org/thefacts/reliefresources/115254539757.htm

ალერტნეტ: „ბავშვები იტანჯებიან მედიის მზერის მიღმა“ - კვლევა
http://www.alertnet.org/thefacts/reliefresources/115254878772.htm

7. სიტყვის თავისუფლება ბავშვებს და ბავშვებზე ორიენტირებული მედია

ძირითადი სასწავლო თემები

- ბავშვებისთვის მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- როგორ უზრუნველვყოთ ბავშვის უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება მედიაში
- საბავშვო მედია

გაუმჯობესებული ტექნოლოგიებისა და უახლესი პროგრესის მეშვეობით მედიის გამოყენება გასულ ათწლეულში საგრძნობლად გაიზარდა, ვინაიდან ის აძლევს ადამიანებს უკეთეს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმაცია და აიმაღლონ ცოდნა. ასეთი წინსვლა აძლევს ბავშვებსა და ახალგაზრდებს მედიასა და, აქედან გამომდინარე, ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტად ჩართვის საშუალებას, ინფორმირების, მხარდაჭერისა და თავიანთ თანატოლებსა და ასევე უფროსებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. მიუხედავად წინსვლის ასეთი შესაძლებლობებისა, მედიის გარკვეული საშუალებები ექსპლუატაციას უწევენ ბავშვებს და ბავშვებისა და მათი მდგომარეობის შესახებ სტერეოტიპულ ცნობებს გადმოსცემენ.

ბავშვების მონაწილეობით მედიას შეუძლია ახალი პერსპექტივების შეთავაზება. სერიოზული არგუმენტები არსებობს იმისათვის, რომ გაიზარდოს ბავშვების მონაწილეობა მედიაში.

ბავშვებისა და მედიის ურთიერთობის მნიშვნელობა აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის შემდეგი მუხლებით:

- მე-12 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების როლს – უზრუნველყონ ბავშვების უფლება, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი ყველა იმ საკითხზე, რომელიც მათ შეეხება, და რომ მათი აზრი მხედველობაში იქნეს მიღებული;
- მე-13 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის უფლებას მედიაში სიტყვის თავისუფლებაზე, მისი არჩევანის მიხედვით;
- მე-17 მუხლი, რომელიც აცხადებს, რომ წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან, უზრუნველყონ ბავშვებისათვის ინფორმაციის მისაწვდომობა სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო საინფორმაციო წყაროებიდან. მასმედიისათვის ეს ნიშნავს ბავშვისთვის სასარგებლო სოციალური და კულტურული სახის ინფორმაციის გამოქვეყნებას.

მედიას დიდი პოტენციალი აქვს, რომ რეალობად აქციოს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპები და სტანდარტები, მას შეუძლია რეალურად დაიცვას და განახორციელოს ბავშვთა უფლებები სათანადო ინფორმაციის მიღებასა და სიტყვის თავისუფლებაზე, აამაღლოს კონვენციისა და მისი შინაარსის შესახებ ინფორმირებულობის დონე და ცენტრალური როლის შეასრულოს მისი განხორციელების მონიტორინგში.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი 18 წლამდე ასაკისაა, ბავშვების აზრი და მდგომარეობა იშვიათად აისახება მედიაში კორექტულად. როგორც გამოკვლევამ (მედიის კვლევის პროექტი 2004) აჩვენა, ბავშვები, ჩვეულებრივ, სერიოზულად შემცირებული რაოდენობით არიან წარმოდგენილნი მედიაში. როგორც ერთ-ერთმა ბავშვმა აღნიშნა მედიამონიტორინგის ღონისძიების დროს: „ახალი ამბების დროს თავი გამოტოვებულად ვიგრძენი. თითქოს ბავშვები არ არსებობდნენ“.

როდესაც ბავშვების ისტორიები ხვდება მთავარი თემების სათაურებში, როგორც წესი, ეს არ არის მათი ცხოვრებისთვის აქტუალურ საკითხებზე, თემები მოიცავს მხოლოდ დრამატულ და ექსტრემალურ შემთხვევებს. რეალურად, მედიის მიერ ბავშვების გაშუქების დიდი წილი ნეგატიურია.

რას ფიქრობენ ბავშვები, როდესაც მათ ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ მედიაში? ბავშვთა უფლებების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაცია „პლენ ინტერნეიშენალმა“ დაუსვა შეკითხვა პატარა ჟურნალისტების ჯგუფს, თუ რატომ არის მათი მონაწილეობა მედიაში მნიშვნელოვანი. მათ ასეთი პასუხები გასცეს:

- ეს აძლევს მათ შესაძლებლობას, გაეცნონ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს და უზრუნველყოფს მათ სათანადოდ წარმოდგენას;
- ეს აძლევს მათ საშუალებას, ისარგებლონ მონაწილეობისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის თავიანთი უფლებებით და უზრუნველყოფს მათი პრიორიტეტებისა და პრობლემების სათანადოდ გაშუქებას;
- ეს აძლევს მათ ხმის უფლებას, რომლითაც ისინი გააცნობენ მშობლებს, საზოგადოებასა და მთავრობას თავიანთ უფლებებს და მოსთხოვენ მათ დაცვას;

- ეს აერთიანებს ბავშვებს და წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც მათ შეუძლიათ, თავიანთ თანატოლებს მოუთხრონ მათ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების შესახებ;
- ეს ეხმარება ბავშვებს, შეეხონ დელიკატურ საკითხებს შიშისა და დასჯის გარეშე, ეძიონ დახმარება და ისწავლონ პრევენციული სტრატეგიები (მაგალითად, როგორ დაიცვან თავი უფლებათა ისეთი დარღვევისაგან, როგორიცაა ტრეფიკინგი).

ბავშვების მედიაში მონაწილეობის ხელშეწყობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ბავშვებს შეუძლიათ მედიასაშუალების დაარსება, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა, გამოსავალი გზების ძიება და საკუთარი უფლებების დამცველის როლში გამოსვლა. თანდათანობით უფროსები იწყებენ დამოკიდებულების შეცვლას მედიაში ბავშვების მონაწილეობის მიმართ და ბავშვების შეფასებას საზოგადოების ცვლილების ხელშემწყობ აგენტებად. ბავშვების მიერ მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული წარმატებული მედიაპროექტების მაგალითები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ბავშვთა მონაწილეობის უფლების ხორცშესხმა მიზანმიმართულად.

ბავშვების მონაწილეობა მედიაში

ბავშვებისა და ახალგაზრდების მედიის ინდუსტრიაში ჩართვის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი არის ის, რომ ისინი შეიძლება პოტენციურად სახიფათო სამუშაო გარემოში აღმოჩნდნენ. თუ ეს არის საქმიანი ადგილი, სადაც ბევრი ხალხი, მოძრაობა და აღჭურვილობაა, ეს მათ განსაკუთრებულ საფრთხეებს შეუქმნის. ბუნებრივმა ცნობისმოყვარეობამ და იმ ფაქტმა, რომ ასეთი ადგილები არ არის განკუთვნილი ზრდასრული ადამიანის საშუალოზე დაბალი სიმაღლის ადამიანებისთვის, შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ბავშვები.

სამუშაო რეჟიმი მაღალი აქტივობის მედიის დაწესებულებებში არ არის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი; ის, რაც ღირებული გამოცდილება უნდა იყოს, ზედმიწევნითი მომზადების გარეშე შეიძლება დამაბნეველი და სახიფათო გახდეს ყველა მხარისათვის. ხშირად უფროსებს ეშინიათ, რომ ბავშვებმა არ დააზიანონ ძვირად ღირებული ან მგძნობიარე აპარატურა და მოწყობილობები.

ზოგიერთი აუცილებელი უსაფრთხოების ზომა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბავშვების მიმართ არსებული საფრთხეების უმრავლესობა უფროსებისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბავშვებისათვის დამატებითი გარანტია იქნება იმისა, რომ ის უფროსებისთვისაც უსაფრთხოა.

წინასწარი დაგეგმვა ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ბავშვების უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ბევრ მედიაინიციატივაში შემუშავებულია შიდა სახელმძღვანელო პრინციპები (წესები), მაგრამ ხშირად ასეთი საკითხების მოგვარება საგანგებო რეჟიმში ხდება. საუკეთესო პრაქტიკულ მეთოდებთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ინდუსტრიის ნორმების ჩამოყალიბება, დანერგვა და გაკონტროლება. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია:

- დაუთმეთ გარკვეული დრო ბავშვების მომზადებას არასამუშაო ადგილზე.
- როდესაც ბავშვები ადგილზე არიან, გააცანით მათ, თუ რა პოტენციური რისკები არსებობს და ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის. დარწმუნდით, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სუფთა სველი წერტილები, სათანადო ზომის ოთახი დასასვენებლად და გამაგრილებელი სასმელების მიღების საშუალება.
- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ მიმართონ დახმარებისთვის ან რჩევისთვის უფროსი ასაკის სულ მცირე ერთ ადამიანს, რომელსაც იცნობენ.
- ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბავშვების მონაწილეობაზე, უნდა გაეცნონ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მარეგულირებელ წესებს, როდესაც მათ ბავშვების მიმართ იყენებენ. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებსა და მათ მზრუნველებს მიეწოდოთ მარტივი, გასაგები განმარტებები სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ნორმების შესახებ და შემუშავებული უნდა იქნეს კონტროლის მარტივი, ბავშვებისთვის გასაგები მექანიზმები — მაგალითად, ავარიული სიტუაციის დროს ევაკუაციის სავარჯიშოში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით.
- ისინი, ვინც ადგილზე მუშაობს, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ გარკვეულ ადგილებში და გარკვეულ დროს შეიძლება იყვნენ ბავშვები და უნდა მიეცეთ საშუალება, იმსჯელონ აქედან გამომდინარე შედეგებზე მათთვის და ბავშვებისათვის.
- იმ ადამიანებმა, ვინც უშუალოდ ბავშვებთან მუშაობს, უნდა იმოქმედონ დეტალურად განხილული და შეთანხმებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.

დასაწყისისთვის სასურველია, რომ ბავშვებს მიეცეთ საშუალება, იმსჯელონ ან თავისი შენიშვნები გამოთქვან მათთან დაკავშირებულ საკითხებზე; მათ შეუძლიათ, მაგალითად, ნახონ საბავშვო ფილმები ან წიგნები უფროსებისთვის განკუთვნილ პრესაში და მედიის სხვა საშუალებებში.

ბავშვებთან ერთად და ბავშვებისთვის მომზადებული მედიაპროგრამების დადებითი მხარეები

მედიაპროექტების შეფასებები ცხადყოფს, რომ მედიაში ბავშვების მონაწილეობას უამრავი სასარგებლო შედეგი მოაქვს:

გაუმჯობესებული მედიაპროდუქტი: მედიის პროფესიონალების საბავშვო მედიაში ჩართულობის შედეგად იქმნება არა მხოლოდ მეტი საბავშვო მედია, არამედ ამით შეიძლება შეიქმნას უკეთესი ხარისხის მედია ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად:

დასავლეთ აფრიკის 100-მდე რადიოსადგურმა მონაწილეობა მიიღო პროექტში „მე ბავშვი ვარ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი უფლებები!“ (რომელიც აცნობს მშობლებს, ბავშვებს და ხელისუფლებას მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან მიმართებით). შედეგად მსმენელების დაჟინებული

მოთხოვნის საფუძველზე გაიზარდა საბავშვო პროგრამების რაოდენობა, გაუმჯობესდა პროგრამების ხარისხი და პროცესში უფრო მეტი ბავშვი ჩაერთო. ასევე ამაღლდა ინფორმირებულობის დონე და ცოდნა ბავშვების უფლებების და ქვეყანაში ბავშვების მდგომარეობის შესახებ.

ცვლილების მოხდენა: მედიაში ბავშვების მონაწილეობას შეუძლია, გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემქნელებზე სამთავრობო დონეზე:

ინდოეთში განხორციელებულ პროექტში „ბავშვებს რაღაც აქვთ სათქმელი“ ახალგაზრდები ქმნიან მხატვრულ და ანიმაციურ ფილმებს იმ საკითხების სპექტრზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ერთ-ერთმა ფილმმა *„გუტკაზე“* (თამბაქოს, ბეტელის თხილის და ლიმონის სახეობის, ლაიმის ნაზავი) დამოკიდებულების შესახებ მოსწავლეები იმდენად შთააგონა, რომ მათ შეადგინეს პეტიცია მათ სკოლებთან ახლომდებარე მაღაზიებში მისი გაყიდვის აკრძალვის მოთხოვნით. მოსწავლეებმა თავიანთი მოთხოვნა წარუდგინეს რაიონულ ხელმძღვანელობას, რომელმაც, თავის მხრივ, აკრძალა *გუტკის* მოხმარება რაიონის ყველა სკოლაში და წამოიწყო მასობრივი საინფორმაციო კამპანია მოსწავლეებთან თანამშრომლობით.

ბავშვების განვითარება: ბავშვების მონაწილეობას მედიაში წვლილი შეაქვს მათ ზოგად განვითარებაში. ტექნიკური და პროფესიული უნარების შესწავლასთან ერთად (როგორიცაა აღჭურვილობის გამოყენება და სცენარის ტექსტის წაკითხვა და ინტერპრეტაცია) ისინი იძენენ სასიცოცხლო უნარ-ჩვევებს, რომლებიც აძლევს მათ განვითარების და საკუთარი აზრის უფრო ეფექტიანად გამოთქმის შესაძლებლობას პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, თვითგამოხატვისა და მოლაპარაკების წარმოების უნარების გამომუშავებით.

მედიაში მონაწილეობა ეხმარება ბავშვებს, გაეცნონ მედიის ფუნქციონირებას და ინფორმაციის მოძრაობას და წარმოებას და მეტ შესაძლებლობებს აძლევს, მიიღონ სათანადო ინფორმაცია და გათვითცნობიერებული გადაწყვეტილებები. მედიაპროგრამების მონიტორინგსა და შეფასებაში მონაწილეობით ისინი იძენენ ღირებულ განათლებას მედიის სფეროში და შესაძლებლობა აქვთ, გახდნენ მედიის ყველა სახეობის კრიტიკული მომხმარებლები.

მედიისთვის გარკვეული კომერციული ინტერესი არსებობს ბავშვების მოზიდვაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამით ყალიბდება მომავალი მედიამომხმარებელი. ბევრი გაზეთი ახორციელებდა ახალგაზრდებისთვის გამიზნულ პროექტებს, მაგრამ ცოტა მათგანი თუ იზიდავდა ბავშვებს, ანდა ამას მხოლოდ პერიფერიებში აკეთებდა.

საბავშვო მედიაში საქმიანობით ბავშვებს შეუძლიათ ურთიერთობა დაამყარონ და ისწავლონ სხვა ბიჭებისა და გოგონებისგან, გაიჩინონ ახალი მეგობრები და ისწავლონ თავიანთი თანატოლების თანაგრძნობა, რაც აუცილებელი უნარია პოლიტიკური ცნობიერებისა და სოციალური შეგნების განვითარებისთვის. ამასთანავე, მედიის დახმარებით აზრის გამოხატვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას და ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას მტკივნეული გამოცდილების შემდეგ და ჩაუსახოს მათ იმედი.

შრი-ლანკაში აზიის ახალგაზრდულმა ტელევიზიამ ხელი შეუწყო ბავშვების ჯგუფის მონაწილეობას დოკუმენტურ ფილმში, რომელმაც მისცა მათ საშუალება, გამოეხატათ თავიანთი გრძნობები 2004 წელს ინდოეთის ოკეანეში ცუნამის თაობაზე. ფილმი, რომელიც თავიდან ბოლომდე ბავშვების გაკეთებულია, ასახავს ამ ტრაგედიის შედეგებს და იმას, თუ როგორ შეცვალა ამ მოვლენამ მათი ცხოვრება. ნიშაკი (16 წლის) ამბობს, რომ მათ უნდოდათ, აქცენტი გაეკეთებინათ იმაზე, თუ როგორი სიმამაცით უმკლავდებიან ბავშვები ცხოვრებისეულ სიძნელეებს.

აქტიური მოქალაქეობა: მედიაპროექტების ყველა ეტაპზე ახალგაზრდების ჩართულობას შეუძლია განავითაროს მათი, როგორც აქტიური მოქალაქეებისა და დამცველების, პოტენციალი. ბავშვებს შეუძლიათ, იმის კარგი მაცნეები იყვნენ, თუ რა გავლენას ახდენს უფლებების დარღვევა მათ ცხოვრებაზე, ხოლო მედიაში მონაწილეობას შეუძლია მისცეს მათ შესაძლებლობა, თავად მოითხოვონ ცვლილება. გამოცდილება ეხმარება მათ, ეფექტიანად გამოხატონ თავიანთი სათქმელი სხვა ფორუმებზეც.

მედიაში მონაწილეობის შედეგად ბავშვები თავს დაფასებულად გრძნობენ და საკუთარი თავის რწმენა ემატებათ. ეს არის საკუთარი ნიჭის აღმოჩენისა და უფროსებისა და თანატოლებისგან აღიარების შედეგი. საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის გრძნობასაც შეუძლია წაახალისოს ბავშვები, აქტიურად იღვაწონ სხვა სფეროებშიც და თავის თავზე აიღონ ახალი ფუნქციები და ვალდებულებები.

გლობალური კონტექსტი

ბავშვებისა და მედიის თემაზე გამართულ რამდენიმე გლობალურ შეხვედრაზე აღიარებულ იქნა ამ სფეროში ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობა. ეს შეხვედრებია:

- ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ გამართული ზოგადი დისკუსიის დღე თემაზე „ბავშვი და მედია“ (შვეიცარია, 1995): „მედიას მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვებისთვის თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემის თვალსაზრისით. კონვენციის ერთ-ერთი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის აზრი უნდა მოისმინონ და გაითვალისწინონ... ბავშვებს უნდა შეეძლოთ არა მხოლოდ საინფორმაციო მასალების შეთვისება, არამედ თავად უნდა მიიღონ მონაწილეობა მედიაში“.
- „ოსლოს გამოწვევა“ (ნორვეგია, 1999): „გამოწვევა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ არის ის, რომ მოძებნონ გზები მედიაში და მედიის განვითარებაში საკუთარი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობისათვის; გამოწვევა მშობლების, მასწავლებლებისა და მკვლევრებისადმი არის ბავშვთა უფლებების აღიარება და დაცვა, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს მედია, მიიღონ მასში მონაწილეობა და გამოიყენონ ის წინსვლის ბერკეტად“.
- მე-4 მსოფლიო სამიტი თემაზე „მედია ბავშვებისა და მოზარდებისათვის“ (ბრაზილია, 2004), სადაც უფროსების მხრიდან გაკეთდა წინადადება, რომ „ხელი უნდა შეეწყოს მედიაპროდუქციას ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობით“, ხოლო ბავშვების მხრიდან გამოითქვა აზრი, რომ „ბავშვებსა და მოზარდებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ადგილი მედიაპროდუქტების წარმოებასა და მაუწყებლობაში“.

- ახალგაზრდული მედიის განვითარების ფორუმი (მალი, 2006): ესწრებოდა 400 დელეგატი 60 ქვეყნიდან მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ალბანეთი, ბენინი, ბურკინა ფასო, კამერუნი, ეკვადორი, ელ-სალვადორი, ეთიოპია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ჰაიტი.
- მე-5 მსოფლიო სამიტი თემაზე „მედია ბავშვებისათვის“ (იოჰანესბურგი, 2007): 1 000-ზე მეტი ადამიანი 90-მდე ქვეყნიდან, მათ შორის, სულ მცირე 300 ადგილობრივი და უცხოელი ბავშვი, შეიკრიბა კონფერენციაზე; გაიმართა ინტერაქტიული სემინარები, დებატები და დისკუსიები, რათა განსაზღვრულიყო გზები ბავშვებისთვის მედიაში ხმის უფლების მისაცემად. კონფერენცია შეეხო მედიაში ბავშვთა წარმომადგენლობის საკითხს და იმას, თუ ზოგადად რა წვლილი შეიტანა მედიამ საზოგადოების მიერ ბავშვების აღქმაში. სამიტზე ასევე განხილული იქნა ბავშვების მიერ საკუთარი თავისა და პრობლემების წარმოჩენაში მონაწილეობის ხელშეწყობის ვარიანტები და საშუალებები. დებატების ცენტრალური თემა იყო – როგორ შეიძლება ჩაერთონ ბავშვები საკუთარი თავისა და პრობლემების წარმოჩენისა და გადაცემების შექმნის პროცესში.

მედიაში ბავშვების მონაწილეობასთან დაკავშირებული სირთულეები და წინააღმდეგობები

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა ერთხელ განაცხადა, რომ „ბავშვობა არ არის ცხოვრების მოსაცდელი ოთახი“. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს 18 წლამდე ახალგაზრდები შეადგენენ, მედია იშვიათად წარმოაჩენს ამ ჯგუფის შეხედულებებსა თუ რეალურ ყოფას. ზოგადად, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნახევარსფეროში მედია შეზღუდულ შესაძლებლობებს აძლევს ბავშვებს, რომ მათ ისარგებლონ მონაწილეობისა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმის თავიანთი უფლებებით.

არაადეკვატური აქცენტი კეთდებოდა მედიის ყველა დონეზე, მათ შორის მედიამონიტორინგის სფეროში, ბავშვების მიზანმიმართული მონაწილეობის საჭიროებასთან დაკავშირებით. მათ მონაწილეობას ჯერ არ მიუპყრია ის პრიორიტეტული ყურადღება, რომელსაც იმსახურებს. და რჩება რიგი ზოგადი სირთულეებისა, რომლებიც უნდა გადაილახოს, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მედიაში ბავშვების მონაწილეობას.

სოციალური დამოკიდებულებები და წინააღმდეგობა ბავშვების მონაწილეობის მიმართ

მედია უფრო ხშირად კონტროლდება უფროსების მიერ, რომელთაც ყოველთვის არ სურთ, რომ დათმონ თავიანთი ძალაუფლება და მისცენ ბავშვებს უფლება, მათ განსაზღვრონ დღის წესრიგი. მეორე მხრივ, თავად მშობლებს ხშირად არ ესმით ბავშვების წვლილის მნიშვნელობა; როგორც წესი, ისინი ფიქრობენ, რომ მედიაპროექტები ბევრ დროს მოითხოვს და სკოლაში ბავშვების დემოტივაციას უწყობს ხელს. მაგრამ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ბავშვების სწავლის დონე ხშირად უმჯობესდება ასეთ პროექტებში მათი მონაწილეობის შედეგად.

შეიძლება გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდეს მშობლებში, რომ თავიანთ შვილებს მისცენ ბავშვთა უფლებების შესწავლის ნება. ბევრ ქვეყანაში ხშირად აღიქმება, რომ

უფლებები წინააღმდეგობაშია ტრადიციებთან, რომელთაც ბავშვები არ აყენებენ ეჭვქვეშ. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დამოკიდებულებებზე რეაგირება მოხდეს ინფორმაციის მიწოდებისა და მედიასექტორისა და მშობლების სენსიტიურობის გაზრდის გზით.

ეთიკისა და დაცვის საკითხები

მედიაში ბავშვების ჩართულობის გაზრდის მცდელობისას ჩვენ ასევე უნდა უზრუნველვყოთ მათი დაცვა მედიისგან. მაგალითად, იმ ბავშვების გამოჩენა მედიაში, რომლებმაც შეურაცხყოფა ან ძალადობა განიცადეს, ხშირად შეიძლება მათი ხელახალი დამცირების წყარო გახდეს, ვინაიდან პოტენციურად შესაძლებელია, ბავშვს დევნა დაუწყონ, თუ მისი ვინაობა გახმაურდა. ისევე როგორც უფროსი ასაკის ჟურნალისტებმა, ჟურნალისტმა ბავშვებმაც შეიძლება ზოგჯერ ვერ შეძლონ სხვა ბავშვების დაცვა, ვისთან ერთადაც მუშაობენ.

კომერციალიზაცია, ძალადობა, სექსუალური ზეწოლა, გენდერული სტერეოტიპები და სხვა მავნე ზეგავლენები ზღუდავენ ბავშვების შესაძლებლობებს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მედიაში. მსოფლიოს მრავალ კუთხეში შოუებისა და პროგრამების (მაგალითად, სატელევიზიო) უმრავლესობა არ ასახავს ბავშვებისა და ახალგაზრდების რეალურ ცხოვრებას. მავნე ზეგავლენებისა და უარყოფითი გამოსახულებებისგან ბავშვების დასაცავად მათ სრულფასოვანი როლი უნდა შეასრულონ ისეთი მედიის შექმნის პროცესში, რომელიც გადმოსცემს დადებით ინფორმაციას და სანახაობას, სადაც ასახულია მათი ცხოვრება და არ ირღვევა მათი უფლებები.

ინვესტიციებისა და რესურსების სიმცირე

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მედიასაშუალების გამოშვებისას ბავშვებს გამოეყოთ სათანადო რესურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისაწვდომობა და ხარისხი. მთელ მსოფლიოში საბავშვო მედია „კონკურენციას“ უწევს სხვა მედიაპროდუქტებს; იმისათვის, რომ ის სერიოზულად აღიქვან და მათ ხმა მიაწვდინონ მაქსიმალურად ფართო აუდიტორიას, პროდუქტიც ისეთივე მაღალი ხარისხისა უნდა იყოს. მედიის პროფესიონალების დახმარების გარეშე ბავშვები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ ასეთი მაღალი ხარისხის მიღწევას.

უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობა

ბავშვებმა, ისევე, როგორც უფროსების უმრავლესობამ, ყოველთვის არ იციან, რომ უფლება აქვთ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი. ისინი ხშირად მორცხვები არიან და უჭირთ აზრის გამოხატვა, როდესაც არ არიან მიჩვეულნი ამის გაკეთებას. მედიატრენინგის გარეშე ბავშვებს შეიძლება შეეშინდეთ ხმამაღლა აზრის გამოთქმისა იმ შემთხვევაში, თუ არასწორ გზავნილს აწოდებენ ან არ შეუძლიათ სიტყვებით გამოთქვან თავიანთი აზრები და გრძნობები. წერა-კითხვის არმცოდნე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და სხვა სოციალურად იზოლირებულ ჯგუფებს ზოგჯერ ესაჭიროებათ სპეციალისტის დახმარება, რომ შეძლონ სრულფასოვნად მონაწილეობა.

მედია არის ერთ-ერთი საშუალება, რითაც ყველაზე დაუცველებს შეუძლიათ, ხმა

აღიმაღლონ. როდესაც მედიაპროგრამები პატივს სცემენ ბავშვის უფლებათა კონვენციის სტანდარტებსა და პრინციპებს, მათ შეუძლიათ შეცვალონ უფროსების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ დადებითი მისაბაძი მაგალითების ჩვენებით; მათ შეუძლიათ საჯაროდ წამოჭრან ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობა, რომელთა შესახებაც ჩვეულებრივ ძნელია მსჯელობა და გააკრიტიკონ უფროსების საქციელი.

ბავშვების მედიაში მონაწილეობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მათ მიეცეთ საშუალება, ილაპარაკონ, მაგრამ ამავე დროს ჰყავდეთ სათანადო აუდიტორია, რომელიც მათ მოუსმენს. იმ ქვეყნებში, სადაც ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ბავშვებს, გამოიჩინონ ინიციატივა, მაგალითად, საკუთარი ვებგვერდების შექმნით, ამოცანას წარმოადგენს ის, რომ არ მოხდეს ბავშვების ხმებისა და პრობლემების გადაფარვა უხვი ინფორმაციის მასაში. საზოგადოება უნდა იცნობდეს ბავშვების შეხედულებებს, ხოლო მედიამ უნდა შექმნას სივრცე ბავშვებისათვის.

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

„პლენ ინტერნეიშენალ“: http://www.plan-international.org/

„ლაპარაკი, მონაწილეობა და გადაწყვიტილებების მიღება — ბავშვის უფლება, რომ მოუსმინონ“, „Plan International“, 2006 წ.

„ბავშვები, ახალგაზრდები და მედია მთელ მსოფლიოში: ტენდენციებისა და პრობლემების მიმოხილვა“, „ინტერმედია“ (2004 წ.)

„ბავშვები მედიაში“, „პლენ სვიდენ“ (2006 წ.)

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (1996 წ.), „ბავშვი და მედია“.

---

8. საუკეთესო ჟურნალისტური პრაქტიკა ბავშვებთან დაკავშირებით

„მე ჯერ კიდევ მწამს, რომ, თუ შენი მიზანი მსოფლიოს შეცვლაა, ჟურნალისტიკა ყველაზე პირდაპირი და სწრაფი მოქმედების იარაღია“ — ტომ სტოპარდი

ძირითადი სასწავლო თემები

- ბავშვების შესახებ ახალი ამბების გაშუქების საუკეთესო პრაქტიკა
- საბავშვო მედიის მონიტორინგი და შეფასება: პრესა, რადიო, ტელევიზია

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 10 წლისთავზე გამოცემული „ოსლოს გამოწვევა“ მოუწოდებდა მედიასაშუალებათა მფლობელებსა და მუშაკებს, მასწავლებლებს, პოლიტიკოსებს და თავად ბავშვებს, გამოეძებნათ ახალი გზები იმისათვის, რომ მასმედია გამხდარიყო მთელ მსოფლიოში ბავშვების ცხოვრებაზე დადებითი ზეგავლენის წყარო.

გამოწვევა კერძო სექტორის, მათ შორის მედიასაშუალებათა მფლობელების მიმართ ასეთი იყო:

- ახალი მედიაპროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნისას გაითვალისწინონ ბავშვთა უფლებები სხვადასხვა მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, მონაწილეობაზე, მედიაგანათლების მიღებასა და საზიანო შინაარსისგან დაცვაზე;
- კომერციული და ფინანსური წარმატების ძიებისას უპირველეს პრიორიტეტად დაისახონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, რათა ბავშვები აღიზარდონ გლობალურ საზოგადოებაში, რომელშიც ყველა ადამიანი დაცული, პატივცემული და თავისუფალია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ჟურნალისტი სკეპტიკურად არის განწყობილი ბავშვთა საჭიროებებისათვის (და უფლებებისათვის) ესოდენ დიდი ყურადღების დათმობასთან დაკავშირებით. ბრიტანეთში, მაგალითად, ყოველ კვირას ეკონომიკური ჟურნალი „პრეს გაზეტ“ (Press Gazette) აქვეყნებს ისტორიებს იმ იურიდიული სირთულეების შესახებ, რომლებიც უკავშირდება 18 წლამდე პირების მონაწილეობით სასამართლო საქმეების გაშუქების მიმართ არსებულ შეზღუდვებს. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებით კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს უფლება აქვთ, მოიხადონ სასჯელი საზოგადოებრივი ყურადღების გარეშე, ზოგიერთი ამას აფასებს, როგორც პრესის თავისუფლების შეზღუდვას, თუ მედიას არ შეუძლია დამნაშავეების დასახელება.

თუმცა ბევრი ჟურნალისტი იღებს თავისი სამუშაოს ორიენტირად ბავშვთა ინტერესებს. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მთელ მსოფლიოში მათი ერთობლივი მუშაობის მაგალითები. „ჟურნალისტები ბავშვებისა და ქალების უფლებების შესახებ“ მაკედონიაში, რომელიც ჩამოყალიბდა 2003 წელს, აწყობს ბავშვთა უფლებების დაცვის კამპანიებს მედიაპრეზენტაციების, ბიულეტენებისა და ფილმების საშუალებით. საერთაშორისო კლუბი — „ჟურნალისტები ბავშვთა უფლებებისათვის“ — ჩამოაყალიბეს მეთიუ მაკ-კვამმა განის ჟურნალისტიკის ინსტიტუტიდან და ფრენკ ასარე-დონკოჰმა განის რადიოსადგურიდან „ჩოის ეფ ემ” (Choice FM).

საბავშვო ახალი ამბების ბრაზილიური სააგენტო ANDI აჯილდოებს ბავშვების მეგობარ ჟურნალისტებს, რათა სტიმული მისცეს მათ, რომ შეისწავლონ და გააშუქონ ბავშვებთან დაკავშირებული თემები. სააგენტოში აღმოაჩინეს, რომ ასეთმა წახალისებამ ბავშვები მათთვის უფრო მისაწვდომი გახადა — მათ შორის ციხეებშიც.

ფონდი "Prix Jeunesse Foundation" ასევე ცდილობს, გააუმჯობესოს საბავშვო ტელეგადაცემების ხარისხი მთელ მსოფლიოში ქვეყნებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლითა და კომუნიკაციის ხელშეწყობით. ფონდი მხარს უჭერს იდეას, რომ ტელევიზია უფრო მიმზიდველი უნდა იყოს სამიზნე აუდიტორიისთვის და საშუალება მისცეს ბავშვებს, დაინახონ, მოისმინონ და გამოხატონ საკუთარი აზრი და წარმოაჩინონ თავიანთი კულტურა, ამავდროულად, ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას და სხვა კულტურების დაფასებას. ფონდის ჯილდო საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ყველაზე პრესტიჟული სატელევიზიო პრიზი საბავშვო მაუწყებლობაში მსოფლიოს მასშტაბით.

2003 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ და სამხრეთ აფრიკის ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაატარეს ორდღიანი სემინარი კეიპტაუნში მედიაში ბავშვთა უფლებების შესახებ. დისკუსიები ფოკუსირებული იყო ჟურნალისტების სოციალურ პასუხისმგებლობაზე და განსაკუთრებულ სიფრთხილეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ბავშვები არ არიან ზრდასრული ადამიანები და ამიტომ სჭირდებათ განსაკუთრებული დახმარება და დაცვა. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ადგილი აქვს მედიის მხრიდან ბავშვების მნიშვნელოვნად უგულებელყოფას. შეხვედრის შედეგად გამოიცა პუბლიკაცია სახელწოდებით „სწორი მიმართულების მიცემა ბავშვებისთვის — საერთაშორისო სახელმძღვანელო ნორმები ჟურნალისტებისა და მედიის პროფესიონალებისათვის".

სხვა ორგანიზაციებიც გასცემენ ჯილდოს ბავშვებზე ორიენტირებული ჟურნალისტიკისათვის. 2002 წელს „ჰაიტიმ" და პანოს ინსტიტუტმა ვაშინგტონში დააარსეს ეროვნული ჟურნალისტიკის პრიზი ბავშვთა უფლებების შესახებ გაკეთებული საუკეთესო რეპორტაჟისთვის. ინიციატივის შედეგად არა მხოლოდ გაიზარდა ბავშვებისა და მათი უფლებების შესახებ მომზადებული მაღალი ხარისხის რეპორტაჟების წარმოება, არამედ მან სტიმული მისცა მედიასაშუალებათა მფლობელებსა და ჟურნალისტებს, რომ მეტი ყურადღება დაეთმოთ ბავშვებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

გაზეთები

გაზეთები განათლების სფეროში

მსოფლიო საგაზეთო ასოციაცია (World Association of Newspapers (WAN) გლობალური ორგანიზაციაა, რომელიც წარმოადგენს 18 000 გაზეთს, 71 ნაციონალურ საგაზეთო ასოციაციას, საგაზეთო აღმასრულებელ ორგანოებს 100 ქვეყანაში, ახალი ამბების 13 სააგენტოს და ცხრა რეგიონულ და მსოფლიო მასშტაბის პრესჯგუფს. მთელ მსოფლიოში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მან გამოსცა 30 იდეისგან შემდგარი პაკეტი ახალგაზრდა მკითხველების მოსაზიდად. ასოციაციამ გამოაცხადა პროექტების

„გაზეთები განათლების სფეროში“ ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ფინანსდებოდა 1,74 მილიონი აშშ დოლარით უმსხვილეს ნორვეგიულ კომპანია „ნორსკე სკოგის“ მიერ, რომელიც საგაზეთო ქაღალდის მსოფლიოში მეორე უმსხვილესი მწარმოებელი და ჟურნალის ქაღალდის მესამე უმსხვილესი მწარმოებელია.

პროექტი „გაზეთები განათლების სფეროში“ მიზანია, რომ ბეჭდვითი პუბლიკაციების შექმნა გახდეს მთელ მსოფლიოში ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ბუნებრივი ნაწილი. ახალი პროგრამა კონცენტრირებული იქნება ბალკანეთისა და აზიის ქვეყნებზე და შეიმუშავებს სასწავლო მასალებს მასწავლებლებისათვის ადგილობრივ ენებზე. იდეა ისაა, რომ საგაზეთო პუბლიკაციები გამოყენებული იყოს წიგნიერების დონის ამაღლების, ზოგადი ცოდნის გაფართოების, ანალიტიკური უნარების განვითარებისა და სიტყვის თავისუფლების, ტოლერანტულობისა და დემოკრატიული ფასეულობების პოპულარიზებისათვის.

ევრო-არაბული სამეზობლო: მოსწავლეთა ჟურნალები არაბეთის ქვეყნებსა და ევროპაში

„იუნესკოს“ ინიციატივით დაიწყო პროექტი „ევრო-არაბული მეზობლობა: მოსწავლეები აშენებენ ხიდებს“ ისლამურ სამყაროსთან დიალოგის პროგრამის ფარგლებში. პროექტი დაიწყო 2003 წლის დეკემბერში. გერმანიაში გამართული სემინარის დროს განათლების სამინისტროების, საჯარო ორგანიზაციების, გამომცემლობებისა და სკოლების ექსპერტებმა დანიიდან, ეგვიპტიდან, გერმანიიდან, იორდანიიდან, ლიბანიდან, ლიბიიდან, პალესტინიდან, კატარიდან, სუდანიდან, სირიიდან, ტუნისიდან და უკრაინიდან საფუძველი დაუდეს ძლიერი, სტაბილური სასკოლო ჟურნალების ქსელის შექმნას.

პროექტის მიზანია ევრო-არაბული დიალოგის სტიმულირება ახალგაზრდებს შორის სასკოლო ჟურნალების თანამშრომლობის მეშვეობით. დიალოგი ევროპისა და არაბეთის ქვეყნების მოქალაქეებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების წინაპირობაა მრავალი სხვადასხვა კულტურისა და რელიგიისაგან შემდგარ საზოგადოებაში. ევროპისა და არაბეთის სახელმწიფოების ახალგაზრდებს შორის გამოცდილების გაზიარება უკიდურესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ, რაც შეიძლება მალე მოხდეს სტერეოტიპების მსხვრევა და გაღრმავდეს ურთიერთგაგება. ამ პროექტში მონაწილეობის მიღება თავისუფლად შეუძლია ყველა ტიპის სკოლას და ნებისმიერი ასაკის ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჟურნალისტური თანამშრომლობით.

კულეანის ცენტრი ბავშვთა უფლებებისთვის

კულეანის ცენტრი ბავშვთა უფლებებისთვის მვანზაში (ტანზანია) მედიასა და ჟურნალისტიკას სერიოზულ მოკავშირეებად განიხილავს. ახალგაზრდები შეადგენენ მვანზის 800 000-იანი მოსახლეობის ნახევარს. მათ შორის ბევრია ქუჩის ბავშვები. მას შემდეგ, რაც 1992 წელს ცენტრი დაარსდა, ქუჩის ბავშვებმა დაიწყეს თავიანთი აზრების გამოქვეყნება კედლის გაზეთებში, რომლებსაც მთელ ქალაქში აკრავდნენ. დღეს პლაკატი-ჟურნალი „მამბო ლეო“ (Mambo Leo) ყველა სკოლის კედლებზე ქვეყნდება.

კულეანამ მიმართა რეგიონული გაზეთების გამომცემლებს შემდეგი მოწოდებით: „ეს თქვენი შვილები არიან: რის გაკეთებას აპირებთ ამ სიტუაციის გამოსასწორებლად?“

თავდაპირველად ქუჩის ბავშვების შესახებ რეპორტაჟები სენსაციური იყო. მას შემდეგ, რაც მედია უფრო თავდაჯერებული გახდა, მან დაიწყო გამომწვევი მიზეზების ძიება და პირველ რიგში იმ პირობების გამოკვლევა, რამაც აიძულა სოფლად მცხოვრები ბავშვები გასულიყვნენ ქუჩაში. ადგილობრივმა რადიოსადგურებმა გამოყვეს 15-წუთიანი საეთერო დრო ქუჩის ბავშვებისათვის და დააწესეს პრიზები კონკურსში გამარჯვებულებისთვის. რეგულარული სტატიები გამოჩნდა ინგლისურად და სუაჰილიზე გამოცემულ გაზეთებში. ცენტრი თანამშრომლობდა ტანზანიის ქალთა მედიაასოციაციასთან ბავშვთა მიმართ ძალადობის უკეთ გაშუქებისათვის.

რადიო

შედარებით იაფი, ადვილად ხელმისაწვდომი და მობილური, რადიო ყველაზე მდგრადი და ქმედითი მედიასაშუალება აღმოჩნდა ყველაზე არაკეთილმოსურნე სოციალურ პირობებშიც კი. აფრიკაში ათასობით რადიოსადგურია, დიდი და პატარა, სადაც ის ყველაზე მნიშვნელოვან საკომუნიკაციო სისტემად რჩება. ახალგაზრდებმა ოსტატურად შეძლეს რადიოტექნოლოგიების თავიანთი მიზნებისთვის მორგება, ისინი რადიოტალღებს „პირატული რადიოს“ მეშვეობით ეუფლებოდნენ, ხშირად იმისათვის, რომ მათ მუსიკალურ გემოვნებას მისცემოდა მასობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. მათ შემოქმედებით ენერგიას შეუძლია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს ძირითადი მიმართულებების მაუწყებლებზე.

„მე ბავშვი ვარ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი უფლებები“

„მე ბავშვი ვარ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი უფლებები!“ — არის რადიოგადაცემა, რომელსაც ქმნიან ბავშვები. იგი დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე გადაიცემა. ის პირველად გავიდა ეთერში 1998 წელს და ატყობინებდა მშობლებს, ბავშვებს და ხელისუფლებას მათი პასუხისმგებლობის შესახებ, რომ პატივი უნდა სცენ ბავშვთა უფლებებს. პროექტის მიზანია ბავშვის უფლებათა კონვენციის პროპაგანდირება რადიოტალღების მეშვეობით.

რადიოპროექტი გადაიცემა ბურკინა ფასოში, გვინეაში, ტოგოში, მალიში, სენეგალში, გვინეა-ბისაუსა და ბენინში. 10-მდე რადიოსადგური თითოეულ ქვეყანაში (რომელთა შორისაა საზოგადოებრივი, კერძო, სოფლისა და თემის რადიოსადგურები) ეთერში უშვებს ამა თუ იმ ქვეყნის უნიკალური კულტურის შესაბამისად ადაპტირებულ პროგრამას.

ისტორიები მოგვითხრობს ბავშვების უფლებაზე, იარონ სკოლაში, ისარგებლონ სუფთა წყლით, გაიზარდონ ჯანმრთელები და დაცულნი იყვნენ ექსპლუატაციისგან. ისტორიებში ჩართულია უამრავი კომედიური მსახიობი და ბავშვი (დაახლოებით 600 ბავშვი და ახალგაზრდა 6-დან 18 წლამდე). ბავშვების მონაწილეობა პროექტის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს. ისინი მონაწილეობენ უშუალოდ გადაცემის შექმნის პროცესში, ინტერვიუებსა და დებატებში, რადიოკონკურსებში, გზავნიან ლექსებს, წერილებსა და ნახატებს.

პროექტი „მე ბავშვი ვარ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი უფლებები!“ სცილდება რადიოკამპანიის ფარგლებს. თეატრისა და სკოლის ღონისძიებები პროექტის შემადგენელი ნაწილია. სააგიტაციო პროექტი ბევრად აჭარბებს მის დაგეგმილ უშუალო ამოცანებს და თავდაპირველ საზღვრებს. შოუს შექმნასა და მაუწყებლობაში ჩართულია ასობით ბავშვი,

ხოლო მის ფარგლებში გამართულ კონკურსებსა და საჯარო ჩაწერებში მონაწილეობა კიდევ მრავალ ათას ბავშვს მიუღია.

ამბების თხრობა და საგანმანათლებლო დრამა ქმედითი და პოპულარული საშუალებები აღმოჩნდა ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. ბავშვებს შეუძლიათ, პირდაპირ თავიანთ ცხოვრებას დაუკავშირონ ისტორიები. გზავნილები გამბედაობას აძლევს ბავშვებს, მოითხოვონ დახმარება უფროსებისგან და მოძებნონ თავიანთი პრობლემების გადაჭრის გზები. ისინი იძენენ ცოდნას, რომელსაც გადასცემენ თავიანთ ოჯახებსა და მეგობრებს, როდესაც უყვებიან გაგონილის შესახებ. როდესაც ბავშვები უსმენენ, როგორ საუბრობენ სხვები რადიოში, ეს სტიმულს აძლევს მათ, რომ თავადაც მიიღონ მონაწილეობა ან იპოვონ სხვა გზა, რომ მათი ხმები გაიგონონ.

მსოფლიო რადიოფორუმი

მსოფლიო რადიოფორუმი ეძღვნება მაღალი ხარისხის მაუწყებლობის ხელშეწყობას ბავშვებისათვის და მათ მიერ. 2001 წლის მარტში საბერძნეთში, სალონიკში, გამართულ მესამე მსოფლიო სამიტზე „მედია ბავშვებისათვის“ დაარსებული ფორუმის მიზანია, რადიოს მეშვეობით დაიცვას ბავშვთა უფლებები და მათ საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების სტატუსი. მასში შედის პროექტები და კერძო კომპანიები ყველა კონტინენტიდან, განსაკუთრებით კი აფრიკიდან.

ტელევიზია

სავარაუდოდ, ტელევიზიას მთელ მსოფლიოში 15 წლამდე ასაკის დაახლოებით 1.8 მილიარდი მაყურებელი ჰყავს. მათგან 190 მილიონი ცხოვრობს უმდიდრეს რეგიონებში, ხოლო 1,6 მილიარდი – განვითარებად სამყაროში. თითქმის 142 სატელიტური და საკაბელო სატელევიზიო არხი გამიზნულია 15 წლამდე ადამიანებისათვის ხუთ კონტინენტზე. ამ არხებიდან 88 ევროპაშია.

საზოგადოებრივ მაუწყებლებს მთელ მსოფლიოში აკისრიათ ვალდებულება, შექმნან პროგრამები ბავშვებისათვის, რომლებიც იქნება შემეცნებითი, გასართობი და საგანმანათლებლო, თუმცა პროგრამების ხარისხი და რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ბრიტანული პროგრამები ახალგაზრდებისთვის

ბრიტანეთში „ბი-ბი-სი“-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბავშვო სატელევიზიო პროგრამა „ბლუ პიტერ“ (Blue Peter) თავის 50 წლის იუბილეს 2008 წლის ოქტომბერში აღნიშნავს. მას ჟურნალის ფორმატი აქვს და გადაიცემა ბავშვების სკოლიდან დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ. წლების განმავლობაში მის პროგრამებზე დიდ გავლენას ახდენდა თავად ბავშვების მიერ გამოთქმული აზრები. ის გადასცემს „გააკეთე შენ თვითონ“ სერიის ხელობის შემსწავლელ პროგრამებს, აღნიშნავს ბავშვების წარმატებას სხვადასხვა სფეროში, ატარებს კონკურსებს და ორგანიზებას უწევს ეროვნულ პეტიციებს ბავშვების დასახმარებლად, რომლებიც შედარებით გაჭირვებულად ცხოვრობენ ბრიტანეთში და მის საზღვრებს გარეთ.

პროგრამის ახალგაზრდა წამყვანები მონაწილეობენ საინტერესო გასართობ ღონისძიებებში (წყალქვეშა ცურვა/ყვინთვა, პარაშუტით ხტომა, თხილამურებით სრიალი და ა.შ.). ეს ღონისძიებები აწვდის ბავშვებს წარმოდგენას იმ აქტივობების შესახებ, რომელშიც მათ შეიძლება მოუნდეთ მონაწილეობა, როდესაც გაიზრდებიან. ყოველწლიურად გადამღები ჯგუფი ესტუმრება ხოლმე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს, რათა გააშუქოს ბავშვებისთვის სხვა ბავშვების ყოფა-ცხოვრების დეტალები.

„ბი-ბი-სი“-ზე ასევე გადაიცემა რეგულარული საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა სახელწოდებით „ჩილდრენზ ნიუსრაუნდ“ *(Children's Newsround)*, რომელიც მარტივად და პირდაპირ გადმოსცემს დღის მთავარ ამბებს, მათ შორის ისეთ მძიმე თემებზე, როგორებიცაა ბავშვთა მიმართ ძალადობა, შიმშილი და ბუნებრივი კატასტროფები, გადმოსცემს, აგრეთვე, ბავშვებისთვის განსაკუთრებით საინტერესო სპეციალურ რეპორტაჟებს, რომლებიც შეიძლება არ გავიდეს უფროსებისთვის განკუთვნილ ცნობებში. იმდენად, რამდენადაც ძირითადი სამაუწყებლო პროგრამები განკუთვნილია უფროსებისთვის, ისინი არ არის პოპულარული ბავშვებში. საკუთარი ვერსიის არსებობით ბავშვებს საშუალება ეძლევათ, იმსჯელონ მიმდინარე საკითხებზე უფროსებთან და ამავე დროს დაცული იყვნენ იმ სამწუხარო კომენტარებისგან, რომლებიც ხშირად თან ახლავს უფროსების ვერსიას.

ბრიტანეთის ერთ-ერთმა კომერციულმა მაუწყებელმა, მე-4 არხმა, მოიგო პრიზი თინეიჯერებისთვის შექმნილი გადაცემისათვის *„Wise Up“ („დაბრძენდი“),* რომელშიც ბავშვები მოტივირებულნი არიან, რომ შეადგინონ პროგრამა. გადაცემის თემებისა და მოწვეული გამომსვლელების მოძიება ხდება მაყურებლებს შორის და სკოლებში ვიზიტების მეშვეობით. მოწვეული მომხსენებლები შეადგენენ გადაცემის ერთ ნაწილს, როდესაც ისინი იკვლევენ მათ ცხოვრებაში წამოჭრილ პრობლემას. ისინი იღებენ პროფესიონალურ რჩევას და დახმარებას ძირითადად ახალგაზრდებისგან შემდგარი გუნდისაგან. გადაცემის სტილი ენერგიული და ახალგაზრდულია სწრაფად მოძრავი, ხელის კამერით გადაღებული კადრებით, მაგრამ ის ყურადღებით არის დამონტაჟებული და გამოშვებული იმ სახელმძღვანელო ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ოფიციალური მარეგულირებლების მიერ.

„მუკტო ხობორ“ (თავისუფალი ამბები)

ბანგლადეშში *„მუკტო ხობორ“* არის ყოველკვირეული 25-წუთიანი მოზარდთა საინფორმაციო გადაცემა, რომელშიც აქცენტი კეთდება ბავშვებზე და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. გადაცემის მიზნებია:

1. ბავშვებისთვის თავისუფალი სივრცის შექმნა მედიაში; ფორუმის შექმნა ახალგაზრდებისთვის, რათა გამოხატონ თავიანთი აზრი მათ გარშემო არსებულ საკითხებზე და მოვლენებზე, სადაც მათ მოუსმენენ ბავშვები და უფროსები ყველა სოციალური ფენიდან;

2. ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის უფლებამოსილების მინიჭება მათი სასწავლო მომზადებით სპეციალურ უნარებში; ბევრი ახალგაზრდა მაყურებლისთვის უფლებებისა და სტიმულის მიცემა. ახალგაზრდები შთაგონებას იღებენ გადაცემიდან, რომელიც კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ქმედითად შეუძლიათ იმუშაონ, როდესაც შესაძლებლობა ეძლევათ. გადაცემა ასევე ეხმარება მოზარდებს, აიმაღლონ

თვითდაჯერებულობა და თვითშეფასება;

3. დამატებითი წონის მინიჭება ბავშვთა შეხედულებებისა და ხმებისათვის იმის დამტკიცებით, რომ მათაც შეუძლიათ იდეებისა და გადაწყვეტილებების შეთავაზება; იმ ტრადიციული წარმოდგენის შეცვლა, რომ ბავშვებმა მხოლოდ უნდა მოუსმინონ და ბევრი არ ილაპარაკონ;
4. ამ გადაცემის საფუძველზე მედიაში ბავშვთა მონაწილეობისათვის თანაბარი შესაძლებლობების მოდელის დამკვიდრება.

საბოლოო პროდუქტი არის საყოველთაოდ პოპულარული გადაცემა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვთა უფლებებზე.

ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი შერჩევის პროცესი პროგრამაში მონაწილეობისათვის უზრუნველყოფს, რომ მოცული იყოს საზოგადოების ყველა სექტორი. კანდიდატურების მოწოდებისათვის უკავშირდებიან არა მხოლოდ სკოლებს, არამედ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, რომლებიც ვერ იღებენ განათლებას. გადამღებ ჯგუფში შედიან შედარებით პრივილეგირებული ბავშვები, დასაქმებული ბავშვები და ისეთები, რომელთაც შეიძლება ელემენტარული განათლებაც კი არ ჰქონდეთ.

პროგრამის მსვლელობისას ბევრი რამ ხდება მის აუდიტორიაში. იყო დრო, როდესაც შეინიშნებოდა დაძაბულობა და უხერხულობა ერთად მომუშავე სხვადასხვა წარმოშობის ბავშვებს შორის, მაგრამ მათ დაძლიეს ეს და შესანიშნავი საქმიანი ურთიერთობები დაამყარეს. პროგრამა ზუსტად ასახავს ბანგლადეშის საზოგადოებას და, როგორც ასეთი, მიმზიდველია მრავალგვარი აუდიტორიისათვის, რითაც წარმატებას აღწევს.

ბავშვთა მედიაცენტრი, ყირგიზეთი

ბავშვთა მედია ცენტრი მუშაობს აუდიო-ვიზუალურ და ბეჭდვით მედიაში და მისი სამუშაო სრულდება ექსკლუზიურად ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ. პროექტის მიზანია ბავშვების თვითგამოხატვისთვის სათანადო პირობების შექმნა. ცენტრის წევრები სწავლობენ ყირგიზეთში ბავშვებისა და ახალგაზრდების წინაშე არსებულ პრობლემებს და აკეთებენ თავიანთი დაკვირვებების შეფასებებს. ისინი ავრცელებენ ინფორმაციასაც ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად.

მედიაცენტრის წევრები მუშაობენ ბევრ თემაზე, რომლებიც ასახავს ახალგაზრდების პრობლემებს, მათ შორის ბავშვთა დაცვის, გენდერულ და აივ/შიდს-თან დაკავშირებულ საკითხებს. ცენტრი უშვებს ვიდეოკლიპებსა და ბეჭდვითი მედიის სტატიებს უსახლკარო ბავშვების, შიდსით დაავადებული ადამიანების და ქალთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ. პროექტის ყველაზე ძლიერი მხარე არის ის ფაქტი, რომ მის მედიაპროდუქტებში გამოხატული პოზიციები ახალგაზრდების ჭეშმარიტი ხმებია.

„ანდი“

საბავშვო ახალი ამბების სააგენტო „ანდი“ (ANDI) ბრაზილიაში ჩამოყალიბდა ჟურნალისტების მიერ, რომელთაც აწუხებდათ ქუჩის ბავშვების ბედი. თავდაპირველად

ისინი კონცენტრირებული იყვნენ სასკოლო დაწესებულებების შექმნაზე, ვინაიდან განათლება მიაჩნდათ სიღარიბის დაძლევის გზად, განსაკუთრებით დიქტატურის პირობებში.

შემდეგ მათ დაიწყეს მედიის მონიტორინგი და შენიშნეს, რომ ბავშვების შესახებ გადმოცემული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ნეგატიური იყო. მათ გამოაქვეყნეს სარეიტინგო ცხრილები, სადაც აჩვენებდნენ, თუ რომელი გამოცემები იყო ყველაზე შეურაცხმყოფელები და მოუწოდებდნენ უფრო პოზიტიური დამოკიდებულებისაკენ. თანდათანობით მასალების ტენდენცია შეიცვალა და გამომცემლებმა დაიწყეს შეჯიბრება, რომ უკეთესი პოზიცია დაეკავებინათ რეიტინგში.

„ანდიმ“ დააწესა ეროვნული სტანდარტი საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომისთვის ბავშვებსა და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამისათვის სააგენტო:

- განსაზღვრავს და სთავაზობს კონკრეტულ თემებს და აწვდის მათზე ინფორმაციას ჟურნალისტებს;
- ავრცელებს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ მთავარ ამბებს, რომლებიც ქვეყნდება ქვეყანაში;
- აკეთებს რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს ბრაზილიურ პრესაში ჟურნალისტების მხრიდან ბავშვებისა და ახალგაზრდებისადმი გამოხატული დამოკიდებულების შესახებ;
- ავრცელებს ინფორმაციას სირთულეებისა და წარმატებული გამოცდილების შესახებ;
- აღიარებს პროფესიონალებს, რომელთა საქმიანობა სოციალურად პასუხისმგებელი ჟურნალისტიკის მაგალითია;
- ტრენინგს უტარებს კომუნიკაციის სფეროს ახალგაზრდა პროფესიონალებსა და სტუდენტებს.

2000 წლის მარტში შეიქმნა „ანდის ქსელი“, რომელიც დღეს ბრაზილიის სხვადასხვა შტატის ექვსი საკომუნიკაციო სააგენტოსგან შედგება.

„ერთწუთიანი იუნიორი“ (“One Minute Junior”)

„ერთწუთიანი იუნიორი“ არის კონკურსი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომ შექმნან საკუთარი ერთწუთიანი ვიდეოკლიპები და გამოხატონ საკუთარი თავი მედიის საშუალებით.

„OneMinutesJr“ – ეს არის ახალი კატეგორია ერთწუთიანი ფილმების ფესტივალში, რომელიც იმართება ყოველ ნოემბერს სანდბერგის ინსტიტუტის ორგანიზებით ქალაქ ამსტერდამში. ის არ არის გამიზნული, რომ წარმოაჩინოს პროფესიული კინოხელოვნება. ამის ნაცვლად, ის სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს, ჩაატარონ ექსპერიმენტები და ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რომლებსაც ეს ჟანრი სთავაზობს და მოიპოვონ აღიარება კრეატიულობისა და ინტერესებისათვის.

კონკურსში თავიანთი პროექტების წარსადგენად მიწვეულნი არიან 12-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან. ყოველწლიურად პროექტის პარტნიორები ირჩევენ საკონკურსო თემებს ან საკითხებს ახალგაზრდებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ფესტივალის დროს იმართება ყველაზე შემოქმედებითი ფილმების ნაკრების ჩვენება და ჯილდოები გადაეცემათ ყველაზე გამორჩეულ შემსრულებლებს. სპონსორი ორგანიზაციების (ევროპის კულტურული ფონდი, სანდბერგის ინსტიტუტი და გაეროს ბავშვთა ფონდი) წარმომადგენლებისა და სამი ახალგაზრდისგან შემდგარი ჟიური აკეთებს არჩევანს.

ყველა ის, ვინც მონაწილეობს კონკურსში, ღებულობს მონაწილის სერტიფიკატს. გამარჯვებულებს გადასცემენ სტუდენტების მიერ შექმნილ პრიზებს სანდბერგის ინსტიტუტიდან და მცირე ფინანსურ ჯილდოს. აქცენტი კეთდება არა გამარჯვებაზე, არამედ კრეატიული პროდუქტის შექმნაზე, რომელიც სტიმულს მისცემს ახალგაზრდებს. ყოველ წელს ფესტივალს აქვს თამაშისმაგვარი ელემენტი, რომელიც დიდ დისკუსიებს წარმოშობს აუდიტორიაში.

ახალგაზრდების მიერ ახალი ციფრული მედიის სპონტანურად და არაორდინარულად გამოყენების უნარი ადასტურებს, რომ მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოებრივ პროცესებში. აუცილებელია ამის აღიარება და ხელშეწყობა და ახალგაზრდებისთვის უფრო ფართო ტრიბუნის მიცემა, რათა მათმა ექსპერიმენტულმა შემოქმედებამ ნაყოფი გამოიღოს.

ახალგაზრდების მიერ ახალი ციფრული მედიის სპონტანურად და არაორდინარულად გამოყენების უნარი ადასტურებს, რომ მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოებრივ პროცესებში. აუცილებელია ამის აღიარება და ხელშეწყობა და ახალგაზრდებისთვის უფრო ფართო ტრიბუნის მიცემა, რათა მათმა ექსპერიმენტულმა შემოქმედებამ ნაყოფი გამოიღოს.

ჩვენი ექსპრესი — საქართველო

პროექტი „ჩვენი ექსპრესი“ - ახალგაზრდული ყოველკვირეული ტელეგადაცემაა (20-25 წუთი), რომელიც 2005 წლიდან მზადდება 15-21 წლამდე ახალგაზრდების მიერ. “ინტერნიუსი” პროექტში მონაწილე ახალგაზრდებს აძლევს ჟურნალისტურ ცოდნას და პროფესიულ უნარებს. ისინი სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების განმავლობაში სწავლობენ სცენარის და ტექსტის წერას, გადაღებების დაგეგმვას, მუშაობას კამერასთან, მონტაჟის საფუძვლებს. „ინტერნიუსის“ პროდიუსერები პერიოდულად აწვდიან მათ ინფორმაციას ტექნოლოგიური და სტილისტური სიახლეების შესახებაც.

„ჩვენი ექსპრესი“ საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, ისაუბრონ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს პირადად მათი, მეგობრებისა თუ თანატოლების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ასევე, გააშუქონ თემები, რომლებიც ცენტრალური არხების ეთერით არ გადაიცემა. ახალგაზრდები თავიანთი ინტერესებისამებრ, პროფესიონალი ოპერატორებისა და მემონტაჟეების დახმარებით, იღებენ არა მხოლოდ სიუჟეტებს,

არამედ საავტორო ფილმებსა და ჩანახატებსაც.

ახალგაზრდების მიერ ახალგაზრდებისთვის შექმნილი ვიდეოკონტენტი ჯერ საზოგადოებრივ ტელევიზიაზე, შემდეგ კი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გადიოდა.

პროგრამის ნახვა ასევე შესაძლებელია შემდეგ ვებ-მისამართზე http://blog.teentv.ge;

დამატებითი ლიტერატურა და რესურსები

მსოფლიო საგაზეთო ასოციაცია: http://www.wan-press.info/
მსოფლიო რადიოფორუმი: http://www.worldradioforum.org
საზოგადოებრივ მაუწყებელთა მსოფლიო ასოციაცია: http://www.amarc.org/

„პრესუაიზისა“ (PressWise) და „მედია ექშნ ინტერნეიშენალის“ (Media Action International) მიერ იდენტიფიცირებული ბევრი სხვა საინტერესო *მედიააქტივობა და კარგი იდეები ბავშვების მიერ, ბავშვებისთვის და მათთან ერთად* (MAGIC) გადაიცემა სპეციალურ ვებგვერდზე, რომელიც ასევე შეიცავს ქცევის კოდექსს ბავშვებთან ერთად მუშაობისა და მათზე სტატიების დაწერისათვის. აქ ასევე მოცემულია ბევრი სასარგებლო ბმული და ინფორმაცია იმ მრავალრიცხოვანი ოფიციალური დეკლარაციების შესახებ, რომლებსაც გამოსცემენ მაუწყებლები და სხვა მედიასააგენტოები და რომლებშიც ხაზგასმულია, რომ მედიაწარმოებაში პრიორიტეტული უნდა იყოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები: www.unicef.org/magic

„ANDI“: http://www.andi.org.br
„პრესგაზეტ“: http://www.pressgazette.co.uk
„Prix Jeunesse International“: www.prixjeunesse.de
„ბავშვები და მედია — გლობალური პრობლემა“, მაიკ ჯემფსონი, “The PressWise Trust”.

Not for sale